

**ჯეან  
თოფურიძე**  
გამოუსწორებელი

---

მოთხრობები

## თეთრი და სისხლიანი პერანგი

მართალია არსებობს ზოგადი სიტყვა-ცნება „მწერალი“, მაგრამ რეალობაში ეს აბსტრაქტული არაფრისმოქმედობა ქრება და გვევლინება კონკრეტული თაფისი უაღრესად მიძინდველი პიროვნებისეული და ყოფით-ცხოვრებისეული შტრისებით.

ჩემი აზრით, საუკეთესო შემთხვევაში ასე უნდა მოხდეს, მითუმეტეს თუ პროზაიკოსთან გვაქვს საქმე. და თუ ზოგადობა მაინც რჩება და მწერალი თაფისი შემოქმედების მეშვეობითაც ვერ იძენს კონკრეტულ ნიშნებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ არსებობს ხარვეზები — ინდივიდუალობის ნაკლებობა, მწიგნობრობა, შთაგონების უკმარისობა და ა.შ.

ჯეძალ თოფურიძე დაზღვეულია ყოველივე ამისგან, მისი კონკრეტული ასეთია:

ის თბილისელი მწერალია. აქ არსებითა ტიპოლოგია, სოცუმი, მწერლის ხედვის პრიზმა. ეს მწერალი, თუ შეიძლება ითქვას, თბილისელი კაცის თვალთ ხედავს ადამიანს, სამყაროს, ყველაფერს, რაზეც შინაარსი უნდა შესძინოს მის პროზას. უფრო ძნელი სათქმელია, თუ რაში ვლინდება ყოველივე. ჩემი აზრით, გამოვლინების ნიშნები სხვადასხვაგვარია. არსებობს მოთხრობები, სადაც მიმართება უმუაღია ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამჭვირვალედ ჩანს თბილისური გარემო. ყოველივე ამას ავლენს ლექსიკა, ტიპები, ხასიათები, ატმოსფერო. მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია უფრო სიღრმისეული პლასტიკა — თვითონ მწერლის დამოკიდებულება საკუთარი პერსონაჟებისადმი, ფაქიზი თანაგრძნობით და ტკივილით აღბეჭდილი. არ შემიძლია არ გავიხსენო შესანიშნავი მოთხრობა „მარტო“. ამ მოთხრობის მთავარი გმირი ლოთია, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ლოთი. ეს არის კაცი, რომელმაც ცხოვრების აზრი დაკარგა. მისი ცხოვრება უშვე-

ღებელი სიღარიელით აივსო და წარმოუდგენელიც კი გახდა იმ უმაღლესი ფასეულობის გარეშე, შეყვარებული ქალის სიხილოვე რომ ჰქვია. ლოსოს მართლაც შეუქმნეველი ჩრდილივით დასდევს მწვერლის სიმათია.

იმ მოთხრობებში, რომლებშიც მოქმედება სოფელში თამაშდება, მწვერალი ერთგვარ დისტანცირებას ამჟღავნებს მთავარი პერსონაჟისადმი. ეს დისტანცია მწვერლისეულ ირონიაში გამოისჭვავის. სწორედაც რომ გამოისჭვავის, ვინაიდან ირონია იმდენად ნატყფია, რომ მისი აღქმა-გაგებაც არ არის მთლად ილიი. ჩემთვის დაუგვიწყარია მოთხრობა „ლექოს“ მეტად შთაბეჭედავი ფინალი. ლექოსს გაუგონარი უბედურება დაატყდა თავს, – საყვარელი ცოლი გარდაეცვალა. მოულოდნელმა ტრაგედიამ თითქოს ადვილზე გააქვავა და უგრძობელობა შეჰყარა. ამ უგრძობელობას ალაღი, მიაბიტი კაცი ვერ პატიობს თავისთავს. მოთხრობის ბოლოს რაკურსი იცვლება: ლექოსს ძეზობლებს, მიტოს და მის ცოლს შუაღამისას მგლის ყმუილის მსგავსი ხმა შემოესებათ. მოგვიანებით ხვდებიან, რომ ეს ლექოსს ხმაა, ლექოს ბღავის. ცოლი ეუბნება მიტოს, გადადი და როგორმე უთანაგრძნეო. შესანიშნავია მოთხრობის დამაგვირგვინებელი, სწორედ ნატყფი ირონიით აღბეჭდილი ფრაზა, მიტო პასუხობს ცოლს: „რო გადავიდე, რა ვუთხრა, რით ვანუგეშო, მოვა და ისევე გვერდით დაგიწვება-მეთქი?“

ჯეძალ თოფურისის უკანასკნელი და უმთავრესი მოთხრობა „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“, თითქოს თავს უყრის და ერთად წარმოაჩენს მისი შემოქმედების ყველაზე ნიშანდობლივ მხარეებს. შეგნებულად არ მინდა ვიხმარო სიტყვა „ესთეტიკა“, „მხატვრული აქსესუარი“ და ა.შ. არ მინდა, რადგან ჯეძალ თოფურიძე უმტკიანეულოდ, ძალდაუტანებლად აგნებს თავის თხრობით ინტონაციას. ეს ინტონაცია იმდენად მისეულია და მკვიდრია, რომ „ფრაზის დონეზეც“ კი დაჰყავს. ჯეძალ თოფურისის ყოველი ფრაზა თავისებურად ჟღერს, სხვის ფრაზაში არ აგერევა. თითქოს ეს ფრაზის ჟღერადობაა მისი მთელი სამყაროს გახალეუბი, იმ სამყაროსი, რომელსაც ის სმონტანურად ქმნის.

„დიოსკურიას“ მთავარი პერსონაჟი თვითონ ჯეძალ თოფურიძეა. ნებისთ თუ უნებლიეთ ყოველი მწვერალი თავის თავზე წერს ან,

სწავლავარად რომ ვთქვათ, რაღაც წახნავით საკუთარ თავს განახავ-  
ნებს ნაწარმოებში. მაგრამ დეგება დრო, როცა ავტორის კონტურე-  
ბი ემთხვევა მთავარი პერსონაჟის კონტურებს. და მწერალი თუმცა  
ლაპარაკობს ერთდროულად ყველაფერზე, ეს „ყველაფერი“ მისი-  
ვე ცხოვრებისეული გამოცდილების კონკრეტული რეალიზებიდან  
არის განჭვრეტილი. შეიძლება ვინმემ გამოთქვას აზრი, რომ „დი-  
ოსკურიას“ გმირი ღრმა დებრესიით ან ნეგროზით შეპყრობილი პი-  
როვნებაა. ეს იქნებ ასეცაა, მაგრამ არსებითი სწვა რაჰაა: რატომ  
გაჩნდა შინაგანი დისკომფორტი? რამ აღძრა გაუწონასწორებლო-  
ბა? რა აგლენს პერსონაჟის სულიერ რღვევას?

ჯეძალ თოფურძე XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე უფრო ანტიტოტალიტარული მწერალია. ის უხეშად, არაო-  
რაზროვნად, დაუფარავად ახგრევის სტერეოტიპებს. ეს სტერეოტიპი  
კი, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენს მწერლობაში (და არა მარტო მწერ-  
ლობაში) მაინც არსებობდა და არსებობს. ტოტალიტარული რეჟიმი  
ქმნიდა ისეთ სიცაღურ და ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელშიც  
ნორმალურ, თავისუფალი ნების, პატიოსან კაცს მორალური თვალ-  
საზრისით უჭირდა გაძლება. ამ გაჭირვებას გაუწონებელი ჰაერი იწ-  
ვევდა. პიროვნების ნიველირება, ბიუროკრატიზმი, ათავგარი ჩარ-  
ნობები, ყადაღა და ცენზურა, ფართო ასპარეზის უქონლობა შემოქმე-  
დებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებისთვის (ყველა სფეროში)  
ტრაგიკული სვედრის ტოლფასი იყო. ასეთ ადამიანებს არსებული ვი-  
თარებისადმი ცინიკური დამოკიდებულებაც უჩნდებოდათ, ვინაიდან  
შინაგანად ვერ ეგუებოდნენ იმ ფორმალობებს, თამაშის იმ წესებს, იმ  
„იდეოლოგიურ შირმებს“, რომელთაც მათ ტოტალიტარული რე-  
ჟიმი სთავაზობდა. სწორედ ეს ადამიანები უბირისბირდებოდნენ არსე-  
ბულ სტერეოტიპებს. სწორედ ისინი არიან ჯეძალ თოფურძის მოთხ-  
რობების პერსონაჟები. ასეთი იყო თვითონ ავტორიც. ტოტალიტარ-  
ული რეჟიმი მას თითქოს კარნახობდა: „დაწერე, რომ ჩვენ კარგად  
ვცხოვრობთ“, ის კი თავის შემოქმედებით პასუხობდა: „ტყუილს არ  
დავწერ, დავწერ იმას, რასაც ვხედავ და განვიცდი“. ამასთანავე, არ  
შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ არსებობდნენ ჯეძალ თოფურძის წი-  
ნამირობედი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპის მწერ-  
ლები, რომლებიც სწავლავარად ავგარებდნენ ამ პრობლემას.

ერთნი „ეზობეს ერთი“ წერდნენ, მეორენი საერთოდ იგნორირებას უკეთებდნენ დამორგუნველ სინამდვილეს (მათ ნაწარმოებებში სად ხდება მოქმედება, უიღბლო საქართველოში თუ სეპედნიერ საფრანგეთში, ვერ გაიგებ), მესამენი კი „უბედურების“ და „ბედნიერების“ ისეთ დოზირებას, ისეთ აღქმძიას სთავაზობდნენ „ტოტალიტარულ მანქანას“, რომ ის თავაზიან თანხმობას გამოთქვამდა.

ორმოცდაათიან-სამოცეან წლებში გურამ რჩეულიშვილის გამოჩენა იმით იყო საინტერესო, რომ მან სიცოცხლის „ცხელი სუნთქვა“ მოიტანა ქართულ ლიტერატურაში. ეს მხოლოდ სითამამის და გაბედულების წყალობით არ მომხდარა, ამ მწერალს ჰქონდა ნიჭის უაღრესად მნიშვნელოვანი წყობა, რომლის მეშვეობითაც განზოგადებულ, აბსტრაქტულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს კი არ ქმნიდა, არამედ კონკრეტულ გარემოს აცოცხლებდა. გურამ რჩეულიშვილმა დროში და სივრცეში თავისი თანამედროვე გმირის კონკრეტული ადგილსამყოფელი დააფიქსირა, მისი დრამატული ყოფნა აღწერა და სწორედ ეს კონკრეტუკა იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. კონკრეტუკაზე ვსაუბრობდი წერილის დასაწყისში და ამ ნიშნით, ჩემი აზრით, ჯეძალ თოფურიძე გურამ რჩეულიშვილის პირდაპირი მეკვიდრეა...

მოთხრობაში „დიოსკურია ზღვაში ჩამირული ქალაქია“ ჯეძალ თოფურიძე დაუნდობლად ამხნვრევეს ყოველგვარ ილუზიებს. და ეს ილუზიაა სწორედ ტოტალიტარულ სოციუმში არსებული სტერეოტიპი. ჯეძალ თოფურიძე ამხნვრევეს მითს ბავშვობაზე, მითს სიყვარულზე, მითს ბედნიერებაზე... ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ბავშვობა, არ არსებობს სიყვარული ან ბედნიერება, პირიქით, არსებობს, მაგრამ სხვაგვარი და არა ისეთი, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. ჯეძალ თოფურიძისთვის ყველაფერი ტანჯვასთან ერთად არსებობს. „ვიტანჯები, მაშასადამე, ვარსებობ“ — შეუძლია თქვას მის პერსონაჟს; „ვიტანჯები, მაშასადამე, მიყვარს“, „ვიტანჯები, მაშასადამე მესმის რა არის ბავშვობა და ბედნიერება“ და ა.შ.

ტანჯვის ფილოსოფია ჯეძალ თოფურიძის მსოფლმხედველობის განუყრელი ნაწილია. მაგრამ რა იწვევს ამ ტანჯვას, თუ არა სასიცოცხლოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობის უკმარისობა. რა არის ეს ფასეულობა? სიყვარული? თანაგრძნობა? უანგარო

დამოკიდებულება? გავისხენოთ „ნუციკო ემზგარი“. ეს არის სიყვარულის ისტორია, ეს არის ამბავი იმ ქალისა, რომელმაც ვერ შეძლო ერთხელ აღძრული გრონობის დაფიქვება. ნუციკო ემზგარი ფაქტობრივად მსხვერპლია იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც ვერ კიდევ აღრეულ ასაკში დაეუფლა. სიყვარულის „მსხვერპლია“ დაღუპული ტაქსისტი გოგოას ცოლი მარინაც. ის სასოწარკვეთილი ეცემა იატაკზე, შემოხვევა მაგიდის ფეხს და ამბობს: „მცემე, გოგოა, შენი ჭირი-მე, ბიჭო, მცემე“. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ ეს მრავალჯერ შესრულებული ცემის „რიტუალი“ ახსენებს მარინას ქმარს და ეს მართლ გახსენება კი არ არის, არამედ მძაფრი გრონობის გამოხატულებაცაა.

ჯეძალ თოფურიძე უაღრესად ადამიანური მწერალია. მან შესანიშნავად იცის, რომ მხოლოდ თანაგრონობამ შეიძლება გადაარჩინოს პიროვნება. თვითონ მწერლის დამოკიდებულებაც უაღრესად თავისებურია პერსონაჟების მიმართ. მას აქვს თანაგრონობაც, ტკივილიც, ნატიფი ირონიაც, მაგრამ აქვს აგრეთვე რაღაც ისეთი, რასაც ძნელია სახელი დაარქვა და რაც საკმაოდ შეუმჩნეველიცაა. ეს არის სურვილი არსებობის აზრის ძიებისა. ეს სურვილი გაუცნობიერებლად ვლინდება მის პერსონაჟებში და ზღვრულ სიტუაციებში იჩენს თავს, როგორც მოყვასისადმი სრული თვითგაღება.

და მაინც, მინდა გავისხენოთ ისევ „დიოსკურიას“ მთავარი გმირი თემური. მისი ცხოვრება დანაკარგებისგან შედგება, მას სტოვებენ ადრეული ასაკის ილუზიები და უახლოესი ადამიანები, ცოლი ზურგს აქცევს, სხვები კი სამუდამოდ მიდიან ამ ქვეყნიდან. თემური უშკაცრესი სიკვდილის წინაშე რჩება. იცვლება მისი წარმოდგენებიც ადამიანებზე, ცხოვრებაზე. ავტორის ჩანართი თვითონ თემურის ფიქრთა მდინარებაცაა: „ბედნიერი დღეები უფრო ადვილად ავიწყდება კაცს, უბედურება სულ ახსოვს, ტენისა და გულს უღრღნის, სულ თანა სდევს, იმიტომ, რომ უფრო ნაღდია, ყველაფერზე ნაღდია, რაც კი რამ გაჩენილა ამ ქვეყანაზე“.

თემური ავტოკატასტროფაში იღუპება. ესეც თითქოს ნაადრევად დაღუპული მწერლის წინათგრონობა იყო. საკვირველია მთხრობის ბოლო ფრაზა, რომელშიც ჯეძალ თოფურიძის შემოქმედების მთელი მწაქამისა ჩატეული, სიცოცხლის უაზრო სიღამაზეც ჩანს და ტანჯ-

ვის მარადიულობაც. ეს ფრაზა ასე უღერს: „დედამიწას თეთრი და  
სისხლიანი პერანგი ეცვა“.

## გამოუსწორებელი

ენვერა ჯიჯავაძე ავტობუსის გაჩერებაზე იდგა პატარა სოფელში. პატარა ჩემოდანი ეჭირა, სცხელოდა და საშინლად ბრაზობდა, კაციშვილი მანქანას რომ არ უჩერებდა. ენვერა ციხიდან ნახევარი საათის გამოშვებული იყო.

ციხის უფროსმა, ლოყებლაყლა შალიკო ქათამაძემ მაგრად ჩამოართვა ენვერას ხელი, კიდევ უფრო განითლდა მოზღვავებული გრძნობებისაგან და უთხრა:

— ანგელოზით ბიჭი ხარ ენვერა, შენისთანა არ მყოლია არავინ, იცოდე, აქ თუ მოხვალ კიდევ, მე ვიცი შენი პატივისცემა.

გადაეხვია და აკოცა, მერე ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა.

სატირალი კი ჰქონდა შალიკო ქათამაძეს. საქმე იმაში იყო, რომ მის ციხეს „რამკიანი“ ქურდი არ ჰყავდა, ვისაც რა მოეპრიანებოდა, იმას აკეთებდა. იყო მთელი დღე ერთმანეთის ლანძღვა და ცემატყეპა. ვერაფერს ვერ უხერხებდა პატიმრებს ამხანაგი შალიკო. კოლონიის უფროსობიდან სულ რამდენიმე თვის დაქვეითებული იყო და ამით კიდევ უფრო მცირდებოდა პატიმრების თვალში.

ენვერა ჯიჯავაძე რომ მოიყვანეს, სულ სხვანაირად ნავიდა საქმე. არა, ენვერა ქურდი არ იყო. უბრალოდ, საშინელი ძალა ჰქონდა და უსამართლობას ვერ იტანდა...

რომ მიიყვანეს, ერთი კვირის განმავლობაში იმდენი ძალადობა ნახა პატიმრებს შორის, რამდენიც მთელი მისი ცხოვრება არ ენახა გარეთ. თითქოს მთელი ქვეყნის საშინელებას ამ პატარა ციხეში მოეყარა თავი. ნახა ენვერამ, ცოტა ხანს უყურა, მერე ველარ მოითმინა და ერთი თვის შემდეგ მამის მკვლელები, ცოლწაგებულები,



საკუთარი ოჯახის გამცლელები, ჯიბის ქურდები და ხულიგნები, ერთმანეთს სულ თქვენობით ელაპარაკებოდნენ.

ოთხი წელი იჯდა ენვერა. ჰოდა, ეწყინებოდა შალიკო ქათამაძეს ასეთი კაცის გაშვება, აბა რა იქნებოდა.

ენვერაზე პირველად მაშინ თქვეს „უბედური ყავს გამჩენსო“, ჩიტას ძმა რომ გალახა. ჩიტა ბათუმში განთქმული სადისტი და მკვლელი იყო. ჩიტა ისეთი იარაღით ჭრიდა ხალხს, რომელსაც ანკესივით მოკაუჭებული თავი ჰქონდა. კაცს რომ დაარტყამდა, „ინსტრუმენტი“ შიგნით რჩებოდა. ჭრილობა სასიკვდილოც რომ არ ყოფილიყო, ოპერაცია მარტო იმიტომ ხდებოდა აუცილებელი, იარაღი რომ ამოეღოთ სხეულიდან. ჩიტა ორმოცი წლისა იყო, ძალიან შავი და უსამელოდ გამხდარი; ორჯერ მკვლელობისათვის იჯდა. დაჭრილი უამრავი ჰყავდა. ეს, ოფიციალურად. ისე, რამდენიც ჰყავდა ჩიტას გაფუჭებული, ღმერთმა და იმან იცოდა მხოლოდ.

ენვერა ჯიჯავაძეს იმ დილით მკვდარი დედა ესიზმრა. კოცნიდა, ეხვეოდა ქალს, ეღიმებოდა ძილში. მერე უცებ დედამ მოიშორა ენვერა, ოთახის კარები გააღო და მე უნდა წავიდეო, უთხრა. ენვერამ სიზმარშივე იცოდა, რომ ველარასოდეს ვერ ნახავდა. „არ დამტოვო, დედა, არ დამტოვო!“ ტიროდა ბიჭი დედის მუხლებთან ჩაჩოქილი...

— ენვერა! ენვერა ბიჭო! ენვერა, გაიღვიძე, რა გატირებს, ბიჭო?!  
— ტირილითვე აღვიძებდა თემური, მისი ბავშვობის მეგობარი.

თვალეები გაახილა.

— დედა! — თქვა ენვერამ.

— დანყნარდი, ენვერა, შენი ჭირიმე! — სლუკუნებდა თემური.

ენვერამ თავი გააქნია, ცრემლები ჩამოინმინდა, ერთ ადგილს ჩაამტერდა, სიზმარი დაუდგა თვალწინ. „დედა“ — გაიფიქრა და კიდევ ერთხელ მოუკვდა თითქოს, ისე ჩასწია გულმა. თემურს ახედა.

— შენ რა გატირებს, ბიჭო?

— არაფერი. — თემური ვერ ჩერდებოდა.

— რა არაფერი, — წამოჯდა ლოგინზე ენვერა.

თემური სკამზე დაეშვა, თავი ხელებში ჩარგო. ენვერა მივიდა თემურისთან და შეაჯანჯლარა.

— რა მოგივიდა?

— ამირანა.  
 — ვინ ამირანა?  
 — ჩიტას ძმა.  
 — რა?  
 — ჩემ ლეილასთან გაუვლია, — ძლივს დამარცვლა გულამოსკ-  
 ვნილმა თემურიმ.  
 — რა მოხდა, ბიჭო, მერე? — გაელიმა ენვერას.  
 — გაუუპატიურებია, ბიჭოოო, — უფრო ატირდა თემური.  
 სალოცავი იყო ლეილა თემურის. ყურებამდე იყო შეყვარებული  
 და საერთოდ, მსოფლიოში ისეთი გოგო თუ დადიოდა, არ წარმო-  
 ედგინა.  
 ჯერ გათეთრდა ენვერა, სულ გათეთრდა, მერე ფანჯარასთან  
 მივიდა, ნანვიმარ ქუჩას გადახედა. უცბად, რალაც სიმშვიდე ჩაელ-  
 ვარა მთელ სხეულს.  
 — ამირანამ, ბიჭო? — ძალიან ჩვეულებრივად ჰკითხა თემურს.  
 — ჰო, — განაგრძობდა ტირილს თემური.  
 — გაჩერდი! — უთხრა ენვერამ.  
 ისეთი რალაც იყო მის ხმაში, რომ თემური უნებურად გაჩერ-  
 და, ახლა თავს იქნევდა მხოლოდ შეკავებული ტირილისაგან და  
 ასლოკინებდა.  
 — ნამდვილად იცი? — ჰკითხა ენვერამ.  
 — ნამდვილად.  
 — ნავიდეო.  
 ამირანა ნავსადგურში ნახეს. გრძელ სკამზე იჯდა, სიგარეტს  
 ენეოდა, „პლაშის“ საყელო აენია, და ზღვას გაჰყურებდა.  
 — ამირან! — დაუძახა ენვერამ. ამირანი ზანტად აღდა და მივიდა.  
 ენვერამ რამდენიმე ნაბიჯზე გაიყვანა.  
 — ატყუებენ, ბიჭო? — ჰკითხა ენვერამ.  
 — ვის? — ჰკითხა ამირანმა.  
 — თემურას, ბიჭო, ეგებ ატყუებენ?  
 — რას?  
 — იმას.  
 — ნაღდია.  
 — მართლს ამბობ?

- სტა პრაცენტნი.
- მერე, შენ და თემურა ასეთი ახლობლები რომ იყავით, ბიჭო?
- რა იყო მერე?
- რატო, ბიჭო? — ენვერა ისევ გათეთრდა.
- ბრილიანტის ბეჭედი რომ მოგცენ, არ აიღებ, ენვერა? — გამოცდილი „ნაშამორის“ სახით ჰკითხა ამირანმა და გადააპურჭყა.
- თემურა?
- ქალი პარახოდია, ენვერა, როის გავა პორტიდან, კაციშვილმა არ იცის. ვინც მიუსწრებს იმ გემს, იგი დეემგზავრება უახლოეს ნავსადგურამდე. — ეტყობა, ვილაც იდიოტისგან გაგონილი, ღრმა ფილოსოფიური აზრი გაიმეორა ამირანმა, შორს გახედა ზღვას და კიდევ ერთხელ გადააპურჭყა.
- ერთად გაიზარდეთ...
- მერე ახლა უფრო ახლობლები არა ვართ?
- ენვერამ მოწყვეტით დაარტყა და სველ ქვაფენილზე გაშალა მოაზროვნე ქალების რისხვა. ნამოაყენა. ისევ დაარტყა და ადრინდელ პოზას დაუბრუნა.
- ხვალე კიდევ ვცემ, — დაამშვიდა ენვერამ თემური და ნავსადგურიდან გაიყვანა.
- „უბედური ყოლია გამჩენს“!
- „ამირანას ცემას ვის შეარჩენს ჩიტა“?
- „მოკლავს“!
- ორი საათის შემდეგ მთელმა ბათუმმა იცოდა ჩიტას ძმა ნაცემი რომ იყო. უმეტესობა ფიქრობდა, „ის უბედური“.
- „ის უბედური“ ჩიტამ სალამოს ნახა „ბერეგ ზე“.
- ჩიტას გაელიმა სიამოვნებისაგან. მზით ისედაც გარუჯული ბიჭები, ჩიტას დანახვაზე სულ გაშავდნენ.
- მოი, მოი! — უთხრა ენვერას და კბილები გამოაჩინა. ენვერა ბიჭებს გამოეყო.
- რატომ გამილახე ბრავი? — შესცინა ჩიტამ და გაზეთში გახვეული „ინსტრუმენტი“ მარცხენა ხელისგულზე ორჯერ დაირტყა.
- იცი შენ! — უპასუხა ენვერამ.
- იმიტომ ხომ?
- კი.

- კიდო რატო?
- კიდევ, იმიტომ!
- იმიტომ ხომ?
- კი!

ჩიტამ გაშავებულ ბიჭებს გადახედა, ჩაიმუხლა და სიცილით მოკვდა. მერე წამოდგა და საშინელი სისწრაფით მოუქნია ენვერას ბასრი რკინა. ენვერა გვერდზე გახტა, პიჯაკსა და პერანგს შერჩა „ინსტრუმენტი“. ენვერამ მარცხენა ხელი დაარტყა, ჩიტა უგონოდ დაეცა. ბიჭებმა რალაც უცნაური ხმები ამოუშვეს.

ერთი თვის შემდეგ ჩიტა საავადმყოფოდან გამოწერეს. მოკლავდა, იცოდა ენვერამ. საავადმყოფოსთან დახვდა, ქუჩის კუთხესთან უთვალთვალებდა. მერე, ჩიტასათვის სრულიად მოულოდნელად, კუთხეს მოწყდა, მივარდა, დაარტყა და უკან შეაბრუნა საავადმყოფოში.

ჩიტა ახლა ორი თვე იწვა. საავადმყოფოდან გამოსული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. უცებ დაინახა ჩასაფრებული ენვერა და გაიქცა. მეორე დილით ენვერასთან ვილაც ხანში შესული კაცი მივიდა, ისიც ჩიტასავით შავი იყო და გამხდარი, ხმა არ ამოუღია, ისე მისცა პატარა ბარათი ენვერას.

„ენვერა, საავადმყოფოდან გამოიშვი. ნუ გადავეკიდებით ერთმანეთს. არ მიცნობ, არ გიცნობ. ჩიტა“.

ენვერა ქალაღზე.

მართლა აღარ გაკარებია ჩიტა ენვერას. ქუჩაში რომ წაანყდებოდა, ელიმებოდა. ჩიტა თავს დახრიდა და სწრაფად გაივლიდა.

ენვერა მაშინ ჩვიდმეტი წლისა იყო.

ხშირად კი ჩხუბობდა ენვერა, მაგრამ რალაც ბედად, ციხეში არ ხვდებოდა. ოცდასამის იყო, რომ დაიჭირეს. სახლში ბრუნდებოდა საღამოს, ქარხნიდან. ლენინისა და სტალინის ქუჩების გადაკვეთაზე, ორი მუტრუკი ფეხებით შემდგარიყო თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭს.

„საწყალი“. — ერთი გაიფიქრა ენვერამ და მიეხმარა, რის შემდეგაც ის ორი მუტრუკი ქალაქის მთავარ საავადმყოფოში მოხვდა, ენვერა კი, „სასწაულში“ აღმოჩნდა. ასე ეძახდნენ ბათუმელები ამ „დასასვენებელ ადგილს“. საქმე იმაში იყო, რომ მუტრუ-

კები, ბიჭის მამა და ბიძა აღმოჩნდნენ. მისი, მორფის კეთების ამბავი გაეგოთ და იმიტომ სცემდნენ...

ენვერას არავინ არ ჰყავდა. არც დედა, არც მამა, არც ცოლ-შვილი. ბებია ჰყავდა მხოლოდ. ისიც, ენვერას დაპატიმრებიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ხშირად ნახავდით ბათუმის სანაპიროზე ბირჟავიკებში შერეულ, სამოცდაათ წელს გადაშორებულ, ნელში მოკაკულ, ფოხზე დაყრდნობილ ქალს.

— ნადი, ბებია, სახლში! — ეუბნებოდნენ ბიჭები.

— ვიქნები ცოტას კიდო, სუფთა ჰაერია. — ჰაერს აბრალებდა ბებია გაბირჟავიკებას. ისე კი, აქეთ-იქით იყურებოდა, იქნებ სადმე თვალი მოეკრა, როგორც თვითონ ეძახდა, თავისი გადარეული ენვერასათვის. მამა უკანასკნელად ენვერამ ათი წლისამ ნახა. თბილისი-ბათუმის მატარებლისაკენ ვილაც ქერთმიან ქალთან ხელკავგაყრილი, ნასვამი და საშინლად კმაყოფილი სახით მიმავალი. გამოეკიდა ენვერა და მიუსწრო კიდეც მატარებლის კიბესთან.

— სად მიდიხარ, მამა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბავშვმა.

— სად მივიღივარ? — თავის თავსაც და ენვერასაც დაუსვა კითხვა მამამ.

— ჰო! — გაულიმა ბავშვმა.

კაცი დაიხარა და აკოცა.

— მალე ჩამოვალ მამა მე, მალე! თბილისში საქმე მაქვს პატარა, ჩამოვალ! — თქვა და უხერხულად ჩაახველა მამამ.

— ჰკრპეე შეპმლრნჩმკ, ვპესჭ ნე დლეი! — დროის ფილოსოფიური არსი შეახსენა კაცს, უკვე კიბეზე ასულმა ქერთმიანმა ქალმა.

მამა ავიდა. მატარებელი ერთი შეინჯღრა და ნელა წავიდა. ეგ იყო და ეგ. დედა ენვერას, სკოლა რომ დაამთავრა, მაშინ მოუკვდა. ერთ თვეში მოკლა ფილტვის კიბომ.

დრო გადიოდა. ენვერა ქარხანაში მუშაობდა. ერთხელაც, ის შეეყარა ენვერას, პირველი სიყვარული რომ ჰქვია. მისი უბნელი გოგო იყო, ადრეც იცნობდა. იმ დღეს რატომ შეხედა სხვა თვალით, თვითონაც არ იცოდა. „რალაცნაირად მომესალმა“ — ფიქრობდა ენვერა. არაფერი რალაცნაირად არ მისალმებია ის გოგო; უბრალოდ, თვითონ შეხედა მართლა რალაცნაირად. შეხედა და რამდენიმე დღის შემდეგ ინსტიტუტთან დახვდა ლექციების შემდეგ.

მერე ზედიზედ რამდენიმეჯერ და ბოლოს, როგორც იქნა, აკოცა. ერთი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

„ამ დღეებში მივალ და ვეტყვი მამამისს, ცოლად რომ მიიღო, რა მოხდა მერე, უპატრონო რომ ვარ?“ — ფიქრობდა ენვერა, მაგრამ აღარ დასცალდა განზრახულის სისრულეში მოყვანა. არც რუსიკომ მოიკლა თავი ლოდინით. ენვერას დაპატიმრებიდან ზუსტად წლის თავზე, ისე, თითქოს წლისთავს იხდიდა ენვერასიო, ხორც-კომბინატის ახალგაზრდა, პერსპექტიულ ცეხის უფროსს, ტარიელ ბოცვაძეს გაჰყვა ცოლად. „შოთა რუსთაველი“ ნელა გაუყვა ოდესისაკენ. გემბანიდან რუსიკო ხელს უქნევდა ძველ და ახალშეძენილ ბედნიერ მშობლებს.

ენვერას ბებიის სიკვდილი და რუსიკოს გათხოვების ამბავი ყველამ იცოდა ციხეში ენვერას გარდა. ენვერას არ ეუბნებოდნენ. ბოლოს, ერთმა მაინც წამოსძახა: „ჩვენ რომ გვასამართლებ აქანე, იქინე მოგველო იმ „ნაშიზაო“. ენვერამ ხელში აიტაცა და კედელზე მიაყუდა.

- რა მოხდა, ბიჭო?!
- დამიშვი, ენვერა, ძირში!
- რა მოხდა, ბიჭო?
- დამიშვი ძირში!

ენვერამ დაუშვა. იმან სიგარეტს მოუკიდა, გაიარ-გამოიარა საკანში.

- მცემ, რო გითხრა? — ჰკითხა მერე.
- რატომ უნდა გცემო, ბიჭო?
- სიტყვა მომეცი, რომ არ მცემ.
- სიტყვას გაძღვე! — მოუთმენლად ამბობდა ენვერა.
- ყველა გიმალავს და მე გეტყვი. ამისთანა ამბავი, უნდა იცოდეს ამაღ! — სხვებს გადახედა ამაყად.
- თქვი ახლა!
- გათხოვდა ის შენი რუსიკო. — თქვა და გაფითრდა შიშისაგან. ენვერა ნელა დაეშვა იატაკზე, დაჯდა. კარგა ხანს იყო ასე ჩუმად.
- შენ რაზე უნდა მეცემე მაგის გულისათვის? — თქვა მერე. ნარზე ავიდა და დაწვა, ხმა აღარ ამოუღია.
- ბებიის ამბავიც ერთ კვირაში შეაპარეს.

\* \* \*

— ე, გააჩერე! — გასძახა მანქანას ენვერამ.

ვიღაც დალოცვილმა გააჩერა. სულ ჭალარა იყო მძღოლი.

— სად მიხვალ?

— სახლში. — უპასუხა დაუფიქრებლად ენვერამ.

— როგორ გავიგოთ მაგი?

— ზღვისპირზე გავიდეთ.

— საიდან მოდიხარ, ჯო?!

ენვერას შერცხვა სიმართლის თქმა.

— ნათესავთან ვიყავი, სოფელში.

— რა გვარის ხარ?

— ჯიჯავაძე.

— ბიძაშვილი მომიკლეს ჯიჯავაძეებმა, ორი თვის წინ. — ცოტა ფიქრის მერე უთხრა მძღოლმა. იცოდა ენვერამ აჭარლების ამბავი, ბიძაშვილის მკვლელობას მთელ გვარს არ აპატიებდნენ.

— „სასწაულიდან“ მოვდივარ. ჯიბიდან დანა რომ გიჩანს, ამოიღე და დამარტყი, ხელის გამნძრევი არა ვარ. უკან დაბრუნებას მაგი მირჩევნია, — ნერვულად და სწრაფად თქვა ენვერამ. მძღოლმა უკან მიიხედა და მიხვდა, ენვერა სიმართლეს რომ ეუბნებოდა.

მანქანა სანაპირო ქუჩაზე გავიდა. ხმა არცერთს არ ამოუღია. ენვერამ სახლთან გააჩერებინა, მანქანიდან გადმოვიდა და სამმანეთიანი გაუნოდა.

— არ გრცხვენია? — უთხრა ჭალარამ.

— გამომართვი.

— ფულს იქით მოგცემდი, ჯიჯავაძე რომ არ იყო, ბიძიკო, — თქვა და მონყვიტა მანქანა ადგილს.

თვალი გააყოლა ენვერამ. „არის კარგი ხალხი“, — გაიფიქრა და სახლში შევიდა.

კარის გაღების შემდეგ, რაც პირველად მოხვდა, დაგუბებული ჰაერი იყო. ენვერას საკანი გაახსენდა. ფანჯარა გააღო. მერე ოთახს მიუბრუნდა. ბებია კედლიდან უღიმოდა. ენვერამაც გაუღიმა, ისე, როგორც ცოცხალს. მერე ბებიას კარადა გააღო, მის ძველ და შავ კაბებს გადახედა. ბებიას ნაქონი პატარა ყუთიც იდო შიგ-

ნით. კოჭის ძაფებს და ნემსებს ინახავდა ბებია ამ ყუთში. მეტი, აბა, რა უნდა შეენახა?

ფრთხილად გახსნა ენვერამ ყუთი. ოდნავ გაყვიტლებული ქაღალდი ნახა. გაშალა ქაღალდი.

„ბებია, — ეწერა ზედ, — არავინ არ მყავს მე შენს მეტი. ამ წერილს მე ვჩივი და ჩვენი მეზობელი ცაცა წერს. უნდა იცოდე, ბებია და რუსიკო გათხოვდა. ასე უნდოდა ალბათ ღმერთს, არ აცალეს. თლად ყველაფერში მაგიც არაა დამნაშავე. მოლოდინი ყველას არ შეუძლია. კაი გოგოს ნახავ კიდევ. თავს მიხედე ოლონდ, შენი ჭირი-მე. რომ გამოხვალ, მე შეიძლება აღარ დაგხვდე, თავს ნურც მაგაზე მოიკლავე. ჩემი სული შენთან ერთად იქნება სულ. აგი წერილი, ცაცას რომ ნახავ, იგი გეტყვის, სად იდობა. ცაცას კიდო, ჩემი ოქროს ბეჭედი ექნება, ბაბუაშენმა რომ მაჩუქა, ე, მაშინ. გეიკეთე ხელზე და ატარე, შეიძლება, ვინრო იყოს შენდა, მარა, ნეკა თითზე მანაც ჩაგეტყვავა. ბებია, ნუ გამოესარჩლები ყველას. უსამართლობაზე თვალს ნუ დახუჭავ, მარა, ნურც გადაირევი. ხომ ხედავ, რა გიქნა მაგ ამბავმა. აგი ოთახი არ დაკარგო შენ. აქანე ჩანერილი ხარ და გეკუთვნის. იქნებ მუშაობა დაიწყო და იქნებ დაუსწრებელზეც ჩააბარო შენ შემოგველე. შენისთანა გახსნილი ტვინი რომ მქონოდა, ქალი ვარ, მარა, მინისტრი ვიქნებოდი, ანდა პროფესორი. ცოლი შეირთე, მეგობარი და მომვლელი გინდა. იმ ოქროს ბეჭდის და ამ ოთახის გარდა ვერაფერს ვერ გიტოვებ. მენატრები ძალიან. ნამეტანი მენატრები, შენს სურათს ვკოცნი. მშვიდობით ბებია. მოგიკვდეს, ბებია შენ, ჩემო კეთილო ბიჭო“. — ენვერამ დაამთავრა წერილის კითხვა, ბებიას ლოგინზე ჩამოჯდა, მერე დაემხო ლოგინს.

ოთხი, საკანში გატარებული, ტყუილად დაკარგული წელი, რუსიკო და ბებია, სულ ერთად გამოიტირა.

ორი თვე იყო გასული, რაც ენვერა სუფთა ჰაერს ყლაპავდა, მაგრამ ნაღდად არ ყოფნიდა მართო სუფთა ჰაერი. ორი თვის განმავლობაში ეძებდა სამუშაოს. პირველად თავის ძველ ქარხანაში მივიდა.

— ენვერა, ხომ იცი, ბიჭო, როგორ მიყვარხარ? — უთხრა ენვერას დანახვაზე ცოტა შეშინებულმა ქარხნის კომკავშირის მდივანმა.

— კი. — უპასუხა ენვერამ.



— დაჯექი, ბიჭო, რას დგახარ?

ენვერა დაჯდა.

— ჰოდა, რომ იცი როგორ მიყვარხარ, მაგიტომ უნდა გამიგო.

— რა? — ჰკითხა ენვერამ.

— რა და, — გაიხედ-გამოიხედა კომკავშირის მდივანმა, თითქოს არ იცოდა, არავინ რომ არ იყო ოთახში იმათ გარდა.

— რა და ხომ იცი ამათი ამბავი, — თავი გვერდით გადაიქნია, რითაც უფროსებისაკენ მიანიშნა, — შემეჭამენ, რომ წარგადგინო. რა ქენი იცი შენ? პირდაპირ დირექტორთან შედი.

— რა გნებავთ? — უკმეხად ჰკითხა დირექტორმა, მაღალმა და გამხდარმა კაცმა. უკმეხად უთხრა, მაგრამ სიტყვა „გნებავთ“ არ დადინწყებია, იმიტომ, რომ კარგად ახსოვდა, დირექტორი რომ იყო.

— შე ჯიჯავაძე ვარ, ენვერი.

— მერე? — ჰკითხა დირექტორმა და ნეკა თითოთ მარჯვენა ყური კარგად შეარხია.

— თქვენთან ვმუშაობდი.

— მერე?

— მერე დამიჭირეს და ერთი ოთხი დღეა გამომიშვეს.

— მერე? — სიტყვა მერე ძალიან უყვარდა დირექტორს. ერთი თანამდებობის პირის კაბინეტში, მომსწრე გახდა, ამ თანამდებობის პირის და ქვეშევრდომის ლაპარაკისა. უფროსი „მერეს“ ხშირად ხმარობდა, თანაც ისე, რომ ამ სიტყვით ხაზს უსვამდა, ისიც ვიცი, მერე რა უნდა თქვა და საერთოდ, ყველაფრის აზრზე ვარო. ჰოდა, ამის მერე, სიტყვა „მერეზე“ გიჟდებოდა დირექტორი.

— ისევ აქ მინდა გავაგრძელო მუშაობა.

— მერე?

— მერე, არაფერი. — თქვა ენვერამ და გაჩუმდა.

— ენვერ ჯიჯავაძე... — ჩაიბურღლუნა დირექტორმა, დაფიქრდა, — ორი კაც... ფიქრი თქვა მისდა უნებურად.

— ნამდვილად! — გაუხარდა ენვერას.

— ბიჭო, ვერ თქვი ადრე, ამდენს რომ მალაპარაკებ? — წამოდგა დირექტორი.

— როგორ ხარ ისე, ბიჭო? — ხელი მაგრად ჩამოართვა.

— არა მიჭირს რა.

- დაჯექი, რას დგახარ?
- მადლობთ, არ მინდა. — დაიმორცხვა ენვერამ.
- დაჯექი, რომ გელაპარაკები!
- მეყოფა, ოთხი ვიჯექი. — ხუმრობა სცადა ნაციხარმა.
- დაჯ... — მოკლედ და ძალიან შინაურულად უთხრა დირექტორმა; ისე, როგორც, ვთქვათ, მამის უახლოესი მეგობარი გეტყვის, ვითომ მოფერება-გაბრაზებით. ენვერა დაჯდა.
- როგორ ხარ, რა არის ახალი? — ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა დირექტორმა და სიგარეტის კოლოფი გაუნოდა (ეს ჟესტი ფილმებიდან ახსოვდა).
- მადლობთ, არ მინდა.
- მონიე.
- არ მინდა.
- მწ, — იმავე ინტონაციით, მოფერება-გაბრაზებით უთხრა. ენვერამ სიგარეტი ამოიღო და მაგიდაზე დადებული სანთებულათი მოუკიდა.
- რას შვრები, ბიჭო, რას?
- რას უნდა ვშვრებოდე, გამოვედი და მოვედი.
- დაგესვენა, ბიჭო, ცოტა.
- როგორ?
- როგორ ისვენებს ხალხი? ნასულიყავი სადმე, რა ვიცი, სოფელში სადმე.
- სოფელი არა მაქვს.
- მაშინ სადმე, ისე.
- რა ვიცი, — თქვა ენვერამ და რას მასვენებსო, გაიფიქრა.
- სხვა, ჰა?
- რა ვიცი.
- ჯანმრთელობა ხომ კარგად?
- არა უშავს.
- ოჯახში ხომ ყველა კარგად?
- არავინ არ მყავს ოჯახში.
- ოხ, სულ დამავინწყდა, — „შენ უხდა“ დირექტორი,
- ძნელი იყო ალბათ.
- რა?

— იქ.

— კი.

— პირველ ხანებში ალბათ უფრო.

— კი.

— მდაა, — გააგრძელა. — რა იყო ენვერი, რაზე შენუხებულხარ, გენაცვალე?! — ენვერამ გაკვირვებულმა შეხედა, მერე იფიქრა, ალბათ ვერ გაიგო თხოვნაო და გაუმეორა.

— აქ მინდა ისევ მუშაობის დანწყება; დახასიათება კარგი მაქვს. ენვერამ ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაქი ამოიღო.

— აჰ, შეიცხადა დირექტორმა, — აქ, ბიჭო?

— ჰო.

— ხომ იცი, მე შენ როგორ მიყვარხარ?

ენვერამ არაფერი არ უპასუხა.

— მე მგონი, შენც პატივს მცემ. ჰოდა, თუ პატივს მცემ, ნუ დამლუპავ, ბიჭო!

— რატომ?

დირექტორმა ზუსტად ისე მიიხედ-მოიხედა კაბინეტში, როგორც კომკავშირის მდივანმა.

— ბიჭო, ხომ იცი ამათი ამბავი? — ხმას დაუნია და თავი მარცხნივ გადააგდო, ქვეშევრდომებზე მიანიშნა. — დამინერენ, ნაცხარის მიიღო. გამაფუჭებენ, ბიჭო!

— უფლება გაქვთ ნაცხარის მიღების; აი დახასიათება.

— მერე?

— რა მერე?

— მერე დახასიათებით ვირბინო ობკომში?

ენვერა ადგა სავარძლიდან. დახასიათება გულმოდგინედ დაკეცა, გულის ჯიბეში ჩაიდო. — დირექტორიც ადგა.

— ბოდიში. — თქვა ჩუმად ენვერამ.

— არ გენყინოს, ბიჭო! — დირექტორი კარისაკენ მიმავალს გაჰყვა.

— შეიცა! — გაახსენდა უცებ; — აგერ შენ პაპიროსიზა, — სწრაფად ამოიღო ფული ჯიბიდან.

— ჩეიდე!

ენვერამ ხელი ჩაუნია.

— ჩიედე, რომ გელაპარაკები!

ენვერამ კიდეც ჩაუნია ხელი.

— ჩე! — ისევ მოეფერა და გაუბრაზდა. თვალეში შეხედა.

ენვერას საშინელი თვალეები ჰქონდა.

— მამასავით, — წაილულლულა შეშინებულმა დირექტორმა.

ენვერა გავიდა.

დირექტორი მიხურულ კარებთან იდგა, თუმნიანი ეჭირა ხელში და „გულში არ ჩიედოს ამ უპატრონომო“, — ფიქრობდა.

კიდეც რამდენიმე ადგილას მივიდა ენვერა, ყველგან უარი უთხრეს. ორი თვე კი გავიდა ამ სირბილში.

„მეთევზედ წავალ, მაგის დედაც ვატირე!“ — გადაწყვიტა იმ დღეს ენვერამ.

კანტორაში მივიდა. დირექტორი ერთ-ერთ ბრიგადას გაჰყოლოდა ზღვაში.

— მეთევზე გჭირდებათ? — ჰკითხა ენვერამ მდივან ქალს.

— მაგი დირექტორის საქმეა, გენაცვალე, — გაუღიმა სანდომიანმა ქალმა.

— როდის იქნება?

— ზეგამდე არ იქნება, გენაცვალე, — ისევ გაუღიმა.

— მადლობთ, გენაცვალე, — გაუღიმა ენვერამაც. ქუჩაში გავიდა ისევ და ძალიან მოშვიდა. თემურს და ბიჭებს სანამ არ ნახავდა, ვერ შეჭამდა. ბულვარში დაჯდა. მალე გამოჩნდა თემური და კიდეც ერთი.

— წავიდეთ, ვჭამოთ, — უთხრა მეორემ. მეგობრები იყვნენ და არ რცხვენოდა იმათი. მაგრამ ახლა რაღაც სხვანაირად მოეჩვენა — „წავიდეთ, ვჭამოთ!“ — და არ წაყვა.

— ნაჭამი ვარ, — თქვა და მშვიერ კუჭს სიგარეტის კვამლი დაამატა.

— ქობულეთში არ წამოხვალ? — ჰკითხა მეორემ.

— რა მინდა ქობულეთში.

— „ნაშუბიზა“.

— არა! — თქვა ენვერამ და გაახსენდა, ოთხი წლის შემდეგ პირველად რომ ნახა თავისი ძველი „ნაშა“ გორკის ქუჩაზე.

ეთერიმ გადაკოცნა, მოიკითხა და უთხრა:

— ამოდი ჩემთან ამ საღამოს, მოშიებული იქნები შენ.  
— საჭმელიც მაქვს და სასმელიც, — იწყინა ენვერამ.  
— მაგას ვინ გეუბნება, შე შტერო, არ გაქვსო, ისე იქნები მოში-  
ებული.

— ამოვალ, — გაუხარდა ენვერას.

— არც მახანია იქნება სახლში და არც პახანია (მახანია დედას  
ნიშნავდა, პახანია მამას).

ავიდა ენვერა შავთვალა და დიდმკერდიან ეთერისთან იმ საღა-  
მოს და მართლა მოიკლა შიმშილი.

— არ წამოხვალ, აბა? — ჰკითხა თემურიმ.

— არა. — ენვერა ადგა და სახლისაკენ წავიდა.

შუა გზაზე იყო, რომ გაახსენდა თავისი დალაგებული ოთახი  
და საშინელი სიმარტოვე იმ ოთახში, ენით აუნერეული სიმარტოვე.  
ზღვისკენ გაბრუნდა.

შუადღე გადასული იყო. პლაჟზე არ იყო ბევრი ხალხი. ენვერა  
სულ ნაპირთან მივიდა, გაიხადა და გაიშალა თბილ ქვებზე. „თბი-  
ლისში წავალ“, — ფიქრობდა ენვერა. — „მეთევზედაც თუ ვერ მო-  
ვენწყვე, თბილისში წავალ, სამართალს მაინც ვიპოვი. მასე კი არაა  
მართლა საქმე, დახასიათება კარგი მაქვს“.

— სიგარეტი ხომ არ გაქვს, ბაბუა? — ჰკითხა ვილაცამ.

ენვერამ შეხედა შეზღონგზე მჯდარ ჭალარა, პატარა და ძალი-  
ან სასაცილო ბაბუას. პატარა იყო და დიდი თავი ჰქონდა, სანწყლად  
იყურებოდა და ძალიან საყვარელი იყო ამიტომ.

ენვერამ ორად გადაკეცილი შარვლის ჯიბიდან სიგარეტი ამო-  
იღო და მიანოდა.

— მადლობთ, ჭირიმე.

ენვერამ მოუკიდა.

პლაჟის ზემოდან რამდენიმე ბიჭმა და გოგომ ჩამოირბინა. მათ  
უკან დაინყეს ბურთის თამაში ხელით. ენვერამ შეხედა. არც ერთს  
არ იცნობდა. თბილისელები იყვნენ. ენვერასაც მოუნდა თამაში.  
ბურთი შემთხვევით სასაცილო მოხუცის შეზღონგს მოხვდა. ერთ-  
ერთმა აიღო, თან მოხუცს შეხედა და სიცილი წასკდა.

ყველამ მოხუცს შეხედა, ყველას გაეცინა. ენვერასაც გაეღიმა.

ცოტა ხანში ვილაცამ „ტოპკა“ დაარტყა. მოხუცს თავში მოხვდა, სათვალე გადაუფარდა.

— რას ჰგავს ეს?! — თქვა გაბრაზებულმა. ენვერამ სათვალე მიანოდა. მოხუცმა გაზეთის კითხვა განაგრძო. ბოდიში მოუხადეს. ისევ განაგრძეს თამაში, თან იცინოდნენ.

კიდევ მოხვდა მოხუცს ბურთი. კიდევ ბოდიში მოუხადეს. იცინოდნენ. ენვერას აღარ ელიმებოდა.

ორი წუთი არ იყო გასული, მესამედ რომ მოარტყეს თავში. სიცილით კვდებოდნენ. ახლო მსხდომნი „აღშფოთდნენ“, ოღონდ ჩუმად.

— მორფიანი პაპიროსი ექნება მაგათ მონეული! — თქვა მოხუცმა გაბრაზებით.

მეოთხედ რომ მოარტყეს ბურთი, ენვერა წამოდგა და „არ გინდათ მაგფერი ამბავიო“, — მოთამაშეებს უთხრა.

ისინი კი იცინოდნენ, ქვებზე ეყარნენ სიცილისაგან.

მოხუცს ისევ მოხვდა ბურთი თავში. ენვერამ ჯერ მათ და მერე სასაცილო ბაბუას შეხედა. სასაცილო ბაბუა ჩუმად ტიროდა.

მერე რა მოხდა, ენვერას არ ახსოვდა. ერთი გაიხსენა მხოლოდ მოგვიანებით: ვილაც გოგო, მის წინ დაჩოქილი და მუხლებზე შემოხვეული რომ ემუდარებოდა, ძმას ნუ მომიკლავო.

ხუთი ბიჭი ცემა ენვერამ. ერთს ყბა ჰქონდა მოტეხილი, ერთს ნეკნი ჩატეხილი და ერთი უაზროდ ლაპარაკობდა. ორი გადარჩა. ენვერა ვერ გადარჩა მხოლოდ. დაიჭირეს. ამ სამიდან ორმა, ვისაც ტვინის შერყევა და ყბა ჰქონდა მოტეხილი, სასამართლოს წინ ჩვენებები შეცვალეს. თავს იცავდაო, თქვეს. ნეკნი ვისაც ჰქონდა ჩატეხილი, ვირზე შეჯდა. კასტეტი ჰქონდა მაგას, ისე რას დამაკლებდაო. მოხუცმა სასამართლოზე ბევრი იძახა, მე დამიცვაო, მაგრამ მაინც ვერ უშველა. ენვერ ჯიჯავაძე ადრე ნასამართლევი იყო.

— ორი წლით, თავისუფლების აღკვეთა! — გამოაცხადა განაჩენი მოსამართლემ და „რა ვქნა, ამაზე ნაკლებს ვერ ვიზამდიო“, — ენვერას თვალებით უთხრა.

— შენი ჭირიმე, შენი! — შეეგება ციხის უფროსი შალიკო ქათამაძე ენვერას.

— როგორ ხარ, ბიჭო?

— გადასარევად! — უპასუხა ენვერამ.

— იმისთანა ადგილი მოგინახე ჰაერთან ახლოს, ზედა ნარზე.  
— გმადლობთ, — თქვა პატიმარმა.  
— მართალი რომ გითხრა, თან მენყინა და რავა ვთქვა, თან მე-  
სიამოვნა...

— მერე? — კითხა ენვერამ და ქარხნის დირექტორი გაახსენდა.

— მერე ის, რომ შენი ხელის ჭირიმე, შენ მოუვლი მაგათ!

— მე ნასედკაში ხომ არ გეშლები, შალიკო?!

— ვინ გაკადრა, ბიჭო, მაგი?!

— რა ვიცი.

— რასაა რომ ამბობ, უსამართლობას რომ ვერ იტან, იმაზე  
ვთქვი, თვარა...

— ნავედი.

— ენვერა, მაგი ბეჭედი მოიძრე და დამიტოვე, ნასვლის წინ  
მოგცემ, შენი ჭირიმე! ხომ იცი, არ შეიძლება, — თხოვა ციხის უფ-  
როსმა, ვიდრე საკანში გაგზავნიდა.

— თითს თუ მომაჭრი შალიკო, წაილე, ბებიას დატოვებულა, —  
უთხრა ენვერამ.

ენვერა ზედა ნარზე იწვა გისოსებიან ფანჯარასთან და ვარსკვ-  
ლავებიან ცას უყურებდა.

ორი „ძველი“ ერთ „ახალს“ დედას აგინებდა საკნის მეორე ბო-  
ლოში. ერთ-ერთი შიგადაშიგ სილას ურტყამდა და ეუბნებოდა:

— ზეგ პასლედნი სროკია, ზეგე მაყუთი აქანე უნდა იყოს!

„დაუხოცია მთელ ქვეყანას ერთმანეთი“! — ფიქრობდა ენვერა  
თავქვეშ ხელეზამოდებული, „გადაუჟღელეთათ ერთმანეთი, გადამ-  
წვარან ერთ დღეს. ჩაგოზონ ერთმანეთი. დედა ვატირე ყველასი“!

ორი თავისას აგრძელებდა. მესამე ტიროდა. დანარჩენი ოცი  
ჩუმად იყო.

— მეიტან, ტკც! მეიტან, ტკც! მონოტონურად ისმოდა საკანში  
ქვითინის აკომპანიმენტით.

„მოკლან“! — ფიქრობდა ენვერა, — „მოსაკლავია, აბა, რა უნდა  
აქ“?!

„მეიტან, ტკც! მეიტან, ტკც“!

ენვერა წამოიწია, ნარიდან ჩამოვიდა, საკანი გაიარა.

- რას ერჩით? — ჰკითხა მჩაგვრელებს.
- წაგებულშოა. — ისე თქვა ერთმა, არც შეუხედავს ენვერასათვის.
- რამდენშოა?
- ორმოცდაათი მანეთი გუშინწინ აქანე უნდა ყოფილიყო.
- დაანებე თავი! — თქვა ენვერამ.
- შენ ქურდი ხარ, ძამა?
- ამ ციხეს არ ჰყავს ქურდი! — უთხრა ენვერამ.
- ფუფლოა აგი!
- ზეგამდე ხომ მიეცით დრო?
- არც ზეგ მოატანიებს.
- მე მაქვს მაგისი ვალი და მე მოგცემთ ზეგ.
- გარედან შემოგყვა ვალი, ძამა?
- მაგი შენი საქმე არ არის, საიდან შემომყვა, მოგცემთ მაგის ფულს.
- ატვეჩაი ხარ შენ სიტყვებზე?
- ატვეჩაი ვარ, — უთხრა ენვერამ და გაბრუნდა. მეიტან, ტკც!
- გაიგონა ისევ.
- ერთს მარცხენა ჩაავლო ქეჩოში, მეორეს მარჯვენა, მაგრად მი-  
არტყმევინა თავები ერთმანეთს. ერთი დაეცა. ენვერამ სწრაფად  
წამოაყენა წაგებული. გამწარებულმა უთხრა:
- მოგცემ ფულს და მიაშავე ამათ! თუ არ შეგიძლია, ნუ თამა-  
შობ, თვარა ამაზე უარესი დღე დაგადგება, ნაბიჭვარო შენ!
- წავიდა ენვერა თავის ნარისკენ.
- დარჩენილა კარგი ხალხი ამ ქვეყანაზე! — თქვა ვილაცამ.
- ენვერას ჭალარა მძლოლი გაახსენდა. ნარზე დაინყო აძრომა.  
უცებ ვილაცამ იყვირა. თირკმელთან ბლაგვი სხეული შეუვიდა ენ-  
ვერას, საშინლად აენვა ხორცი. ენვერა შეტრიალდა, დანა გამოვი-  
და ტანიდან და ენვერას მკერდში ჩაჭრა ახლა.
- მომკალი? — ჰკითხა ენვერამ.
- მან ისევ მკერდში ჩაარტყა.
- მომკალი? — გაიმეორა ენვერამ.
- კიდევ ჩაარტყა.



სისხლი იღვრებოდა იატაკზე. საკანი ფეხზე ადგა. ისე ერთდროულად ადგა საკანი, როგორც სუფრაზე დგებიან გარდაცვლილის შესანდობარზე.

ენვერა ძლივს აბობლდა ნარზე, მერე გისოსებს ჩაეჭიდა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა, გახურებული სახე ცივ რკინას მიაბჯინა.

— რატომ გამანვალე? — რაღაცას თუ ვილაცხას უთხრა ენვერამ. მის გამხდარ ღანვებზე ნელა ეშვებოდნენ ცრემლები.

— რა დავაშავე?

სიცოცხლე, სისხლთან ერთად გამოდიოდა სხეულიდან. ენვერა მონყდა გისოსებს და იატაკზე დაეცა. ჯერ დედა დაინახა, მერე ბები, მერე მოკვდა.

საკანი დაჯდა.

— „მაპატიე, ენვერა ბიჯოო!“ — ბლაოდა ნაგებული.

თბილოდა გარეთ, ზღვიდან უბერავდა. იყო ძალიან კარგი სალამო.

## მათვის, ვინც მამამ მიატოვა

ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დღე, როდესაც მისგან ყველაზე ახლობელი მიდის. ისინი მიდიან ნებით, უნებლიეთ; ზოგს ძალიან უნდა წასვლა, ზოგს ძალიან არ უნდა, მაგრამ ძალით მიჰყავთ. მიდიან სამუდამოდ, კვდებიან. ზოგი მიდის და ბრუნდება, ზოგი არ ბრუნდება, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ აღარ არის, უბრალოდ, სხვაგან უკეთ გრძნობს თავს. ამ უკანასკნელთა რიგებს მამაჩემის პიროვნებაც ამაყად უმშვენებს გვერდს. მამები გვტოვებენ ნებისმიერ ასაკში, როდესაც სულ ჩვილები ვართ ან ცოტათი წამოვიზარდეთ და პირველად ვამბობთ „მამას“, როდესაც სიარულს ვინწყებთ ან სკოლაში მივდივართ პირველად. არც მაშინ იკავებენ თავს, როდესაც ყველაზე მეტად გვინდა ვთქვათ: მამაჩემს ფეხბურთზე მივყავარ, გუშინ მამასთან ამხანაგები იყვნენ, მამას სათევზაოდ ვყავდი, მამის საწერი მაგიდის უჯრაში იარაღი ვნახე, ბოლოს და ბოლოს, გუშინ მამამ სიგარეტის წევაში ჩამავლო და მცემა, მაგრამ მცემა; მიდიან მაშინ, როდესაც ბიჭობაში შედიხარ და ყველაზე მეტად გინდა მამა. ეს ბედნიერება მეც სწორედ ამ დროს მენია. ცამეტი წლის ვიყავი. ცამეტი წლის ვიყავი და ვგიჟდებოდი მამაჩემზე. არც ახლა მძულს. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მიყვარს კიდევ. ჰო, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ვუყვარვარ და ისევ ისე მიყვარს, მაშინ რომ მიყვარდა. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ თუ ვნახავ, ისიც მაშინ, როდესაც ჩემს ცხოვრებაში რაღაც ღირსშესანიშნავი ხდება და დედა ურეკავს. მოდის ნახევარი საათით, ჭკუას მარიგებს, მერე საათზე დაიხედავს და გარბის ისევ ერთი წლით, თავის მეორე წეება ცოლ-შვილთან. იძახიან, ადამიანი თუ გიყვარს, შეიძლება საუკუნე არ ნახო და მაინც გიყვარდესო. შეიძლება, მაგრამ მამა არა.

ლამაზი იყო მამაჩემი, ისე ლამაზი არა, როგორც კარგი იყო: მაღალი, ნაბლისფერთმიანი, თვალსა და წარბს შორის იარა ჰქონდა; ბიჭობაში ვილაცას ლუდის კათხა ჩაერთყა; უხდებოდა ეს იარა. რომ იცინოდა, თვალებიც რალაც სევდიანად უღიმოდა. კარგი იყო მამაჩემი. მამაჩემიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მეყვარებოდა. ბოლო დროს ვატყობდი, რომ ისე აღარ იყო დედასთან, როგორც ყოველთვის. აღარც ჩემთან. აღარსად დავყავი, აღარ მაცივებდა, თვალბეჭეტი მეტი სევდა ჩაუდგა. რატომ, მამა? — ვკითხე ერთხელ, მარტო რომ ვიყავით ოთახში. ის ტელევიზორს უყურებდა, უფრო სწორად, ტელევიზორის წინ იჯდა და სულ სხვა რალაცაზე ფიქრობდა. — რატომ, მამა? — ვთქვი ჩემდაუნებურად. ის თავისთვის იჯდა. მე აქეთ კუთხეში, ტახტზე რალაც უყურნალს ვათვალეირებდი. უფრო სწორად, კი არ ვათვალეირებდი, მხოლოდ უაზროდ ვფურცლავდი. თითს ენით ვისველებდი და ვფურცლავდი, ოღონდ სულაც არ ვათვალეირებდი. „რატომ, მამა“ მე იმისთვის კი არ მითქვამს, ჩემს თავს ვუთხარი. ამას უკვე კარგა ხანია ვეკითხებოდი საკუთარ თავს. კარგა ხანია მანუხებდა ეს, მანვალებდა, ჩუმიად მატირებდა. — „რატომ, მამა?“ — ვთქვი და მეგონა, ქვეყანა დაიქცეოდა. ჩუმიად, უნებლიეთ მათქმევინა რალაცამ და საშინლად შემეშინდა, არ გაეგო მამას. ეტყობოდა, გული მიგრძნობდა რალაცას, ვგრძნობდი, რომ მამა უნდა წასულიყო. შემოტრიალდა უცბად, ნერვულად. რაო, რა თქვიო? — მკითხა. არაფერი-მეთქი, ვუპასუხე. შენლა მაკლდი ახლაო — ჩაიბურღლუნა გულისწყრომით ბრაზმორეულმა. ცხოვრებაში მამისაგან უხეში სიტყვა არ მსმენია. უურნალისათვის არ მომიცილებია თვალი; ვიგრძენი, როგორ განყდა სადღაც, მთელ სხეულში გაშლილი, გაბნეული სიყვარული. შენ მაკლდი ახლაო, — მითხრა ისე, როგორც ვილაცას ეუბნებთან. მიტოვებული ვიყავი უკვე. მამას სახლში აღარაფერი დააკავებდა.

სექტემბერი იყო. სკოლიდან ვბრუნდებოდი. ჩვენი სახლი რომ დავინახე, უცებ რალაცის შემეშინდა, სადარბაზოდან სახლში შესვლა ვერ გავბედე, უკანა მხრიდან მოვუარე, ფრთხილად ავედი ხის კიბეზე და აივნიდან სამზარეულოს კარი ნელა შევალე. დედა ფანჯარასთან იდგა და ტიროდა. მივხვდი — მამა წავიდა. მე მახსოვს, როგორ გამოვიქეცი უკან. დიდხანს ვავრბოდი, მაგრამ მეგონა, ერთ ადგილას ვურტყამდი მიწას ფეხებს. მეგონა, უზარმაზარი

ქუჩა მოქროდა ჩემს სანინალმდეგოდ თავისი ხალხით, სახლებით, ხმაურით. დავიქანცე, მივიხედ-მოვიხედე. ვერის სასაფლაოზე აღ-მოვჩნდი. იქით გზა აღარ იყო. ტროტუარზე ჩამოვჯექი. ერთხანს ასე ვიყავი, მერე უკან დავუყევი. მეტირებოდა. ჩვენი სახლის გვერ-დით, გასტრონომში შევედი.

— ძია საქო, მამამ დასალევით, ფულს მერე მოგცემო. — ვთქვი და მოლოდინში გავინაბე.

— კარგი, ჯიგარო! — როგორც ყოველთვის, ახლაც არ იუარა ძია საქომ. — რომელი უნდა?

— რა რომელი?

— ღვინო რომელი-მეთქი!

— ღვინო არ მინდა.

— მაშ?

— არაყი.

— ვა...?! — გაუკვირდა ძია საქოს. ჩავვარდი-მეთქი, გავიფიქ-რე. — ღვინოს სვამ?! — თქვა და მაცივრიდან არყის ბოთლი გამო-იღო. გულზე მომეშვა.

— ერთი? — მკითხა.

— ჰო, ერთი.

— აჰა, ჯიგარო! — მომანოდა ბოთლი. მე გამოვართვი.

— მაიცა, მაიცა, — მითხრა უცებ. გული ჩამვარდა. „ოხ, შენი!“

— გავიფიქრე. ბოთლი დიდის მონდომებით გაახვია ქალალდში.

— ეგ არაყს ვაფშე არ სვამდა.

— რა ვიცი.

— ჰა, გამამართვი.

ბოთლი ავიღე და გარეთ გამოვედი. მადლობაც არ მითქვამს. სკოლისაკენ წავედი. სკოლის უკან მშენებლობა მიდიოდა. იქ დავ-ლევ-მეთქი, ვიფიქრე. ბნელოდა მშენებლობაზე, ძალიან ბნელო-და, ისე, რომ ერთი პირობა კიდეც შემეშინდა იქ შესვლა, მაგრამ ბოლოს გაგვბედე და შევედი. თვალი სიბნელეს მიეჩვია. საგნების გარჩევა დავინეყ. ნახევრად ამოყვანილ კედელთან მივედი, აგუ-რებზე ჩამოვჯექი, აქ კაციშვილი ვეღარ დამინახავდა. ძლივს გავ-ხსენი ბოთლი და მოვიყუდე. პირველ სამ ყლუპზე კინალამ დავიხ-რჩვი, ბოთლი მოვიშორე პირიდან და გადავაფურთხე. საძაგელი

გემო ჰქონდა. ამას რა ასმევთ-მეთქი, ვიფიქრე. ცოტა დავიცადე და ყველაფერი თავიდან დავინწყე. უფრო კარგად წავიდა. თავიდან არა, მაგრამ მერე კარგად წავიდა. პირიდან რომ მოვიშორე, ვნახე, რომ ბოთლი ნახევრამდე ჩამეყვანა. გამიხარდა. ოღონდ, სუნი მირევედა გულს. ახლა სიმთვრალეს უნდა დაველოდო. მეც დაველოდე. არ მოდიოდა, რაღაც. ცოტაც მოვსვი და კიდევ დაველოდე. მთელი სხეული გამითბა, მერე თავბრუ დამეხვა და შემეშინდა ცოტა. მერე უფრო დამეხვა, ოღონდ აღარ მეშინოდა. მსიამოვნებდა, ვინმესთან მინდოდა მელაპარაკა. „არა, რატომ, მამა, რატომ, თორემ კი, კი ბატონო, რაც გინდა, როგორც გინდა, მაგრამ რატომ?“ — ბოლო სიტყვაზე მივხვდი, რომ ვლაპარაკობდი. შემეშინდა და გაეჩუმდი. მერე გადამიარა შიშის გრძნობამ და ვიფიქრე, სასმელი არ მეყო-მეთქი. ბოთლი გამოვცალე. უცებ თითქოს განათდა და ბილიკი დავინახე ჩემს წინ. თეთრი იყო ეს ბილიკი, ხასხასა მწვანე მინდორზე, თეთრი კენჭებით მოფენილი და მზეზე ბრწყინავდა. უკან მოვიხედე. ტყე იყო ჩემს უკან. ბილიკი ტყიდან იწყებოდა და ტყესთან მთავრდებოდა, აღარ გრძელდებოდა არცერთ მხარეს. მინდორზე ვეებერთელა ლოდი ეგდო. ხელი გადავუსვი. გამთბარიყო მზისაგან. წყლის ხმა მომესმა, ლოდის ქვეშ ჩავიხედე. მიწიდან პატარა წყარო ამოდიოდა. დავიხარე, დავლიე. მერე გახურებულ სახეზე შევისხი. მესიამოვნა. ლოდზე ავფორთხდი, ზედ დავენეი პირალმა და ცას ავხედე. ხეები კენწეროებით ჩამოკიდებულებიყვნენ თავქვე. ალბათ, ასე კარგად, როგორც ამ პატარა თეთრ მზიან მინდორზე, წყაროზე და მზით გამთბარ უზარმაზარ ლოდზე, ქვეყნად ვერსად ვიქნებოდი. ამ დროს ტყის პირას პატარა ადამიანი დავინახე. ბავშვი იყო, გრძელი სახრე ეჭირა ხელში, მუხლამდე პერანგი ეცვა, მკერდზე გადაღელილი. დავუძახე და ხელი დავუქნიე. ერთ ადგილზე იდგა, არ ინძრეოდა. ისევ დავუქნიე ხელი და წამოვდექი.

— მოდი აქ, ბიჭო! — დავუძახე. ის დინჯად დაიძრა ადგილიდან. ნელა წამოვიდა, მოხუცი კაცივით, თითქოს დაღლილი იყო ძალიან. რომ მომიახლოვდა, პირველად მისი თვალები დავინახე, ამ მინდორივით მუქი მწვანე, მშვიდი, ჩამოსანთლული, ჩამოღვენილი, ჭკვიანი, ნათელი და სევდიანი. ვერ ვიშორებდი ამ თვალებს, მოჯადოე-

ბულივით ვიდექი. ისინიც უფრო და უფრო მიახლოვდებოდნენ, სულ ახლოს მოდიოდნენ, სხეულში შემოდოდნენ და მაქვავებდნენ.

— რად დამიძახე? — მკითხა ქვემოდან, გაქვავებულს და დამი-  
არა უცბად რაღაც ჯადოსნურმა ძალამ. გამიხარდა. ავმოძრავდი,  
აქამდე ქანდაკებად გადაქცეული, მოვეშვი. ლოდიდან გადმოვხტი.  
გადაღვლილ მკერდზე ჯვარი ეკიდა, ხის უბრალო, პატარა ჯვარი,  
ნითელ ნაჭერზე ჩამოკიდებული.

— რად დამიძახე?

— შენთან მივდოდა, იმიტომ დავიძახე. — გამიღიმა ისე, რომ  
ბაგეები არც შეტოკებია, თვალეებით გამიღიმა. — რა ფერის თმები  
გაქვს, ოქროსფერი?

— ოქროსფერი მაქვს, ოქროსფერი.

— ეგეთი ბიჭი არც მინახავს, შენ რომ ხარ.

— ნახატსა ვგავარ?

— არა, ანგელოზს.

— გინახავს როდისმე ანგელოზი?

— არასოდეს.

— ესე იგი, ნახატსა ვგავარ.

— გითხრა შენ ვინმემ?

— ჰო, კიდევ ერთხელ მითხრა შენისთანა ბიჭმა, სწორედ აქ  
მითხრა, ამ ადგილას. შენ გგავდა ძალიან. მითხარი, კიდევ რად  
დამიძახე?

— ჩემთან რომ დაჯდე აქ, ასე, ჩემს გვერდით, ამ ბალახზე, ჩემ-  
თან რომ იყო.

ბალახზე დაეშვა. ნელა დაეშვა. სახეს ორივე ხელით დაეყრდნო.  
რომ დაეშვა, ჯვარი კისერზე ჩამოეკიდა.

— აქ საიდან გაჩნდი, შენი ჭირიმე?

— გიყვარვარ უკვე?

— ძალიან მიყვარხარ.

— იმ ბიჭმაც ასე მითხრა — მიყვარხარო. მითხარი, კიდევ რად  
დამიძახე?

— აქ რას აკეთებ?

— საქონელი მყავს იქით, ტყის გადაღმა, საძოვარზე მყავს გაყ-  
ვანილი.

- ასე პატარას?
- ჰო, ასე პატარას. ვინა ხარ შენ?
- ბიჭი ვარ, გია მქვია. აქ მომეწონა ძალიან.
- აქ კარგია. მაღლა უფრო ლამაზია — ხელი ცისკენ აიშვირა.
- მითხარი, კიდევ რად დამიძახე?
- მარტო ვარ და იმიტომ დაგიძახე. ეს რა გზაა?
- ღმერთმა იცის.
- როგორ თქვი?
- ღმერთმა იცის-მეთქი. ღმერთს გარდა არავინ იცის. სულ ყოფილა ეს გზა, პაპაჩემის პაპას ხსომებია თავის პაპისაგან. მაშინაც არ იცოდა თურმე არავინ, ეს რა გზა იყო, ან ვის გაეყვანა, ან საით მიდიოდა, ან მენწყერმა როგორ არ წაიღო აქამდის, ან წყალმა როგორ არ გადაარეცხა. მითხარი, კიდევ რად დამიძახე?
- მამა წავიდა, მიმატოვა.
- დიდი ხანია?
- დიდი ხანია. მენატრება ძალიან. ვკვდები, ისე მენატრება.
- გენატრება? კიდევ რად დამიძახე?
- რა ვქნა, არ ვიცი. იმიტომ დაგიძახე, ეგებ შენ მითხრა?
- აპატიე! — თქვა და ფეხზე წამოდგა. — აპატიე!
- არ შემიძლია.
- უნდა აპატიო, უნდა ითმინო, ინატრო, იოცნებო, უნდა ეწამო და აპატიო ყველას ყველაფერი; უნდა ითმინო და მოვა მერე ის ზღაპარი, სადაც ყველა ნატვრა და ოცნება ახდება. დაისვენებ და იქნება სიკეთე და სიმშვიდე ამქვეყნად.
- როგორ მოხუცივით ლაპარაკობ, შენი ჭირიმე?
- ჩემი სიტყვები არ არის, პაპაჩემისთვის ეთქვა მის პაპას. უნდა აპატიო, შენი ჭირიმე, მეტი რა დაგრჩენია?
- ნახე? შენც მითხარი, შენი ჭირიმეო.
- მიყვარხარ და იმიტომ ვითხარი.
- წამოდი ჩემთან, ერთად ვიცხოვროთ. ჩემი პატარა მამა იქნები.
- არ შემიძლია, უნდა წავიდე.
- არ წახვიდე, შენი ჭირიმე.
- ხელში ამიყვანე.

მე დავიხარე და ლურჯპერანგა გულში ჩავიკარი. მისი სიტბო ჩამელვარა მთელ სხეულში. მერე დაფუსველე პერანგი ცრემლით.

— არ ნახვიდე, შენი ჭირიმე! — შევევედრე მე. ცრემლიან ლოყაზე მაკოცა ისე, პატარა ბიჭები რომ კოცნიან მამებს.

— უნდა ნახვიდე. — მითხრა და დაბლა დაეშვა. თეთრ გზას დაადგა და არ მოტრიალებულა, ისე შევიდა ტყეში.

— რა გქვია, შენი ჭირიმე? — დაფუძახე მე.

— გიო მქვია. — არ მოუხედავს, ისე გამომძახა.

\* \* \*

სახლი ვიცოდი. ახლა მთავარი იყო, რომელ ბინაში ცხოვრობდა, ის გამეგო. სადარბაზოში შევედი და შავ დაფაზე ცარცით დანერილ სიას ჩამოვყევი ზევიდან ქვევით. დ. დ. ვიმეორებდი. მერე გამახსენდა, რომ არაფრით არ შეიძლებოდა, ჩემი გვარი ყოფილიყო ამ დაფაზე. მამა „იმასთან“ ცხოვრობდა. პირველ სართულზე, ჩერქეზიშვილი რომ ეწერა, იმ კარებს მივადექი და საკუთარი გულისცემა გავიგონე. ზარმა დაინკრიალა. კარები მალე გააღო ახალგაზრდა ქალმა.

— ქალბატონო, ხომ ვერ მეტყვით, გურამი სად ცხოვრობს, დანელია? — ვკითხე და მამაჩემის სახელი და გვარი რალაც უცხოდ მომეჩვენა.

— ვინა? — უხეშად მკითხა ქალმა.

— გურამ დანელია.

— მაღალი?

— დიახ.

— ლეილას საყვარელი?

— ვისი?

— ლეილასი.

— დიახ, ალბათ. — დავიბენი.

— მესამეზე, მარჯვენა. სწრაფად მიპასუხა და ცხვირწინ მომიკეტა კარები.

„ალბათ თვითონ არა ყავს საყვარელი და ამიტომაა გამწარებულ“-მეთქი, ვიფიქრე და მესამე სართულზე ავედი. დავრეკე,



ოლონდ ზარის ხმა არ გამიგია. ვერც ის გავიგე, კარი როგორ გაი-  
ლო. ჩემს წინ მართლა ძალიან ლამაზი ქალი იდგა, მწვანე ხალათში.  
შავი თვალები პატარა გოგოსავით უბრწყინავდა; შავი თმა ლამა-  
ზად ეშვებოდა მხრებზე. რომ დამინახა, ხალათი მკერდთან მიიწია,  
დამიმალა.

— მე გურამი მინდა.

— გურამი? — ძალიან რბილი ხმით შემიბრუნა კითხვა.

— დიახ, მამაჩემი! — ამაყად ვთქვი.

— მობრძანდით, მობრძანდით! — დიდი კაცით შემიპატიჟა.  
მე შევებრძანდი. შუა ოთახში მომათავსა სკამზე, ბოდიში მომიხა-  
და— ერთი წუთითო— და ოთახიდან გავიდა. ძალიან ვნერვიუ-  
ლობდი. გადავწყვიტე, თამამად მოვქცეულიყავი, რომ დამეფარა  
ყველაფერი. რომ დაბრუნდა, როგორ ბრძანდებით-მეთქი— ვკით-  
ხე. ფეხი ფეხზე გადავიდე, იქაურობას მოვავლე თვალი, ვითომ, ძა-  
ლიან სხვათაშორის და რალაც წავუსტვინე კიდეც.

— იცით, გურამი არ არის, მაგრამ მალე მოვა, დაუცადეთ.

— შეაგვიანდება? — ვკითხე და კედლის საათს შევხედე. ხელზე  
რომ მკეთებოდა საათი, საქმიანად დავხედავდი და ბევრად მოვი-  
გებდი. მაშინ ასე მეგონა.

— არა, ახლა მალე უნდა მოვიდეს. — გამიღიმა.

— ხუთი საათია. ამ დროს სახლში იყო ხოლმე უკვე. — შევახსე-  
ნე, ჩემთან რომ ცხოვრობდა ადრე.

— თქვენ გაა გქვიათ, არა? — მკითხა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ.  
„ესე იგი, მამა მახსენებს ხოლმე“, — გამიხარდა.

— დიახ, გაა. თქვენ, ლეილა?

— დიახ, ლეილა. საიდან იცით?

— მეზობელმა მითხრა, უფრო სწორედ, ბინას რომ ვეძებდი,  
ვკითხე და მითხრა.

ის წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ძალიან ლამაზი ტან-ფეხი  
ჰქონდა.

— რა კითხეთ? იცოდით ჩემი გვარი?

— არა, მამაჩემის გვარი მახსოვდა. გურამ დანელია სად ცხოვ-  
რობს-მეთქი, ვკითხე და, რომელი, ლეილას საყვარელიო? — უცებ  
მომასწავლეს. — ვუკბინე.

ჩემსკენ არ გამოუხედავს.

— ახლა მესმის მამაჩემის.— გავაგრძელე.

— რა გესმით?

— თქვენნაირ საყვარელზე უარს არ იტყვის კაცი.

— გია! უეცრად შემოტრიალდა და ზარის ხმაზე კარის გასაღებად რომ არ გასულიყო, იმის ნაღვლიან მზერას ალბათ ვერ გავუძლებდი.

მამა შემოვიდა. მე ძალა მოვიკრიბე და წამოვდექი. ის ჩემსკენ წამოვიდა, გადამეხვია და მაკოცა. მისმა წვერმა სახე დამიჩხვლიტა. ღრმად შევისუნთქე მისი კანის და სიგარეტის სუნი. ძლივს შევიკავე ბლავილი. გვერდზე გავდექი და გავუღიმე.

— როგორ ხარ, შენი ჭირიმე? — მითხრა მამამ. — დაჯექი! დაჯექი! მოყევი, ბიჭო, როგორ ხარ, რას შვრები? მე ისე ვარ დაკავებული, ერთი ვერ მოგხედე.

— რად მინდა, მშვენივრად ვარ. ბაბუაც კარგად არის, დედაც. არაფერი არ გვაკლია. შენ როგორა ხარ?

მთელი სხეულით ვკანკალებდი.

— კარგად, არა მიჭირს რა. — მიპასუხა.

— მუშაობ?

— კი.

— ამას წინათ დაგინახე ქუჩაში.

— მერე?

— მანქანაში ვიჯექი, მეჩქარებოდა. — წავიოცნებე.

— ვის მანქანაში?

— ამხანაგის მამის. სანადიროდ დავდივართ ხოლმე.

— კარგია?

— ძალიან.

— მერე, ვერ გააჩერებინე მანქანა?

— მეჩქარებოდა-მეთქი, ხომ გითხარი.

— შენთან შერცხვენილი ვარ, არა?

— არა გრცხვენია, რა შერცხვენილი? ახლა მე წავედი, მეჩქარე-ბა. წუთით შემოვიარე, აქვე ვიყავი ახლოს და... — ერთი სული მქონდა, არ ავბღავლებულიყავი; ამდენი ხნის ნანატრს, ასე მალე ვტოვებდი.

ნამოვდექი. მამაც წამოდგა.

— დარჩი ცოტა ხანს, გია.

— არა, გნახე და ახლა გავიქცევი... კარგად იყავით.

— გია, გამომართვი, დაგჭირდება. — ხელში ფული ეჭირა. — გამომართვი, გია!

— რას ამბობ, მამა, რად მინდა, არაფერი არ გვაკლია. არ მინდა-მეთქი!

— შვილო, მოდი ხოლმე. გია, მე იქ ვერ მოვიდვიარ... მაკოცე, გია.

მე ვაკოცე გაუპარსავ მამას და თვალეში შევხედე. „რატომ, მამა“? ისევ ჩემდაუნებურად ვთქვი და ამდენი ხნის მონათმენი სულ წყალში ჩავყარე, — ქალივით ავბლავლდი.

გამოვიქეცი. ტირილით მოვრბოდი. თითქოს იქ ვერ დაინახავდნენ ჩემს ბლავილს. ერთი სული მქონდა, ჩემს უბნამდე მალე მიმეღწინა. უბანში რომ შემოვიდვიარ, სახლში მგონია ხოლმე თავი.

იმ დღეს კარადა გამოვალე, სადაც მამის ტანსაცმელი ელაგა და ღრმად შევისუნთქე ჰაერი. მისი ლურჯი პერანგი გამოვიღე, იმასაც ვუყნოსე ძალღივით. მშვენიერი რეცეპტი შემიძლია გასწავლოთ, ვინც მამამ მიგატოვათ. ამ რეცეპტით მამის დამზადება შეიძლება. ვიღებთ მამის ნაქონ პერანგს, ჩამოვჭრით მის ერთ ნაწილს. სასურველია, პერანგი გაურეცხავი იყოს. თუმცა, მიყურეთ: პერანგი გადმოვიღე და ხელის მტევისისოდენა ნაჭერი მოვჭერი. გაოცებულ ბაბუას ორი ცალი სიგარეტი გამოვართვი და ნაჭერს ზედ დავაფშვენი. კიდევ ვუყნოსე. უფრო დაემსგავსა მამას. ახლა საჭირო იყო, რამეს დავესუსხე მამის წვერივით. ცოტა ფიქრის შემდეგ ტანსაცმლის ჯაგრის ვეცი და ვაკოცე. დამსუსხა. სამზარეულოში, ხორცის საჩენი ნაჯახით ჯაგრის ერთი პატარა ნატეხი ჩამოვამტვრიე და თუთუნში ჩავფალი. ძაფით, პერანგის ნაჭერს თავი შევუკარი. მიღებულ, შიშველ მკერდზე მივიხუტე. — მსუსხავდა. კისერზე რომ ძენკვი მეკიდა, იმას ჩამოვაბი. ახლა, როცა მოვიწოდებდი, მაშინ ვაკოცებდი მამას. ახლა სულ ჩემთან იქნებოდა.

ერთი წელი არ მენახა; ყელზე მქონდა ჩამოკიდებული. როცა მომენატრებოდა, ჩემად შევავლებდი ხელს, ქურდულად, რომ არავის დაენახა. გამოვადვრენდი პერანგიდან მსუსხავ, თუთუნთან ნა-

ჭერს, გავიხედ-გამოვიხედავდი, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი, დავ-  
ყნოსავდი ქისას, ბაგეებით შევეხებოდი და ისევ პერანგქვეშ დავმა-  
ლავდი. ერთი წელი არ მენახა. ცხადში, თორემ ისე, ყოველ ღამეს  
იმასთან ვიყავი, ვეალერსებოდი და ვკოცნიდი ძილში. რატომ არ  
მოდინარ-მეთქი, ვეკითხებოდი, როცა კოცნით და ალერსით გულს  
ვიჯერებდი. „რატომ არ მოდინარ?“ — ზოგჯერ ხმამალღაც წამო-  
ვიყვირებდი. ჩემივე ხმა მალვდიებდა. სიბნელეს შევხედავდი. მომა-  
გონდებოდა, ცხადში რაც ხდებოდა. ვილაცის ტლანქი ხელი ჩემს  
გულს მუშტში მოიმწყვდევდა, მაგრად მოუჭერდა, მერე ძალიან  
ნელ-ნელა ისევ გაუშვებდა და სწორედ ამ დროს გადმოიღვრებოდ-  
ნენ თვალებიდან ღაპა-ღუპით ცრემლები.სახეს ბალიშში ჩაერგავ-  
დი. ბალიში სველდებოდა. ტირილის შეკავება შემეძლო, მაგრამ პი-  
რიქით ვიქცეოდი: მივუშვებდი შეკავებულ გრძნობებს და დაძა-  
ბულ სხეულს. ავტირდებოდი ჩუმად და გემრიელად. გულს ვიჯე-  
რებდი და ისევ დაძინებას ვცდილობდი მხოლოდ იმიტომ, იქნებ და-  
მესიზმროს-თქო. ერთი წელი ასე ვენამე. ერთი წლის შემდეგ ისევ  
ნავედი მასთან. კარი, როგორც მაშინ, ისევ იმ ქალმა გამიღო.

- მამა სახლშია? — გამარჯობაც არ მითქვამს, ისე შევეკითხე.
- არა, შემოდით, მალე მოვა, — მიპასუხა ქალმა.
- სად არის?
- არ ვიცი, მაგრამ მალე უნდა მოვიდეს.
- თუ მალე უნდა მოვიდეს, შემოვალ. — ნაბიჯი გადავდგი და  
ბავშვის ტირილი გავიგონე. ჩვილი ბავშვი ტიროდა.
- ვინ ტირის? — ვკითხე.
- ბავშვი. — გაელიმა ქალს.
- ვინ ბავშვი?
- პატარა ბავშვი.
- ვისია?
- ჩემი.
- კიდევ? — ვკითხე და საკუთარი კითხვის შემეშინდა. „ნეტავ არ  
მიპასუხოს“ — დავაყოლე კითხვას ფიქრი — „ნეტავ არ მიპასუხოს“.
- კიდევ? კიდევ მამათქვენის. თქვენი ძმია, — ლიმილითვე მი-  
პასუხა.
- მე მამა არა მყავს, ქალბატონო. — შევეცადე გამელიმა, მაგ-

რამ ღიმილის ნაცვლად ტუჩები დამეგრისხა. არც შვილი არ ჰყავს მამაჩემს ჩემს მეტი.

ქალი ხმას არ იღებდა. თვალებში მიყურებდა. კარგა ხანს ვუყუ-  
რებდით ასე თვალებში ერთმანეთს.

— ვერ გიტანთ! მეზიზღებით! მძულხართ! სამივე მეზიზღებით, სამივენი ნაბიჭვრები ხართ! — დავიღრიალე და კიბეებს გადმო-  
ვაფრინდი. გავრბოდი. თოვდა ქუჩაში. ახალი წლის წინა საღამო  
იყო, ყველა სადღაც მიიჩქაროდა, ოღონდ, თითქმის ყველას, ჩემს  
გარდა, რაღაც სიხარულის მოლოდინი და იმედი მიჰყვებოდა თან.  
ციდან კი მშვიდად თოვდა, ნელა ეშვებოდნენ დედამინაზე ფართო  
და მართლაც მშვიდი ფიფქები. გარბოდა ყველა და მაინც სიმშვიდე  
სუფევდა გარშემო. ეს კიდეე უფრო მაგიჟებდა, მალიზიანებდა და  
მბოლმავდა. გავრბოდი მოურიდებლად. ხან ვის დავეჯახებოდი,  
ხან ვის. გამომწვევად მივაშტერდებოდი ვიღაც ადამიანს. ისიც  
გვერდზე გადგებოდა ან მიენარცხებოდა კედელს და გაკვირვებუ-  
ლი ჩამხედავდა გამწარებულ, გაავებულ თვალებში. თვალს გამო-  
მაცოლებდა, თავს გააქნევდა და კვლავ თავის გზას დაადგებოდა.  
მე კი გავრბოდი პალტოგახსნილი, თმაგანწილი, ანითლებული.  
თავს არ ვზოგავდი, ისე გავრბოდი, ისე ვანყდებოდი გამვლელებს  
თუ სახლების კედლებს. ძალა რომ გამომელია, თვალები დავხუჭე.  
გული ყელში მქონდა მიბჯენილი.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — ვილაცის ხმა გავიგონე. თვალები ავ-  
ნიე. ჩემს წინ ორი კაცი იდგა, ალბათ, მამის ხნის.

— რა მოგივიდა? — გამიმეორა კითხვა.

— მეზიზღებით! — ვუთხარი და მათაც შევეჭიდე თვალებით.

— რა თქვი?

— მეზიზღებით!

ორივე გამეცალა. უცებ, ჩემს წინ, სახლთან, რომლის მშენებ-  
ლობა, ეტყობა, ჯერ არ დამთავრებულ იყო, თოვლზე დაგდებული  
ლობე დავინახე. მის ზედა ნაწილზე ჯვარედინად ფიცარი იყო მიჭე-  
დებული. „ჯვარს ჰგავს“, — გამიელვა თავში. — „როგორ გავს  
ჯვარს“. ერთ ხანს კიდეე ვიჯექი. შემდეგ ზანტად წამოვდექი და ნე-  
ლა დაუწყევი განათებულ ქუჩას. სულ რამდენიმე ნაბიჯი მქონდა  
გადადგმული, ჯვარი რომ გამახსენდა. შემოვტრიალდი და ჯვარ-

თან მივედი. საღებავი იყო საჭირო და ყველაფერი კარგად იქნებოდა. მშენებელთა ბარაკის ფანჯარაში სინათლე ბუუტავდა. დავაკაკუნე. კარი მოხუცმა კაცმა გამიღო; „ტელაგრეიკა“ ეცვა.

— რა გინდა? — მკითხა.

— საღებავი.

— რა გინდა-მეთქი, ბიჭო?!

— შავი საღებავი ხომ არა გაქვთ, სულ ცოტა?

— შავი საღებავი?

— დიახ, სულ ცოტა, თუ შეიძლება.

— სანყოფი კი არ არის ესა, მშენებლობაა.

— თქვენი ჭირიმე, სულ ცოტა გექნებათ.

— რად გინდა ამ ახალ წელს შავი საღებავი? — გაელიმა მოხუცს.

— ძალიან მჭირდება.

— ძალიან?

— დიახ, ძალიან, სულ ცოტა.

— მაიცა ვნახავ. რაღაც კი უნდა იყოს ბანკაში ჩარჩენილი შენს ბედზედ.

— ძალიან მინდა.

მოხუცმა კიდევ ერთხელ შემხედა გაკვირვებით და ბარაკში შევიდა. ცოტა ხანში რკინის ქილით დაბრუნდა.

— ბედი გქონია, ოღონდ ფსკერზეა.

— მეყოფა.

— რად გინდა, ბიჭო?

— ძალიან მინდა.

— ჰა! — გამომინოდა.

— დიდი მადლობა. შემოვტრიალდი და ისევ დაგდებულ ჯვართან მივედი.

„ყველამ ნახოს, ყველამ! ყველა ერთნაირია და ყველამ უნდა ნახოს, როგორ კვდებიან“! — ვლულულულებდი და, როდესაც ჯვართან დავიჩოქე, გამახსენდა, რომ ფუნჯი არ მქონდა. ხელით! — წამოვიყვირე. მარჯვენა მუშტი რკინის ქილაში ჩავყავი და შავ საღებავში ამოვივლე. მერე ეს მუშტი იმ ფიცარს დავადე, ღობეზე რომ იყო მიჭედელი და ჯვარს რომ ქმნიდა. „მ“ ძლივს მოვხაზე ფიცარზე. კიდევ ამოვივლე მუშტი საღებავში და იმავე „მ“-ს გადავუსვი.

— რასა შერები, ბიჭო?! — წამოიყვირა მოხუცმა, რომელიც ჩუ-  
მად უკან გამომყოლოდა.

ხმა არ გავეცი, არც ამიხედავს. ფიცარზე მინგრეულ-მონგრეუ-  
ლი, ჩამოღვენილი ასობით, თითქმის გაურკვევლად, მაგრამ მა-  
ინც შავად ეწერა — „მამა“... შემდეგ ჯვარი მკერდზე მივიკარი და  
განათებულ ქუჩაზე ისე ჩამოვატარე, რომ ყველას დაენახა და წაე-  
კითხა, რაც ზედ ეწერა. თუმცა მაინც ვჩქარობდი, ვაითუ თოვლმა  
წამიშალოს ფიცარზე საღებავი-მეთქი. „ყველამ უნდა ნახოს, ყვე-  
ლამ, როგორ კვდებიან!“ — ჯვარი თავს ზევით ავწიე, შავი ხელებით  
ტარი მკერდზე მაგრად მივიხუტე და ამაყად წავედი. მოხუცი დამუნ-  
ჯებული მიყურებდა. მარტო მოხუცი კი არა, მთელს ქუჩაზე შეჩერ-  
და მოძრაობა. ხალხი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა პა-  
ტარა ბიჭს, რომელსაც ახალწლის თოვლიან ღამეს შუა ქუჩაში მაღა-  
ლი ჯვარი მოჰქონდა, ზედ შავი წარწერით: — „მამა“. „ყველამ, ყვე-  
ლამ“!.. — ვბურტყუნებდი და კარგად ვიცოდი, საითაც მივდიოდი.  
მთელი პროსპექტი გავიარე ამ ჯვრით. ბოლოს სასაფლაოს მივადე-  
ქი. ამის მერე ბევრი აღარ მივლია. ჯვარი ფრთხილად დავანვინე  
თოვლზე. ფრჩხილით დავინყე მინის ჩიჩქნა. შემდეგ ჯვარიც მოვიშ-  
ველიე, ყელიდან თასმა ჩამოვიგლიჯე და ქისა ამოთხრილ ორმოში  
ჩავფალი, ზედ მინა წავაყარე, შემდეგ ჯვარი წამოვაყენე და რაც ძა-  
ლი და ღონე მქონდა, სველ მინაში ჩავარჭვე. უფრო ღრმად რომ წა-  
სულიყო მინაში, მთელი ტანით ზედ დავეკიდე. როგორც შემეძლო,  
გავამაგრე. გამოვბრუნდი, წამოსვლა დავაპირე, რომ უცებ ბოლმამ  
გამიარა. თითქოს ვიღაცამ გულიდან ამომგლიჯა ის სიმწარე, ბოლ-  
მა და სიავე ყველას და მამას მიმართ რომ გამიჩნდა. გაქრა, წავიდა  
სიძულვილი, სულ რამდენიმე წუთის წინ პატარა ბიჭს, შავი ჯვრით  
ხელში, პროსპექტზე რომ მიუძლოდა.

— მამა! — წამოვიძახე და ჯვარს გავხედე. მივედი ფრთხილად,  
ფეხაკრეფით, მინაზე ჩავიჩოქე და ორივე ხელი ჯვარს ტანზე მოვ-  
ხვიე, თითქოს მამას ვეხვეოდი.

— მამააა!... — ვტიროდი მკვდარს, მაგრამ ძალიან საყვარელ  
მამას.

## ერთხელ ქუთაისის მილიციაში

ქუთაისში ვიყავით ჩასულები პრაქტიკაზე. პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში დაგვაბინავეს. ძალიან გავდა ბოსელს. ერთი კვირა იყო გასული დაახლოებით, ბიჭებმა რესტორანში წასვლა რომ გადავწყვიტეთ. სამადლოში დავლიეთ. გვიანი იყო, რომ ვბრუნდებოდით. მე და კიდევ ერთი ნელ-ნელა მივუყვებოდით ქუჩას. იმასთან რატომ შემოვრჩი, ან რატომ მივსეირნობდი, არ ვიცი. რაღაცას მიყვებოდა რომელიღაც „გრუპაზე“, რომლის ფირფიტაც ახალი ნაშოვნი ჰქონდა. ძალიან გახარებული იყო. ხომ არიან კრეატივები, ასეთ რამეებზე რომ აფრენენ. მაგალითად, თავიანთი მანქანისთვის ნაშოვნი იტალიური ფარით. ლამაზი იყო ეს ჩემი თანამგზავრი. უფრო სწორედ, გოგოებს მოსწონდათ... ჩემამდე არ დადის, ასეთი მაღალი, გამოყვანილი ტანის მქონე ბიჭების მოწონება.

ო, რა თვითდაჯერებულები არიან ეგ უბედურები ქალების საკითხში (ყოველთვის აქვთ ფული ჯიბეში; კაპიკს ვერ გააგდებინებ და ექნებათ, აბა რა იქნება). ასეთ ტიპებს ყოველთვის კარგად აცვიათ. ყოველთვის, როგორც თვითონ იძახიან, ფორმაში არიან და ყოველთვის გიჟდებიან ქალები მაგათზე, თვითონ კი აღარ შეუძლიათ. ან შმოტკებზე და პლასტინკებზე აფრენენ, ან იმას შემოგჩივლებენ, რომ აღარ შეუძლიათ, ამდენი ქალები. იმდენ ტყუილს ყვებიან, რომ მერე თვითონ ჯერათ, რომ მართლა ნახმარი ყავთ მთელი თბილისის ლამაზმანები. არადა, ჩვენში რომ დარჩეს, მართლა ხშირად გამოსდით, თანაც კარგ გოგოებთან. გამოუვათ თუ არა, ლოგინიდანვე მირბიან, რომ გიამბონ, როგორც თვითონ იძახიან, თავიანთ ახლადალეულ ციხესიმაგრეზე. თანაც რა ბინ-



ძურად ყვებიან, ბოროტად: „ჯერ ხო ლიფი გავხადე... მაგის დედა!..“ ვიცი, საშინელი ბოლომით ყვებიან, თითქოს კი არ იცხოვრეს იმათთან, მოკლეს, ჩაქოლეს ქვებით, დაასახიჩრეს, დახვრიტეს. ეს იდიოტკები კი, მაინც ცხოვრობენ მაგათთან. ხშირად, საკმაოდ ჭკვიანებიც. ვერაფერს გაუგებ ქალებს. მე ვიცნობდი ერთ გოგოს, რომელიც, დაახლოებით ასეთი ნაძირალას საყვარელი იყო. ჩემს კურსზე სწავლობდა. მაგნიტოფონზე მოასმენინა ვიღაც უარესმა ნაძირალამ საყვარლის წერილად ნამბობი, როგორ ხტებოდა ლოგინში ის გოგო, და ფეხს რა სიმალლეზე სწევდა. როგორი ტრუსიკი ეცვა და მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი იყო, კარგი ქალი მაინც ვერ იყო. ზოგჯერ გულსაც ურევდა. თავი ჩამოიხრჩო იმ გოგომ (და ერთსიტყვიანი წერილი დატოვა მხოლოდ — „მაპატიე“). არა, სულელები არიან ეს გოგოები, რაც არ უნდა ჭკვიანები და კარგები იყვნენ, მაინც ძალიან სულელები არიან.

ასეთ ტიპებს მე რატომღაც ძალიან ვუყვარდები, ვინმეს სიყვარული თუ კი შეუძლიათ მაგათ. ვუყვარდები კი არა, უბრალოდ, რალაცნაირად ამეკიდებიან და აღარ მშორდებიან ხოლმე. ალბათ, იმიტომ, რომ რადგან ხმას არ ვიღებ, ჰგონიათ, საშინლად მომწონს მაგათი უაზრო ლაპარაკი ფირფიტებსა და ქალებზე. იმიტომ ვუსმენ, არა, უფრო ისე ვაკეთებ, ვითომ ვუსმენ, რომ მერიდებასავით, ისე გულლიათ ყვებიან ამ პლასტინკებზე და რალაც „გრუპებზე“. კიდევ იმიტომ მერიდება, რომ მე არ მიყვარს ისინი, ძალიან არ მიყვარს. იმათგან კი სიყვარულის მსგავს რალაცას მაინც ვგრძნობ. ჰო, უფრო ამიტომ მერიდება.

მოკლედ, ასეთ ტიპთან ერთად მოვდიოდი, გაგა ჰქვია. ჩვენს უკან კიდევ ვიღაცეები მოდიოდნენ, სულ უცნობები. მთვრალები იყვნენ ისინიც, ილანძლებოდნენ. უცებ მილიციის მანქანა გაჩერდა, „ჩორნი ვარონკას“ რომ ეძახიან, ის და ბევრი ფორმიანი გადმოლაგდა იქიდან.

— ე, ჩაჯექით ახლა! — მიმართა ერთ-ერთმა მთვრალეებს. ეტყობა, ყველაზე უფროსი ვინც იყო ჩინით, იმან. არ ვიცი, „პაგონებში“ ვერ ვერკვევი.

— რეიზა? — ერთი კი იკითხა ყოველი შემთხვევისთვის ვიღაცამ.

— არ იცი, ვალერია, რეიზა ხო?! — სახელით მიმართ მილიციონერმა იმას.

— ჰე, ნევიდეთ, ნევიდეთ! — თქვა ახლა სხვამ — რას გვიზამენ იმისთანას, რომ არ უქნიათ ჯერ?!

— რეიზა? — გასცინა მილიციონერმა. — რეიზა და ან მოკლავთ ვინმეს, ან სახში შეუფარდებით და უარესს უზამთ!

უარესში რას გულისხმობდა, ვერ მივხვდი.

ცხვრებივით შევიდნენ მანქანაში. ასე, თავის ნებით მილიციაში წასული ხალხი, არც მენახა. ეტყობა, შერჩეულები იყვნენ. მერე დავრწმუნდი ამაში.

— ნულარ იყურები, ისე წამოდი. — ვუთხარი გაგას.

გამომყვა. თავს მაინც ატრიალებდა.

— ნუ ატრიალებ ბიჭო თავს! — ერთი ამათი დედა ვატირე! — ძველბიჭობის დამტკიცება მოინდომა.

— სად მისეირნობთ თქვენ? — მომესმა უკნიდან ხმა.

— არ გაიხედო! — გავაფრთხილე კიდეც ერთხელ.

— თქვენ გეუბნებიან, თქვენ! — არ მოგვეშვა ხმა.

— ჩვენ? — ვითომ არ ვიცოდი, ვის ეუბნებოდნენ.

— ჰო, ჰო, თქვენ!

გაეჩერდით.

— მოდით აქანე! თქვენც წამობრძანდით! თუ, მოსანვევები გამოგიზავნოთ?! — ენამახვილობის გუნებაზე მოვიდა „უფროსი“.

— არაა მაგენი ჩვენთან! — თავი გამოყო ვილაცამ მანქანიდან ჩვენს გადასარჩენად.

— არაა მაგი შენი საქმე!

— გაჩუმიდი ავთოია, თვარა, იცი შენ ჩემი ამბავი! — ყველას იცნობდა უფროსი.

— არა ვართ ჩვენ მაგათთან ერთად! — ვცადე მეც თავის გამართლება.

— მაგას იქინე გავარკვევთ, ვინ ვისთან ხართ და რაფრა ხართ!

— დამიჯერე შალიკიე უფროსო, არაა მაგენი ჩვენთან! — ჩეიკ-მინდე ხმა!

— წამოით, თქვენ გელაპარაკებით!

— კი მარა, რატომ? — მოვინდომე სიტუაციაში გარკვევა.

— იქანე გეტყვით!

— წამოდი ბიჭო, ვეკაიფოთ. — მითხრა ჩუმად გაგამ.

მე გამახსენდა, რომ გაგას მამა რალაც, დიდი კაცი იყო თბილისში. ეგ კი არა, სულაც „ემვედეში“ მუშაობდა.

— უთხარი ვისი შვილიცა ხარ და აღარ წაგვიყვანენ.— ვუთხარი მე. სულ რამდენიმე ნაბიჯი გვაკლდა უფროსამდე.

— პირიქით, იქ ვეტყვი, რომ მიგვიყვანენ. ნახე, როგორი პატივით გამოგვიშვებენ, მაინც მეზარება ფეხით სიარული.

— რაკასოვსკიში ხო არ გეშლება, ბიჭო, მამაშენი?!

— შენ არხეინად იყავი!

— უთხარი, გაგა!

— წამოდი!

— არა ვართ ჩვენ არაფერ შუაში, ბატონო! — რადგან გაგამ არ ქნა, ისევ შევეცადე თავის დაღწევა.

— წამოით ახლა, არ მაქვს მე თქვენი დრო! — ძალიან საქმიანად გვითხრა უფროსმა.

მეტი რა გზა გვქონდა, ჩავჯექით.

— ნახავ, რასაც გვიზამენ.— გადავუჩურჩულე გაგას.

— ფეხებს ვერ მოგვჭამენ!

ყველანი ერთად შეგვყარეს სამორიგეოში. ისინი ძალიან შინაურულად იქცეოდნენ, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ. ზოგი ჩამოჯდა, ზოგი კედელს მიეყრდნო, ისე, როგორც საკუთარ სახლში. მივხვდი, რომ მილიციის სამორიგეოს „ზავსეგდატაებთან“ მქონდა საქმე, თუმცა, ამას მაშინ მივხვდი, სახელებით რომ დაუნყეს ერთმანეთს ლაპარაკი. ჩვენც კედელთან დავდექით, ოღონდ, მოპირდაპირე კედელთან.

— ოხ, ოხ, ოხ, რა სასტავია ბიჭო?! რას დაგამუშავებთ ახლა, ზალიკო უფროსი?! — აღტაცება ვერ დაფარა მორიგემ.

ჩვენს წინ სკამზე კიდევ ერთი მილიციონერი იჯდა თავის მსხვერპლთან ერთად. ისე, ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ვისი მსხვერპლი იყო. ორმოცი-ორმოცდახუთი წლის ქერათმიან კაცს, ახალთახალი ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა. ისეთი გალსტუკი არც მენახა, იმას რომ ეკეთა გაქათქათებულ პერანგზე, ოქროსფერი სამაგრი. სამაგრს შუაში თვალი ჰქონდა, რომელიც ძალიან ბრწყინავდა. ეტყო-

ბოდა, არ იყო უბრალო თვალი, და არც სამაგრი იყო მარტო ოქროსფერი. ყურადღებას მიაქცევდი, ისე არხეინად იჯდა, იმათზე უფრო თავისუფლად, ვინც ამ დანესებულების ხშირი სტუმარი იყო. ისიც ეტყობოდა, რომ პირველად იყო აქ, ისე ათვალეირებდა სახურავიდან ჩამოსული წვიმით დასველებულ და გაყვითლებულ კედლებს. ჩვენებურს ნაღდად არ ჰგავდა. არც ჩვენზე ნაკლები ჰქონდა დალეული. ფეხი ფეხზე გადაედო, გადადებულ ფეხს ზევით-ქვევით აქნევდა და „შირაკა სტრანა მაია რადნაია“-ს ლილინებდა.

ყველანი უფროსის მოლოდინში ვიყავით. კარგა დიდხანსაც გვალოდინა. უკეთესი იქნებოდა, საერთოდ არ მოსულიყო. სამორიგეოს კარები გაიღო და ოთახში განრიპული კაცი შემოვარდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კი არ შემოვიდა, შემოვარდა. თმები აწენილი ჰქონდა, ჭალარა გარეოდა. თმების აწენვაში და შემოვარდნაში ეტყობოდა, რომ ძალიან ნერვიული იყო. პალტო ფორმაზე ჰქონდა მოსხმული. იმ პალტოს მოხურვაზეც ეტყობოდა, რომ ნერვიული იყო. კიდევ სამი ფორმიანი შემოყვა, ჩასუქებულები, ჯანიანები. განრიპულის შემოსვლისთანავე მოშინაურებული ბიჭები კედელს აეკვრნენ, მილიციონერები გაიჯგიმნენ. და მიუხედავად იმისა, რომ მათთვის არც შეუხედავს, ყველამ ჩესტი აუღო. ორი აზრი არ შეიძლებოდა გაგჩენოდა— მილიციის უფროსი იყო, ანუ ზალიკო უფროსი.

— რას გიზამთ, რომ იცოდეთ?! თვითონ არ ვიცი, რას გიზამთ!  
— ვერაფრით ვერ ახსნა სიტყვებით თავისი მომავალი გეგმა.

შიშისაგან ხელის მტევენებში ცივი ოფლი გამომივიდა. გაგას გადავხედე. ძალიან ჩვეულებრივად იდგა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სახე ჰქონდა.

— მოგიყვანეს ხო, მაინც?! არა, აგენი გადამრევენ ბიჯო! — ხმას დაუნია უცებ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა.

— აღარ უნდა დაგადგეთ ბიჭო საშველი? აქანე უნდა იყოთ სულ? დეინყეთ ბარელამ მუშაობა ჩემთან, თქვენი დედა ვატირე მე! უფროსმა გაიარ-გამოიარა ოთახში.

— ჩვენთვის მოვდიოდით, პატივცემულო! — ჩუმად თქვა ერთმა და იმისთანა სილა მიიღო, რომ თვალეები დავხუჭე. რომ გავახილე, სისხლს ინმენდდა ძალიან მშვიდად. ტიროდა.

— თქვენთვის მიდიოდით, არა? თქვენთვის! რესტორნიდან გამოხვედით და სახლებში მიდიოდით ყველა, არა?! დედიკოებს რომ არ შეშინებოდათ, ბატყენბივით მეივლიდით ქუჩებს; ოხ, რას გიზავთ, თვითონ არ ვიცე! — მე მგონი, იმაზე უფრო ბრაზდებოდა ზალიკო უფროსი, რომ არ იცოდა, რა უნდა ექნა.

— და მერე როდის, ბიჭო, როდის მჭრით თავს, ამისთანა სტუმრები რო გვყავს ქალაქში?! ხო იცით, ბიჭო, ვინაა ჩამოსული, არა, ხო იცით ვინაა ჩამოსული?!

ყველას თავი ჰქონდა დახრილი. არ ვიცე, უცოდინარობის თუ ზრდილობის გამო.

— არ იცით, არა?!

— არ ვიცით, პატივცემულო! — გაბედა ერთმა.

— მერაბია, უთხარი! — დაიგმინა ზალიკო უფროსმა.

მერაბია გაიჭიმა, პაგონებს მოავლო თვალი და პათეტიკური ხმით მოგვახსენა.

— თლა უფროსი რომაა ჩვენი, იქიდან, — მარჯვენა ხელი ზევით აწია — იმისი სიძე! უურნალისტი და საზოგადო მოღვაწე! — .... პატივსაცემი სტუმარი! — დაამთავრა მერაბიამ და ისე შეხედა ზალიკო უფროსს, „ხომ კარგად ვთქვიო“ — ეკითხებოდა.

— იქიდან. — ჩურჩულით დააყოლა უფროსმა და ამ დროს ჩვენ დაგვინახა.

— აგენი ვინ არიან?

— აგენი, ზალიკო უფროსო, ამგენთან ერთად მიდიოდნენ — უპასუხა იმან, ჩვენ ვინც წამოგვიყვანა.

ოლონდ, ზალიკო უფროსის პასუხისთვის ყური არ დაუგდია.

— აგი ვინაა ბიჯო? — ახლა ნაცრისფერკოსტუმიანის „პატრონს“ ჰკითხა.

— აგი, ზალიკო უფროსო... — დაიწყო „პატრონმა“.

— რატო არ დგას ბიჯო ფეხზე? — შეაწყვეტინა უფროსმა.

— იმისთანა ჯიუტია ზალიკო უფროსო, რაც შემოხვედი, ვეჯიკავები უკნიდან, ადექი თქვა! რაც მევიყვანე, სულ „შირაკა სტრანა მაია რადნაია“-ს მღერის.

— რუსია?

— არა მგონია, ზალიკო უფროსო, უკრაინელს უფრო ჰგავს. შე-

იძლება, ბელორუსიც იყოს.— გამოაჩინა გეოგრაფიის ცოდნა „პატრონმა“.

— დათვრებოდა სადმე.

— ნამდვილად!

— ვინაა ბიჯო?

— რა ვიცი ზალიკო უფროსო, არ მაჩვენა საბუთი არაფრით, მენ უფროსს მოველაპარაკებო.

მილიციის უფროსმა უცებ ფერი დაკარგა.

— რა ქნა ამან?! — ჰკითხა ცოტა ხანში.

— რა ქნა და კინოთეატრ ქრონიკის წინ, იმ განათებულზე, შუა ქუჩაში ხეს მიაფსა. მივედი და რას შობი თქვა, ვუთხარი. რალაც ჩაიბურტყუნა, ან უკრაინულად ან ბელორუსიულად — არ ეშვებოდა მოძმე რესპუბლიკებს „პატრონი“. — გამისავსავა მარცხენა ხელი და არაფრით არ მიმაკარა, სანამ არ მორჩა ფსმას. ჯიუტია ძალიან.

— ჯიუტია ხო, ენვერია?!

— ნამდვილად.

— ხესთან ფსავდა ხო, ენვერია?!

— კი უფროსო და მღეროდა!

დიდხანს იდგა გაფითრებული სახით ზალიკო უფროსი. მერე, ეტყობა, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა.

— არ მოფსავდა მაგი, შე უბედურო! — უცნაური ხმით თქვა.

— არ მოფსავდა კი არა, მორწყა, თუ რამე ყვაველი იყო ხის გარშემო; კაი ხანია არ ყოფილა წვიმა, აყვავდება ახლა იქაურობა.

— გაეღიმა თავის ნათქვამზე და თავმომნონედ გადმოგვხედა ყველას.

— არ მოფსავდა მაგი-მეთქი, შე უბედურო, გეუბნები!

— რავა გეკადრებათ ზალიკო უფროსო?! — გაუკვირდა ენვერიას.

— შტერი ხარ ბიჯო, შენ?! არა-თქვა, რომ გეუბნები!

— ყველა შავ კუბოში ჩამინვეს, ზალიკო-უფროსო! — უკვე ეტირებოდა პატრონს.

უფროსი ფრთხილად მიუახლოვდა ნაცრისფერკოსტუმიანს.

— შთშმ ლრკუსენიძი! რჩენტ არაპრშუ მ მზემნჭბყტ!

ერთმანეთს გადავხედეთ.

ნაცრისფერკოსტუმინმა პიჯაკის გულის ჯიბიდან ძალიან ნითელი ტყავის ნიგნაკი ამოიღო და ორი თითით გაუნოდა წელში მოხრილ მილიციის უფროსს.

ჰრბზ დუბნთომყირვ ჰჰჰჰ. ოქროსფრად ეწერა ნიგნაკზე.

ზალიკომ მოკრძალებით გახსნა, უაზროდ ამოგვხედა და ისევ გადაავლო თვალი მერაბიას, და ენვერიას რომ არ მიესწრო, იატაკზე დავარდებოდა.

— წყალი! — დაიძახა ვილაცამ.

წყალი მოიტანეს და სახეში შეასხეს. როგორც იქნა, მოვიდა გონს მილიციის უფროსი, ენვერიას ჩააშტერდა:

— აგია ბიჯო ის! ხომ გითხარი, არ მოფსავდა, შენი დედა ვატირე მე!

სამორიგეო გარინდული იყო.

— ნეჩეგრ, ნეჩეგრ, — ცოცხლად წამოდგა ნაცრისფერპიჯაკიანი და მილიციის უფროსს ძალიან მეგობრულად მხარზე ხელი მოუცაცუნა.

— ჭირ ჩთყირ ქძვეთეი; ნელრპთზუსენმე მ ვყე!

— ში ნე აპელყითვოჭყეიე, — ფეხზე წამოხტა უცებ უფროსი, რაც იყო, იმის ნახევარი გამხდარიყო — ვ კთერს ჭ ვ ჟირს, თქვენი ჭირიმე! — ნაცრისფერკოსტუმინი გასასვლელისკენ მიდიოდა.

— ში ნე აპელყითვოჭყეიე! — იმეორებდა ერთი და იგივეს მილიციის უფროსი და „დვარნიამკა“ ძალღვივით უკან მისდევდა.

— ში ნე აპელყითვოჭყეიე, ჩირ ჭ ყნმს ქულუ ლეოთი! — უთხრა, კარებთან რომ იყო მისული. ნაცრისფერკოსტუმინს ზედაც არ შეუხედავს.

— ჭ კთოენექზე ყითნუ შენი ჭირიმე! — „ვა ბანკზე“ წავიდა მილიციის უფროსი და ფეხებთან წაუჩოქა.

— ჩირ ვძ?! — სწრაფად ასწია მსუბუქი მილიციის უფროსი ნაცრისფერკოსტუმინმა.

— ჭ ყვთსმ!...ში ზლეყტ ნუნდმ! — მკაცრად უთხრა სტუმარმა.

— ითკ ირჩნრ! — იყვირა და ჩესტი აულო ზალიკომ — ანზორია, მანქანა!

სტუმარი გავიდა. პირველად შემეცოდა მილიციელი, თუმცა, ზალიკო უფროსმა მალე მოსპო ეს გრძნობა ჩემში.

„დავილუპე“! — თქვა თავისთვის.

ის ცოტა ხანს გაოგნებული იდგა კარებთან. მერე, ეტყობა სტუმრის დანაბარები გაახსენდა, — „მძ ზღეყტ ნუდმ“ —ო. ამაში მაშინ დავრწმუნდი, კარებთან რომ მივიდა. ისეთი სახე ჰქონდა, პირველივემ, ვინც იქ იდგა, კარგად იცოდა, რაც უნდა ექნა.

— თემურია, შე გაუბედურებულო, მაჩვენე ვენები! — ათრთო-ლებული ხმით უთხრა.

თემურია გაუბედურებულმა ძალიან უხალისოდ აინია პერან-გის სახელოები.

— ოხხხ! — დაიხრიალა მილიციის უფროსმა და მუშტი კბილებ-ში გლიჯა.

— კარგი ახლა, პატივცემულო! — თქვა თემურიამ, რომელმაც ამ წინადადების მერე წინა კბილი გადმოაფურთხა და ძალიან დინ-ჯად მიიღო ცხვირსახოცი.

— ვალერია დაგლახავებულო! — კედელზე აკრულ მწკრივს დაუყვა ყველაფრისგან ერთად გამწარებული უფროსი — გადმოა-პირქვავე ჯიბეები!

— შტერი კი არ ვარ პატივცემულო, აქანე წამომელო რამე!

პასუხს სილა მოყვა.

უფროსს ყველა პატივისცემით მიმართავდა.

ვალერიამ „გადმოაპირქვავე ჯიბეები“ და დაგვარწმუნა, რომ შტერი არ იყო, რის გამოც კიდევე სილით დაჯილდოვდა.

— მეტკინა, პატივცემულო! მორიგის წინასწარმეტყველებას საზღვარი არ ჰქონდა.

— შენ, შე საცოდავო შენ! კიდე ქურდავ დედაშენს ხო? ბიჯო, სხვა მაინც გაქურდე, შე უპატრონო შენ!

დედის გამქურდავმა მუცელში მიიღო ზალიკო უფროსის გამხ-დარი და ძვლიანი მუშტი.

თვალები ისევ დავხუჭე. გული მერეოდა. ჩვენი რიგი ახლოვდე-ბოდა.

— სვავ არა, კიდო, შე გლახაკო, შუშებს ამტვრევ ხო, კიდო რეს-ტორანში?!

ნუგ ზარამ, ეტყობა, ძალიან კარგად იცოდა, რომ ხელი არც იმას ასცდებოდა და უკმეხად უპასუხა: — სხვათაშორის, ბატონო ზალი-



კო, ამ ბოლო დროს, ჩემი დედა ნუ მომიკვდება, ორი დიდი შუშა შემომატყდა მხოლოდ! ერთი იქანე, ქუთეისში რომ შემოდიხარ, „სძყ ლრქპრდ ნთლედლ“-ს რომ ვუძახით და მეორე, თქვენს სახლის წინ რომ პატარა სასადილოა, იქანე!

— ოსტრობ ხო?

— კი! დაეთანხმა ნუგზარა ლოთი და გაშლილი ხელი დაიმსახურა ყბაში.

— ქრისტეს უთქვამს, თუ არ ვცდები, ზალიკოს ვენაცვალე! — იმავე ხმით გააგრძელა ნუგზარამ; — ვინმემ თუ გაგარტყა სახეში ცალ მხარეს, მეორე შეუშვირეო; — ვერ გადასცა კარგად ქრისტეს დანაბარები მილიციის უფროსს. სამაგიეროდ, სახის მეორე მხარე მიუშვირა კარგად. ისე კარგად, რომ ზალიკო უფროსმა შესცინა და ისე გაარტყა.

— ვაი შენს პატრონს უბედურს, რავა დაგბრუციანებია თვალეები, ბიჯო, ამისთანა ბრუციანი ნახევარ საათში რაფერ შლი მთელ ჟიგულს, მასწავლო იქნებ?! — გადავიდა შემდეგზე. ჟიგულის „კონსტრუქტორმა“ თავი დახარა.

— შენ გეკითხები მე!

— რა ვიცი?! გამოიჩინა „სკრომნოსტი“. იმას, რატომღაც არ გაარტყა უფროსმა. მაინც, ქურდი იყო.

— დედა, დედა, ესეც აქანეა ბიჭო?! ო, რა ვაჟკაცი ხარ, შენი ჭირიმე!? რა მოწონთ ამ დაგვაჯულის მაინც ამ ქალებს!? რას შობი ბიჭო, აუპატიურებ კიდო ჩამოსულებს?!

ქალების რისხვა ნუგზარას არ ჩამოუვარდა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ზალიკო ბიძია, ჩამოსულებს შევეშვი. რაცხა უბედურობა ჩამოაქვთ თურმე თან. ადგილობრივი კადრებითაც მშვენივრად ვკმაყოფილდები.

თვალეები წინასწარ დავხუჭე. ისე, რომ ვერ დავინახე, როგორ გაარტყა. კვენსა მომესმა მხოლოდ.

— დაგალობოთ! სულს ამოგხდით! დედას გიტირებთ! — ყვიროდა გაცოფებული უფროსი; — რავა შემარცხვინეთ დღეს, რავა მომჭერით თავი! შენ, შენ რას გიზავ, იცი?! „პატრონს“ მიმართა. — შენ ამათზე უარესს გიზავ შე დებილო, შენ! რა გინდა შენ მილიციამში, ბიჭო?! რამდენჯერ უნდა გითხრა შე უნამუსო, გვიგე ჯერ, ვინ

არის და მერე დეიჭირე- თქვა?! ჩაყარეთ აგენი სუყველა, ნუგზარა და ეს „ნაშამორი“ ვაუჟაცი კარცერში! ეგენი ვინ არიან, ბიჯო?!

ჩვენი რიგიც დადგა. გაგას შეეხედე, იქნებ თქვას რამე-მეთქი. ჩემზე თეთრი იყო. ვითომ, არ ესმოდა კითხვა.

— ჩაყარეთ მაგენი-თქვა! — გაიმეორა. ისინი ჩაყარეს.

— არა, აგენი ვინ არიან?! — ძალიან დაინტერესდა უფროსი და გაუხარდა, ახალი საქმე რომ გაუჩნდა.

— არ არიან მაგენი ჩვენთან ერთად! — თქვა კარებიდან უკვე გასულმა ნუგზარიამ.

— ესენი უფროსო, მაგათ წინ მიდიოდნენ და ყოველი შემთხვევისათვის ნამოვიყვანე! — ჩვენ თბილისელები ვართ. — დავინყე მე, რაც შემეძლო, ზრდილობიანი ტონით. — აქ პრაქტიკაზე ვართ ჩამოსულები; პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობთ. ამ საღამოს რესტორანში ვიყავით. რომ ვბრუნდებოდით, მაშინ ნამოვიყვანეს; იმათ ჩვენ არ ვიცნობთ.

— არ იცნობთ? — ძალიან სერიოზულად მკითხა ზალიკო უფროსმა და გაისიერნ-გამოისერნა სამორიგეოში.

— არა, ბატონო!

— სულ არ იცნობთ?

— არა, სულ არ ვიცნობთ!

— იქნებ გაგახსენდეთ რომელიმე.

— არა ბატონო, საიდან, წარმოდგენა არა გვაქვს!

— თბილისელები ხართ?

— კი.

— ნამდვილად?

— კი, ნამდვილად თბილისელები ვართ, შეგვამონმეთ თუ გნებავთ!

— ოხ თქვენი თბილისელი დედა ვატირე მე! — დაიღრიალა ზალიკო უფროსმა და ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

— დაგალაპობთ!

— ჩვენ ბატონო... — სიტყვის დამთავრება ვერაფრით ვერ მოვასწარი, საშინელი დარტყმა ვიგრძენი ცხვირში. არც ხელი დამინახავს, დარტყმა ვიგრძენი მხოლოდ და დიდი ბურთულები დავინახე ჩემს წინ; კიდევ, თბილი სითხე როგორ გადმოიღვარა ჩემი ცხვირის

ნესტოებიდან ტუჩებზე და ნიკაპზე. თვალები გავახილეთ. რაღაცას მიყვიროდა ის იდიოტი. არ მესმოდა. „როგორ გავს ავჩარკას“?! — ამეკვიცა ეს სულელური წინადადება ამ გამწარებულზე, „როგორ გავს“?! ეტყობა, რაღაცას მეკითხებოდა. სად მქონდა პასუხის თავი? კიდევ მომხვდა ხელი, ოღონდ ახლა ყურში. ყურმა დაიკვილა. კვილი მეორე ყურსაც გადაეცა. ვხედავდი, როგორ ამოძრავებდა პირს და როგორ ებერებოდა ძარღვები სახეზე. „როგორ გავს“?! — ვფიქრობდი მე. ერთი კიდევ მომხვდა; კედელს მივარტყი თავი. კიდევ მომხვდა და ახლა რაღაცა რბილს მივარტყი. რომელიღაც მილიციელს, ისე, რომ უფროსს არ დაენახა, ხელი მიუდევს კედლისათვის, ქვისთვის რომ არ მიმერტყა თავი. მერე სულ დაბნელდა გარემო, გონება დაგვარგე და მოვისვენე. რამდენ ხანში მომიყვანეს გონს, არ ვიცი. ერთი იყო, რომ წითელი მაგიდის პირდაპირ, სკამზე ვიჯექი, თავი და ცხვირი საშინლად მტკიოდა, პერანგი სისხლში მქონდა. სულ სველი ვიყავი წყლისაგან. წითელი მაგიდის შუა ადგილას უფროსი იჯდა. მისგან მარჯვნივ და მარცხნივ, ვილაც ხალხი. ყველას „შტაცკი“ ეცვა და ყველა ძალიან გავდა ერთმანეთს. გაგა ჩემს გვერდით იდგა. ფორმიანები აღარ იყვნენ ოთახში.

— როგორ ხარ? — მკითხა გაგამ, რომელსაც ხელი არ ჰქონდა დაკარებული. ეტყობა, მისი ჯერი რომ მოვიდა, მაშინ ახსენა მამამისი. დედის შეგინება მინდოდა, დამპალი რომ მეჯდა წინ, მაგრამ იმიტომ არ შევაგინე, ჩემს პასპორტს, სტუდბილეთს და კომკავშირის წიგნაკს ხელში კარტივით ჭრიდა.

— რას მერჩოდი, რატომ მცემე? — ენის ბორძიკით ვკითხე.

— გაჩუმდი, თვარა კიდევ მოგხვდება! კაი კიდევ, რომ მამამისის შვილია აგი! მანქანა გელოდებათ და წაით!

ბოლმა მახრჩობდა. ფეხზე წამოვდექი, დავბარბაცდი. გაგა შემეშველა, ხელით მოვიშორე.

— არსადაც არ წავალ!

— არ წახვალ, ხო?! —

— არ წავალ! — იქ რა მინდოდა, ახლაც არ ვიცი. იქ არაფერი არ მინდოდა. იმის საწინააღმდეგოდ მინდოდა გამეკეთებინა რამე მხოლოდ.

უფროსმა ღილაკს დააჭირა ხელი. ვილაც შემოვიდა.

— ჩაიყვანე ქვევით! იგი მკვდარი რო გვყავს, ის დააბანიე, გამოფხიზლდება!

— ვერსადაც ვერ ჩამიყვან!

— მშვიდობით გეუბნება ბიძიკო და ნულარ გააბრაზებ მეტს — მითხრა ერთ-ერთმა.

— ეს მშვიდობაა? — სისხლიან პერანგზე დავიდე ხელი.

— ბიჭო, მილიონი კაცი მოყავთ აქ, რა ვქნა მე?! — უკან იხევდა უფროსი. — გაგას მამამ თავისი გააკეთა.

— „დიდი კაცი“ უნდა მყავდეს მამა აუცილებლად? — ახლა მე ვკითხე. ეტყობა, კითხვა იმანაც ჩემს უკან დაწეულ ნაბიჯად მიიღო და მეგობრული ანგლობა სცადა.

— ისე, არ იქნებოდა ცუდი.

— კი მაგრამ, იმ მილიონში ერთს ხო არჩევ და ხო უჩოქებ მუხლებზე?

კოლეგებში ასეთ შეურაცხყოფას არ ელოდა და პატარა ბიჭვით აენტო.

— მტყუანის?!

— იმის მაგივრად, რომ დედა შემეგინებინა, ეგრე-თქო! — მიუუგე.

— დაგალობ, ბიჭო! ამას გავუშვებ და შენ დაგალობ! — თვალით მაჩვენა გაგაზე და ფეხზე წამოდგა. „დაგალობ!“ — ეს სიტყვა ძალიან უყვარდა. ალბათ, თავის თავს აგინებდა — ცის სინათლეს მოგანატრებ!

— ფეხებს ვერ მომჭამ!

— იმისთანას გიზავ, ფეხებს თვითონ დაიჭამ! შვიდწლიანზე გაგიშვებ, შე ნაბიჭვარო! — ვილაცამ თვალით მანიშნა, არ გინდაო.

უფროსი წამოდგა, წყლით სავსე გრაფინი აიღო ხელში.

— ხომ ხედავ ამ გრაფინს, ხომ კარგად ხედავ?! ახლა ამ გრაფინს ავიღებ და ჩავირტყავ თავში, მერე შენი თითების ანაბეჭდებს გადავიტან ამაზე. მერე ეს პატივცემული საზოგადოება დამიმონმებს, რომ შენ ჩამარტყი. ექსპერტი დაადგენს, რომ მთვრალი ხარ.

— ამას რას უშვები? — ვკითხე გაგაზე.

— მაგი იტყვის, რომ შენზე ადრე გამოუშვეს.

— არ იტყვის!

— მაგი იტყვის.

იმ ნაბიჭვრისაკენ არ გამიხედავს. ხმას არ იღებდა, ტირილი მესმოდა მხოლოდ. ცრემლები ყელს მტკენდა.

— ვერ ჩაირტყავ!

— ამათ ხედავ? — ერთი ხელით თმა გადაინია თავზე. სამი იარაჟი ჰქონდა, გულის ამრევი.

— ეს ერთი, გრაფინკაა, ორი, რკინის კეტი, სარი. ახლაც ხეხავს იქანა, იგი მუტრუკი!

როგორ მინდოდა მეყვირა, ჩაირტყი-მეთქი! მაგრამ ამის მაგივრად, მე მომივიდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. ვტიროდი.

როდესაც ღამე საერთო საცხოვრებელში მარტო ვბრუნდებოდი, მაშინაც ვტიროდი და ვფიქრობდი ათას რალაცაზე, ვფიქრობდი იმ ბიჭებზე, ძალიან ჩვეულებრივ ამბად რომ მიაჩნდათ ცემა. გაგაზე, იმ მართლა ნაბიჭვარზე, იმ სტუმარზე, ასე არხეინად რომ იქცეოდა. უფროსზე. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ უძლებს მინა ისეთებს, როგორიც გაგა და უფროსია. საერთოდ, როგორ ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე ჯალათები, როგორ შეუძლიათ ცემონ ან მოკლან, ან ციხეში გაუშვან უდანაშაულო, ან თუნდაც, დამნაშავე კაცი და მერე გემრიელად ისადილონ ცოლ-შვილთან ერთად, თან ისიც დააყოლონ, რომ მძიმე დღე ჰქონდათ. ანუხებთ თუ არა ამ ხალხს, ზოგჯერ მარტო, სულ მარტო რომ რჩებიან თავიანთ თავთან, ჩადენილი ცოდვები, უყვართ თუ არა შვილები. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ უძლებს მინა ამდენ ცოდვას. მთელი გზა თვალწინ მედგა უფროსის მიერ შეთხზული, მაგრამ, ალბათ, სადღაც მაინც უპატრონოდ დაგდებული, ნახევრადმიშველი მკვდარი. შეგინებული ვიყავი, ნაცემი, შეურაცხყოფილი. თავს საშინლად დაჩაგრულად ვგრძნობდი, მიტოვებულად, მთელი ქვეყნისგან გარიყულად. ძალიან მინდოდა სიკვდილი.

ბიჭებს ეძინათ, რომ მივედი.

გათენებამდე ვიწრიალე ლოგინში. მხოლოდ გათენებისას გამახსენდა ნუგზარია, კარებიდან გასულიც რომ იძახდა, მაგენი ჩვენთან არ არიანო! გამახსენდა მილიციელი, ხელი რომ დაუხვედრა ჩემს თავს, ძალიან რომ არ მტკენოდა. გამახსენდა დედა, ბაბუა, ჩემი ვაჟა და ჩემი ირინა. ჩემდაუნებურად გამეღიმა. მერე მალე ჩამეძინა, ძალიან მალე.

## ლექსო

ზაფხულის შუადღე იყო, კვირა დღე. მიწასაც სცხელოდა. წესით, სოფელში, ასეთი სიცხის დროს, გარეთ არავინ გამოდიოდა. ახალგაზრდები თუ შეიკრიბებოდნენ კანტორასთან, „ბირჟაზე“, ახალი, არაბული ჯინსებით და გულზე გადაღელილი პერანგებით. ისინიც მზეზე დიდხანს არ ჩერდებოდნენ. რომელიმე ღვინოს გამოიტანდა სახლიდან, ზოგიც რამე მისაყოლებელს და წყაროსთან, ხეების ჩრდილში ჩამოჯდებოდნენ აგრილებამდის. იმ დღეს არავინ წასულა საქეიფოდ. უფროსებიც დილიდან ემზადებოდნენ. ზოგი ფულს სესხულობდა „იქ“ დასადებად, ზოგი ახალ კაბას იუთოვებდა, ზოგიც ერთი კვირის წვერს იპარსავდა, ქალაქიდან შეიძლება ვინმე ჩამოვიდესო. იმ დღეს ზატიკაანთ ლექსოს ცოლის დასაფლავება იყო.

ორმოცდაათს მიღწეული, ჯმუხი, მოკლე შეჭრილი, თეთრთმიანი კაცი ოთახის შუაში იდგა კუბოსთან. თვალები დანითლებული ჰქონდა. წვერი მოემვა. კოსტუმზე, მარცხენა მხარეს, გულთან, ახალგაზრდა ქალის პატარა სურათს ქინძისთავი იჭერდა. მარცხენა სახელოზე ფართო შავი ლენტის ხშირ-ხშირად უვარდებოდა და ყოველ წუთს ზევით იწევდა.

ცოლი ლექსოზე თხუთმეტი წლით უმცროსი იყო. ჯანმრთელი და „მოუსვენარი“, როგორც მეზობლები იძახდნენ. სამი გოგო ჰყავდათ. მეოთხე, ბიჭი უნდოდა ორივეს. ბიჭიც გაუჩნდათ, მაგრამ ლექსოს ცოლი ველარ გადარჩა. ქალი რომ მიხვდა, ამ ქვეყნის ალარა ვარო, ლექსოს დამიძახეთო, ითხოვა. ლექსო ატუზული შევიდა ოთახში. მოდიო, უთხრა. ლექსო საწოლთან მივიდა და თვალებში შეაცქერდა. ქალმა გაუღიმა, მერე, ხელი მომეციო, თხოვა. სურვილი შეუსრულა. რაც ძალა შერჩენოდა, იმითი მოუჭირა ხელზე ხე-

ლი, აბა, შენ იცი, ბავშვებს მიხედუ, მე ვკვდები, ბიჭო, — უთხრა და გათავდა კიდეც.

ლექსო ოცდაშვიდი წლის იქნებოდა, თავისივე სოფელში მიქელანტო მარო რო დანიშნა, მსუქანი, შავთვალა გოგო. მალე იქორწინეს კიდეც. ქორწილის მერე, მეორე დილას ლექსო ლოგინში სიგარეტს ეწეოდა, მძინარე მაროს უყურებდა და რათ დაჭირდა ჩემი მოტყუებო, ფიქრობდა. რომ გაიღვიძა, უთხრა კიდეც ლექსომ, ოღონდ თვალელები ვერ შეხედა. — გოგო, მე რა მოსატყუებელი კაცი მნახე, გეთქვა და ხომ არ მოგკლავდი, გეთქვა და უსინდისო კაცი ვიყო, მაინც მოგიყვანდი, ოღონდაც, რას მატყუებდიო. მარომ ტირილი დაიწყო. ის ოხერი ქალაქელი მასწავლებელი ისე შემიჩნდა, გასაქანი არ მომცა, მეც შემეყვარდა და ერთხელაც, წყაროსთან... — აღარ დაამთავრა.

ერთი წელი ერთად იყვნენ. იფიქრა, დავივინყებ ამ განზილებასო. ვერა და ვერ დაივინყა მასწავლებელი. ბავშვი არ გააჩენინა, ცოდვააო, ფიქრობდა. ნამუსი შეუნახა და ერთი წლის მერე სახლში გაუშვა. ლექსოს რომ ჰკითხავდნენ, ქალი რად გაუშვიო, თავს ჩალუნავდა და „ხასიათში ვერ შეეწყვეთო“, — იტყოდა. ერთხელ ქალაქში წავიდა ლექსო, წავიდა და ვილაცას „გადაეყარა“, — როგორც სოფლელები იძახდნენ. კვირაში ორჯერ ქალაქში გარბოდა თავის „გადაყრილთან“. ერთხელაც, იმის კიბეებზე გულისფანცქალით რომ ავიდა და კარები შეაღო, მისი „გადაყრილი“ ვილაცის მუხლებზე მჯდარი დაინახა. მაგიდაზე ღვინის ბოთლი იდგა, ნახევრამდე ჩაყვანილი. ლექსო დაიბნა. „ჩირ ყირმშტ კთკ მყიუკთნ, უხრლმ!“-ო, ქალმა უთხრა. ლექსომ ვერაფერი გაიგო. სილის გარტყმა მოუნდა. მიუახლოვდა კიდეც სწრაფად, მაგრამ აღარ გაარტყა, გატრიალდა და წავიდა. იმის მერე ქალაქისაკენ აღარ გაუხედავს. წლები გადიოდა. ლექსოს ცოლის მოყვანაზე რამეს რომ ეტყოდნენ, მოილუშებოდა და ქალის ჯილაგი განყდაო, იტყოდა. ოცდაათი წლის იქნებოდა ლექსო, ერთ კვირა დღეს პატარა ბიჭებს რომ გაჰყვა გაღმა სოფელში. ბიჭები საჭიდაოდ წავიდნენ და ლექსოს თხოვეს, გამოგვეყვი „სუღიათაო“. აქ რა გავაკეთოო, — იფიქრა და გაჰყვა. რო ბრუნდებოდნენ, განვიმდა. გზაზე გოგო შეხვდა. სავსე ტანზე და თეძოებზე სველი კაბა მიკრობოდა. გვერდით ჩაუარა ლექსოს. ლოყები წითელი ჰქონდა, მკერდი — მსუქანი. ლექსომ თვალი გააყოლა და ვერ დაივინყა. მერე გაიგო, ვინც

იყო. ერთი კვირის შემდეგ ძმა და ძმის ამხანაგი გააგზავნა იმ სოფელში. მე იმის მეტს არავის მოვიყვანო. ძმა რომ დაბრუნდა, უთხრა, იმ გოგოს ვილაც ჰყვარებია, ექვსი თვის წინ დალუპულა. გოგო გაბრაზდა, ხელის სათხოვნელად რომ მივედით. ასე შემოთვალა, თუ ძალიან უნდა ჩემი ცოლობა, დაიცადოს, იქნებ როდისმე კი გავთხოვდეთ.

— მასწავლებელი ხომ არ იყო ის ცხონებულიო, — იკითხა ლექსომ. ძმამ გაკვირვებით შეხედა. ვითომ რათა მასწავლებელიო და არა ყოფილაო, უთხრა. — ჰო, ისე ვთქვი. მასწავლებელი თუ არ იყო, დავიცდიო, — თქვა ლექსომ და მართლაც სამი წელი დაიცადა. სამი წლის შემდეგ კიდევ გაგზავნა ძმა იმ სოფელში და მალე სახლში ჰყავდა ის ნითელლოყება გოგო.

თხუთმეტი წელი ერთად იყვნენ ლექსო და ის გოგო, თხუთმეტი წელი უხაროდა ლექსოს სამუშაოდან შინ დაბრუნება და ყოველი ღამის მოსვლა...

იდგა ლექსო შუა ოთახში, სამი ღამის უძილო და აქეთ-იქით იყურებოდა. ცოლი რომ მოკვდა, იმ დღესვე ჩააცვეს კოსტუმი. ადრე არასდროს ცმოდა, მაგრამ რას იზამდა, მაგას კიდევ შეეჩვეოდა, მაგრამ მერე, ვილაცამ რომ თქვა, გალსტუკი გავუკეთოთ, ქალაქიდან საწყალი თამროს ბიძაშვილები ჩამოვლენო, იფიქრა, „გავგიჟდები ნამდვილად“. ბევრი იუარა. ბოლოს მაინც გაუკეთეს. ჰოდა, იმ დღის მერე იყო ასე გამოწყობილი შავ კოსტუმში, შავ „საროჩქაში“ და მუქ მწვანე გალსტუკში.

ყველაზე მეტად რაც აწუხებდა ლექსოს, იმაზე ვერავის ვერაფერს ეუბნებოდა. ისე რცხვენოდა და სძულდა თავის თავი, რომ ვერც ეტყოდა ვერავის. თამრო რომ მოკვდა, დიდი ტირილი ატყდა. ლექსო გამტყრებული თვალებით უყურებდა ხან მომტირალებს, ხან ახლად გარდაცვლილ თამროს და არაფერი არ აწუხებდა. ისე იდგა, ვითომ ვილაცა გადამთიელის მისასამძიმებლად იყო მისული. იმ ღამეს სკამზე იჯდა გარეთ და მხოლოდ იმიტომ ვერ იძინებდა, რომ წუხდა ასეთ გულგრილობაზე, მეორე დღის იმედი ჰქონდა. მეორე დილასაც ისევე ჩვეულებრივ შეეგება, როგორც საერთოდ. ცას ახედა, „რა კარგი დილააო,“ — გაიფიქრა. იმ ოთახში შევიდა, სადაც თამრო ესვენა. ჯერ სურათს შეხედა, კედელზე მიკრულს, მერე ქალს. ერთ ბენოზეც არ შეწუხებულა. ხის აივანზე გავიდა ისევ და სოფელს



დაუნყო ყურება. იმ დღემაც ისე ჩაიარა, მეორე დღემაც. გასვენების დილას თამროს ნათესავები ჩამოვიდნენ და მოხუცი ბებია, გაღმა სოფლიდან. ლექსომ იფიქრა, — ახლა კი მეშველა, ამათი ტირილი მაინც მაგრძნობინებს რამესო. დაჯდა ბებია კუბოსთან და მოჰყვა ტირილს. ბებიის ტირილის გაგონებაზე შეცვივდნენ ოთახში და საშინელება დატრიალდა. ლექსო ხედავდა, როგორ იშენდა თავში ხელს მოხუცი. შენ უნდა დაგეყარა მინა ჩემთვის და მე როგორ დაგაყაროო?! — იძახდა. ხედავდა, როგორ ტიროდა თავისი სამი გოგო დედის სარეცელთან. ეს რა უგულო კაცი ვყოფილვარო — ფიქრობდა. გასვენებამდე ორი საათი იყო დარჩენილი, ეზოში რომ ჩავიდა და სეფისაკენ გაემართა. სეფაში ქალები იყვნენ. თეფშებს გრძელ მაგიდაზე ალაგებდნენ, ჭიქებს გვერდით უდგამდნენ, ღვინით სავსე დოქებს მაგიდის შუაში ამწკრივებდნენ. ლექსომ ერთი დოქი აიღო, იქაურობას თვალი მოავლო და მეზობელი მიტო დაინახა, ხაშლამის შემზადებაში რომ ეხმარებოდა მზარეულს. დაუძახა. მაგიდის თავში დასხდნენ ორივენი. ლექსომ გათლილი ორი ჭიქა შეავსო და „ჩემს თამროს გაუმარჯოს იმ ქვეყანაზეო“, ჩუმად უთხრა. დალიეს. თქვა და მიხვდა, რომ ამ სიტყვებსაც ისე იძახდა. იცოდა, რომ უნდა ეთქვა და იმიტომ. კიდევ ჩამოასხა და კიდევ დალიეს. მერე ზედიზედ რამდენიმე ჭიქა მიაყოლეს. მიტო უკვე ენას უკიდებდა, დოქი რომ დაიცალა. სეფაში ბავშვი შემოვიდა და — „მოდით, მამი, ქალაქიდან არიან ვილაცეებიო,“ — უთხრა. ლექსო ადგა, თავისი ადგილი დაიკავა ოთახში და „ამანაც არ მიშველაო,“ — ღვინოზე გაიფიქრა.

გამოსვენების დრო დადგა. მთელი სოფელი შეიკრიბა ზატიკაანთ ლექსოს ეზოში. ქალები ტიროდნენ, კაცები სიგარეტს ენეოდნენ და ხმას არ იღებდნენ.

— აბა, ლექსო, შენ იცი, გამაგრდიო! — ვილაცამ უთხრა. მერე სხვამ, — მიდი, აკოცეო! არ უნდოდა ლექსოს. კიდევ უთხრეს, აქაც აკოცე და იქაც, სასაფლაოზეო. როგორ არ უნდოდა ლექსოს, რომ სცოდნოდათ, არ ეტყოდნენ. დაიხარა და მაგარ შუბლს აკოცა. ეგონა, ხეს აკოცა. ქალები აკივლდნენ, მაგრამ ლექსოს მაინც არაფერი უგრძენია.

სასაფლაოზეც აკოცინინეს. ლექსომ გაიგონა ვილაც ქალის მწარე ნათქვამი: „დახეთ, ქალო, მარწყვივით გოგოს მინაში დებს და ვი-

თომც აქ არაფერია!“ რომ გაიგონა, უფრო გაბრაზდა თავის თავზე და რატომღაც, თამროზეც... სალამოს აგრილდა. გვიანობამდე გაგრძელდა ქელეხი. ლექსომ ბევრი დალია. სკამის ზურგს მიეყრდნო და ესიამოვნა, ნიავემა რო დაჰბერა. ხალხი იშლებოდა. ნასვლის წინ ლექსოსთან მიდიოდა ყველა და გამაგრდით, ეუბნებოდნენ. ლექსოს სულ იმის თქმა უნდოდა, ჩემისთანა მაგარი და ძალღი, უგულო და ღორი არც არავინ ყოფილაო, მაგრამ ვერავის ეუბნებოდა სათქმელს. მხოლოდ ბოლოს უთხრა მიტოს: „მე არა ვარ კარგი კაციო“. დაღამდა. ბავშვები ბებიას გაჰყვინენ გაღმა სოფელში. მიტოს ცოლმა ლექსო ანუგეშა, ჩემთან იქნება შენი პატარაო. ლექსო მარტო დარჩა ეზოში. წამოდგა და წელა აუყვა სახლის კიბეებს, ოთახში შევიდა, გალსტუკი მოიგლიჯა კისრიდან. კოსტუმი სკამზე მიაგდო, დანარჩენი სწრაფად გაიხადა და პირველად დანვა ლოგინში თამროს სიკვდილის შემდეგ. მალე ჩაეძინა. შუალამზე მეტი იქნებოდა, რომ გამოეღვიძა, თითქოს ვილაცამ ძალით გააღვიძა. სიბნელეს შეხედა, მხარი იცვალა, ბალიში პირზე მიიკრა. ბალიშს თამროს სუნი შერჩენოდა. ღრმად ჩაისუნთქა ლექსომ და უფრო ჩაიხუტა ბალიში. ცოტა ხანს ასე იყო, მერე კიდევ უფრო ღრმად შეისუნთქა და სულ ჩაეკრა ნაჭერს.

— მიტო! მიტო! შე არ გამოსალვიძებლო! — ანჯღრევდა მიტოს ცოლი ლოგინში. მიტო სწრაფად წამოჯდა. „რა იყო, ვინ არის?“! — შეშინებულმა თქვა. მერე, რომ მიხვდა, ყველაფერი რიგზეაო, ისევ დააპირა ბალიშზე თავის დადება.

— მიტო! გესმის, ბიჭო?!

— რა იყო, დედაკაცო?!

— გესმის, ბიჭო?! რალაცა ყმუის, მგელი არ იყო.

— მგელს ამ შუა ზაფხულში რა უნდა, შე ოჯახაშენებლო! — უპასუხა ქმარმა. მაინც წამოდგა და აივანზე ფეხშიშველი გავიდა. მალე დაბრუნდა.

— რა არის, მიტო?! — შეშინებულმა ჰკითხა ქალმა.

— ლექსოა, ეგ უბედური, დაჭრილ ხარივითა ბლავის.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

— იქნება გადახვიდე, ბიჭო, მარტოა.

— რო გადავიდე, რა ვუთხრა, რით ვანუგეშო, მოვა და ისევ გვერდით დაგინვება-მეთქი?!

## თედოს ოცნება

ცოლს ეძინა, თედო რომ შინ დაბრუნდა. პატარა გოგოსაც ეძინა. თედომ იმ ოთახის კარი შეაღო, სადაც ბიჭი ეგულეობდა. სინათლე აანთო. ლოგინი ცარიელი იყო, ფანჯრის რაფაზე ტრანზისტორი იდგა. მაგიდაზე ორი წიგნი იდო.

— ნეტა სად დაწონიალობს ეგ ბიჭი, — ხმამაღლა გაიფიქრა თედომ და ის-ის იყო ოთახიდან უნდა გასულიყო, რომ ბალიშის ქვეშ რაღაც ფერადი დაინახა. ბალიში ასწია, ჟურნალის ყდა იყო, რომელიდანაც თედოს წითელპომადიანი, ცისფერთვალეა ქერა ქალი უცინოდა. ზევით რაღაც ეწერა. რუსული არ იყო. რუსული რომ ყოფილიყო, ცოტას მაინც წაიკითხავდა. ქართული ხო არ იყო და არა. მეტი კი თედოს, აბა საიდან უნდა სცოდნოდა?

ეგეთი ფერადი და ლამაზი თედოს არაფერი ენახა. კარგა ხანს უყურა ქალს, მერე გაუღიმა, ისე, რომ თვითონაც ვერ შეამჩნია. ბოლოს, დიდი მონინებით შეავლო ხელი. მაგიდასთან მიიტანა ჟურნალი. სკამზე ისე ჩამოჯდა, რომ თვალი არ მოუშორებია. დაჯდა და ქალიც წინ დაიდო. გადაფურცლა და უკეთესი შეხვდა მეორე გვერდზე. შავგვრემანი იყო, შავი თვალები ჰქონდა. შავი ჯემპრე ეცვა, ნაქსოვი, პატარა, წითელი გული ჰქონდა ამოქარგული. გაპრიალებულ მანქანასთან იდგა და ყველაზე მეტად რაც თვალში მოხვდა თედოს, ის იყო, რომ შარვალში იყო გამონყობილი.

— ნნ, ნნ, ნნო, — რამდენიმეჯერ დაუნრუჟუნა თედომ, მაგრამ ისე კი, მოეწონა. გაახსენდა კიდეც, ერთ კვირა დღეს თელავში რომ იყო წასული და იქ ვანუას გოგო, ნელი რომ ნახა შარვალში; რო სთხოვა, მამაჩემს ნუ ეტყვი, შარვალში რომ მნახე, ძია თედოო. ისიც გაახსენდა, რომ ნელის ეგეთი შარვალი არ ეცვა. იცნო კიდე-

ვაც მაშინ, ვანუასი იყო, ძველი, გახუნებული და გადაკეთებული. ამის მოგონებაზე თედოს კიდევ გაელიმა. ოლონდ, ახლა იგრძნო, რომ ილიმებოდა. ისიც გაიფიქრა, — „აბა, მაგას მამამის როგორ ვეცყოდი, ხო გული გაუსკდებოდაო“, — უცებ დაიხსნა ფიქრებიდან თავი და ისევ ჟურნალს დაუნყო ფურცვლა. გადაშალა და ნამდვილი ზღაპარი ნახა. მის წინ წყალი იყო, მწვანე, ძალიან მწვანე. წყალში ნავი. ნავში რამდენიმე კაცი და ქალი იჯდა. იმ გოგოებივით ჩაცმულები, წინა ფურცლებზე რომ ნახა. ნავის თავში მალალი კაცი იდგა (ის ისე კარგად ჩაცმული არ იყო) და ნიჩაბი ეჭირა ერთი. მთავარი ის იყო, რომ წყალს აქეთ-იქით მიწის ნაპირი კი არ ჰქონდა, სახლები ედგა ნაპირებად, ნაპირებად კი არა, ეს სახლებიც შიგ წყალში იდგნენ. ძალიან ლამაზები კი იყვნენ. თედომ თბილისი გაიხსენა უცებ და „არა, ეს სახლები სჯობიაო,“ — გაიფიქრა.

როგორ არ ეშინიათ ამ სახლებში ცხოვრება, ან როგორ დადის ეს ხალხი ან როგორ არ იძირება ყველაფერიო, ფიქრობდა თედო, მაგრამ ნავში მსხდომთ ისეთი ბედნიერი სახეები ჰქონდათ, რომ თედომაც ბევრი არ იდარდა და ისიც გადაფურცლა.

ახალზე ქალი და კაცი შეხვდა. ქალს მკერდი თითქმის მოეტიტვლებინა, კაცს უღიმოდა უღვაშებში. კაცს სანთებელა ეჭირა ხელში, ისიც უღიმოდა და სიგარეტს უკიდებდა. სიგარეტსა და სანთებელას შორის რაღაც ეწერა. როგორ უნდოდა თედოს, გამოეცნო, რას ნიშნავდა ეს წარწერა. ისე უნდოდა, რომ გაბრაზდა კიდეც, სკოლაში გერმანულს რომ მასწავლიდნენ, რათ არ ვისწავლეო. მერე იმდროინდელმა მისმა გაჭირვებებმაც ჩაუქროლეს და თავი გაიმართლა. ცოტა ხანს კიდევ უყურა წარწერას და ის-ის იყო, უნდა გადაეშალა შემდეგი გვერდი, კიბის ჭრაჭუნი მოესმა. სასწრაფოდ აიღო ჟურნალი, ძველ ადგილს დაუბრუნა და ოთახიდან გავიდა.

კარი ბიჭმა შემოაღო. საშუალო სიმაღლისამ, შავთვალეზამ და ჯმუხმა. პერანგის საყელო სპეციალურად ჰქონდა აწეული უკან. თმა ოდნავ მოეშვა. მარცხენა ხელზე საათი ეკეთა, რომელიც დღეებსაც აჩვენებდა. იმავე ხელის ნეკზე ფრჩხილიც ოდნავ ჰქონდა მოზრდილი. რომ შემოვიდა, თედო დაინახა. არ ელოდა, ეგონა, რომ ეძინებოდა თედოს. შეცბა, მაგრამ არ შეიმჩნია, რაც იმით იგულისხმებოდა, რომ „პრივეტ მამიო,“ — უთხრა.

— პრივეტ კი არა, სადა ხარ აქამდის? — მშვიდად უთხრა თედომ.

— კლუბში ვიყავი, მამი, სად ვიქნებოდი, — უპასუხა ბიჭმა. პირველადაც და მეორედაც „მამი“ იმიტომ დააყოლა ნათქვამს, რომ იცოდა, „მამის“ თქმა და თედოს მოღობობა ერთი იყო. ბიჭმა საათი ხელიდან შეიხსნა და თავის ოთახში შეიტანა. მერე დაიბანა ხელ-პირი და ისევ თედოსთან დაბრუნდა, ისიც მაგიდას მიუჯდა.

— რა გადიოდა? — ჰკითხა თედომ.

— არ იცი, ჩვენი მეხანიკის და სოფლის ამბავი?! ან „ჩაპაევი“ იქნებოდა, ან „მუჟჩინა ი ჟენშჩინა“, ანაც კიდევ, „ოთარაანთ ქვრივი“. — ღიმილით უპასუხა ბიჭმა და ესიამოვნა, თედოსაც რომ გაეღიმა.

— კი მაგრამ, დღეს რა იყო?

— „მუჟჩინა ის ჟენშჩინა“.

— დღაა ნიჩვეოლო, — გააგრძელა თედომ, — ოღონდაც, ეგ მანქანების ღრიანციელი რომ არ იყოს წამდაუნუმ.

— რათა მამი, ცუდი მანქანებია? — კიდევ „მამი“ თქვა ბიჭმა, ოღონდ ახლა ჩვეულებრივად, როგორც სხვა დროს ეუბნებოდა ხოლმე.

— მანქანები კი კარგია, მაგრამ ხმაურია ძალზედ.

— რა ქალია! — მორიდებით თქვა ბიჭმა.

— კარგი ქალია, კი. — მორიდებითვე დაუდასტურა თედომ.

კიდევ ილაპარაკეს. მერე ბიჭი გავიდა თავის ოთახში. თედო დანვა, ფრთხილად გადასწია საბანი, ისე, რომ ცოლმა ვერც გაიგო. გასწორდა ლოგინში, ხელები თავქვეშ ამოიღო და სიბნელეს შეხედა. „საიდან მოიტანა მაგ მამაძაღლმა“? — ჟურნალზე გაიფიქრა და თავისი ძმაკაცის, ვანუას მონაყოლი გაახსენდა, მოსკოვში რომ იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე:

— თედო! — ჩუმად და აღტაცებით დაიწყო ვანომ. სახლის კიბეზე ისხდნენ ორივენი.

— ისეთი რამეები ვნახე, სიზმარშიც არ მინახავს ეგეთი ცხოვრება. ეგეთი დიდი არაფერი მინახია, მოსკოვი რომ არის — უზარმაზარი, ნაცრისფერი და წითელი. ერთი ასი მეტრის ფარგლებში იმდენი ხალხი ირევა, დეზერტირების ბაზარშიც არ მინახია, არც ალავერდობაზე, თანაც, ყველა გარბის სადღაცა. პირდაპირ სასტუმროში

გაგვაქანეს მანქანებითა. ნომერს ნუ იტყვი. ორი ოთახი, განყოფილი ტელევიზორითა და მაცივრითა. კედელზე რალაცა ღილაკები იყო წარწერებით, მაგრამ მოგეხსენებათ ჩემი რუსული. ოთახის ფანჯრები, წითელი მოედანი რომ ჰქვია, იმას გაჰყურებდნენ. მეორე დღეს კრემლში წაგვიყვანეს. ეგ, რა ვნახე, თედო, მართლა ზღაპარი! მერე, როგორი მოპირკეთებული, რა ჭაღები! ისეთი კი არა, თანდელამ რომ ჩამოიტანა მოსკოვიდან, უზარმაზარი და ბრწყინვალე. იქიდან სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წაგვიყვანეს. რა ტრაქტორები, ბიჭო, რა კომბაინები. ელექტრო ჰესები სათამაშოებს ჰგვანან, ისეთი კოსტები არიან. მერე ღორებთან მიგვიყვანეს. ისე, ჩვენი ღორები დიდად არ ჩამოუვარდებიან. ბოლოს ჩვენს ქართულ პავილიონს მივადექით. გაგიხარია, იქ თავმომწონედ დავდიოდი. ყურძენთან შევჩერდი. ჩვენებური იყო. ვილაცა ქალი მიდგას გვერდით, თეთრი და ჩასუქებული. რომ შევხედე, გამიღიმა. თვალი თვალში გაუფყარე. იმანაც გამიყარა. გავეცანით ერთმანეთს. ტანია ერქვა. მოკლედ, მერე მე და ტანიამ კარუსელზედაც ვიჭრიალეთ, საღამოს კი რესტორანში წავედი. განათებული იყო იქაურობა, დიდი ჟრიამული გაჰქონდათ. კაცო, ზოგიერთები პირდაპირ ცეკვის დროსა ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. კარგა დავლიეთ. თვითონ ჩემსავით ჩამოსული იყო გამოფენაზე დონეცკიდან. მისი მხარეც ვადღერძელე; მერე სასტუმრომდე მიმაცილა. მე მიგაცილებ-მეთქი, ვუთხარი და არაო... ნომერი შევადე. შემობრძანდით-მეთქი. შემოვიდა და ერთთავად მაკოცა. ბევრისათვის არ მიკოცნია მართალია, მაგრამ ეგ მაინც სულ სხვა იყო, მოულოდნელი და მსუყე. მერე მოგეხსენება... — აღარ დამთავრა ვანომ.

არ წავიდა თედო იმ წელს გამოფენაზე. რაც იმან იშრომა, მაგრამ მაინც არ წავიდა. იმიტომ, რომ თედოს და ვანოს შორის ვინმე ერთ-ერთი უნდა გამგზავრებულიყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, თქვენ გადაწყვიტეთ თქვენი საქმეო, უთხრა და თედომაც ვანოს დაუთმო. უსმენდა ძმაკაცის მონაყოლს და პირველად ცხოვრებაში შურდა მისი.

ერთი წლის წინ იყო ეს. სულ ახსოვდა თედოს ვანოს მონაყოლი, სულ უნდოდა საქართველოს გარდა კიდევ სხვა რამე ენახა (თუმცა ნანახი ჰქონდა რალაც ქალაქები, ოღონდ ომის დროს დანგრეული,

ნაცრად ქცეულები). მოსკოვში მოხვედრა ბოლოს ოცნებად გადა-  
ექცა. ოცნებას უფრო ისიც უმძაფრებდა, რომ სულ პატარა ბიჭმა  
ომში ვალია ნახა. ისიც მოსკოვიდან იყო. ჩასუქებული არა ყოფი-  
ლა, გამხდარი იყო, გალეული. სწრაფად დადიოდა, ცხვირი ცისკენ  
ჰქონდა ანეული.

დაბომბილი ქალაქის იმ დანგრეულ სასადილოში მუშაობდა მზა-  
რეულად, სადაც თედოს ოცეული გააჩერეს რამდენიმე დღით. ის და  
კიდევ ერთი მზარეული ჰყავდა სასადილოს. დამშეული ჯარისკაცე-  
ბი ჭამას რომ მორჩებოდნენ, იმ ორს მიაშტერდებოდნენ. ზოგი რას  
ეუბნებოდა, ზოგი რას. ისინიც სიცილითვე პასუხობდნენ. ვერ აცი-  
ლებდა თედო თვალს პატარა გოგოს სიცილს. ერთ საღამოს, გოგო  
სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, „დობრი ვეჩერო“ — უთხრა. იმანაც  
უპასუხა. თედო გვერდით გაჰყვა და ფიქრობდა, ახლა რაღა ჯანდაბა  
ვუთხრაო. ხის ბარაკამდე ასე უხმოდ მიჰყვებოდა. გოგო ლაპარაკობ-  
და მხოლოდ და თანაც სულ თავის ამბებს ჰყვებოდა. ბოლოს, „მი პა-  
ბედიმო“, — უთხრა თედომ და ესიამოვნა თავისივე ნათქვამი.  
„რქცჭზითიოტნრ“! — თქვა გოგომ და შევიდა ბარაკში.

მერე იქაურობა ისევ დაბომბეს. ვინ სად წავიდა, ვინ საით გააქა-  
ნეს. „აპრნთლ, მთოჭ“! — დაუძახა თედომ მანქანიდან ქუჩაში მდგარ  
გოგოს. იმანაც შეხედა. არც გაუღიმა, არც არაფერი უპასუხა. უბრა-  
ლოდ გააყოლა თვალი გზაზე მიმავალ მანქანას. სადღა ნახავდა თე-  
დო მერე იმ გოგოს. სახელი კი ახსოვდა, მისი სიცილიც ახსოვდა და  
ისიც, რომ მოსკოვში ცხოვრობდა.

ვანოს მონაყოლის შემდეგ თედომ ცოტ-ცოტა ფულის შეგრო-  
ვება დაიწყო. იცოდა, იმასაც მოუწევდა მოსკოვში წასვლა. თანაც,  
ცოლმა ერთხელ უთხრა, შენც წადი იმ ქალაქში და თანდილას რო  
ავეჯი აქვს, იქნებ ისეთიც იყიდოო. ისეთს ვერ იყიდდა თედო, მაგ-  
რამ ცოლს და ბავშვებს ჩამოუტანდა რამეს. ახლა იწვა სიბნეულში,  
იგონებდა ყველაფერს ამას, ოცნებობდა და ნელ-ნელა ძილი ეკი-  
დებოდა.

თედომ გვიან მოიყვანა ცოლი თავის ტოლებთან შედარებით.  
თავისივე მეზობელი, ნატო, რომელიც ადრე დაქვრივდა და ბიჭი  
ჰყავდა პირველი ქმრისაგან. ყოველ დღით, სამუშაოზე რომ მიდი-  
ოდა თედო, ხედავდა, ახალგაზრდა ქვრივი როგორ მოათრევდა

მდინარიდან წყლით სავსე კასრებს. ძალიან უნდოდა მიხმარებოდა, მაგრამ ნატო ზედ არ უყურებდა და ესეც ვერ უბედავდა მოხმარებას. ერთი-ორი წელი გავიდა ამ ქალის ყურებაში და ერთ დილას იმანაც გამოხედა.

დაღია იმ ღამეს თედომ ვანოსთან ერთად და გაუმხილა კიდევ ყველაფერი. „რალა შვილიანიო“? — ვანომ ერთი კი უთხრა, მაგრამ რომ შეხედა თედოს თვალებს, ინანა. — თვითონ მივიდა ნატოსთან და თედოს მაგივრად სიყვარულიც აუხსნა.

რამდენიმე ხანში ნატომ თედოს შეუთვალა, ჩემს ბიჭს მე ვერავის დავუტოვებო. — თედომ იწყინა და „ეგ როგორ იფიქრეთ თქვენ, ნატო“, — ვანოს დააბარა. გადავიდა ნატო თავის ბიჭიანად და კიდევ ერთი ძველი ზანდუკიანად პირდაპირ ეზოში და გოგოც გაუჩინა თედოს. დრო გადიოდა. ბავშვები იზრდებოდნენ. ის, რალაც ალტაცების გრძნობა, რაც ადრე თედოს ნატოსადმი ჰქონდა, სადღაც გაქრა. წუხდა მაგაზე თედო, მაგრამ მერე გაიხედ-გამოიხედა და რომ ნახა, ყველა ცოლ-ქმარი ასე იყო, ცოტა დაწყნარდა.

იმ დღის მერე, რაც თედო ბიჭის ჟურნალს წააწყდა, კიდევ ერთი წელიწადი გავიდა. ბიჭმა სკოლა დაამთავრა. თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოეწყო.

ერთხელ ნაწვიმარი იყო, თედოს ვაზის ძირი უნდა შემოეზარა. ბარი სად შეინახა, დაავინყდა და ვანოს გადასძახა — „ის მომეციო“.

— რა, თედო?

— ის, კაცო! — დაუფიქრებლად უპასუხა თედომ.

— გამაგებინე, რა გინდა, ბიჭო?

თედო დაფიქრდა. იცოდა, რაც უნდოდა და სახელს ვერ იხსენებდა.

ვანო მიუახლოვდა.

— რა გინდა, კაცო?!

— ამას, — ხელი ვაზის ძირს მოკიდა, — გარშემო რომ იმას უშვებინ, — დაბნეულად უთხრა.

— ბარი გინდა?

— როგორა?

— ბარი.

— ჰო, ბარი, ბარი!



ვანო წავიდა და მალე დაბრუნდა. თედო წაღვლიანად იდგა ვაზთან.

— აჰა, — გაუნოდა ვანომ ბარი.

— როგორ დამავინწყდა, ბიჭო, ამის სახელი.

— მერე რა იყო, შე კაი კაცოო, და წავიდა.

— მოიცა! — განწირული ხმით თქვა თედომ, — ამის სახელიც დამავინწყდა.

— რისი, ბიჭო?

— ამისა, — თედომ ისევ ვაზს მოკიდა ხელი.

— ვაზისა?

— როგორა?

— ვაზისა?

— ხო, ხო, ვაზისა, ვაზისა!

— შაქარი გაკლია, — მოუჭრა ვანომ.

— რა შაქარი?

— ტკბილი გაკლია. აი, ჩემი ქალის ძალუასაც ჰქონდა ეგრე და ექიმმა უთხრა, შაქარი უნდა ჭამოო.

— ხოო?

— ხო.

— მაშ, შაქარი ვჭამო?

— ხო, რა მოგივიდა, შე კაი კაცო, ისე შეშინებულხარ, თითქოს...

— არა, კაცო, — შერცხვა თედოს, — კი არ შემეშინდა, უბრალოდ, როგორ დამავინწყდა? — ვანო წავიდა. მეორე დილას ისევ შეხვდა ვანოს...

— ჭამე, ბიჭო, შაქარი? — ჰკითხა ვანომ.

— შაქარი, არა, — გაბრწყინებული ჰქონდა თედოს თვალები, — ყველაფერიც მახსოვს.

შრომობდა თედო, რაც შეეძლო. ცოტას ბიჭს უგზავნიდა თბილისში, ცოტას ოჯახს ახმარდა და ცოტასაც ინახავდა თავისი ოცნების შესასრულებლად. ზოგჯერ რცხვენოდა, რაღა დროს ჩემი სადმე წასვლაა, სტუდენტი ბიჭი მყავსო, მაგრამ თავს იმით იმართლებდა თუ იტყუებდა, ხომ მაგათთვისაც მივდივარო.

უკვე შეგროვილი ჰქონდა წასასვლელი ფული, ბიჭი რომ ჩამოვიდა თბილისიდან ზამთრის არდადეგებზე.

— მამი! — იმ სალამოსვე უთხრა ბიჭმა.

— რა იყო? — ჰკითხა თედომ.

— იცი, რა?

— რა, ბიჭო?

— არაფერი.

თედომ ბიჭისაკენ გაიხედა.

— როგორ თუ არაფერი?

— ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

— მითხარი, შენი ჭირიმე, რას მიმაღავ?

— იქ, თბილისში, კიდევ ორი მეგობარი მყავს, ჩემს ჯგუფში სწავლობენ. იმათ გადანყვიტეს, არდადეგებზე მოსკოვის სანახავად წასვლა. მეც მითხრეს, თუ თქვენები გამოგიშვებენ, ჩვენთან ერთად წამოდიო. თუ შეგიძლია, გამიშვი, — ძლივს დაამთავრა სიტყვა ბიჭმა და მხოლოდ მაშინ შეხედა თედოს თვალებში.

ყველაფერს ელოდებოდა თედო, მაგ თხოვნის გარდა. ეგ სათხოვარი მარტო თავისი ეგონა ამ დედამიწის ზურგზე. ჩუმად იყო. ოღონდ, იმიტომ კი არა, რომ ორჭოფობდა, ბიჭი წავიდეს თუ მეო. ეგ უკვე გადანყვეტილი იყო. უბრალოდ, ყველაფერი აგონდებოდა თავის ოცნებასთან დაკავშირებით, სწრაფად, თავისდაუნებურად...

— ჰა, მამი?

ამ კითხვამ გამოაფხიზლა.

— წადი მა რა; წადი, თუ ისინიც მიდიან.

ბიჭი კისერზე მოეხვია და აკოცა.

მეორე დღეს თედომ თავისი შეგროვილი ფული ბიჭს ჩაუთვალა. რომ ჩამოხვალ, სოფელში მოდი აუცილებლადო, — სთხოვა.

ერთი კვირის შემდეგ მართლაც დაბრუნდა ბიჭი, უფრო გამხდარი და ფერმკრთალი, ვიდრე წასვლამდე.

ბიჭმა თედოს ჩექმები ჩამოუტანა, შავები, პრიალები, მაღალყელიანები, გვერდზე „ზმეიკით“ იკვრებოდა. დედას თავშალი, შავი, ნითელი ყვავილებით, პატარა დასაც ფეხსაცმელი, ნითელი.

თედო ისეთი სიხარულით შეხვდა, გინდამც თვითონ ყოფილიყო წასული. იმ წუთშივე ფეხი გაუყარა ჩექმებში. სიამოვნებდა, იქიდან რომ იყო.

მოსალამოვდა. ერთი ორჯერ, ისე, ვითომ სხვათაშორის ჰკითხა ბიჭს, როგორი კმაყოფილი ხარო.

— ძალიანაო, — თქვა ბიჭმა და აღარ გააგრძელა. ეგეთი პასუხი არ უნდოდა თედოს.

დედა და პატარა თამრო დანვინენ დასაძინებლად.

თედო ბიჭის ოთახში შევიდა. ლოგინზე ისე იყო წამოწოლილი. თედო რომ დაინახა, სწრაფად წამოჯდა.

— არ გეძინება? — ჰკითხა თედომ.

— არა. — უპასუხა ბიჭმა.

— დაიძინე, შვილო, ნამგზავრი ხარ.

— რავი, არ მეძინება.

— ანდა რა დაგაძინებს, იმხელა ქალაქის მერე, არა?!

— ეჰ, მამი, თვითონ რომ ნახავ სხვა ქვეყანას, სულ სხვაა. — გამოცდილი სახით თქვა ბიჭმა.

თედომ, „მეშველაო“, — გაიფიქრა და სკამზე კარგად მოკალათდა.

— კარგია, არა, შვილო?

— რას ამბობ, არასოდეს დამავიწყდება. ამხელა სახლები, ამდენი გოგოები, ერთად ჯერ არ მინახავს — შეაპარა ბიჭმა, განითლდა და გაჩუმდა.

— ჰო, არა, შვილო?

— ჰო. ჩვენა, აი, მე და ის, ჩემი მეგობარი, სასტუმროში მოვენწყვეთ.

— მაიცა?!

— გეფიცები. მართალია, ცენტრიდან კარგა შორს იყო, მაგრამ მაინც. ტრი ვოსემდესიატ დევიტს, მარტო ტაქსი სწერდა.

— სულ ტაქსით დადიოდი?

— სულ ტაქსით რომ მევლო, სამ დღეში დაგიბრუნდებოდი.

— ისე, ხო მაინც დადიოდი?

— მართალი რომ გითხრა, დავდიოდი. ისეთი ფართო ქუჩებია მამი, გაშლილი, გაჭიმული; მეორე დღესვე რესტორანში წავედით სამივე.

— მაიცა?!

— გეფიცები, თანაც როგორში...

— ჰო?..

— ტრიალებდა.

— როგორა, კაცო?!

— აი ისე, ტელევიზორის კომპიუტერული და ტრიალებს, ნელ-ნელა წრეს ურტყავს კომპიუტერს. მთელ მოსკოვს დაჰყურებს ზევიდან, გაჩირადდებულს. მუზიკა უკრავს, მაგრამ რას უკრავს; ახლა, რა ჩაცმულები მიდი-მოდინან, რა საქმელები მოაქვთ. იმის მერე, ოთხი დღე, დღეში ერთხელა ვჭამდით. ისიც დილაზე, კიდევ რომ გვყოფნოდა ფული.

— მუზეუმშიც ვიყავით, განა მარტო რესტორნებში დავდიოდით.

— ხო?

— მაშ! „ტრენიაკოვსკაია“ ჰქვია. ვინმეს თუ რამე დაუხატია, სულ იქ არის. სამი საათი დავდიოდით. იქიდან ისეთები გამოვედი, ძილის გარდა აღარაფერი გვინდოდა. იმ მუზეუმშიც ისეთი გოგოები იყვნენ... წითელ მოედანს ნულარ იტყვი. წითელი აგური, ქვაფენილი, ღამე ანათებენ; ამ სინათლეზე თოვლი ნელა ეშვება დაბლა. დასეირნობ და არც გინდა სახლში დაბრუნება. სულ წყვილები დადიან...

— „დაა, ნიჩევიო“, — გაიმეორა თავისი საყვარელი გამოთქმა თედომ.

— ეჰ, ნიჩევიო კი არა, პრეკრასნო, მამი, — გაელიმა ბიჭს.

— ისე, გოგოები? — როგორღაც მოახერხა თედომ.

— ნუ იტყვი, აშოლტილები, ლერწმებსა ჰგვანან. ერთი ჩემი მეგობარი ვინმეს თუ გაიცნობდა, გადაეკიდებოდა, გინდა თუ არა ქართულად თქვი, ბაყაყი წყალში ყიყინებსო. რომ ათქმევინებდა, სიცლისაგან ვიხოცებოდით.

— ბაყაყი წყალში ყიყინებსო?

— ჰო.

— რათა?

— რავი, ქართულად თქვიო, ეუბნებოდა. ვერაფრით ვერ ამბობდნენ.

— რათა, შვილო?

— ყ-ს მაგივრად კ-ს იძახიან. ძალიან სასაცილოდ გამოსდით.

— მაშ ყ-ს ვერ იძახიან?

— ვერა.

ჩუმად იყვნენ.

— ნავალ, დავნეები. — თქვა ბოლოს თედომ.

— კარგი, მამი.

— ძილი ნებისა, შენი ჭირიმე.

თენდებოდა, ის დანგრეული ქალაქი რომ დაესიზმრა თედოს. კვამლი ასდიოდა აქა-იქ სახლებს. ომი კი დამთავრებული იყო ვითომ. ზედ სასადილოსთან უზარმაზარი ემმაკის ბორბალი ტრიალებდა ნელა. რბილ, წითელი ტყავის სკამებზე ხალხი იჯდა. მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები. კაცებს სასმისები ეჭირათ ხელში და ერთმანეთს ომის დამთავრებას ულოცავდნენ. ყველანი იცინოდნენ და მღეროდნენ. დაბლა რამდენიმე კაცი იდგა და რალაც ძალიან სასიამოვნოს უკრავდა. თედო მიუახლოვდა ემმაკის ბორბალს და ერთ თავისუფალ სკამზე დაჯდა. ნელა აპყავდა ჰაერში უზარმაზარ წრეს. მალლა აიხედა და ის პატარა გოგო დაინახა, მაშინ რომ შეხვდა ომში. „ვალია!“ — დაუყვირა თედომ და ხელები ერთმანეთს შემოჰკრა.

გოგომ მაღლიდან გადმოხედა — თედოო! — დაიძახა იმანაც, — ბაყაყი ნყალში ყიყინეებს!

თედო იცინოდა. — ჩამოდი გოგო, ჩემს სკამზე ჩამოო! — ყვიროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— ვერა, თედო, ესე ვიტრიალოთ, ესეეე! — ექოსავით ესმოდა თედოს გოგოს ხმა.

თედო სიცილით კვდებოდა სიხარულისაგან. — მამ, სულ ასეთი ზეიმი იქნება? — ეკითხებოდა თავის თავს, — სულ ასეთი?

მალლა იყო თედო, ცაში. ზევიდან გადახედა ქვეყანას. დანგრეული სახლები აღარსად ჩანდა. წითელი აგურით ნაშენი უზარმაზარი სახლები იდგა. ცოტა მოშორებით წითელი მოედანი და კრემლი ჩანდა. სწორედ ისეთი, „ატკრიტკებზე“ რომ ენახა თედოს.

— მოსკოვში ვარ, ხალხო, მოსკოვში! — ყვიროდა თედო და ხელებს იქნევდა.

ხალხი ისევ იცინოდა. ფერადი ბურთები ეკავათ ხელში. ქვევით ისევ უკრავდა მუსიკა. წრე ატრიალებდა თედოს. ჯაჭვებს უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელები და ურფო ხმამალლა დაიწყო სიცილი.

უცებ, თავისი ხელები რომელიღაც ცხოველის ხელებს მიამსგავსა. სახეზე ხელი მოისვა და ბალანი იგრძნეს თითებმა.

— ვაიმე, შენ, ჩემო თავო! — თქვა და ახლა სხვებს გადახედა. ისევ იცინოდნენ, ისევ ეკავათ ფერადი ბუშტები, ისევ ყვიროდნენ და მღეროდნენ დანარჩენები. ისევ უკრავდნენ მუსიკას, ოლონდ, ისინიც მაიმუნებად გარდაქმნილიყვნენ.

— ვალიაც? — გაიფიქრა თედომ და იქით გაიხედა. სკამის მისაყრდნობზე პატარა, ცისფერი მაიმუნი იჯდა.

— ვაიმე, ხალხო, რალა გაზეიმებთ?! — ყვიროდა თედო. — რალა გაზეიმებთ, ხალხო, რალა გიხარიათ, თქვენი ჭირიმე, რასა ვგავართ, რა გვიხარია?!

მაიმუნები კი არც უყურებდნენ თედოს, განაგრძობდნენ სიცილს, ხარხარს და ხტუნვას. ეშმაკის ბორბალი არ ჩერდებოდა.

— ვაიმეეე! — დაიყვირა თედომ და გამოაღვიძა თავისივე ხმამ.

— რა გაყვირებს, კაცო?! — ლოგინზე წამომჯდარიყო ნატო. თედოს თავისი გულის ცემა ესმოდა.

— სიზმარი იყო? — იკითხა დამფრთხალმა.

— მაშ, რა იქნებოდა? აილო შენმა ყვირილმა სახლი.

თედო ბალიშზე მიესვენა, გულის ცემა ისევ ესმოდა და თავი სტკიოდა. მეორე დილას წავიდა ბიჭი თბილისში. მერე ორი თვე გავიდა. თედო ძველებურად შრომობდა. უფრო იშვიათად თუ ამოუტივტივდებოდა ოცნება და მაშინაც, ცდილობდა არ ეფიქრა ამაზე. ის სიზმარი კი კარგად ახსოვდა და ეშინოდა რალაცის. რისი, თვითონაც არ იცოდა.

ერთ საღამოს, სახლში ბრუნდებოდა დაღლილი. თავი სტკიოდა. ვანო გაახსენდა რალაცაზე, სახელი კი ვერ მოიგონა. ჯერ გაიღიმა და თავი გააქნია. ცოტა ხანი რომ გავიდა, ის დღე მოაგონდა, ბარისა და ვაზის სახელი რომ დაავიწყდა. ნაბიჯს უმატა, ვანოს სახლისაკენ წავიდა; ეზოში თითქმის შეირბინა. აივანზე, ვანოს ცოლი სარეცხს ხსნიდა.

— რა იყო, თედო?

თედოს უნდოდა სახელით მიემართა. იმის სახელიც დავიწყებოდა. შერცხვა, მაგრამ უცებ გაუარა სირცხვილმა. შიშმა აჯობა.

— ერთი, შენი ჭირიმე, იმას დამიძახე.

ქალი სწრაფად შევიდა ოთახში. ვანომ კიბეზე ჩამოირბინა.

— რა იყო, თედო?

— ბიჭო, მოდი ერთი აქა! — თედომ ხელი მოკიდა და ეზოდან გადაიყვანა, თანაც კანკალებდა.

— რა მოგივიდა, თედო?

— ბიჭო! — უცებ ერთ ადგილას გაქვავდა თედო, — შენა, რა გქვიან?

— მაიცა, კაცო, — დამცინი?

— არა, ღმერთს გეფიცები, მითხარი ჩქარა!

— ვანოი, — ჩუმად თქვა ვანომ და შიში ჩაუდგა იმასაც თვალებში.

— როგორა?

— ვანოი, ვანუა.

— ჰო, ჰო, ვა...

— ვანო.

— ვანო, ვანო. შენს ცოლს?

— ლენა.

— ლე... — თედო გაჩერდა.

— ნა.

— ნა. — გაიმეორა თედომ.

— ლენა.

— ჰო, ჰო, ლენა.

ნავიდა ისე, რომ არაფერი არ უთქვამს.

ვანო გამტერებული უყურებდა. ერთი ათი მეტრი ექნებოდა გავლილი, რომ დაიძახა რალაცა. ვანო მივარდა, შემოატრიალა და შეაჯანჯღარა ორივე ხელით.

— ჩემს ცოლს და ბალებს რა ქვიათ, ბიჭოო! — დაიღრიალა თედომ.

თბილისში დაანვინეს თედო. ერთი კვირა ნამლები უკეთეს. მერე, ზოგმა ნატოს უთხრა, არაფერიო. ზოგმა თქვა, სიმსივნე აქვს თავშიო. ვიღაც პროფესორმა ნატოს უთხრა, ნამდვილად სიმსივნეა და საოპერაციო არისო.

— მაგის თავს როგორ გაგაჭრევენებთ, თქვენი ჭირიმე?! — თითქმის თავისთვის თქვა ნატომ.

— მაშინ, თუ საშუალება გაქვთ, მოსკოვში წაიყვანეთ, — თქვა პროფესორმა.

— ურიის ვალს ავიღებ და წავიყვან, — თვალეში შეხედა პროფესორს ქალმა.

იცოდა თედომ, რომ მოსკოვში იყო. ისიც იცოდა, რომ ნატომ და ვანომ გადანყვიტეს, ვანო გაყოლოდა თედოს. იცოდა, რომ იქ იყო ვანო, ოღონდ არ უშვებდნენ მასთან. „ლთ, ვთს არვეზორ; ყეგრლნჭ რლმნ უსეპ არყოე რაეპთჯმმ, ითკ ჩირ, სეყირ ეყიტ“! — უთხრა ექიმმა ვანოს, თედო რომ ჩაიყვანა მოსკოვში, იმ დღეს. ვანომ ენა გადაყლაპა.

თედო ერთ პატარა და ნათელ პალატაში მოათავსეს, სადაც კიდევ ორი ავადმყოფი იწვა. თავის ტკივილები აღარ ჰქონდა, სახელებს კი მანაც ვერ იგონებდა. ნერვები ეშლებოდა. ზოგი ისეთი რამ ახსოვდა, სულ რომ არ იყო საჭირო, მთავარი კი ავინყდებოდა. წუხდა, ამით აღბათ, გიჟი ვგონივარო.

რამდენიმე დღეში შეეგუა იქაურობას. პალატიდანაც გამოვიდა, სეირნობაც დაიწყო დერეფანში. დერეფნის შუაში მაგიდები და სკამები იდგა, სადაც ავადმყოფები იკრიბებოდნენ. ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგი ჭამდა, ზოგი საუბრობდა და ზოგს სულაც არ ესმოდა ერთმანეთის. აქ ქალებიც იყვნენ და კაცებიც, ბავშვებიც და მოხუცებიც.

თედო ერთ მაგიდას მიუჯდა, სადაც ორი კაცი და ერთი ქალი რალაცაზე ლაპარაკობდნენ.

— ბჰუზმნ? — ჰკითხა ერთმა კაცმა, რომელსაც თავი ჰქონდა შეხვეული.

— და, — უპასუხა თედომ.

— ოი ჩირ? — ჰკითხა ისევ იმან.

— „პამიატ“, — თქვა თედომ.

— ნმჩეგრ, ყლეოთბი რაეპთჯმმ, ვყე აპრლლეი, — თქვა თავშეხვეულმა.

— ბჰუზმნ? — ჰკითხა ახლა ქალმა.

თედომ შეხედა. ორმოცს გადაშორებული იქნებოდა ქალი, ქერად ჰქონდა თმები შეღებილი.

— და, — გაიმეორა თედომ პასუხი.



— ზნთბ, ითს სთნლთპმნძ პთყიუი, — თქვა ქალმა და გაუცინა. რომ გაუცინა, თედო განითლდა და თავი ჩალუნა.

მეორე დღესაც ნახა ის ქალი.

— ბპუზმნ! — დაუძახა ქალმა. თედო მისკენ წავიდა.

— ნუ კთკ, ათსჭიტ?

— ჩტო?

— უ ვთყ, ითს, ვმნრგპთლ ეყიტ?

— ჩტო?

— ო, არნჭინრ.

— ო, კთკ ზრვუი?

— ია, თედო.

— ჭ, ნმნთ.

თედო ისევ განითლდა.

— ო ვძ ითს ხრპრპრ დმვეიე ვ ბპუზმნ ირ, ვყე ლვუზხუითდნძე ლრსთ ყიპრმიე.

— და ნიჩევიოო, — თქვა თედომ.

ექიმმა დაუძახა, ერთ ოთახში შეიყვანა. იქ სხვებიც ისხდნენ. კედელზე მსხვილად ეწერა რუსული ანბანის ასოები. მალე იქ ქერათმიანი ქალიც შეიყვანეს. გვერდით დაუჯდა.

— პთკ ნთზძეთეიყჭ? — ჯოხი შ-ს დაადო ექიმმა და თედოს შეხედა.

არ ახსოვდა თედოს. გადაუჩურჩულა ქერათმიანს, რა არისო.

— ჭ ირდე ნე არსნბ. — უპასუხა ქალმა.

— ო ჟირ? — ჯოხი სხვაზე გადაიტანა ექიმმა.

არც ეს ახსოვდა თედოს. სხვებსაც ჰკითხა ექიმმა. ზოგმა უპასუხა, ზოგმა ვერა.

მეორე დღითაც მაგიდებთან ისხდნენ ყველანი. ზოგი იცინოდა, ზოგი ლაპარაკობდა, ზოგს სულ არ ესმოდა ერთმანეთის არაფერი. მერე თედო ბნელ ოთახში შეიყვანეს, ცივ მაგიდაზე დაანვინეს, ხელები და ფეხები დაუბეს. ოთახი უფრო ჩააბნელეს და ყელში რალაც გაუკეთეს. უცებ განათდა რალაც მის წინ. ასეთი სინათლე, არც ენახა თედოს. მერე, ის ფერადი მაიმუნები დაინახა სიზმრიდან. ისევ იმ მრგვალ ეშმაკის ბორბალზე ტრიალებდნენ, ზუსტად ისე, როგორც სიზმარში. თედომ იყვირა. სინათლე აანთეს და

გაქრა ყველაფერი. თავი სტკიოდა ორი დღე. ქერათმიანი ქალი შედიოდა პალატაში. არ უნდოდა თედოს. ისევ გაუარა ტკივილმა, მაგრამ მაინც არ უნდოდა. მთელი დღე სკამზე იჯდა და სოფელზე ფიქრობდა. ყველაფერი ახსოვდა, ოღონდ სახელებს ვერ იგონებდა. ქერათმიანი არ შორდებოდა.

— სკაყი პო ნაშემუ, „ბაყაყი წყალში ყიყინებს“, — უთხრა ერთხელ, გვიან ღამით თედომ ქერათმიანს. მთელი დღე ჩუმად იყო და მერე, სულ რომ არაფერ შუაში არ იყო, ისე უთხრა.

— ძოკ, კოკ? — გაეცინა ქერათმიანს.

— ბაყაყი წყალში ყიყინებს, — თქვა თედომ ძალიან მონყენილმა.

— ბაკაკი წკალში კიკინებს, — თქვა ქერათმიანმა და სიცილი აუტყდა.

თედო ერთ ადგილს იყო მიშტერებული.

ქალმა მაგიდის ქვეშ შეაცურა ხელი და თედოს დაადო ხელზე. თედო ერთი შეტოკდა, მერე, გაყურდა. ქალი თვალებში უყურებდა. აღარ იცინოდა.

— **ჩ ბბბბბბბბ იჩჩჩჩ ჩაააააა. ჩჩჩჩჩჩჩჩჩ, +ბი იჩჩჩჩ იჩჩჩჩჩჩჩ ჩაააააბბ!** — თითქმის ჩურჩულით თქვა.

თედო გაშრა.

— **თ** სენჭ ნე ნთლრ დთოეიტ, **ჭ** ნთყითმვთოთ. ზთვიპთ ლეოთბი, უიპრს. — ქალი ცოტა ხანს ჩუმად იყო.

— არჯეოულ! — თქვა მერე.

— ჩტო? — ჰკითხა თედომ.

— არჯეოულ!

თედომ ვერ გაიგო. ქალმა ხელი მოუჭირა. მამინ მისვდა, ქალმა აკოცა. თედომ ვერ შეძლო.

დილით ადრე გაიყვანეს. ბორბლებიან მაგიდაზე დაანვინეს და ისე გაიყვანეს.

— ნთ რაეპთჯებბ! — უთხრა თეთრხალათიანმა კაცმა.

— ბაიუს, — თქვა თედომ.

— ნმჩეგრ, ყლეოთბი უკრო, აპრლლეი!

თედო ნამოჯდა, ექიმს ხელი მოკიდა.

— პროსბა, — უთხრა მერე.

— ძოკოტჭ ენე აპრყტქო?

— ია ზნაიუ, ონ ტამ, ვნიზუ.  
— ლჰუგ ირ?  
— და, და, შენი ჭირიმე!  
— შრ აეპვძხ, ენე პთნრ, ეგრ ითს ნე ქულეი; თ, ვრ ვირპძხ, ვ ჩეს  
ლეორ?

— პუსტი კო მნე.  
— ლთ ვძ ჩირ? — გაიკვირვა ექიმმა.

თედომ ორივე ხელი მოხვია.

— ნუ, პროსბა.

— ოი ჩირ ენე?

— ბოლშე, ბოლშე...

— ნე არორდენრ!

— ბოლშე, ბოლშე...

ექიმმა შეხედა. ბორბლებიანი მაგიდა შეაჩერეს.

— ნუ, ჩეპი ყ ნმს, ზრვმ! — სწრაფად უთხრა ექთანს.

ვანო მაგიდას მიჰყვებოდა. თედოს ხელი მაგრად ეჭირა.

— ნუ გეშინია, თედო.

— შენი ჭირიმე, შენი! — იმეორებდა ერთი და იგივეს თედო.

— დანყნარდი, გენაცვა, დანყნარდი.

— დაგყნარდი, დაგყნარდი.

— ჰო, დანყნარდი.

— არა მგონია, თუ გადავრჩი, მაგრამ...

— ჰო, თედო.

— ერთ რამესა გთხოვ, გთხოვ.

— ჰო, თედო.

— არაფერი არ მინდა მე, ის გამახსენონ ოლონდ.

— ჰო, დანყნარდი, შენი ჭირიმე.

— გამახსენონ, ოლონდ, თუ გადავრჩი.

— რა, შენი ჭირიმე?

— აი, იმისა, აი, მე რომ იმას ვუშვები კაცო, იქა!

— ჰო, თედო.

— ჩვენთან რო ხარობს, ბიჭო!

— ვაზი, გენაცვა?

— რა?

— ვაზი, ვაზი!  
— ჰო, ვაზი, ვაზი, ვაზი! იმას ვენაცვალე, მეტი არაფერი მინდა!  
ჩამოკიდებული იყო ხელზე.  
— და კიდევ იმისა, კაცო!  
— ჰო, გენაცვალე.  
თეთრი მაგიდა რაღაც კარს უახლოვდებოდა.  
— იმისი, ჩემი იმისა!  
— შენი ქალისა?  
— ჰო, ჰო, შენი ჭირიმე, ჩემი ქალისა.  
— ჰო, გენაცვალე, ჰო.  
— მეტი არა მინდა რა, ეგენი მხოლოდ.  
— ჰო, შენი ჭირიმე.  
— ისე მინდა, რო, იმასა ვკარგავ, აი, იმასა, — გაჭირვებით ამ-  
ბობდა თედო.  
— აი, იმასა, ყველაფერს რომ ქვიან.  
— ჰო, გენაცვალე.  
— ჰო, ჰო, ჰო, ძალიან მინდა, შენი ჭირიმე, ძალიანა! ოცნებადა  
მაქვს გადაქცეული, ოცნებად!..

## მარტო

გაელვიდა, ოღონდ თვალეები არ გაუხელია, ისე წამოჯდა იატაკზე. მთელი სხეულით კანკალებდა. ტუჩები და ნიკაპი უთრთოდა. სწყუროდა. ენა გამოყო, სიგრილე რომ ეგრძნო, — ენაც ვერ გაჩერდა, ისიც თრთოდა. თვალეები გაახილა; ბნელოდა ოთახშიც და გარეთაც. ეძინა ქალაქს. ყველას ეძინა, მორიგეების, ჭირისუფლები და ლოთების გარდა. ისევ სცადა წამოდგომა და მუცელში იგრძნო ტკივილი. ამას მიჩვეული იყო: უნდა მოკუნტულიყო, სულ დაგრეხილიყო, დაუკლებდა მერე. ცოტა ხანში მართლაც მოეშვა ტკივილი. წამოდგა, პიჯაკის ჯიბეები მოიჩხრიკა, რალაც ხურდა ეყარა. ბარბაცით გავიდა გარეთ. შესცივდა უფრო და პიჯაკის საყელო აინია. იქვე ახლოს, ერთ ორსართულიან სახლთან მივიდა, პირველი სართულის ბოლო ფანჯარაზე დააკაკუნა. ფანჯარა გაიღო და იქიდან, თავის მაგივრად ხელმა გამოხედა. ხურდა ჩაუყარა.

— ცოტა მეტი დამისხი, გრიშა, მერე მოგცემ, — უთხრა ხმადაბლა.

— თქვენი „მერე“, ვიცი მე! — ხელი ოთახის სიბნელეში გაქრა და მალე ისევ ფანჯრიდან გადმოვიდა, ოღონდ, ახლა ჭიქა ეჭირა, ნახევრად სავსე.

— იცოდე, ორ იმდენს გისხამ, — თქვა ხელმა.

— რატომ, გიყვარვარ?

— შენი ოჯახის პატივისცემით, თვარა...

— კარგი, მორჩი! — ჭიქა გამოართვა და სწრაფად გადაჰკრა. დაიძანჭა. მერე, ჭუჭყიანი ხელი ტუჩებზე ჩამოისვა.

— მოკვდები, ბიჭო, ამდენი სმით!

— აი, დღეს და მერე აღარა.

— რა ოჯახი...

— მორჩი ახლა!

გატრიალდა. გაბრუნდა. გრიშასკენ მიიხედა. ხელი ფანჯარას კეტავდა.

— გრიშა, დედა უფრო გიყვარს თუ ფული?

— დაინყე, ხომ, შენებური?

— არ დახურო, თორემ ისევ დავაბრაზუნებ.

— წადი ახლა, დაიძინე!

— მიპასუხე.

— დამანებე თავი!

— არაყს გაფიცებ.

— აგერ ნახავ, რასაც დაგაღვეინებ ანი!

\* \* \*

...როცა გაეღვიძა, მზე შემოდოდა ოთახში. ოდნავ წამოიწია. არ ტკენია არაფერი. მერე უფრო მეტი გაბედა და მალე ფეხზე იდგა. შავ, განწილ და მტვრიან თმაზე ხელი გადაისვა. კედელში გამოჭრილი პატარა თახჩის კარი გამოაღო, იქნებ რამე წიგნი ეგდოსო. შიგ ძველისძველი ქალღდეები და გაზეთები ეყარა, იაფფასიანი თევზის და ძეხვისაგან გაქონილი. იქვე ეგდო რამდენიმე ჩაყვითლებული ჭიქა და სამიცი, გაურკვეველი ფერის, ყდიანი წიგნი. სამივე ცალ-ცალკე შეატრიალ-შემოატრიალა და მიხვდა, რომ კაპიკსაც ვერ აიღებდა. ახლა მეორე თაროზე დაიწყო ფათური. მართლაც მოხვდა რაღაც, მაგარი. პურის ნატეხი ეგონა. სიღრმეში შეაგდო — შუშის ხმა იყო. ახლა თავი შეჰყო და ისე დაუნყო იმ შუშას ძებნა. სამკაულების შესანახი, ძველისძველი ფაიფურის კოლოფი გამოდგა, დედამისის ნაქონი, რაღაც სასწაულით გადარჩენილი. პიჯაკით დაუნყო წმენდა. ცისფერი ყვავილები გამოჩნდა. ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გავიდა. სახინკლე იქვე იყო; როგორც ყველა ლოთი, ისიც ძალიან იშვიათად თუ გასცილდებოდა თავის უბანს. ლუდხანის სქელი ხის კარი შეაღო. კარის პირდაპირ, კედელზე დიდი შავი ასოებით ეწერა: „მაგარი სასმელების შემოტა-

ნა სასტიკად ...ალულია“. სიტყვა „ლულია“-ზე ყოველთვის ელიმე-  
ბოდა. „ალალია“ უნდა ენეროსო, — ფიქრობდა. დღეს ამის თავიც  
არ ჰქონდა.

— ორი „პა სტო!“

— ჩემზე მანეთია.

— შენ მანამდე პივა!

ისმოდა ყოველი მხრიდან. დახლს მიუახლოვდა და სულ კუთხე-  
ში დადგა. ხელი ლუდისაგან დასველებულ დახლს დაადო, სველი  
ხელი ტუჩსა და წვერზე ჩამოისვა და ღრმად შეისუნთქა ლუდის  
სიგრილე. ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. დახლიდარმა ცალი თვალით  
გადმოხედა და პატარა ჭიქა შეუვსო. სულმოუთქმელად დალია.

— გმადლობ, შენი ჭირიმე.

დახლიდარი ისევ ავსებდა კათხებს და კლიენტებს ურიგებდა.

— ფაიფურის კოლოფი მაქვს კარგია...

დრო გადიოდა. კლიენტები მატულობდნენ.

— ფაიფურისაა, ცისფერყვავილებიანი...

— კიდევ დაგისხა? — უცებ ჰკითხა.

— არა, მაგიტომ კი არა... — არ ელოდა ამ კითხვას.

— მაიტა, მაჩვენე!

ჯიბიდან ამოიღო. ილიმებოდა ცრემლიანი თვალებით ისევ სანყ-  
ლად, მხოლოდ ლოთები რომ ილიმებიან ხოლმე.

— ხო ძალიან ლამაზია?

— ნიჩევო, კარგია.

ისევ განაგრძო კლიენტების გაშვება. ლოთი უყურებდა, რო-  
გორ ივსებოდა კათხები ლუდით.

— აიღებ? — ჰკითხა მერე.

— არა.

პატარა ჭიქა ისევ შეუვსო. ლოთმა ისიც სწრაფად დალია.

— გმადლობ, შენი ჭირიმე.

— გეყო ახლა!

— ჰო, ნავედი.

ლოთი დახლს მოშორდა. მერე ისევ შეტრიალდა.

— დედაჩემის ნაქონია ეგ.

— არ მინდა, კაცო!

ბოლო იმედიც გაუცრუვდა. კარისაკენ წავიდა. უნდა გასულიყო გარეთ, რომ იქვე, კართან, მაგიდაზე ორი ბოთლი არაყი დაინახა. მერე არყის პატრონებს შეხედა; არც ერთს არ იცნობდა. სახეზეც არ ეცნობოდა; ერთმანეთს ჰგავდნენ ძალიან, ოღონდ, ერთი უფრო გამხდარი იყო. მიუახლოვდა.

— რა გინდა? — შეუბღვირა გამხდარმა, რომელიც ცხელ ხინკალს პირში ვერ იდებდა და უფრო იმიტომ იყო გაბრაზებული.

— მე ფაიფურის კოლოფი მაქვს სამკაულებისათვის.

— სამკაულებით გექნება გატენილი. — თქვა უფრო მსუქანმა და ჩაიცინა. მერე ლუდი მოსვა და უცებ, რატომღაც ძალიან სერიოზული სახე მიიღო.

— აი, ლოთმა ისევ ამოიღო ჯიბიდან.

ორივემ დახედა.

— მოიპარე? — ჰკითხა მსუქანმა.

— არა, ნამდვილად არა.

— ჰა, პივა დალიე!

დალია.

— გმადლობთ, ბიჭებო, დიდი მადლობა!

— ჰო, დავაი, მიდი!

— კარგად იყავით. ესე იგი, ამას არ აიღებთ?

— გეყო-თქვა!

— მეიცა, თუ არ მოიპარე, საიდან გაქვს? — ახლა გამხდარმა ჰკითხა.

— დედაჩემის ნაქონია, ბიჭებო.

— დედაშენის?

— ჰო. დედა მომიკვდა.

— მოკვდებოდა შენს ხელში, აბა რა მოუვიდოდა?! — ისევ მსუქანმა იხუმრა. გამხდარსაც გაეცინა. ლოთიც იცინოდა.

— რამდენი გინდა მაგ კოლოფში?

— რამდენსაც მომცემთ.

— მაინც, მაინც?

— თქვენ იცით.

— ჰა, თქვი ახლა!

— ერთი ბოთლი არაყი.



— უფრო ძვირი რომ ღირს?  
ლოთმა თავი დახარა.

— ჰა, დალიე აგი პივაც და კარგად იყავი! — შესთავაზა ისევ მსუქანმა.

— გამადლობთ, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, კარგად იყავით! — ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— მეიცა, რა გეჩქარება?

— კარგი, გაუშვი, ცოდოა! — თქვა მსუქანმა.

— მეიცა, მოდი აქ!...

ლოთი მიბრუნდა.

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდათხუთმეტის.

— რაც მეტი?..

— ოცდათხუთმეტის ვარ.

— მეტის ხარ!

— ე, ბიჭო, ცოლად გინდა? — გაბრაზდა მსუქანი.

— არა, რაზე მატყუებს ეგ ნაგლი, ჩვენხელაა ვითომ?! — არაყს დალევ? — ჰკითხა მსუქანმა.

ლოთს თვალები სიხარულისაგან ცრემლებით ავესო.

— კი.

— ა, დალიე! — ჭიქა არაყი გაუნოდა გამხდარმა.

ლოთმა ხელი ჭიქისაკენ წაიღო. ახლა იმან დასწია ხელი უკან.

— მითხარი, რამდენი წლისა ხარ და დაგალევიან.

— ორმოცდახუთის, — იცრუა ლოთმა.

— ხომ გითხარი. — კმაყოფილებით გადახედა გამხდარმა მსუქანს და ჭიქა მისცა.

— მე, ბიჭებო, მინდა თქვენი სადღეგრძელო შევსვა. კარგი ბიჭები ხართ. ბევრი კარგი საქმე გაქვთ ალბათ გაკეთებული და...

— ხო-ხო-ხო, რას იმანჭება, ბიჭო! — თქვა გამხდარმა.

— მიატანე რამე. — შეეცოდა მსუქანს.

— არ მინდა.

— ეილე.

— არა, დედას გეფიცებით, არ მინდა.

- სადაა, ბიჭო, დედაშენის საფლავი? — ჰკითხა გამხდარმა.
- კარგი ახლა, გაუშვი! — განითლდა მსუქანი.
- საბურთალოზე.
- რამდენი მიეცი მაცუთი საფლავში?
- მამა იყო იქ დასაფლავებული.
- ცოლი გყავს?
- ლოთი შეკრთა უცებ.
- არა!
- არც გყავდა?
- მოკვდა.
- ყველა დახოცე?
- ჰო.
- თქვი მართალი და, ა, კიდევ დაგაღევიანებ!
- ჭიქა შეუვსო.
- მოკვდა.
- შენი ნებაა.
- ისე, დედა უფრო გიყვარდა თუ ცოლი?
- გრიშა. — ამოილულულა ლოთმა.
- აი, რომ გითხრან, დედა გაცოცხლდება და ცოლი დაგიბრუნ-  
დებაო, დალევ?
- არ დავლევ.
- ე, ნახე, რაფერ გიყურებს არაყი.
- დავლევ.
- ისიც დალია.
- ცოტა ხანს იცადა, მერე დაბარბაცდა, მერე მსუქანს ხელზე ეცა  
და აკოცა. — გამაღლობთ, ბიჭებო!
- ფაიფური გრჩება! — დაუძახა მსუქანმა.
- ხელის ნელი მოძრაობით აიღო.
- ცოლზე კი ტყუილად მკითხე... — თავისთვის ჩაილაპარაკა.
- რატომ?
- არ შეიძლება.
- მიდი, მიდი!
- ფაიფურის კოლოფი ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა.

ლოთი დაიხარა ნამსხვრევებისაკენ და ატირდა.

— რა გატირებს ამხელა კაცს, არ გრცხვენია? — უთხრა გამხდარმა.

— დედისაგან ეგლა მქონდა.

— ჰა, თუმანი!

უნდობლად ახედა გამოშვერილ ხელს.

— ეილე.

— გმადლობთ. — ფული ჯიბეში ჩაიდო. ცრემლები მაინც მოსდიოდა; დამსხვრეულ ფაიფურზე გადაიარა, გადაათრია სხეული და გარეთ გავიდა.

— ეგ, იცით, რა ბიჭი იყო? — იმ ორისთვის არც შეუხედავს, ისე თქვა შუახნის დამლაგებელმა ქალმა, რომელიც დამსხვრეულ ფაიფურს ხვეტდა.

სალამოს, ჯიბეში თუმნიანი რომ იპოვა, გაუკვირდა. საიდან ჰქონდა, ვერ მოიგონა. სექტემბრის თბილი სალამო იდგა. თავდახრილი, კედელ-კედელ მიუყვებოდა განათებულ ცენტრალურ ქუჩას. ვილაცამ გაჰკრა მხარი და შეუკურთხა. მერე ის ვილაც შეჩერდა და სახელი დაუძახა. ლოთმა თავი გააქნია. იმან ისევ დაუძახა, უფრო ხმამაღლა. არ გახედა. მერე ის დაენია და ხელით შეაჩერა.

— ვერ მიცანი, ბიჭო?! გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! — ქვევიდან ახედა.

— მაინც ვერ მიცანი, ხომ? — ამაყად უღიმოდა მწვანეჰალსტუხიანი და წითელლოყება ახალგაზრდა კაცი.

— ვერა.

— ჯამლეტა ვარ, ბიჭო, ანთიძე.

— ხოო... — გააგრძელა ლოთმა.

— კიდო ვერ მიცანი?

— ვერა.

— თფუი! — ეწყინა ჯამლეტა ანთიძეს. — უნივერსიტეტში ერთ კურსზე არ ვიყავით, ბიჭო?!

ლოთი ისევ უღიმოდა.

— თვითშემოქმედებაში რომეოს ვთამაშობდი, მერე თქვენთან გადმოვედი, ლიტნრეში.

— რომეოს?

- ჰო, რომეოს.
- უჰ, როგორ არ მახსოვს! — იცრუა ლოთმა.
- კაი კიდევ.
- ჯულიეტას ვინ თამაშობდა? — ჰკითხა უცებ ლოთმა.
- ჯულიეტას ნანაია სართანია, ზუგდიდიდან რომ იყო, ქერა გოგო, გამხდარი, — სწრაფად უპასუხა „რომეო“ ანთიძემ.
- მახსოვს, მახსოვს.
- როგორ ხარ, ისე?
- შენ?
- მე კარგად, არა მიჭირს; ვმუშაობ და ვარ.
- ლიტნრე გახსოვს?
- კი.
- რა ლექსები გქონდა მაინც.
- რა?
- კარგი, ბიჭო! მასე რომ მენერა...  
ლოთმა ახლაც გაუღიმა, ოლონდ ცოტა სიმწარეშერული ღი-  
მილით.
- სვამსო, შენზე მითხრეს.
- მოგატყუებს.
- ირინე რომ წეიყვანე პობედით სოხუმში, ჰა? — სიცილით მოკ-  
ვდა ჯამლეტა ანთიძე და მხარზე ხელი დაარტყა. — რა იყო მაინც!
- კი.
- რას უკრავდი, ბიჭო, მაინც, რას მღეროდი!
- წავედი.
- ლექსები აღარ გინერია მერე?
- პოემებზე გადავედი.
- კარგი, აბა.
- სამმანეთიანი ხომ არა გაქვს?
- მანეთი მაქვს.
- მოიტა!
- ჯიბიდან სწრაფად ამოიღო და მისცა.
- ირინე წვევიდა? შეაპარა ბოლოს. — რა გოგო იყო მაინც! —  
წაიოცნება ანთიძემ.
- მშვიდობით.

— მშვიდობით, — გამოემშვიდობა ანთიძე, თვალი გააყოლა. „რა ლექსები ჰქონდა მაინც“, — გაიფიქრა მერე, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

„რას მერჩიან, რას მახსენებენ“?!. — გაიფიქრა ლოთმა.

\* \* \*

— ვინ არის? — ძლივს წარმოთქვა.

— მე ვარ! — შემოესმა გარედან.

— თავი დამანებე! კი ვიცი, ვინცა ხარ, გგონია, არ ვიცი? არ შემოგიშვებ, არა! — გაბრაზდა, თან შიშით კედელს აეკრა.

მთვარე ანათებდა ოთახს.

— შემომიშვებ!

— არა, არა, შენ არა ხარ, არავინაც არა ხარ!

— სამკაულებს რომ ინახავდა დედაშენი, იმ კოლოფის ნატეხი მოგიტანე.

— რა ნატეხი?

— ფეხით რომ გადაუარე.

— მე ხომ ლოთი ვარ, მაგრამ შენ გიჟი ხარ, ნამდვილი გიჟი!

— შემომიშვი!

— არა! თუმცა, არავინ არა ხარ და როგორ შემოგიშვებ? — სიცილი აუტყდა უცებ ლოთს. — შე საცოდავო, გგონია შემაშინებ?! გესლიანად თქვა და უფრო აიტანა კანკალმა.

— ძველ თახჩაში, შენ რომ ცარიელი გგონია, ოქრო ყრია.

ლოთი მივარდა. თახჩის კარი გამოაღო და ხელების ფათური დაინყო.

— არაფერიც არ არის, შე საცოდავო, შე მატყუარა! როგორ ვერ გიტან! ან როდის იყო, ოქროზე ვგიჟდებოდი?

— აბა, როგორ დალეე?

— გრიშა დამალევილებს.

— შემომიშვი!

— არა, არა, არა! თავი დამანებე!..

— ირინე ვარ, შემომიშვი!

— რა თქვი?

- ირინე ვარ.
- მატყუებ! — ხმამალა გაიცინა ლოთმა.
- ვერა მცნობ?
- მატყუებ! — ახლა ტირილი დაიწყო ლოთმა.
- ირინე ვარ, ბიჭო!
- იცოდე, მოგკლავ!
- ირინე ვარ.

ფრთხილად მივიდა კართან და შიშით გააღო.

თეთრ სამოსელში გამოწყობილი ქალი სწრაფად შევიდა ოთახში და ფანჯარასთან დადგა, ზურგით ლოთისკენ.

— ირინე... — ჩუმად თქვა ლოთმა.

— ცუდად ხარ?

— ჰო, ცუდად ვარ.

— აღარ დალიო და დაგიბრუნდები.

— წადი, თავი დამანებე! — უცებ, ხმამალა თქვა ლოთმა.

— ერთად რომ ვიყავით, ხომ გახსოვს?

— არა! წადი აქედან!

— აღარ წავალ, შენთან ვიქნები.

ლოთმა ახედა და რალაც იმედის მსგავსი გაუჩნდა უცებ მთელ სხეულს.

— მართლა? — ჰკითხა საშინელი მორიდებით და გაქვავდა ეგონა. ხელიც რომ გაენძრია, ან თვალი დაეხუჭა, ან ბაგე გაეხსნა, ყველაფერი დაემსხვრეოდა და გაქრებოდა.

— მართლა.

მოეშვა მთელი სხეულით.

— მე კიდევ, — აწრიალდა უცებ, — მე კიდევ სინათლეს არ ამინთია, შენი ჭირიმე, ახლავე, ახლავე!... — იძახდა, კედლებს ედებოდა... — მოიცა! ახლავე, ამ წუთში გავანათებ! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, შენი სახელის! და ჩემთან იქნები, შენი ჭირიმე!... ჰო, ჰო, მოიცა, მოვნახო ასანთი! სად დაიკარგა, ღმერთო?! — ლოთი კედელს უსვამდა ორივე ხელს. ბოლოს იპოვა და გაანათა.

ცარიელი იყო ოთახი. ცოტა ხანს ასე იდგა კედელთან. თითქოს ხანჯალი ჩაარტყესო მუცელში, ისე ეტკინა...

\* \* \*

...თვალეები ძლივს გაახილა. მზე რომ მოხვდა, ისევ დახუჭა.

— თვალეები გაახილა, — გაიგონა ვილაცის ნათქვამი.

— არ გაუხელია, — თქვა სხვამ.

— კი, აი, გაახილა. — ისევ თქვა პირველმა.

— ერთი გადარჩეს და... ახლა სულ სხვა ხმამ თქვა.

მზემ ისევ ატკინა თვალეები. თეთრ პალატაში სამი კაცი იჯდა. მისი მეგობრები ოდესღაც. დიდხანს უყურა სამთავეს, ისინიც მიმტერებოდნენ გაუნძრევლად. მერე ერთ-ერთმა გაბედა და ფეხზე წამოდგა.

— როგორ ხარ, ბიჭო!? — ჰკითხა ხმადაბლა.

ლოთმა თვალეები დახუჭა და ისევ გაახილა. იმან ამოისუნთქა.

— არ შეგვაშინე?! — სცადა, გაელიმა.

— უკეთ ხარ, — თქვა მეორემ.

მესამე მოვიდა და სანოლზე ჩამოუჯდა ფრთხილად.

— შენთან ვიქნებით ანი სულ... — უთხრა მეორემ, ბავშვებს რომ ეტყვიან, ისე და გაუღიმა.

„რაღა დროს...“ — გაიფიქრა და თვალეები ცრემლებმა აუვსო. იმ სამსაც თვალეები აუნყლიანდა. ერთი ფანჯარასთან მივიდა, რომ ცრემლი დაემალა.

„რამდენი ხანია?..“ — უნდოდა ეკითხა ლოთს, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. უცებ შეეგუა იმას, რომ ვერც იტყოდა ვერაფერს.

— გურამი ხომ იცანი? — ანიშნა ერთმა ფანჯარასთან მდგომზე, ლოთის ცნობიერებაში რომ დარწმუნებულიყო.

„სად იყავით აქამდე, ბიჭო?!..“ — გაიფიქრა ლოთმა და ახლა ცრემლი ლოყაზე გადმოუგორდა.

სანოლზე რომ იჯდა, იმან ცრემლი მოწმინდა.

— დაგასიეთ დობტურები! — სცადა ხუმრობა იმან, ფანჯარასთან რომ იდგა.

„სად იყავით“ ... — გაიფიქრა ისევ ლოთმა.

— იქ ირინეა, გარეთ დგას, დაეუძახოთ? — ჰკითხა ერთმა.

„არ ვიცი...“ — სამთავეს შეხედა ლოთმა.

— ირინეა და... — გაუმეორა ფანჯარასთან მდგომმა.

„შემოვიდეს...“ — გაიფიქრა ლოთმა და კარი გააღეს. ლოგინზე ვინც იჯდა, წამოდგა და მის ადგილზე ქალი დაჯდა.

„რაღა დროს მოსვლა იყო?...“ — გაიფიქრა ლოთმა და ქალივით ატირდა.

— ნუ გეშინია, ნახავ, რა კარგად გახდები! — თქვა ქალმა და საფეთქელთან აკოცა.

„რად მიდიოდი...“ — ფიქრობდა ლოთი და ტიროდა. მერე ისევ ჩაარტყეს მუცელში ხანჯალი. მერე დაბნელდა გარშემო. სიმწრისაგან თეთრი პერანგი შემოიხია და გათავდა.



## გოგია

„უსამართლოდა, გოგია, უსამართლოდა! ბავშვები შეიცოდებოდა!“ — თვეში ერთხელ მაინც ესმით მეზობლებს გოგიას ბინიდან გამოსული მისი ცოლის, მარინას მოთქმა, ბავშვების ტირილ-კივილი:

— დედააა, დედააა!

ამ დროს ყველამ იცის, რომ გოგია მთვრალია და მარინასაც სცემს. არავინ შედის მეზობელთან, არავინ ეხმარება, იმიტომ, რომ კარგად ახსოვთ გოგიას ხელი ერთი მოხმარების დროს. კიდევ იმიტომ არ შედიან, რომ იციან, გოგია ხუთ წუთში ქალის ცემას მორჩება, გარეთ გამოვა, წელს ზევით შიშველი, უზარმაზარი, ბანჯგვლიანი და თვალბამღვრეული. ღრმად შეისუნთქავს ღამის სუფთა ჰაერს, ხის აივნის მოაჯირს დაეყრდნობა, სიგარეტს მოსწევს, მერე ისევ ოთახში შებრუნდება და დანვება.

გოგია ორმოც წელს გადაცილებულია. მართლაც უზარმაზარია, „ბობრივი პრიჩოსკა“ აქვს და ტაქსზე მუშაობს. როგორც თითქმის ყველა ქართველს, რაც მართალია-მართალია, დალევა უყვარს, ოღონდ თავს იკავებს, იცის თავისი მყრალი სიმთვრალის ამბავი. მხოლოდ თვეში ერთხელ თუ დალევს „ბიჭებთან“ ერთად და სწორედ იმ ღამეს არის ხოლმე წიოკი მის ბინაში.

„როცა ფხიზელია, ეგეთი არც არავინ არის ჩვენს უბანში“, — მეზობლები იძახიან გოგიაზე. ნამდვილად ეგრება. ღამის სამი საათი რომ იყოს, არავის მოერიდება მისი გაღვიძება. გოგია ადგება, თავის ძველ პობედასაც გამოიყვანს ეზოდან და ისე წაყვება კაცს ქვეყნის ბოლომდე, ერთს არ გაიფიქრებს გულში — „რა დროს კაცის ლოგინიდან წამოყენება არისო“.

ეზოში ყველა ბავშვის დაბადების დღე ახსოვს გოგიას. ბავშვებიც ყველაზე მეტად მის სამუშაოდან დაბრუნებას ელოდებიან. ძია გოგია კარგ საჩუქრებს მოუტანს.

ძმაკაცებზე ხომ, „გადამკვდარია“, — როგორც თვითონ იძახიან ძმაკაცები. გამორჩეულად უყვართ.

„უკანასკნელს გაიხდის და მოგცემს“.

„ტანკს გადაუდგება შენი გულისთვის“.

„რეისავიკით ვაჟკაცია“, — ამბობენ ტაქსის შოფრები.

ტანკზე არა, მაგრამ ტყვიაზე, ორჯერ მართლა გადამდგარა გოგია ძმაკაცის გულისთვის, ქორწილში. მუცელზე და მკერდზე, მარჯვენა მხარეს ორი დიდი იარაღ აქვს. მეორედ რომ დაიჭრა, სწორედ იმ ქორწილში, სადაც მარინა გაიცნო, ბიჭებმა ზედმეტ სახელად „მატროსოვა“ დაარქვეს.

ოჯახშიც ხომ უყვართ და უყვართ. განსაკუთრებით, მარინას და უმცროს გოგოს. ბიჭს, ისე არა (ყოველ შემთხვევაში, გოგია ეგრე ფიქრობს). „რად გალახე დედაო“, — მწყრალად რომ ეტყვის ბიჭი, გოგია ბავშვივით თავს ჩალუნავს. მერე, ყელში ცრემლი მოადგება, ბავშვის და ქალის სიბრალულით. გულზე უზარმაზარ მჯიღს დაიკრავს — „ვახ, ჩემიო!“ — ჩუმად იტყვის და სახლიდან გავა.

ის ქორწილი სულ ახსოვს გოგიას, სადაც მეორედ დაიჭრა და სადაც მარინა გაიცნო. „რეისავიკ“ ანზორას ქორწილი იყო წყნეთში. ხალხიც უამრავი იყო, მანქანებიც და დაქირავებული დამკვრელებიც. გოგია ბიჭებში იჯდა, სვამდა. დუდუკი „პატარა გოგო დამეკარგას“ უკრავდა, მომღერლები მღეროდნენ, გოგია უკვე შეზარხოშებული იყო. ამ სიმღერაზე თავისი მანანა გაახსენდა, ძალიან რომ უყვარდა და ჯარიდან დაბრუნებულს, გათხოვილი რომ დახვდა. ბოლმა მოაწვა გოგიას, არადა, ისინი ხმამაღლა მღეროდნენ: „პატარა გოგო დამეკარგა, წითელ პერანგაო“. მანანას წითელი პერანგიც ახსოვდა გოგიას, ძალიან კარგად ახსოვდა და ამან სულ გადარია, კინაღამ ტირილი დაიწყო. ღვინო დაისხა და დალია. მანანას დაკარგვა კარგა ხნის ამბავი იყო. ამის მერე გოგიასთვის ქალის მოყვანაზე არავის არაფერი უთქვამს.

დალია გოგიამ ღვინო, თავი ასწია; მის წინ მანანა იდგა.

— გოგია, გაიცანი და გვერდითაც დაისვი, — ევაც და ამის დაც.

ესენი ჩვენი ანზორას ცოლის ნათესავები არიან, — აუხსნა მასპინძელმა.

— მობრძანდით, დაბრძანდით! — წამოდგა დაბნეული გოგია. ქალები დასხდნენ.

„როგორა ჰგავს“?! — გაიფიქრა და ისიც ნელა დაეშვა სკამზე.

„ან ავლილი ან ჩავლილი ხომ არ გინახააავს“, — თავს იკლავდნენ მომღერლები. გოგიას აღარ ეტირებოდა. ქეიფი გრძელდებოდა, სუფრა წინ მიდიოდა, თვრებოდა, მღეროდა, ილანძლებოდა.

გოგია ჯერ ვერაფრის თქმას ვერ უბედავდა მის გვერდით მჯდარ გოგოს, რომელიც ძალიან ჰგავდა მანანას. ცოტა კიდევ რომ მოეკიდა ღვინო, შეჰკადრა და სახელი ჰკითხა.

— მე, მარინა. — უთხრა გოგომ და გაუღიმა.

— კარგი სახელია, — შეეცადა გამოცდილი სახე ჰქონოდა გოგიას.

— არა უჭირს რა, — ჩუმად თქვა მარინამ.

— მე გოგია მქვია.

მარინამ კიდევ გაუღიმა. ღიმილმა უფრო გაათამამა გოგია.

— თქვენა, ძალიან გავხართ ერთ ჩემს ნაცნობ ქალსა, ძალიან.

— ვისა?

— მანანასა. შეიძლება იცნობთ, ზემო ვერაზე ცხოვრობდა ადრე.

— არ ვიცი, — თქვა მარინამ.

— სახით ხო გავხართ და გავხართ, ხელებიც ძალიან გიგავთ.

— მე ლამაზი ხელები არა მაქვს, — გაუღიმა მარინამ.

— არც იმას ჰქონდა ძალიან ლამაზი, გიგავთ მხოლოდ, — ალაღად უთხრა გოგიამ.

მარინამ გაიცინა. გოგიაც მიხვდა თავის მიამიტობას. იმასაც გაეცინა.

— სად არის ახლა ის გოგო? — ჰკითხა მარინამ.

— გათხოვდა. — არ შეიმჩნია უხერხულობა გოგიამ. ამ დროს მის ბედზე ყანწიც მიაწოდეს და ამან უფრო არ შეამჩნევინა.

ქეიფი მთავრდებოდა. გოგია კარგ გუნებაზე იყო და სწორედ იმას ეუბნებოდა მარინას, „მზიანი თვალები გაქვთ თქვენა, თითქოს მზეები არიო“, იარაღი რომ გავარდა ოთახში. ატყდა წიოკი, თევშების მტვრევა, ქალების კვილი. გოგიას ძმაკაცს — ოთარას

ესროდა გაპობილი მთვრალი ტაქსისტი მალხაზა. ოთარა დაიჭრა და მარჯვენა ფეხზე წაიჩოქა, გოგია მაგიდას გადაახტა.

— არ მომეკარო, გოგია, შენც მოგკლავო! — დასძახა მალხაზამ.

ერთი კი შეაგინა გოგიამ თავის ბედს გუნებაში — „რაღა ახლა, ის რომ ვიპოვეო“! — მაგრამ მაინც მონყდა ადგილს და პირდაპირ მალხაზასაკენ გაიქცა. იმასაც ესროლა მალხაზამ. დაჭრილი გოგია ბარბაცით უახლოვდებოდა. მალხაზა უკვე იხვეწებოდა — „ნუღარ მოდიხარო“. ამ დროს უკნიდან ხელები ამოუტრიალეს. გოგია დაეცა.

მანანას შემდეგ ყველაზე კარგი დღე გოგიას ცხოვრებაში ის იყო, მარინამ რომ საავადმყოფოში ნახა. მართლა მზეს უგავდა მარინას თვალები. ჩუმად ეჯდა ლოგინთან, სკამზე.

— რათ შენუბდი, მარინა? — უთხრა გახარებულმა გოგიამ.

— შენა ხარ შენუბებული, მე რა მიჭირს, გოგია, — მშვიდად თქვა მარინამ. თავისი სახელის გაგონებაზე გოგია კინალამ ლოგინში დადნა.

— კარგი გოგო ხარ, მარინა! — უთხრა ცოტა ხანში გოგიამ და ხელზე ხელი დაადო. არცერთს არ ამოუღია ხმა. იყვნენ ასე ჩუმად ძალიან დიდხანს. ნახევრად მიხურული დარაბიდან შემოსული მზის სვეტი მარინას მწვანე კაბის კალთაზე ეცემოდა. არ ავიწყდებოდა გოგიას ის მზე მარინაზე.

საავადმყოფოდან რომ გამოწერეს, გოგიას დიდხანს აღარ უფიქრია. ძალიან მალე ჭამეს ბიჭებმა კარგი ქორწილი.

ცოლის ცემა მოგვიანებით დაიწყო გოგიამ. ერთ ღამეს ლოგინში იწვნენ და ისვენებდნენ სიყვარულის შემდეგ. გოგია სიგარეტს ენეოდა. ლაპარაკის ხასიათზე იყო მოსული. ლაპარაკობდნენ. მერე გოგიამ რალაც ჭირად ჰკითხა, — გოგო, გიყვარდა ვინმე? (იმას კი ნანობდა, ნეტა არ მეკითხაო. საერთოდაც, ძალიან ლაპარაკის ხასიათზე არ უნდა მოხვიდე ქალთან, თორემ იმისთანას ათქმევინებ, მთელი ცხოვრება სანანებელი გექნებაო).

ქალი ჩუმად იყო. ამ სიჩუმემ დააშინა გოგია.

— ჰა? — ვითომ სხვათა შორის, მაგრამ დიდი გულის ფანცქალით გაუმეორა კითხვა. ქალი ისევ ჩუმად იყო. ახლა გოგიამ სხვა რალაცებზე დაუწყო ლაპარაკი, მაგრამ ისევ იმაზე კი ფიქრობდა. მარინაც აპყვა ლაპარაკში.

- მაშ, არავინ გიყვარდა? — ჰკითხა ისევ.
- მიყვარდა არა, ერთი! — უპასუხა ქალმა. გოგიამ მოისვენა. ახლა კიდევ სხვა ამბები მოყვა, მაგრამ ცოტა ხანში იმ გველმა, ეჭვი რომ ჰქვია, ისევ ამოჰყო თავი.
- პირველად რად არ მიპასუხე?
- რაზე? — კითხვა დაუბრუნა მარინამ.
- აი, რომ გკითხე, გიყვარდა თუ არა ვინმე-მეთქი.
- რა ვიცი.
- რა, რა ვიცი?!
- დამანებე თავი! — გაბრაზდა მარინა.
- ესე იგი, გიყვარდა! — უკვე ლოგინზე წამოჯდა გოგია.
- მე შენ გეკითხები რამეს იმ მანანაზე?
- ვითომ რატომ „იმ“ მანანაზე? ის მანანა კი მიყვარდა, მაგრამ შენც ხომ მიყვარხარ? შენ და ისა, სულ შენში მიყვარს! — წამოსცდა გოგიას.
- ჰოდა, მეც მიყვარდა! — გაბრაზდა ქალი. — შენ მაშინ მნახე, ოცდახუთის რომ ვიყავი. მაშ, როგორ ფიქრობ, მანამდე არავინ მეყვარებოდა?!
- გოგია დაფიქრდა. „მართალიაო,“ — თქვა. ისე, გული კი დანყდა. კვლავ დაეშვა ლოგინზე, მაგრამ ახლა მეორემ შეაწუხა, ვაითუ უკოცნიაო. „ვერა, ვერ ვკითხავ, სირცხვილია“, — ფიქრობდა გოგია და წრიალებდა ლოგინში.
- ისა, — დაინყო ჩუმად, მორიდებით.
- ისა, გოგო, აი, გიკოცნია? — უფრო ჩუმად თქვა ბოლო სიტყვა, თითქოს არც უნდოდა, რომ მარინას გაეგო.
- ერთხელ მარტო, — უპასუხა მარინამ კარგახნის მერე, ისიც იმიტომ უთხრა, იცოდა, გოგია არ მოეშვებოდა. გოგიამ სიგარეტს მოუკიდა. წამოდგა, გაიარ-გამოიარა ოთახში.
- ვიცნობ? — ჰკითხა უცებ.
- რას გადამეკიდე, კაცო, ხომ არ გაგიჟდი ამ შუალამისას?!
- ვიცნობ-მეთქი თუ არა!? — უკვე გაბრაზებულმა თქვა.
- რა ვიცი, იცნობ თუ არა.
- თქვენი სოფლიდან არის?
- ჩვენია.

ამ სიტყვამ სულ გააგიჟა გოგია. — „ჩვენიაო“, — ძალიან შინაურულ ნათქვამად მოეჩვენა.

— ვინ არის?

— გაგიჟდი შენ?

— ვინ არის-მეთქი!

— არც მყვარებია, მეგონა, რომ მიყვარდა, — გაიმართლა თავი მარინამ.

— ვინ არის?.

— ჯუმბერა.

— აბა, ჯუმბერა?

— გიორგისი.

— რომელი გიორგისი?

— ჯუმბერა, ზაფხულში რომ დაიჭირეს მებელის სპეკულიანტობაზე.

ჯუმბერა მარინას სოფელში ცხოვრობდა. „აფო ჯუმბერას“ ეძახდნენ (აფერისტის შემოკლებულს). ზოგიც, ლამაზ ჯუმბერას. ლამაზ ჯუმბერას ცოტა ეძახდა, იმიტომ, რომ ლამაზი რომ კაცს დაუძახონ, ცოტა უნდა უყვარდეთ, ჯუმბერა კი თითქმის არავის არ უყვარდა, ერთი-ორი გოგოს გარდა. არ უყვარდათ იმიტომ, რომ კაცი ვერაფერში ენდობოდა. ბევრს იტყუებოდა. ყველა გოგოზე იძახდა — „გავაფორმეო“. თანაც, ამ გაფორმების ამბავს, რაღაც, ბოროტად ყვებოდა. თითქოს კი არ ეცხოვრა, გაენამებინა და მოეკლა ქალი. იმ გაზაფხულის მერე კი, კოჭლი ვარდოას ნიკალა რომ დააჭერინა, მთელმა სოფელმა შეიძულა. ახალჯარმობდილი, ციხეში გაუშვა. ნიკალამ კლუბის წინ ცემა და იმიტომ. გოგია კარგად იცნობდა ჯუმბერას და იცოდა, რა ვაჟკაციც ის იყო. მარინასაგან რომ გაიგო — „ჯუმბერაო“, პირველად ესიამოვნა, — „ლაჩარიო“, — გაიფიქრა, მაგრამ მერე იფიქრა, იმას, ვისაც ვალმერთებ, რაღა ის ლაჩარი უნდა ყვარებოდაო. გაგიჟდა და ადგა, ჩაიცვა და სახლიდან წავიდა. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა. მთვრალი იყო. დაიდო თავისი მარინა და გემრიელად ჟეჟა. „ჯუმბერაო“?! თან შიგადაშიგ იძახდა. მეორე დღით ისე გაიპარა სახლიდან, ვერ გაიგო მარინამ. საღამოს თვალებში ვერ უყურებდა. მერე ისევ შეაჩვია თავი, თან გადაჰყვა, ძაღლივით უყურა თვალებში, ქაღვივით ემსა-

ხურა და ქალის ნატკენი გული ისევ მოაღბო. მერე წავიდა და წავიდა ეგრე, როგორც წესი.

იცოდა მარინამ, რომ თვეში ერთხელ გოგიას აუცილებლად უნდა ეცემა. გოგია რომ ცემდა, მარინა ყვიროდა. ტკიოდა და იყვირებდა, აბა, რას იზამდა. ღაპაღუპით მოსდიოდა ცრემლები; — „ნეტავ, მოკვდესო“, — გაიფიქრებდა, მაგრამ ამას მხოლოდ ცემის დროს ფიქრობდა; იმიტომ, რომ ისიც იცოდა, ყოველი მისი ცემის შემდეგ გოგია, ბალიშზე დამხობილი, ჩუმად ტიროდა. რომ მერე, ერთი თვე, გოგია ხელისგულზე ატარებდა; საერთოდაც, ძალიან კეთილი რომ იყო და ქვეყანას ერჩია თავისი, ჯუშუმერას ნაკოცნი მარინა. ცხოვრობდნენ და იყვნენ ეგრე სიყვარულშიც და როგორც წესი, თვეში ერთხელ, ცემა-ტყეპაში.

იმ დილით გოგიამ ტაქსი ქაშვეთთან გააჩერა. ეკლესიაში შევიდა, სანთელი იყიდა და წმიდა გიორგის ხატთან დაანთო.

— მაპატიე, შენი სახელის ჭირიმე! — თქვა ჩუმად, — ზედმეტი მომივიდა. შენს სახელს ვფიცავარ, ხელს აღარ დავაკარებ, აღარა! მე მოვკვდე მაშინ!..

წინა ღამეს მართლა ზედმეტი მოუვიდა გოგიას დაღევაც და მარინას ცემაც. ეკლესიიდან რომ გამოვიდა, ცოტა შეღავათი იგრძნო, საჭეს მიუჯდა და წავიდა.

„რა უცნაურია, კაცო, — ფიქრობდა გოგია, — ეგ დალოცვილი, თითქოს ბოლომდე არა მწამს, მაინც შვება მომცა. არსებობს, არ არსებობს, გაიგებ?“

— ღმერთო, მაპატიე! — დააყოლა ფიქრს და ახლა ის გაუკვირდა, თუ ბოლომდე არა მწამს, რიდასი მეშინიაო.

„არავინ იცის, არავინ!“ — ქალაქის მთავარ ქუჩაზე მიაქროლებდა მანქანას გოგია.

მთელი დღე იმუშავა. გარაჟში შესვლის წინ ბლომად კამფეტები უყიდა ბავშვებს. მარინასათვის დილითვე ჰქონდა ნაყიდი წითელი, თხელი თავსაფარი. ქუჩის ნაპირას სამი ბიჭი შეამჩნია — მანქანას აჩერებდნენ. ისიც შეამჩნია, ნასვამები რომ იყვნენ. მაინც გაუჩერა, — „ბავშვები არიან, შარს რამეს არ გადაეყარონ“.

სამივე ჩაჯდა მანქანაში. ერთი წინ, ორი უკან. მანქანა დაიძრა. წინ ვინც იჯდა, თექვსმეტი წლის იქნებოდა, ქერა ჰქონდა თმა,

თვალეები აქეთ-იქით სწრაფად გაურბოდა. დანარჩენი ორი, შედარებით მოზრდილები იყვნენ.

გოგიამ ცოტა რომ იარა, მერე ჰკითხა — „საით წაგიყვანოთ“?

— ბიძაჩემო, ამ ღამეს კი განუხებთ, მაგრამ დილომში გვინდა, რა?! — უთხრა ერთ-ერთმა, ვინც უკან იჯდა.

„შორიას“, — გაიფიქრა გოგიამ, მაგრამ რალას იზამდა. — წავიდეთ! — თქვა და საბურთალოდან გადაუხვია. ხმას არ იღებდა არც ერთი. არც გოგია ამბობდა რამეს. არ უყვარდა მგზავრებთან ლაპარაკი. დილომში მისულები იყვნენ, — „საითო“, — რომ ჰკითხა.

— წინ, ბიძაჩემო, სულ ბოლოში, — ისევ იმ ხმამ უპასუხა. გოგიაც ბოლომდე მივიდა.

— იქნებ, ბარემლა მცხეთაში ჩაგვიყვანო? — სთხოვა, წინ რომ ქერათმიანი პატარა იჯდა, იმან.

„მოსული ვარ, არ ვანყენინებ“, — გაიფიქრა გოგიამ და მცხეთის გზას გაუყვა.

მალე მცხეთაში შევიდნენ.

— მარჯვნივ, რა? — იგივე ხმა იყო. გოგიამ ჯვრისკენ გადაუხვია. — „აქეთ რომ სახლები არ არის?“ — გაიფიქრა და ბასრი წვერიც იგრძნო უკნიდან კისერზე. მიხედვა სცადა. მაშინ, წვერი კიდევ უფრო მიანვა კისერს, კიდევ უფრო გაიბასრა. მარჯვენა საფეთქელთან კი იარაღის ლულა დაინახა.

— პირდაპირ იარე, არ გამოიხედო! — უთხრა პატარამ და ქერათმიანმა. მერე, ძალიან მშვიდად ამოიღო დანა და გახსნა. გოგიამ თვალი მოჰკრა, ორი და ორმოცდაათკაპიკიანი იყო. მაღაზიებში ეყარა; — გაახსენდა მისდაუნებურად გოგიას და გაუკვირდა, — რამ გამახსენა, რა დროს ამაზე ფიქრიაო.

— რამდენი გაქვს? — ჰკითხა ქერათმიანმა და ირონიულად გაუღიმა.

— არ ვიცი. — უპასუხა გოგიამ. პასუხი გასცა თუ არა, პატარამ სილა ტყიცა და დანის წვერი ხორხზე მიაჭირა. უკანა ორმა ხმამალა გაიცინა. გოგიამ დაიღმუვლა, საჭეს მარჯვენა ხელი გაუშვა და ხელუკუღმა ხეთქა პატარას. ხელის გარტყმა და უკნიდან იარაღის ტარის ჩარტყმა თავში, ერთი იყო.

— ისე გასაღლები, ვერავინ გაიგებს! — კომენტარი მოჰყვა



თავში ჩარტყმას. ისევ გაეცინა სამივეს. გოგიას, გახეთქილი თავიდან თბილი სისხლი კისერსა და ზურგში ჩასდიოდა.

— რამდენი გაქვს!? — გაუმეორა პატარამ კითხვა.

— თვითონ ნახე! — უთხრა ნაცნობმა ხმამ პატარას.

— გააჩერე! — უბრძანა მესამემ.

გოგიამ გააჩერა.

— გადაჯექი!

პატარა გადახტა. მანქანას შემოურბინა. გოგიას მხარეს კარი გააღო.

გოგია დაჯდა პატარას ადგილას, დანისა და იარაღის თანხლებით.

პატარა საჭეს მიუჯდა. ჯერ გოგია გაჩხრიკა, მერე მანქანა.

— სამოცდაათია! — მოახსენა უფროსებს.

— გორისკენ დაანექი, პავლიკასთან!

პატარა „დაანვა“.

— კიდევ გექნება! — უთხრეს უკნიდან.

— რა? — უაზროდ იკითხა გოგიამ.

— გვუპაყრობს! — თქვა პატარამ და ახლა იმან გაანწა ხელუკულმა. გოგიამ კიდევ ამოიგმინა და მუშტი ხეთქა ცხვირში ქერათმიანს.

საშინელი ტკივილი და ხმაური ჩაუდგა უცებ მთელ სხეულში.

— დაიცენტრე!? სად ისვრი?! — იყვირა ერთმა.

— გზიდან გადაიყვანე! — ბრძანა იმან, ვინც ისროლა. მანქანამ გზიდან გადაუხვია. გაჩერდა. სამივე გაიქცა.

გოგიას მარცხენა ბეჭი ძალიან სტკიოდა. მანქანის კარი გააღო. გზაზე გასვლა დააპირა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და პირაღმა დაეცა. „ვარსკვლავებიც კი არ არის ცაზე“, — გაიფიქრა გოგიამ და გონება დაკარგა. მერე ისევ მოუვიდა, იმას თუ გონება ერქვა; იმიტომ, რომ არც არაფერი სტკიოდა, არც ის ახსოვდა, სად იყო. „შენი სახელის წირიმე ღმერთო, მალე გაათენე“! — ფიქრობდა გოგია და კვდებოდა. — „მალე გაათენე, მარინა მელოდება! მალე! ჩემი მარინა, ღმერთო“!

ერთი თვის დასაფლავებული იყო გოგია. ბავშვებს ეძინათ. ღამე იყო. მარინა ტახტზე იჯდა, საზამთროდ წინდებს უქსოვდა შვი-

ლებს. ერთი თვე იყო გასული და გოგიას მოფერებას მოკლებული ქალი სურვილს დილიდან დაღამებამდე შრომაში და თავისივე სხეულში კლავდა.

ქსოვდა და უცებ, რაღაც ძალიან ძლიერმა დაუარა სხეულს, შიშით ძლიერმა. წამოაყენა ფეხზე ამ ძალამ და ოთახის შუაგულამდე მიიყვანა. ნელა დაეშვა იატაკზე მარინა, მერე დაეგდო, ისე, როგორც მაშინ, გოგია რომ სცემდა ხოლმე. ცრემლები ლაპალუპით მოსდიოდა, არ ყვიროდა ოღონდ. მაგიდის ფეხს ორივე ხელით ეხვეოდა, სახეს უსვამდა და ჩურჩულებდა: — „მცემე, გოგია, შენი ჭირიმე, ბიჭო, მცემე“!..

## ნუციკო ემხვარი

ნუციკო ემხვარი 18 წლის იყო. მწვანე თვალებს ბავშვური ნაპერწკლები ახლდა, ტანს და ხელებს — ქალურობა უცნაური. შავი თმა აწეული ჰქონდა კისერთან. მსუბუქად დადიოდა. საოცრად მსუბუქად, დაფრინავდა თითქოს.

მეექვსე სკოლა დაამთავრა ნუციკომ. უნივერსიტეტის სტუდენტი, პოეზიით იყო გატაცებული. გვიან ღამემდე კითხულობდა ლექსებს, მერე სიზმრებს ხედავდა. ზოგჯერ — არაფერს განსაკუთრებულს, მაგრამ რომ გაიღვიძებდა, სიამოვნებდა რაღაც, ძალიან.

ნუციკოს თეატრი უყვარდა, სცენის სუნიც კი. ბილეთს ყოველთვის სცენის ახლოს იღებდა. სპექტაკლის დროს თვალს არ ამორებდა მსახიობებს. შესვენებისას ქალებს უცქერდა, რომელთაც მდიდრული სამკაულები ეკეთათ, თეთრი მარაოებით იწივებდნენ სახეს და ერთმანეთში დიდხანს საუბრობდნენ.

ნუცას ბებია ზრდიდა. მამა არ ახსოვდა. ძალიან ჰგავდა ნუციკო დედას. დედამისი ახალგაზრდა და ლამაზი იყო. ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე. 15 წლის იყო ნუცა, დედამისი უცებ რომ გარდაიცვალა, გულით. გარდაიცვალა ყველასთვის მოულოდნელად. არ განვალებულა. ბებია ზრდიდა მარტო დარჩენილს, უზარმაზარ სახლში, სადაც ძველი, წითელი ხის როიალი იდგა და ძველებური ავეჯი, მწვანე, ხავერდგახეხილი სავარძლებით. ფანჯრებზე სქელი და მძიმე ფარდები ეკიდა.

ნუციკოსთან ამხანაგები მოდიოდნენ ზოგჯერ. პირველკურსელები ცდილობდნენ დიდებივით ესაუბრათ. მერე ნუცას თხოვდნენ, რამე დაგვიკარო და ისიც, თავისი გამხდარი თითებით, რომელიც ძველ, რუსულ ვალსს ასრულებდა.

როცა ნუციკო სახლში მარტო დარჩებოდა, დედამისის ოთახის კარს ფრთხილად შეაღებდა, კარადას მიუახლოვდებოდა და კაბებს გამოაწყობდა, რომელთაც დედის სუნამოს თუ ტანის არომატი შერჩენოდათ ოდნავ. ჩაიცვამდა რომელიმეს ნუციკო, სარკესთან ჩერდებოდა. მაღალყელიანი ქალის სურათს უყურებდა, კედლიდან რომ უცინოდა. მოენატრებოდა დედა და იტირებდა ჩუმად.

ნუციკოს სილამაზეზე სტუდენტები ჯერ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მერე — აღარ. იმიტომ, რომ ნუციკო მათ მეგობარს შეუყვარდა.

ნუცასაც მოსწონდა გურამი, ყოველ შემთხვევაში, სხვებისგან არჩევდა. გურამი მაღალი იყო, ბავშვური სახე და შავი, სევდიანი თვალები ჰქონდა. გამოცდებს აბარებდნენ. ერთ საღამოს, უნივერსიტეტში მეცადინეობის შემდეგ, ნუციკო გურამმა სახლამდე მიაცილა. მთელი გზა რაღაცას უყვებოდა, ნუხდა, რომ ღელავდა და არეულად ლაპარაკობდა; უცებ, დიდ სადარბაზოსთან შეაჩერა, ლოყაზე აკოცა, ტუჩებთან ახლოს.

ახლა სიზმრებში ნუციკო გურამთან იყო სულ და კოცნიდა კიდევ. კარგა ხნის მერე ცხადშიც კოცნიდა, რაღაც სირცხვილისა და სიამოვნებისაგან ანითლებული.

გურამთან სახლში დადიოდა. ერთი ოთახი იყო, თეთრად შეღებილი კედლებით. რკინის სანოლი კუთხეში იდგა. გვერდით, პატარა მაგიდა, რაზედაც ხშირად ცარიელი ღვინის ბოთლები და სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლე იდო. წიგნები იატაკზე ელაგა. გაფუჭებული კედლის საათი სულ თერთმეტს აჩვენებდა. ორი კედელი გურამის ნახატებით იყო სავსე. გამოირჩეოდა ვიღაც ფრანგი მხატვრის ნატურმორტი ყვავილებით, რომელიც გურამის ბაბუისთვის ერუქებინათ ადრე, საფრანგეთში.

ძალიან უყვარდა ნუციკოს ეს ნახატი. ხშირად მიდიოდა ახლოს კედელთან. ხელს წაიღებდა ფრთხილად ნახატისაკენ, მერე, ისევ ჩამოუშვებდა პატარა ბავშვივით, რაღაცაზე ხელის მოკიდებას რომ აუკრძალავენ, ისე.

ასე რატომ მიყვარსო, — ჰკითხავდა თავის თავს. ის კი ახსოვდა, პირველად რომ აკოცა გურამს, — იმ ყვავილებს უყურებდა.

ღამე არ ეძინა. დილით მივიდა გურამთან, ჩუმად მიუახლოვდა

სანოლს და აკოცა საფეთქელთან. გურამის თვალებმა ნუციკო დაინახეს. წითელი კაბა ეცვა, დიდი, თეთრი საყელოთი. თვალები უბრწყინავდა. სანოლზე ჩამოჯდა. ყავა მიიწაო, — უთხრა და მე თვითონ გავაკეთებო, — დააყოლა. წამოდგა, ქურისკენ წავიდა. გურამმა თვალი გააყოლა გრძელ ფეხებს, ასე მსუბუქად რომ მიდიოდნენ.

ისევ დაბრუნდა სანოლთან, დიდხანს კოცნიდა. ხელები წითელი კაბის ლილვებს ხსნიდნენ აჩქარებულად. ყავა გადმოვავო, ჩუმად თქვა ნუციკომ. კიდევ რალაცის თქმა უნდოდა და ვეღარ თქვა. ერთი ხელით სანოლის ცივ რკინას გრძნობდა; რცხვენოდა. მერე იმ ნახატს შეხედა, ასე რომ უყვარდა. ნახატი დაკარგეს თვალებმა. ისევ იპოვა. რამდენჯერმე დაირწა კედელზე, შორს წავიდა, დაპატარავდა, გაქრა. ქურაზე გადმოსული ყავის და სუნთქვის ხმა ისმოდა ოთახში.

ყველაზე კარგი, ნუციკო ემხვარის ცხოვრებაში, ერთი იანვრის საღამო იყო. თოვდა. მისი ფანჯრიდან ქუჩის სინათლეზე ჩანდა, როგორი დიდი ფიფქებით თოვდა. ისეთი სიმშვიდე იყო, თოვის დროს რომ იცის მხოლოდ. ნუციკო როიალზე რალაცას აწყობდა. იგრძნო, ვილაც უყურებდა. მრგვალ სკამზე შეტრიალდა. გურამს შავი პერანგი ეცვა, ყავისფერ ქურთუკზე საყელოგადაწეული. თოვლით ჰქონდა გათეთრებული თმა. იმ ნუთში იგრძნო ნუციკომ ყველაზე მეტად, რომ არ შეეძლო უმისოდ. კისერზე ჩამოეკიდა და აკოცა ლოყაზე. ესიამოვნა, ზამთრის სიცივე რომ დაჰყოლოდა ლოყას.

მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ ორივენი. ნუციკოს უნდოდა, დიდხანს გაგრძელებულიყო, სულ ეცქირა შავი თვალებისათვის, ორივენი ასეთი ახალგაზრდები ყოფილიყვნენ.

მერე, ცოლი გახდო ჩემი, — სთხოვა ისეთ დროს, სულ რომ არ ელოდა ნუციკო. გაეცინა, გურამიც აჰყვა. მერე, ზაფხულშიო, — გადანყვიტეს.

ზაფხულში საშინელი სიცხე, მტვერი და ყვირილი იყო სადგურზე. ერთმანეთში ირეოდა ქალი, კაცი, ბავშვი, ფორმიანი და უფორმო. სატვირთო ვაგონები გავსებული იყო ჯარისკაცებით. ქალები ფარაჯებში გამოწყობილებს კოცნიდნენ და ტიროდნენ. რადიოში, სასულე ორკესტრის ხმა, ვერ ფარავდა ხმაურს. ნუციკო ხის ბოძ-

თან იდგა ამხანაგებთან ერთად. რამდენიმე ჯარისკაცი იყო მათ შორის. ერთი მის გვერდით იდგა. ყველაზე მაღალი იყო. თვალები შავი ჰქონდა და ნაღვლიანი. ნუცა ჩუმად იყო, ხელი იმის ხელისთვის დაედო. — „არ ვთგრნოს!“-ო, ვილაცა ყვიროდა. ხომ დამელოდებიო, — ნუციკოს ეუბნებოდა, თვალებზე კოცნიდა, — თავს მიხედო. მატარებელს შეახტა, მერე ბიჭებს ხელი გააშევიბინა და ისევ ბაქანზე აღმოჩნდა... სველ თვალებს აკოცა. ჩემთან გადადიო, — თხოვა, — რამე მითხარო. მე თუ რაიმე მომივა, ჩვენს ნახატს გაუფრთხილდიო. ვილაცამ ძალით აიყვანა. ათასი ხელიდან არჩევდა ნუციკო მისი მისამართით დაქნეულ გამხდარ ხელს. ჩუმად ტიროდა. მატარებელი მიდიოდა ნელა და მიჰქონდა ყველაფერი.

ორმოცდარიო წლის სექტემბერი იყო, ნუციკო ემხვარმა მისი დაღუპვის ბარათი რომ მიიღო.

დრო გავიდა. ის ბავშვური ნაპერწკლები აღარ ჰქონდა თვალებს და სიმსუბუქე ტანს. ნახატს ოთახში ისევ უყურებდა, მაგრამ არაფერი ესიზმრებოდა და არც უნდოდა გაღვიძებოდა.

მერე დიდი დრო გავიდა. ვილაც გაიცნო — რუსეთიდან ჩამოსული ინჟინერი და გაჰყვა ცოლად. ერთი წელი ცხოვრობდა სხვა ქალაქში, მისთვის მაინც უცხო კაცთან. მერე ველარ შეძლო და დაბრუნდა იმ პატარა ოთახში.

ნუცა ემხვარზე იძახდნენ, უცნაურიო. ვილაცამ თქვა, იმ ბიჭის მერე ჭკუაზე ვერ მოვიდაო. სხვამ დააყოლა: კარგი რა, რამდენი ხანი გავიდა იმის მერე, გიჟია ნამდვილიო. მერე ნუცა ემხვარს სახელითა და გვარით არ იხსენიებდნენ და აი ის, მარტო რომ ცხოვრობს, ლამაზი, უცნაური ქალი რომ არისო, — ასე ამბობდნენ მასზე.

ორმოცდაათი წლის იყო. სავარძელში იჯდა თავის ოთახში. ერთ კედელზე საათი ისევ თერთმეტს აჩვენებდა. გვერდით ნატურმორტი იყო ყვავილებით. ეძინა და ვილაცას სიბნელეში უთხრა, მალე მოვალო. ტკივილმა გააღვიძა გული. ნამოდგომა სცადა, ნამოდგა კიდევ. უცებ მოეხსნა ტკივილი და ძალა გამოეღია ისე, რომ ესიამოვნა კიდევ. ყვავილებს მოჰკრა თვალი. გაეღიმა დაღლილს. სავარძელში ნელა დაეშვა და მიხვდა, რომ ვერასოდეს ადგებოდა.

წვიმდა. გამურული იყო ცა. სველი, ყვითელი ფოთლები ეყარა მიწაზე. ნუცა ემხვარის სახეს და ტანს ნაცრისფერი ნაჭერი ფარავ-

და. თმები მოუჩანდა მხოლოდ. მესაფლავეებს სარეცლის ქვევიდან მოესწროთ თოკების გაყრა და თითქოს სტარტზე იდგნენ და ნიშანს ელოდნენო. ისეთი სიჩუმე იყო, მხოლოდ სასაფლაოზე რომ იცის. ვიღაც ქალის ტირილი ისმოდა შორიდან.

— გასსოვს მაინც, როგორ უყვარდა? — ჰკითხა მალაღმა, ჭაღარა კაცმა გამხდარ, ქოლგიან ქალს.

— ნე გრვრპმ! — თქვა ქალმა.

— ჰთკთჟ რნთ ქძოთ კბთყმვთჟ. — ისევ კაცმა თქვა. — ძელნთჟ ნუჯმკრ, — დააყოლა.

— ნეი, რნთ ქძოთ ნენრპსთოტნთჟ. პთზვე სრდნრ ითკ ქეზ კრნჯთ თბქმიტ? — ღმერთო მაპატიე! — თქვა ქალმა და სრულიად მშრალი თვალეზი, ცხვირსახოცი თ მაინც მოინმინდა.

ემზვარის თთახში გრძელი სუფრა იდგა და ხის გრძელი სკამეზი ენყო, გაზეთებგადაფარებული.

ქელეზი რომ დამთავრდა, მეზობლებმა დიდხანს უხსნეს ერთმანეთს სიყვარული. მერე დაიშალნენ. ღვინითა და სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ თთახში ერთი ნახატი დარჩა. მეზობლის ახალგაზრდა რძალმა კედლიდან ჩამოხსნა ნატურმორტი ყვავილებით, გარეთ გაიტანა; დიდი ბოქლომი დაადო ემზვარის თთახს და — „ეს თთახი ხო წამართვა, მარა ამ ნახატს მაინც არ შევარჩენ ვარდენ კიკაჩეიშვილსო“, — გაბრაზებულმა გაიფიქრა.

ირი

ორმოცი წლის კაცი, გრძელი პალტოთი, ხიდზე იდგა და რკინის ჩუქურთმიან მოაჯირს დაყრდნობოდა. წყალს უყურებდა. ბნელდებოდა. ხალხი არ იყო. დროგამოშვებით, ვინმე ჩქარი ნაბიჯით თუ ჩაუვლიდა. ნაბიჯებს დაითვლიდა. კარგა ხანს იდგა ასე, მოაჯირს დაყრდნობილი.

ვილაც მოდიოდა, ოღონდ, ჩქარი ნაბიჯით არა. ნაბიჯების ხმა მის უკან შეწყდა. ცოტა ხანს არ შეხედა. მერე ცნობისმოყვარეობამ დასძლია და მოტრიალდა. მის წინ ქალი იდგა. ზურგი აქცია და წადიო, — უთხრა. ხიდზე ისევ ახმაურდა ნაბიჯები, ისევე ნელა. „ეგლა მაკლდაო“, — გაიფიქრა და გოგოს თვალები გაახსენდა უცებ. სწრაფად გახედა ნაბიჯებს. დაუძახა. ის დაბრუნდა. ახლოს მივიდა. მამაკაცი წელში გაიმართა. მაშინ შენიშნა, რომ ახალგაზრდა იყო გოგო და ძალიან კარგი. „რატო ასეთი კარგიო“, — გაიფიქრა.

— თქვენ დამიძახეთ თუ მომეჩვენა? — ჰკითხა გოგომ.

— ჰო, მე დაგიძახეთ. თქვენ?

— თუ წამიყვანთ სადმე, კარგი იქნება. — უპასუხა გოგომ და გაუღიმა. თეთრი კბილები გამოუჩნდა. ღიმილის დროს ორი წერტილი გაუჩნდა ლოყებზე. ღიმილმა უფრო დააკლო წლები.

ხიდს გადავიდნენ ისე, რომ არცერთს უთქვამს რაიმე. გოგომ ფრთხილად გაუყარა მკლავში ხელი.

— თქვენ გაბრაზებული ხართ რაღაცაზე. — უთხრა გოგომ და გაიღიმა ისევ.

— მე, ანდრეი მქვია და გაბრაზებული არა ვარ. — უპასუხა კაცმა.

— მე, ირი.



— ირი, ირი, — ორჯერ თქვა კაცმა.

— თქვენ რუსი ხართ?..

— ადვილი გამოსაცნობია. ჰო, მე რუსი ვარ. ვგავარ რუსს?! მარტო ვდგავარ პარიზში, ხიდზე, მონყენილი და სამოქალაქო ომი მთავრდება რუსეთში.

ქარმა ძლიერად დაუბერა. ირი აიბუზა და მკლავში გაყრილი ხელი მამაკაცის ჯიბეში ჩააცურა. ხელი, ხელს მოხვდა. კაცმა გაყინულ ხელს თავისი დიდი მტევანი შემოავლო.

— სულ გაყინულხარ... — გაიფიქრა კაცმა.

— მცივა ძალიან.

— სად წავიდეთ?

— მე მშია კიდეც!

კაცმა შეხედა ფერმკრთალ სახეს.

— მეც მშია! მალე შევეჭამთ.

კაცმა ხელი უფრო მაგრად მოჰკიდა და ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ადრეც იცნობდა ამ პატარა გოგოს.

სასტუმროს სინათლე ქუჩასაც ანათებდა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ?

— პატარა ნომერი მაქვს აღებული.

— აქ არასოდეს ვყოფილვარ.

კაცმა შეხედა. გოგომ გაუცინა.

— ლამაზი თვალები გაქვს ირი, — ხმადაბლა უთხრა. — როცა იცინი, თვალებიც იცინიან.

— ჰო, მამა სულ მაგას მეუბნებოდა.

— სხვა არ გეუბნებოდა?

— კი, ყველა, მაგრამ თქვენ მამას გავხართ, ოღონდ, უფრო ახალგაზრდა ხართ.

სასტუმროში თბილოდა. კიბეებს აუყვანენ. ირი აქეთ-იქით იყურებოდა. ოთახში შევიდნენ. კაცმა ხელით მოძებნა ჩამრთველი და ოთახი გაანათა. ირი შუა ოთახში იდგა.

— რა კარგია თქვენთან.

— რა არის კარგი?

— თქვენი ოთახი. მე მიყვარს ასეთი პატარა ოთახები და ამდენი შუქი.

— იშვიათად გინევეს კაცებთან ასეთ ოთახში ყოფნა? — გაბრაზებით თქვა კაცმა და გაუკვირდა, რატომ ეწყინაო.

ირი ფანჯარასთან მივიდა.

— მე კაცები არ მიგულისხმია. საერთოდ, ასეთი ოთახი მიყვარს-მეთქი! — არ გამოუხედავს, ისე თქვა.

— პალტო გაიხადე და დაჯექი. — უთხრა კაცმა. თვითონ დივანზე ჩამოჯდა.

— თქვენ რატომ არ იხდით პალტოს?

— კარგი, ამ „თქვენს“ ნულარ მეძახი. ან სახელი დამიძახე, ან შენობით მომმართე.

ირიმ ნელა დაიწყო ღიღების გახსნა.

— მე საჭმელს ამოვიტან რესტორნიდან. თუ გინდა, ქვევით ჩავიდეო.

— არა, არა, რესტორანში არ მინდა, აქ ჯობია.

ირიმ პალტო სავარძელზე გადასდო, ქუდიც მოიხად. თმები ანეული ჰქონდა. სამაგრი ამოიღო თმებიდან და უცებ, გრძელმა თმამ მხრები დაუფარა.

კაცის წინ იდგა ოცი წლის გოგო, გრძელი კაბით და გრძელი ფეხებით, ახალგაზრდა მკერდით და უფრო ლამაზი თვალებით.

— რა ლამაზი ყოფილხარ!..

გოგომ ხმამაღლა გაიცინა: — ვიცოდი, რომ ამას მეტყოდით; — ისევ იცინოდა.

— რა გაცინებს?

— ყველა მაგას მეუბნება, როდესაც ვიხდი და თმებს ვიშლი.

— გაანყალე შენ, ამ ყველათი საქმე!

— მე ხომ ვთქვი, გაბრაზებული ხართ-მეთქი.

— „თქვენ“, კი არა, „შენ“! ირი, მოდი ჩემთან. — ირი მივიდა და გვერდით დაჯდა.

— მართლა ჰგავხართ მამას, ოღონდ, უფრო ახალგაზრდა ხართ.

— მე საჭმელს ამოვიტან.

— ძალიან კარგი იქნება. მთელი დღეა, არაფერი მიჭამია.

კაცი ოთახიდან გავიდა.

ირი დივნის ზურგს მიეყრდნო.

ოთახს თვალი მოავლო. დივნის პირდაპირ ერთი საწოლი იდგა.

გვერდით, კარადა. კარადის კარი ღია იყო და იქიდან მამაკაცის პერანგები და სამხედრო ფორმა მოჩანდა. ირი წამოდგა და კარადასთან მივიდა. ნაჭერი მოეწონა. ფორმას ხელი აუსვა. მერე შემოტრიალდა. სანოლთან, პატარა, მრგვალ მაგიდაზე წიგნი დაინახა გადაშლილი, ხელში აიღო და ვერ წაიკითხა რუსულად. მერე ფურცვლა დაუნყო, იქნებ, ნახატები იყოსო. რომ ვერ ნახა, ისევ ადგილზე დადო და დივანს დაუბრუნდა.

ცოტა ხანში მადიანად შეექცეოდნენ.

— მე ძალიან ბევრი მომივიდა. — თქვა ირიმ, როცა ყველაფერი მთავრდებოდა.

— მეც მომშიებია. — თქვა კაცმა.

— ამ ღვინომ დამათრო. იცით, მე სულ ვერა ვსვამ. თქვენთან, რუსეთში სვამენ ქალები?

— მერე როგორ! — ცოტა ხნის შემდეგ თქვა კაცმა.

— გამოიქეცით?

— წამოვედი, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— არაფერი. მითხარით რა, რა მაგრამ? .....

ირი ისევ მიეყრდნო სავარძლის ზურგს და ოთახში ჩამოკიდებულ ჭალს ახედა. კაცმა სიგარეტს მოუკიდა და ირის მიანოდა. ირიმ არ გამოართვა. კაცი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

— დაწვე უკვე? — ჰკითხა ირიმ.

— არაფერი საჩქარო არ არის. — თქვა კაცმა.

— მე სულ არ მინდა.

კაცი მოტრიალდა.

— მაშინ, მე დივანზე დამიგე, შენ, ლოგინში დაწექი. დალლილი ხარ ალბათ, თანაც, გვიანია უკვე.

ირიმ გაკვირვებით შეხედა.

— ჰო, ჰო, მე დივანზე დამიგე. — გაიმეორა კაცმა.

ირი წამოდგა და ლოყაზე აკოცა ისე, როგორც პატარა გოგოებმა იციან. კაცმა ხელი მოისვა.

— თქვენ კარგი ხართ. — უთხრა ირიმ.

დივანზე ჩამოჯდნენ. გოგო მკერდზე მიეყრდნო. კაცმა თმებზე მოჰკიდა ხელი.

— ნუ ხართ ასე მოწყენილი. — უთხრა გოგომ და თვალებში შეხედა. კაცი დაიხარა და პატარა ტუჩებს აკოცა. ირი წამოდგა, კაციც, და მაგრად მიიზიდა თავისკენ; მკვრივი ტანი მთელ სხეულზე ედებოდა. ხელები ნელზე მოხვია და ძალიან მოუნდა მასთან ყოფნა.

— მე სინათლეს ჩავაქრობ. — ჩუმად თქვა გოგომ.

\* \* \*

ფანჯრიდან მთვარის შუქი ეცემოდა სანოლს. ირის კაცის მკლავზე ედო თავი და ფანჯარას უყურებდა.

— ნეტა თოვლი მოდიოდეს — თქვა გოგომ.

— რად გინდა თოვლი?

— რა ვიცი! ახლა ძლიან მომინდა, რომ თოვლის ფიფქებს ვხედავდე. აი, ასე ვინვე თქვენთან ერთად და ფიფქებს ვუყურებდე.

— კიდევ თქვენობით მელაპარაკები?

— მეც მიკვირს, რატომ.

— ალბათ, ძალიან უცხოდ მთვლი მაინც და იმიტომ.

— არა, არა, არა, პირიქით! შენ; აი, ვთქვი. — შენ ყველაზე ახლობელი ხარ.

— აი ასე. ახლა დაიძინე.

— შენ დაიძინე. მე სულ არ მეძინება.

— მეც არ მეძინება.

— სად ისწავლეთ ასე კარგად ფრანგული?

— რუსეთში.

— ის რა წიგნია, მაგიდაზე რომ დევს?

— ის კარგი წიგნია ძალიან.

— ფრანგულად კითხულობ?

— კი.

— მაინც, ის რა წიგნია?

— ბიბლიაა.

— რა საინტერესოა. მამასაც ჰქონდა ბიბლია, ოლონდ მაშინ პატარა ვიყავი.

— მამა სადაა?

— მამა აღარაა, არც არავინ აღარაა. დედა რომ მოკვდა, მამა გალოთდა.

— ახლა სად ცხოვრობ?

— არსად. უფრო სწორად, ერთ პატარა ოთახში, თუ ოთახი შეიძლება იმას ერქვას. მამა რომ გალოთდა, მაშინ გაიტანა სახლიდან ის ბიბლიაც, სხვა წიგნებთან ერთად. ბოლოს, არაფერი რომ არ დარჩა გასაყიდი, წიგნებს მიადგა. მაგრამ მე მაინც მიყვარდა მამა. ეს სულ ორ წელიწადში მოხდა. შარშან დავასაფლავე. ახლა რომ ვფიქრობ მამაზე, ცუდი არაფერი მაგონდება, არც იმ ორი წლის ლოთობა მაგონდება. ადრე როგორიც იყო, ისეთს ვხედავ: — ლამაზი, ჯანმრთელი, აი ისეთი, შენ რომ ხარ, ოღონდ, იმას მაშინ მოწყენილი არ ჰქონდა თვალები... ერთი წელია დავინყე.

— რამ დაგანყებინა?

— შენ გიშიმშილია როდისმე?! — გაბრაზებით თქვა გოგომ.

— არა, არასოდეს.

— მაშინ ცუდს ნურაფერს მეტყვი. მე ძალიან კარგად ვიცი, რაც არის. ნურც იფიქრებ ჩემზე ცუდად, იმიტომ, რომ მე, გამოვისყიდი. ცოტა ხანს ვაცლი და თუ ასე გაგრძელდა, თავს მოვიკლავ.

— ბავშვი ხარ.

— ვიყო, გამოვისყიდი ამით.

— ერთ ცოდვასაც მიამატებ.

— არა, მე ასე არ ვფიქრობ.

გაჩუმდნენ. ირი ისევ ფანჯარას უყურებდა. კაცი ირიზე ფიქრობდა.

— შენ ძალიან კარგი ხარ. — უთხრა ირიმ და მკლავზე აკოცა.

— რატომ გგონია?

— მამას გავხარ... ხვალ გაგაღვიძო ადრე?

— არა, არსად არ მეჩქარება.

— აბა, მე წავიდე ადრე?

— როგორც გინდა. თუ შენც არ გეჩქარება, იყავი.

— ჩემზე ნუ ფიქრობ. მე გაგდებასაც ვარ მიჩვეული.

— არა, მე ჩემზე ვფიქრობ...

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

— ანდრეი!

— რა იყო?

— კარგია რუსეთი?

— ძალიან! ყველაფერზე კარგია!

— არ ჩაგესვლება?

— არა, ირი!

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ბავშვობაში, გავი-  
გონებდი რამეს რუსეთზე და მერე, მამას ავიკლებდი კითხვებით.

— შიშველ მკლავზე აკოცა.

— ირი!

— რა იყო?

— ყველაზე კარგი სასტუმრო რომელია აქ?

— აქვეა, ახლოს; რა იყო?

— არაფერი; ახლა გამახსენდა, რომ არც მიკითხავს, პირდაპირ  
აქ მოვედი.

— სასტუმროზე გამახსენდა...

— ირი, იცი, რა კარგი თვალეები გაქვს?! — შეაწყვეტინა კაცმა.

— მოიცა! სასტუმროზე გამახსენდა-მეთქი. დღეს დილით სას-  
ტუმროდან გამოვდიოდი. კარებში ახალგაზრდა კაცი შემეფეთა,  
გზა დამითმო; მე გავიარე, გამომეკიდა და მკითხა, რა გქვიაო. ირი-  
მეთქი, — ვუთხარი. ჩემს ხელს მოკიდა ხელი და იცი, რა ქნა?

— რა, ირი?

— ხელზე მაკოცა. ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია, არავის უკოც-  
ნია ჩემთვის ხელზე. ისე უჩვეულო იყო, რომ სასწრაფოდ გამოვტაცე  
ხელი. მერე შევწუხდი, ასე უხეშად რომ გავაკეთე და გავუღიმე. მე-  
რე მითხრა, მაპატიეთ თავხედობისთვის და იქნებ გამაბედნიეროთ  
და შემხვდეთ სადმეო. თუნდაც ნახევარი საათითო. მე უარი ვუთხა-  
რი. შუადღისას ჩემი ერთი ნაცნობი ბიჭი მოვიდა. არა, ანდრეი, საყ-  
ვარელი არა, ფული მიაქვს ხოლმე ჩემგან; ვინმე მდიდარს გამირი-  
გებს და ნახევარი მიაქვს. ყველაზე ცუდი ადამიანია, ვინც კი შემხ-  
ვედრია ცხოვრებაში. მოვიდა და მითხრა: ერთი ძალიან მდიდარი კა-  
ცია ჩამოსული და ლამაზი ქალი უნდაო. თანაც, ძალიან ისეთი არაო,  
ნუ, ხომ გესმის? გავყევი და შორიდან დამანახე-მეთქი, ვუთხარი.  
ყოველთვის ასე ვაკეთებ. იმ სასტუმროსთან მიმიყვანა, საიდანაც  
დილით გამოვედი. ხეს მოვეფარე. მალე დაბრუნდა და კარებში შემა-

ხედა. აი, ის არისო. ის კაცი იყო, ანდრეი, დილით რომ შემხვდა. რაც არ უნდა მოეცათ, არ წავიდოდი. იმიტომ დავრჩი მშვიერ.

ირი გაჩუმდა. თვალები დახუჭა.

— ირი, — ჩუმად უთხრა ცოტა ხნის შემდეგ, — ხომ არ გძინავს?

— არა. არც მინდა დავიძინო, ისე კარგად ვარ შენთან.

— შენ წურსად წუ წახვალ ხვალ.

— როგორ?

— ისე, არსად არ წახვიდე. და საერთოდ, მარტო ჩემთან იყავი.

ხომ გირჩევნია?

— რას ამბობ?

— რასაც ვამბობ. მეც მარტო ვარ.

— და არ გამაგდებ? — სანოლზე წამოჯდა ირი.

— დანქი! — ირი ისევ გვერდით მიუწვა და მოიხარა ლოგინში.

— არ გამაგდებ?

— დაიძინე შენი ჭირიმე. როგორ გაგაგდებ?

— მე უკვე ვიცი, როგორც მეყვარები...

— არასოდეს არ იციან, როგორ ეყვარებათ.

— მე ვიცი.

\* \* \*

ზამთარი იყო. ნამდვილი, ციმბირული. ხის ბარაკში პატიმარი ქალები ერთ პურს პატარა ნაჭრებად ჭრიდნენ.

— სანყალი ფრანგი, როგორ მკვდარივით სძინავს. — თქვა ერთმა, სხვებთან შედარებით, მსუქანმა ქალმა.

— ეგ ვინლა? — იკითხა სხვამ.

— გუშინ ღამე მოიყვანეს. — თქვა ისევ მსუქანმა. — სიცხისგან მთელი ტანით კანკალებდა, ჩემი... დავახურე.

— სულელი! — დააყოლა მეორემ. მეფის ოფიცერს გამოჰყოლია საფრანგეთიდან; ყოფილიყო თავის ქვეყანაში; შეუყვარდა! — ცინიკურად დაამთავრა.

— გააღვიძე, ცოდო! — თქვა ისევ მსუქანმა. — ერთი პატარა ნაჭერი იმასაც ერგება.

— რა ჰქვია?

- ირი, მე მგონი.  
გამხდარი ქალი ნარებთან მივიდა.  
— ეი, ირი, გაიღვიძე! პური არ გინდა?  
— არ იღვიძებს. — მოუტრიალდა ქალებს.  
— ეი, ფრანგო! — ხელით შეანჯღრია. სწრაფად მოტრიალდა. —  
მკვდარია, გოგოებო!  
ხის ბარაკებს ქარი კივილით იკლებდა.



## კაპიტანი

კარი ახალგაზრდა გოგომ გაულო. მეზღვაურის ფარაჯა ეუცხოვა.

— ვინ გნებავთ?

— ქალბატონი ლიანა მინდოდა, — უპასუხა შუახნის კაცმა. როგორ ჰგავსო, — იფიქრა და გაუღიმა გოგოს.

— მობრძანდით! — კარი ფართოდ გამოალო და მეზღვაური შევიდა.

— გაიხადეთ და შემობრძანდით ოთახში, დედა მალე დაბრუნდება. — უთხრა გოგომ და კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

კაპიტანი იქნებოდა ორმოცდაათს გადაშორებული გამხდარი კაცი, გრძელი სახით; ლურჯი, მაგრამ უკვე გახუნებული თვალებით; ფარაჯა გაიხადა და როცა ჰკიდებდა, გოგომ ძარღვიან ხელზე ამოტვიფრული ღუზის ნაწილი დაინახა. ფარაჯაგახდილი უფრო გამხდარი გამოჩნდა. მეზღვაურმა ფორმა ხელებით ქვევით დასწია, თმებზე ხელი გადაისვა და ისევ გოგოს შეხედა.

„ნეტა ახალგაზრდა იყოს“, — გაიფიქრა გოგომ და გაუღიმა.

კაპიტანი ოთახში შევიდა.

— აი, აქ დაბრძანდით! — მიმართა გოგომ და როკოკოს სტილის თეთრ სავარძელზე მიუთითა. მეზღვაური დაეშვა სავარძელზე. ცოტა ხანს უხერხულად იჯდა, მერე უკეთ მოეწყო და ოთახს გადახედა. ოთახის კედლები სავსე იყო ნახატებით. თითქმის ყველა მხატვარი იცნო, ორი-სამის გარდა. გაუკვირდა, ასეთი დიდი მხატვრების ორიგინალები, საიდანო. ოთახის ერთ კუთხეში ბუხარი იყო, ოღონდ ისეთი, არასოდეს რომ არ ანთებენ, შავი ფილებისაგან ნაშენი. ბუხრის თავზე მდიდრული ლარნაკები იყო ჩამომწკრივე-

ბული. სავარძლებს გარდა ოთახში ასეთივე ჩუქურთმებიანი მაგიდა იდგა; ზედ საფერფლე, დიდი, მასიური, სპილოს ძვლის, რომელზედაც ფერფლის კვალი არ ჩანდა.

„რა იყო ამ ოთახში?“ — ჰკითხა თავის თავს კაპიტანმა. — „სავარძლები იყო, ოღონდ ასეთი არა, უბრალო. კედლები ცარიელი; არა, ცარიელი კი არა, რამდენიმე უბრალო ნახატით ზედ და სარკე; ქალის ტუალეტი, პატარა, სამნანილიანი სარკე, რომლის თაროზეც დედამისის სურათი, ჩვენი, ერთად გადაღებული საერთო სურათი და საბუდრე, პერლამუტრის. ძველისძველი ნიგნების კარადა. ღმერთო, რა დიდი ხნის წინ იყო ყველაფერი“.

მეორე ოთახიდან ინსტრუმენტის ხმა მოისმა. დანყება რამდენიმეჯერ გაიმეორა იმან, ვინც უკრავდა. ბოლოს აღარ შეწყვიტა. რა ნაწარმოებს უკრავდა, ვერ გაიხსენა კაპიტანმა, ძალიან კი სიამოვნებდა. ინსტრუმენტის ხმა შეწყდა. საათმა დარეკა და იქით გაიხივდა. მაღალი კედლის საათი შვიდს აჩვენებდა. მეზღვაურმა ფიზიკიდან თავისი საათი ამოიღო და შეამოწმა. იმ ოთახის კარი გაიღო, სადაც უკრავდნენ და გოგო გამოვიდა.

— თქვენ უკრავდით? — ჰკითხა კაპიტანმა.

— დიახ. — უხერხულად უპასუხა გოგომ. — თქვენ მოიწყინეთ.

— არა, არა, პირიქით, ძალიან მსიამოვნებდა.

გოგოს შეეტყო გახარება. შეტრიალდა და ახლავე მოვალო, — უთხრა. ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა ოთახიდან, ლარნაკით ხილი მოჰქონდა. მრგვალ მაგიდაზე დადო.

— ნუ წუხდებით. — თქვა მეზღვაურმა.

— რას ამბობთ, მიირთვით, ძალიან გთხოვთ. — დანა აიღო და ვაშლის გათლას შეუდგა.

„ისეთი თითები აქვს, როგორც იმას“. — გაიფიქრა კაპიტანმა, — „მსუბუქი რაღაც“.

— რატომ იგვიანებს, არ ვიცი. — ისე თქვა გოგომ, თითქოს მისი ბრალი იყო, დედამისი რომ იგვიანებდა.

„იქნებ არ უნდა მოვსულიყავი?“ — გაიფიქრა კაცმა რატომღაც.

— მიირთვით. — მიმართა გოგონამ და თეფშით ვაშლი გაუწოდა.

— გმადლობთ.

გოგომ არ იცოდა, რა ეთქვა. კაპიტანი არც აპირებდა რამის თქმას, ამიტომ, სიჩუმე იყო. მერე გოგო წამოდგა და საათთან მივიდა. ისევ დაბრუნდა.

— კიდევ მიირთვით. — შესთავაზა. კაცს აღარ უნდოდა, მაგრამ აიღო, თანაც გაუღიმა და ძალიან გემრიელიაო, — თქვა.

— რა ადრე ბნელდება ზამთარში. — თქვა გოგომ.

— ჰო, ძალიან ადრე. — „ხმაც ისეთი აქვს, ქცევაც, სიარულიც“.

— ქალს არ უნდა ვეკითხებოდე წლოვანებას. — გაეცინა კაპიტანს და თეთრი კბილები გამოუჩნდა. — რამდენი წლისა ხარ, შვილო?

შვილოს გაგონებაზე თითქოს რაღაც ენყინაო გოგოს. ყოველ შემთხვევაში, წამდვილად არ ესიამოვნა რაღაც.

— ოცდაერთის. — ჩუმად თქვა.

„ზუსტად ოცდახუთი წელიო“, — გაიფიქრა კაპიტანმა.

გოგომ თვალელებში შეხედა.

— თქვენ გემზე მუშაობთ?

— კი, გემზე.

— დიდი ხანია ალბათ.

— ძალიან დიდი ხანია. — ისევ სიჩუმე იყო.

— თუ გინდათ, რომ არ მოვიწყინო, კიდევ დაუკარით. — სთხოვა კაცმა.

გოგო წამოდგა და ნელა გავიდა მეორე ოთახში. კარი ღია დატოვა. ისე, რომ მეზღვაური ხედავდა, როგორ მიუჯდა ინსტრუმენტს.

— რა დავუკრა? — ჰკითხა იქიდან.

— რაც გინდათ.

— თქვენ რასაც მეტყვით, იმას დავუკრავ.

უცებ კაპიტანი რაღაც სიხარულმა შეიპყრო. ეს იყო სიხარული გაუგებარი, არაფერთან დაკავშირებული, ოცდახუთი წლის წინანდელი გამეორება. უკრავდნენ თითები. მთელი ცხოვრება სულ ელოდა ამ გრძნობას. არ მოდიოდა. მერე შეეჩვია, რომ არ მოვიდოდა. ახლა კი, ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი ბიჭივით აღელდა, ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა ოთახში ისე, თითქოს საკუთარ სახლში იმყოფებოდა. ფანჯარასთან მივიდა და „ჯერ სულ არ წავ-

მხდარვარო“, — გაიფიქრა. მართლაც უხაროდა რაღაც, როგორც ბიჭებს უხარიათ ხოლმე.

კლავიმები არ ჩერდებოდნენ. ფანჯარასთან, ორმოცდათხუთმეტი წლის კაცის ნაცვლად იდგა მხრებში გამართული, მოლიმარი ბიჭი, რომელსაც ერთი ნიშანი ახლდა მხოლოდ სიბერის — მონოლილი ცრემლი თვალზე.

დაკვრა შეწყდა. მეზღვაური ოთახისკენ შეტრიალდა.

— იგვიანებს. — თქვა გოგომ.

— რა იგვიანებს? — იკითხა მეზღვაურმა.

— დედა იგვიანებს. — გაკვირვებული სახით უპასუხა გოგომ.

— ჰოო... დედამ დაიგვიანა. — გაუღიმა მეზღვაურმა.

— იცით, დედას არასოდეს არ ჰყოლია ავადმყოფი მეზღვაური.

— ვერ გავიგე.

— მაპატიეთ, პაციენტი მეზღვაური.

— ააა... ესე იგი, პაციენტი მეზღვაური. — გაუცინა გოგოს. — მე პაციენტი კი არა, დედათქვენის მეგობარი ვარ.

— ააა...

— არ ვიცი, თქვენ უკრავთ ასე კარგად, თუ მე გავახალგაზრდავდი. ალბათ კონსერვატორიაში ხართ...

— მეორე კურსზე, — უპასუხა გოგომ, მაგრამ ეტყობოდა, სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. — მეც ძალიან მიყვარს მეზღვაურები, — თქვა უცებ.

„მე ისე მიყვარს მეზღვაურები“... — სწორედ ასეთი ახალგაზრდები ვიყავით. არა, ცოტა უფროსნი, რომ მითხრა, მე ისე მიყვარს მეზღვაურებიო.

„მე ისე მიყვარს მეზღვაურები“... — გაიხსენა ისევ.

„რამდენი ხანია, რამდენი ხანია“? — ფიქრობდა კაპიტანი, — „დღეს ყველაზე მეტად ვგრძნობ ამ დროს“.

— ასე რომ, ალბათ მეზღვაური შემიყვარდება. — თქვა გოგომ.

— ფრთხილად იყავით, ცოტა ძნელია მეზღვაურის ცოლობა.

— კაცი რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად მეზღვაური ვიქნებოდი.

„კაცი რომ ვყოფილიყავი, მეზღვაური გავხდებოდი“... — მსგავსება კი არა, გამეორებაა და მე კიდევ ჩემს თავს ვკითხე, იყო თუ არა საერთოდ ის სიყვარული; სიყვარული და ყველაფერი

ის, ასე დიდი ხნის წინანდელი და ასე ნამდვილი; რასაკვირველია, იყო.

— ლელვის დროს საშიშია ალბათ ძალიან.

— ძალიან. ახლა აღარ არის საშიში.

— შეიძლება, ისე აღარ არის, მაგრამ მაინც ხომ ვაჟკაცობაა დიდი ლელვის დროს იქ ყოფნა.

— მეტი ველარსად ნახვალ, იქ უნდა იყო.

— „ლელვის დროს გემზე თეოდორ ნეტტე ანძები დატყდნენ როგორც მშვილდები, ფიქრებს მორევში რაც უნდა კეტდე, ერთ მათგანს მაინც ვერ მოსცილდები“...

— თქვა ჩუმად გოგომ ისეთი ტონით, როგორც პატარა გოგოები ამბობენ ხოლმე, როცა უნდათ აჩვენონ, რომ თითქოს მათაც აქვთ ბევრი წაკითხული, ნანახი და განცდილი. მეზღვაურმა ლიმილი შეიკავა.

„ისე, რა მართალია“, — გაიფიქრა მაშინვე, — „ფიქრებს მორევში რაც უნდა კეტდე, ერთ მათგანს მაინც ვერ მოსცილდები“.

„მე ისე მიყვარს მეზღვაურები... მეორე კურსზე ვიყავით...“

უცებ ტელეფონმა დარეკა და ფიქრი შეანყვეტინა.

— გისმენთ! — აიღო ყურმილი გოგომ. — არა, არ შემიძლია! — თქვა და განითლდა. ცოტა ხანს ჩუმად იყო. — კარგი! — თქვა მერე, თხუთმეტ წუთში! — ყურმილი დადო და ისე, რომ კაცისათვის არ შეუხედავს, ოთახიდან გავიდა. პალტომოხურული დაბრუნდა.

— მე ათი წუთით გავალ. უკაცრავად, მარტო რომ გტოვებთ.

— მეც წავალ. — თქვა კაპიტანმა და ფეხზე წამოდგა. — დედამ დაიგვიანა.

— მაშინ მეც არ წავალ. ძალიან გთხოვთ, მე ათ წუთში დავბრუნდები.

მეზღვაურს გაელიმა.

— ერთმა გოგომ რალაც უნდა მითხრას.

„ალბათ უნდა, რომ ის გოგო მეზღვაური იყოს“, — გაიფიქრა კაპიტანმა.

კარი გაიხურა.

„რამდენი წლის წინ იყო. მაინც, რომ ვერ მიცნოს?.. არა, არ შე-

იძლება, რომ ვერ მიცნოს. ნეტავ, ძალიან გამოვიცვალე?" — ბავშვივით ღელავდა კაცი და დიდ სარკეში იყურებოდა.

ოცდახუთი წლის წინ, მეორეკურსელი ბიჭი ასე, სარკესთან იდგა და ნახევრად სველ თმებს ივარცხნიდა. საღამო იყო. ბიჭებს უნდა გამოეველოთ და ლიანა ყიფიანის დაბადების დღეზე წასულიყვნენ. ლიანა და ის ორი წლის მეგობრები იყვნენ, ერთად სწავლობდნენ სამედიცინო ინსტიტუტში. ძალიან უყვარდა ლიანა, ლიანასაც უყვარდა. ზოგი ამბობდა, ლიანას უფრო უყვარსო. კარგად ხვდებოდა, რომ რალაცით მეტი უნდა ყოფილიყო ლიანაზე, უფრო რომ ყვარებოდა. უნდოდა, რომ ოცნება ყოფილიყო მისი. რა ექნა, ასეთი იყო ლიანა ყიფიანი. ახლაც, თმას რომ ივარცხნიდა, სულ სხვანაირი რომ იყო ლიანა, იმაზე ფიქრობდა; ისე, როგორც ყველა ფიქრობს ხოლმე თავის შეყვარებულზე.

თეთრი პერანგი ჩაიცვა, მერე წვერის გაპარსვას შეუდგა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არაფერი ჰქონდა გასაპარსი. დღეს ვეტიყვიო, — ფიქრობდა და ელიმებოდა.

ლიანა ბევრს ლაპარაკობდა იმ საღამოს და იცინოდა. ბიჭი კი ღიზიანდებოდა. განსაკუთრებით მაშინ გაბრაზდა, როცა ლიანამ მის გვერდით მჯდომი ბიჭის ხუმრობაზე ბევრი იცინა და მერე ლოყაზეც აკოცა. არა, დღესვე უნდა ვუთხრა, — ფიქრობდა და თვალს არ ამორებდა გოგოს. გვიანი იყო. ნასვამი სტუდენტები მომავალზე ალაპარაკდნენ. ის-ის იყო, ბიჭმა ლიანას მეორე ოთახში გაყვანა და ცოლობის შეთავაზება დააპირა, რომ ერთმა მათგანმა, ძალიან მთვრალმა და მისი აზრით, ძალიან პოეტურმა კურსელმა ოცნების სადღეგრძელო წამოიწყო. ბევრი ილაპარაკა უაზროდ და ბოლოს იმით დაამთავრა, რომ თავის ერთ-ერთ ოცნებად პოეტი ქალის ცოლობა გამოაცხადა.

— შენ, ლიანა, შენ ვინ გინდა, რომ იყოს შენი ქმარი? — ჰკითხა პათეტიკურად.

— მე? მე მფრინავი. არა! მეზღვაური; ჰო, მეზღვაური, კაპიტანი. — მერე მისკენ შეტრიალდა და ჩუმად თქვა: — მე ისე მიყვარს მეზღვაურები.

იმ საღამოს აღარაფერი უთხრა ბიჭმა ლიანას. ერთი კვირის შემდეგ კი ინსტიტუტიდან საბუთები გამოიტანა და საზღვაო სას-

ნავლებელში გადაგზავნა. იმავე წელს ჩააბარა. რომ ჩამოვალ, მერე შევირთავ ლიანას ცოლადო, — ფიქრობდა. ორი თვის შემდეგ ომიც დაიწყო. მერე ხშირად ფიქრობდა მეზღვაური თავის ბავშვურ საქციელზე. ფიქრობდა ბრძოლის დროს, როცა ცოცხალი იხვეწებდნენ. უფრო, ღამე ფიქრობდა ხოლმე. მაშინაც ფიქრობდა, როცა უკვე კაპიტნის თანაშემწე იყო, როცა ლიანა სხვისი ცოლი იყო და მასაც სხვა ჰყავდა ცოლად.

ზარი დაირეკა. მეზღვაური შეწუხდა, მარტო რომ იყო ბინაში. მორიდებით მიუახლოვდა კარს და ნელა გააღო.

ქალმა კითხვით შეხედა. მერე შევიდა დერეფანში, პალტო გაიხადა და ოთახში შედიო, შემოვალო, — უთხრა სწრაფად. მეზღვაურს ეღიმიებოდა. უკვირდა, რამდენი წელი ფიქრობდა ამ შეხვედრაზე, როგორ არ წარმოიდგინა და ასე ჩვეულებრივი იყო ახლა, იმდენად ჩვეულებრივი, რომ თვითონაც სულ არ აღელდა იმ მომენტში, როცა დაინახა და იცნო. მხოლოდ განითვლდა სახეზე. ოთახში დაბრუნდა და ისევ სავარძელში ჩაჯდა. ქალი მალე გამოვიდა.

— მე, იცით, სახლში აღარ ვვლებულვო ავადმყოფებს, — უთხრა მეზღვაურს და საათს შეხედა. — ჩემი გოგონა შინ არ არის?

— მალე დაბრუნდება. — ისევ ღიმილით თქვა მეზღვაურმა. მეზღვაურის ღიმილზე, ქალმა, — ნეტა რა აცინებსო, გაიფიქრა.

— მე მოგცემთ ჩემი მეგობრის მისამართს, ისიც ძალიან კარგი ექიმი. იმასთან შეგიძლიათ, მიხვიდეთ ჩემი სახელით.

„როგორ ვერ მიცნო ამდენ ხანს“? — გაუელვა მეზღვაურს უცებ. — „თუმცა, დიდი დროა გასული“.

ქალი უყურებდა და უკვირდა, კაპიტანი რომ არ დგებოდა სავარძლიდან.

— აქვე ცხოვრობს, ერთ ორას მეტრში. თუ გინდათ, წერილს გაგატანთ.

კაპიტანმა წასვლა გადაწყვიტა. სწრაფად წამოდგა. დერეფანში გავიდა და ფარაჯა ჩაიცვა. კარებს მიუახლოვდა.

— მისამართი არ გინდათ?

— იცით, მე... — დაიწყო კაპიტანმა და გაბრაზდა საკუთარ თავზე, ხმა რომ ჩაუწყდა.

— ლიანა მე... ვერ მიცანი? — თქვა ხმადაბლა.

- ბატონო?
- მე ვარ... მე რომ... მეზღვაური რომ... გოგი... ვერ მიცანი?
- უი, კაპიტანი! ჩვენი კაპიტანი! მოდი გენაცვალე, სულ ვერ გიცანი! — ისე ჩვეულებრივად თქვა ქალმა, რომ კაპიტანს ერჩივნა, ან სულ არ ეცნო, ან გაეგდო სახლიდან. ნასვლა აღარ შეიძლება და დაბრუნდა.
- მოდი, გენაცვალე! — გაიმეორა ქალმა. — შემოდი ზალაში, ვერ გიცანი. ხომ იცი, ოჯახი, ბავშვი, ქმარი, გადავიღალე.
- კაპიტანი ისევ იმ სავარძელში ჩაჯდა, ქალი მის პირდაპირ.
- როგორ ხარ, კაპიტანო, რაზე შენუხებულხარ?
- აქეთ ვიყავი და შემოვიარე, — იცრუა კაპიტანმა.
- ნუ, ძალიან კარგი. ძალიან... სხვა, რას შერები?
- რა ვიცი, ვარ.
- ნასადილევი ხარ?
- კი, სწორედ ახლა.
- ყველას გაფიცებ, არ მოგერიდოს, მარტო ხარ აქ ალბათ და სად ისადილებდი?
- რესტორანში.
- ნუ, ძალიან კარგი.
- შენ სახეზე არ გამოცვლილხარ.
- მართლა? იმდენი ხანი გავიდა და...
- ჰო, ეტყობა დიდი დრო გავიდა.
- შენ რას შერები, სად ხარ?
- სოხუმში ვცხოვრობ, გემზე ვმუშაობ.
- კიდევ გემზე ხარ, ხომ?
- კი.
- კარგია ალბათ. კმაყოფილი ხარ?
- არა უშავს რა.
- შენს აქ ყოფნაში ვინმე ხომ არ მოსულა? დაბალი კაცი, მძლოლი.
- რა მძლოლი?
- გივის მძლოლი; ჩვენი მძლოლი; ვაშლი უნდა ჩამოეტანა გორიდან.
- არა, არავინ არ ყოფილა.



— არა ხომ? ერთხელაც იქნება, მოვახსნევენებ მაგას გივის და მერე...

— გივი შენი ქმარია?

— ჰო.

— სად მუშაობ?

— ჯანმრთელობის სამინისტროში, მინისტრის მოადგილეა. ესე იგი, არ მოსულა, არა?

კაპიტანმა, ისტერიული სიცილი რომ შეეკავებინა, ენაზე იკბინა.

— არა, არ მოსულა. გივი რა გვარია?

— კობახიძე.

— ის კობახიძე, ჩვენთან რომ...

— ჰო, ჩვენთან რომ სწავლობდა.

— რას ამბობ?

— რა მოხდა რო?!

— მე გავიგე, თითქოს კობახიძე ფრონტზე დაიღუპაო.

— არა, ფრონტზე რა უნდოდა, დატოვეს.

— ეს ის გივი არ არის, შენ რომ გკითხა დაბადების დღეზე, ვინ გინდა შენი ქმარი რომ იყოსო?

— რომელ დაბადების დღეზე?

— ბოლო დაბადების დღეზე; აი, მე რომ წავედი საზღვაოში... — უხსნიდა კაპიტანი მხოლოდ იმიტომ, რომ რამეზე ელაპარაკა.

— ჰოო... — გააგრძელა ქალმა. — ჰო, ის გივია. მაინც რა ბავშვურად წახვედი მაშინ. ეჰ, რა არის ბავშვობა?!

კაპიტანს გაეცინა და თავი შეიკავა, რომ ხარხარი არ აეტეხა.

— ყავას მოგიხარშავ.

— არა, უნდა წავიდე.

— აჰ, გივის მოსვლამდე არ გაგიშვებ! მაინც, როგორ არ მოვიდა ის მძლოლი?!

— არ მოსულა.

— შენ დაოჯახდი ალბათ.

— კი, ერთხელ. მერე დავშორდით... ბიჭი მყავს რუსეთში.

— რამდენი წლისაა?

— ოცდაერთის.

— ხილს გამოვიტან.

— არა, გმადლობთ! — კაპიტანს პირველად გაუჩნდა ცხოვრებაში ხილისადმი გულისრევის გრძნობა.

— ესე იგი, კმაყოფილი ხარ. ძალიან კარგი. უფ! რა ჯობია მეზღვაურობას?

— მერე, მართლა რატომ არ გაყევი მეზღვაურს ან ვინმე ისეთს, მენ რომ ოცნებობდი მაშინ?

— ეჰ გოგი! შენ ისევ ბავშვობ. სადაა გივი ამდენ ხანს? ან, ეს ტელევიზორის ხელოსანიც რომ არ მოდის!

კაპიტანმა მექანიკურად შეხედა ტელევიზორს.

— რამდენი ხანია მაინც?! — თქვა ქალმა.

კაპიტანს ამ სიტყვებზე ოდნავი იმედი მიეცა: „იქნებ კიდევ დარჩა ამ ქალში რაიმე ნასახი იმ ძველი დროისაო“, — გაიფიქრა.

— ჰო, დიდი ხანია. — უპასუხა ჩუმად.

— ზუსტად სამი დღეა, რაც გამოვიძახეთ და ჯერაც არ მოსულა. ასეთი არაფერი მინახავს.

მეზღვაური წამოდგა.

— ნავალ მე, ლიანა.

— დარჩენილიყავი. გოგიც მოვიდოდა... — წამოდგა ქალიც.

— არა, ჯობს ნავალ. — კაპიტანი დერეფანში გავიდა და ვიდრე ფარაჯას ჩაიცმევდა, რატომღაც ქალს ახედა ჭერზე. ქალმა მის თვალებს მზერა გააყოლა.

— ჰო, ეს ძველი ლუსტრა ველარ გამოვაცვლევიანე გივის. ამ უბანში ჩვენს გარდა ასეთი უკვე აღარავის უკიდია.

— აუცილებლად გამოაცვლევიანე. კარგად იყავი, ლიანა!

— კარგად, კაპიტანო! გამოიარე ხოლმე, რომ ჩამოხვალ.

კაპიტანს ხმამალა და რალაც, ნერვულად გაეცინა.

კიბე სწრაფად ჩაირბინა. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

„ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!“ — ფიქრობდა უკვე ცოტა ხნის შემდეგ გულგრილად. „რა სისულელეა ყველაფერი. იქნებ ამ მარტოობაში არც ცყოფილიყავი, იმ დაბადების დღეზე რომ არ მივსულიყავი და ის სიტყვები რომ არ მომესმინა მისგან. სულელო! სულელო! რისი გულისათვის, ვისი ცოლის გულისათვის?! იმ დებილი ბიჭის ცოლის გულისათვის?! რა იყო, მთელი ცხოვრება ერთი სულელი გოგოს ნათქვამს რომ შევწირე? სად გაქრა მერე ის გოგო,

მეოცნებე და საყვარელი? ესე იგი, არც ყოფილა. „სულელი“ — გაუმეორა თავის თავს. „დებილო!“ ოჰ, ეს სულელი, მეოცნებე გოგონები და უფრო სულელი ბიჭები!

ამ დროს ვილაცამ ხელით შეაჩერა. მის წინ ლიანა იდგა. პატარა, ოცდაერთი წლის წინანდელი, გამხდარი, შეცივიებული.

— ოო... ჩემო პატარა გოგო! თქვენც ძალიან გიყვართ არა, მეზღვაურები?! — გაუცინა კაპიტანმა. — ალბათ, ტრადიციით მოგდგამთ. — მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა.

გოგომ მკლავში ხელი გაუყარა. კაპიტანი ბიჭივით შეკრთა, თვალებში შეხედა.

— ვიცოდი, რომ გამოიქცეოდით. — თქვა ჩუმად გოგომ.

— საიდან იცოდი? — ჰკითხა მეზღვაურმა.

— დედა ხომ დაბრუნდა?

— დაბრუნდა.

— დედა რომ დაბრუნდებოდა, თქვენ გამოიქცეოდით. მე ვიცოდი. მე ვიცი თქვენი ამბავი დედას ამხანაგისაგან. დედა ძალიან გამოიცვალა... — კაპიტანმა ცრემლი დაუნახა გოგოს თვალში.

— გამოიცვალა. ის არ არის, სულ აღარ არის და თქვენც უნდა გამოიცვალათ. ეტყობა, ასე სჯობს. თორემ... შეიძლება ვინმე...

აღარ დაამთავრა კაპიტანმა.

## კაცი

ვიღაცამ კარზე დააბრახუნა. დათუნამ თვალეები დაჭყიტა სიბნელეში. ის იქნებო, — გაიფიქრა და გულის ცემა აუჩქარდა.

— რომელი ხარ? — იკითხა ქალმა.

— მაინც, რომელი ვიქნები? — გაისმა კაცის ჩახლეჩილი ხმა.

„ისაა“, — გაიფიქრა დათუნამ და შიშისაგან საბანში ჩაჰყო თავი.

— დამანებე თავი, შუქრია უბედურო!

— გამილე კარი, სიტყვა მაქვს სათქმელი.

— სათქმელი დღე ითქმება, შე გაფუჭებულო, გაეთრიე აქედან!

— ახალგაზრდა ქალი უკვე ფეხზე იდგა.

„მამა იქ რომ არ იყოს, ხომ ვერ გაბედავდა მოსვლას“? — გაიფიქრა დათუნამ.

— ხომ იცი, არ გავაღებ, შუქრია. მოდიხარ, არავის არ ვეუბნები. არ მინდა, რამეს გადაგკიდო, დაგვანებე თავი! — დათუნას დედა უკვე კართან იყო მისული და იქიდან ეხვეწებოდა.

— ე, გოგო, გამილე კარი, გეტყვი რალაცას და მერე, მომკალი თუ გინდა!

— მაქედან თქვი! — ტიროდა ქალი და საბანს იხუტებდა ტანზე.

— აქედან ცივა, გოგო!

„მომკალი, თუ გინდაო“ — რომ თქვა, დათუნას თავში რალაცამ გაუელვა, საბნიდან გამოიხედა, მერე პატარა ფეხები გადმოსწია.

— წადი, შუქრი, გეხვეწები! და არ გყავს, ბიჭო?! — შეევედრა ქალი.

— არ ვიცი მე, და! მიყვარხარ! გამილე ახლა კარი, თორემ ჩამოვიღე!

დათუნა ისე მიუახლოვდა კედელზე ჩამოკიდებულ თოფს, რომ

კარისაკენ მიტრიალებულმა დედამ ვერაფერი გაიგო. ჩამოხსნა თოფი და ისევ ლოგინში შეწვა. სატყვიარი ძლივ-ძლივობით გადასწავა, თითოთ იგრძნო ტყვია, მერე საჩვენებელი ჩახმახს დაადო, კარისაკენ გაიშვორა თოფის ლულა და გაიტრუნა.

— წადი, შუქრი, თუ გნამს ღმერთი ამ ქვეყანაზე! — დაიჩოქა ქალმა კართან...

ხის კარს ფეხი მოხვდა. დათუნა შეკრთა და თითი მოაშორა ჩახმახს. კიდევ მოხვდა კარს ფეხი. ქალმა ბავშვს გადახედა და „ნუ გეშინია, დედა, შუქრი ბიძია არისო“, — უთხრა.

„მამა რომ იყოს, ხომ არ მოვიდოდაო“, — უნდოდა ეთქვა დათუნას, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

ქალმა კედლისაკენ გაიხედა, სადაც თოფი ეგულეობდა. რომ ვერ დაინახა, დამფრთხალი თვალებით აქეთ-იქით დაინჟო ყურება. — დათუნამ ჩახმახისაკენ წაიღო ნელა ხელი.

— თოფი სადაა, ნენა? — ჩუმად ჰკითხა დედამ.

არაფერი არ უპასუხა. რომც სდომოდა რამის თქმა, მაინც ვერ იტყოდა შიშისაგან ვერაფერს.

კარი ერთი კიდევ შეინჯღრა და უზარმაზარი კაცი შემოვარდა ოთახში. ქალმა იკივლა, კაცი მისკენ შეტრიალდა. დათუნამ თვალები დახუჭა და გამოჰკრა ჩახმახს თითი.

თოფის ხმა და კაცის ბლავილი ერთად გაიგონა...

თოვდა სოფელში, დათოვლილი სახურავები მზეზე ბრწყინავდნენ. საკვამურებიდან ამოსული კვამლი ჰაერში იფანტებოდა.

— მობრძანდი, შალვა ბატონო, რავა ჭიშკართან დგახარ?! — ეპატიუებოდა შუბლზე შავ ნაჭერ ნაკრული ქალი სტუმარს.

— გაიგეთ, გოგო, ნუხანდელი სროლა? რა მოხდა, თუ იცი?

— გავიგეთ კი არა, შენი ჭირიმე, — ჩაიციხა თავსაფარნაკრულმა. — შუქრია მივარდნილა ლადუშას ცაცასთან, გინდა თუ არა, ისო!.. — გაიღიმა ქალმა...

— ე, გოგო, თქვი ახლა, დააყენე საშველი!

— იმას ვამბობდი, შალვა ბატონო, მივარდნილა და ლადუშას დათუნას თოფი უსვრია. ბოდიში მომიტხოვია და რავა გაკადროთ, მარა, უკანალში გაურტყამს. იმისმა ბლავილმა ეიკლო მთელი სოფელი. კაცმა ხელი ხელს შემოარტყა და ორივემ დიდხანს იცინა.

— ლადუშას ბიჭი აბა რას იზამდა, ვენაცვალე მაგას მე! — იმეორებდა კაცი და ტუჩებს ერთ ადგილზე ვერ უყრიდა თავს.

დათუნა და დედამისი სოფლის განაპირა პატარა სახლში ცხოვრობდნენ. თოფი რომ გავარდა, სოფელში ერთი-ორი კაცი აღმოჩნდა. გარეთ გამოვიდნენ და აბლავლებულ შუქრისაგან ცოლ-შვილის გინება რომ გაიგეს, იქითკენ წავიდნენ. მიაკითხეს უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს და მთელი ღამე იმათ დაწყნარებაში გაატარეს. დათუნას გათენებისას ჩაეძინა და მამა დაესიზმრა. მამას ის ტყავის ქურქი ეცვა, დათუნას რომ მოსწონდა. ხელში ათამაშებდა დათუნას, ზევით ისროდა და ისევ იჭერდა. ბიჭი გულიანად იცინოდა და „აკი, იქანა ხარო“, — ეკითხებოდა.

თვალი რომ გაახილა, პირველად დედა დაინახა. მის სანოლთან იჯდა, უღიმოდა. სკამზე, დათუნას მამიდის ქმარი, ვალენტიც იჯდა და ისიც იღიმებოდა.

— მოკვდა? — იკითხა დათუნამ.

— არა, ბიჭიკო, დაიჭრა უკან, მაგას რა მოკლავს? — გაეცინა ვალენტის. მარა, აწი აღარ შეგანუხებთ.

— ჩაიცვი, დედა და წადი მამიდასთან, — უთხრა ქალმა.

დათუნას, მამიდას გაგონებაზე სახე გაუბრწყინდა, მერე, რაღაცამ შეანუხა. — შენ? — ჰკითხა დედას.

— ვალენტი ხომ აქაა, დედა?

— წადი, ბიძიკო, წადი!

დედა დაიხარა, წინდები და ძველი, ცხვირაქერცლილი ფეხსაცმელი ჩააცვა, მუხლებზე აკოცა, „ჩემი პატრონიო“, — ჩუმად თქვა.

დათუნა წამოხტა და დანარჩენი თვითონ ჩაიცვა. მერე, ოდის ფანჯარასთან მიყუდებულ პატარა სარკესთან მიიღბინა, ჩაიხედა და თვალებზე ხელი ჩამოისვა.

მერე დედას შეხედა. ქალს ხელში მამის ნაქონი ძველი, გახეხილი ტყავის ქურქი ეჭირა.

პატარა ბიჭმა ფრთხილად შეავლო ხელი ტყავს, ცოტა ხანს უყურა; ჩაიცვი, დედა, — თქვა ქალმა, — კაცი ხარ შენ ახლა!

დათუნამ პატარა მკლავები ქურქის სახელოებში გაუყარა, ღიღები შეიკრა; ფართო და გრძელი ჰქონდა. სახელოებში ხელები აღარ უჩანდა. თავი ჩალუნა და ფეხსაცმელებთან დაუნყო გაფხეკილ ტყავს თვალიერება. მერე გასწორდა, უკან დაინია და ისევ იგივე გაიმეორა.

— ეს ხომ მამასია? — ჰკითხა გახარებულმა.

— ახლა შენი იქნება. — სახელოები შიგნით შეუკეცა.

— მამა იქიდან რომ ჩამოვა, რას ჩაიცვამს? — სიხარულისაგან სიცილს ველარ იკავებდა ბავშვი.

— ახალს ჩამოიჭანს, დათუნა!

დედას აკოცა. მერე კარისკენ წავიდა, გამოალო, ვალენტის მიუბრუნდა:

— ხომ ვერ გაბედავდა მაგი, ვალენტი ბიძია, ღამე სიარულს, მამა იქ რომ არ იყოს?

ერთხელ მოუსვა კიდევ ტყავს ხელი და გარეთ გავიდა.

მამიდის სახლი სოფლის მეორე ბოლოში იყო. უხაროდა დათუნას შუქრი რომ გააგდო და მამის ნაქონი ქურქი რომ ჩაიცვა. უფრო ის უხაროდა, მთელი სოფელი ამ ქურქით რომ უნდა გაეცლო. კაცივით მიდიოდა, დიდი ნაბიჯებით; თანაც ხშირ-ხშირად სახელოებს ათვალიერებდა. ჩუმ-ჩუმად, აქეთ-იქით სახლებისაკენ გააპარებდა თვალს, ეგონა, რომ ყველა უყურებდა.

— დათუნა, ბიჭო! — გადმოსძახა ვიღაც კაცმა ეზოდან, — მართლა დაჭერი შუქრია გადარეული?

— აბა, რას ვიზამდი?! — უპასუხა დათუნამ და ეწყინა, ქურქზე არაფერი რომ არ ჰკითხეს.

— აგი მამასია, აგი ქურქი!

— მშვიდობაში მოგახმაროს ღმერთმა, დათუნია!

— გრიგოლ ბიძია, მამა იქ რომ არ იყოს, ხომ ვერ მოვიდოდა შუქრი?!

— ვერა ბიძია, ახლაც ვერ მოვა!

— ჰო, ვერ მოვა! გაიმეორა დათუნამ. ლამაზია?

— გადასარევი! მაგისტანა მარტო ორი იყო. ერთი კერენსკის ეცვა პეტერბურგში და მეორე — ლადუშას, მერიამი.

დათუნას მამა ერთი წლის მკვდარი იყო. დათუნამ არ იცოდა მხოლოდ. დედა ეუბნებოდა, წასულია, შორს არისო. სად არისო, რომ კითხულობდა ბიჭი, ყველა პასუხობდა — „იქო“. ენატრებოდა მამა დათუნას. ახლა კი არავინ და არაფერი აღარ ახსოვდა. ჩქარა მიდიოდა და ერთი სული ჰქონდა, რომ მამიდამისს, მამის ნაქონ ქურქში მალე ენახა.

## დათო

თოვდა. შუალამეზე მეტი იყო. პატარა ოთახში სინათლე ენთო. ოთახში სანოლი იდგა და ერთი სავარძელი. დივანზე დათო იწვა. მეორე ლამე იყო, გონს ვერ მოდიოდა. ოცდაერთი წლისა იყო. სავარძელზე დათოს ძმა იჯდა და თვლემდა.

ბურთი გაუგორდა ეზოდან. ქუჩაში ლამაზი ქალი მოდიოდა — იმ დროს, ყველაზე კარგი მსახიობი. დათო ხელში აიტაცა და ბევრჯერ აკოცა. დათოს დედა გარეთ გამოვიდა. „კაკოი კრასავეცო“, — უთხრა მსახიობმა. დათომ ტირილი დაიწყო. მერე დედამისი დიდხანს ტრაბახობდა მეზობლებში, ნატომ აკოცა ჩემს დათოსო.

თერთმეტი წლისა, ფილმში გადაიღო ვილაც რეჟისორმა ქალმა. თვალები ჰქონდა დათოს ძალიან კარგი, შავი თვალეები, შავი გუგეები და ოქროსფერი თმა. ხშირად უყვიროდნენ მშობლები, უფროსი ძმა, მეზობლებიც. „აუტანლად ცელქიაო“, — იძახდნენ.

დათო ხშირად ამტვრევდა სახლის ფანჯრებს ბურთით. იმ დროს „ტარზანი“ იყო მოდაში და დათო ხეებზე დაძვრებოდა, ტოტიდან ტოტზე ხტებოდა, მერე ხიდან, სახლის სახურავზე.

სახურავების ჟინი ჰქონდა. სულ იმას ეხვეწებოდა ბიჭებს, ყველაზე მაღალი სახლის სახურავზე ავიდეთო. ბიჭები თუ ვერ გაბედავდნენ, მარტო აუყვებოდა სახანძრო კიბეს. სახლს ზემოდან რომ მოექცეოდა, ღრმად ამოისუნთქავდა, ტარზანივით დასჭყვივლებდა და ხელს დაუქნევდა ეზოში დარჩენილ ბიჭებს, შურის თვალით რომ უყურებდნენ ქვემოდან.

წითლად შეღებილ სახურავებს მთელი დღე ბრახა-ბრუხი გაუდიოდათ. დათოს მე-6 კლასში „გოგო“ ჰყავდა. ასე იძახდნენ მისი კლასელები. იმ „გოგოს“ დათოს ფერის თმა ჰქონდა და თეთრი, ძა-



ლიან თეთრი ხელები. სანიტრის ჩანთა ეკიდა ყოველთვის მხარზე, ირინა ერქვა და დათოს გვერდით იჯდა მერხზე.

დათოს უყვარდა ირინა, ისე, როგორც მეექვსე კლასში იცინა ბიჭებმა. დათოს შიშით, ირინას თმებში ვერავინ მოქაჩავდა.

ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი. სკოლიდან რომ დაბრუნდა, თავი მტკიავო, თქვა. სალამოს სიცხე მისცა, მერე სიცხემ ძალიან აუნია და გონება დაკარგა. დილით ექიმი მოვიდა; გასინჯვის დროს თავს აქნევდა. მერე ამოიოხრა, დათოს მამა განზე გაიყვანა და „პოლიომიელიტი“, — უთხრა.

დათო გონს რომ მოვიდა, დედას გაუღიმა დაღლილი ღიმილით და „დიდხანს მეძინაო?“ — იკითხა.

რამდენიმე დღეში ძალა მოემატა, ოღონდ, წელს ზევით. მოხრილ ფეხებს რომ ვერ შლიდა, ტიროდა-ხოლმე. როდის გამივლისო? — იძახდა. დრო გადიოდა. ირინა მოდიოდა დათოს სანახავად, ბიჭებიც მოდიოდნენ. ბიჭებს უშვებდა დათო ოთახში. ირინა რომ მოვიდოდა, თავის ძმას სანოლზე ფეხებთან ზენარს ააფარებინებდა, მოხრილი ფეხები რომ არ დაენახა. ირინამ იცოდა, რომ არ უნდა შესულიყო და შუშაბანდის ფანჯრიდან იყურებოდა ოთახში, ისე, რომ მარტო დათოს სახეს ხედავდა. დიდხანს იდგა ხოლმე, ერთმანეთს უცინოდნენ. მერე ირინა ხელს დაუქნევდა და დაუყვირებდა, — ხვალაც მოვალო. ირინა რომ წავიდოდა, დათო ფეხებს დაუნწყებდა ყურებას, ცოტა გამართული ეჩვენებოდა.

ირინამ სიარულს მოუკლო. დათო თხუთმეტი წლის იყო და აღარ სჯეროდა დედამისის ნათქვამის, — მალე ადგებო. ერთხელ სთხოვა, კედლისკენ გადამაბრუნეთო და ირინა რომ მოვიდა, მისკენ აღარ გამოუხედავს. ღამე დიდხანს ტიროდა. ძალიან ბევრს კითხულობდა, ისე, რომ ექიმი მშობლებს ეუბნებოდა, ნორმალურისთვისაც არ შეიძლება ამდენი კითხვაო.

დათო არავის უჯერებდა. როცა ქალების შესახებ კითხულობდა, რალაც სიამოვნებდა და ანუხებდა.

შვიდი წელი გავიდა, რაც დათო ავად გახდა. ბოლო ოთხი წელიწადი მის სანოლთან დედა, მამა და ძმა მორიგეობდნენ. ეს ბოლო ოთხი წელი ჩუმად იყო უმეტესად; თუ დაუყვირებდა ვინმეს, ან ზურაბს თუ ეტყოდა რამეს, ახალ წიგნზე.

\* \* \*

სავარძელზე დათოს ძმა იჯდა და თვლემდა.  
დედა გამოვიდა ოთახიდან.  
— როგორ არის? — იკითხა დედამ.  
— როგორ იქნება. — თქვა ზურაბმა.  
ზურაბმა მაჯაზე მოკიდა ხელი. დათოს გული სწრაფად უცემდა. ზოგჯერ, სულ გაჩერდებოდა.  
— გაუძლებს დედა?  
— აბა რას იზამს, პირველად ხომ არა აქვს ასე? — თქვა ზურაბმა.  
— შედი, დაიძინე, მე ვიქნები ამაღამ.  
დედა ისევ კარებში იდგა.  
— შედი, შედი, დედა. — თქვა ზურაბმა.  
— დამიძახე, თუ... — თქვა დედამ და გავიდა. სიჩუმე იყო ოთახში. ზურაბმა ისევ ჩათვლიმა. თენდებოდა...  
— ზურაბ! — ჩაესმა დათოს ხმა ძილში.  
უცებ გამოფხიზლდა.  
— დათო, შენი ჭირიმე! — თქვა ზურაბმა და სავარძელი სანოლთან მისწია.  
— სულ აქა ხარ? — იკითხა დათომ. ზურაბს მოეჩვენა, რომ ვიღაც სხვა ამბობდა ამ სიტყვებს, ძალიან შორიდან, ისე, რომ ძლივს ესმოდა.  
— ჰო, დათო! — თმაზე გადაუსვა ხელი. მეორე ხელით ისევ პულსი გაუსინჯა და მიხვდა, რომ მალე ყველაფერი გათავდებოდა.  
— ახლა მშვენივრად ვარ. — თქვა დათომ დამარცვლით და ღრმად დაიწყო უცებ სუნთქვა.  
— ეს გული, თორემ, ისე ძალიან კარგად ვარ.  
— კარგი დათო, ახლა უკეთესად იქნები.  
ზურაბი უფრო ახლოს მიიწია დათოსკენ და ლოყაზე აკოცა.  
— ზურაბ!  
— წყალი ხომ არ გინდა?  
— მომეცი.  
ზურაბი სწრაფად წამოდგა ფეხზე, მაგიდასთან მივიდა, დოქიდან წყალი ჩამოასხა.

— დოქიც წამოიღე. — უთხრა დათომ.  
 ზურაბმა ორივე მიუტანა.  
 — ეს იმისთვის, ყოველ წუთში რომ არ ადგე წყლისთვის და არ მომშორდე. აქ მინდა, რომ იყო.  
 — არა დათო, არ მოგშორდები!  
 დათომ ძლივს დალია ჭიქა ნახევრამდე.  
 — ძალიან კარგად ვარ ახლა. — თქვა დათომ.  
 ორივე გაჩუმდა. ზურაბმა იფიქრა, დედას დავუძახებო, მაგრამ შეეცოდა დედა.  
 — ზურაბ!  
 — რა იყო დათო?  
 — არავინ გყვარებია? — უცებ ჰკითხა დათომ.  
 — არავინ. — ძლივს თქვა ზურაბმა და მოახლოვებული უბედურების შიშით ტანში რალაცამ დაუარა.  
 — გგონია გავვიჟიდი?  
 — რას ამბობ?! — უთხრა ზურაბმა.  
 — მართლა არავინ გყვარებია? — უფრო დაქანცული ხმით იკითხა დათომ და სუნთქვას მოუხშირა.  
 — არა დათო, ნამდვილად არა!  
 — მე მიყვარდა და შენ არა?  
 — ვინა, შენი ჭირიმე?  
 დათოს სუნთქვისაგან სანოლი ირწეოდა.  
 — ვინა და ირინე, მარინა, ანა...  
 — კარგი დათო, შენი ჭირიმე! — დედა! ხმადაბლა დაიძახა ზურაბმა.  
 — არ გინდა. — თქვა დათომ. — შენ გგონია, ვაფრენ?  
 — არაფერიც არ მგონია.  
 — არა, მართლა მიყვარდა; ვაჰ, რა კარგად ვარ ახლა?! მართლა მიყვარდა. წარმოვიდგენდი და ისე; რომ წავიკითხავდი, ის ქალიც მიყვარდა. აუცილებელია, რომ ერთი გიყვარდეს?  
 — დანყნარდი შენი ჭირიმე, სულაც არ არის აუცილებელი.  
 — ყველა ქალი მიყვარდა, ყველა ქალი! — დათო გაჩერდა. ზურაბი თვალებში უყურებდა.  
 — წყალი გინდა?

— მომეცი. — დალია.

— ასე კარგად რამდენი ხანია არ ვყოფილვარ. ძალაც მომემატა. — თქვა დათომ.

— რა ჯობია მაგას. — თქვა ზურაბმა და ისევ გაიფიქრა, ჩვენებს დაეუძახებო, მაგრამ გაახსენდა, დათომ, არ მინდაო, რომ უთხრა.

— იცი ზურაბ, ერთ წიგნში ეწერა, ასე კარგად ავადმყოფები სიკვდილის წინ ხდებიანო.

— წიგნებში ათასი სისულელე წერია. — უთხრა ზურაბმა.

— ჰო, სისულელე... — თქვა დათომ და რალაცას გაუღიმა.

— რამე ხომ არ გინდა?

— რა გამინყალე გული! — იყვირა დათომ.

გაჩუმდნენ. მარტო დათოს სუნთქვა ისმოდა. ისევ თოვდა გარეთ.

— ზურაბ, კოცნა კარგია? მითხარი!

— კი დათო.

— მე, ხომ იცი, არავისთვის არ მიკოცნია. ერთხელ მხოლოდ, ირინას, მეექვსეში, მეექვსეში კი არა, პარკში.

— კარგი დათო.

— ისიც ტუჩებთან ახლოს, ახლაც მახსოვს.

— ჰო, შენი ჭირიმე, კიდე აკოცებ. ნახავ, როგორ აკოცებ!

დათომ სიცილი დაიწყო ხმამაღლა. დიდხანს იცინოდა. ზურაბი წამოდგა.

— არ დაუძახო. — უცებ თქვა დათომ.

— ცოტა ზევით ამწიე.

ზურაბმა ასწია, ბალიში ზურგის ქვეშ ამოუღო.

— ახლა ძალიან კარგია. — თქვა დათომ.

— არ დაუძახო, გაიგე?! — უბრძანა ზურაბს.

— რატომ დათო, იქნებ...

— არა, შენ რომ მიყურებ, ისიც საკმარისია.

— ნუ იძახი რა?!.

— ანდა, დაუძახე, ყველას დაუძახე, ყველა გააღვიძე, კვკვდები!

— დამშვიდდი, შენი ჭირიმე! — ზურაბს დათოს თეთრი ხელები ეჭირა და კანკალებდა. დათოც კანკალებდა.

დათო წამოიწია ლოგინზე, საშინელი ძალა იგრძნო.

— ბიჭო, ასეთი ძალა რომ მქონოდა, ალბათ ვივლიდი!

ზურაბი ჩუმად ტიროდა.

— რას ვნატრობდი, იცი ზურაბ, სულ? ქვეყნის ფეხით შემოვლას.

— ჰო, დათო, შენი ჭირიმე.

— ნეტა რამდენი დრო დაჭირდებოდა, ვერ მოვასწრებდი?

— ვერავენ მოასწრებდა.

— მე მოვასწრებდი.

— მოასწრებდი, დათო! კი, მოასწრებდი!

— ავდგები. — თქვა უცებ დათომ ხმამალა.

— მოდი! — წელზე მოხვია ხელი ზურაბმა და ასწია ლოგინიდან.

— არა, არა, აღარ მინდა, ველარ გხედავ, თეთრებს ვხედავ! მომეცი, ხელი მომეცი! იძახდა დათო. აი ასე. ახლა მომიჭირე. ზურაბი ხელს უჭერდა. აი ასე, უფრო, ზურაბ! კიდევ უფრო! საწოლი ადგილზე მოძრაობდა.

მერე მოეშვა დათო, დანყნარდა, ისევ დადო ბალიშზე თავი.

— ცივა ზურაბ. — თქვა იმ ქვეყნიდან.

— ცივა.

— ახლა მეძინება.

— დაისვენე ახლა, დათო.

— განვალეთ რამდენი.

— არა, შენ გენაცვალე, არა!

— მეც ვინვალე. კიდევ დიდხანს ვინვალედი... თქვენც განვალედი, ოღონდ მეცოცხლა, რა? — ჩურჩულებდა. კიდევ სუნთქავდა ცოტა ხანს.

— დათო! დათო! შენი ჭირიმე! — ღმუოდა ზურაბი და დათოს აღარაფერი ესმოდა. მერე ყველა ტიროდა: დედა, მამა, ზურაბი. დიდხანს ტიროდნენ. მერე ზურაბმა დათოს უკანასკნელი სიტყვები უთხრა დედ-მამას. სამივეს უცებ რალაცამ გაუელვა თავში. მერე, „ღმერთო გვაპატიეო,“ — გაიფიქრეს და განაგრძეს ტირილი.

## ცისანა

ცისანა ჩვენს უბანში ცხოვრობს, გოგებაშვილის ქუჩაზე, სულ მალა, თითქმის მთანმინდის ძირში. პატარა, შუშაბანდიანი ოთახი აქვს. ცისანას რომ ძუძუები აქვს, იმხელა ძუძუები ჯერ არსად მი-  
ნახავს, ალბათ, ვერც ვნახავ. უკანალიც დიდი აქვს, მაგრამ ძუძუე-  
ბი „უხურავს“. ყველა იცნობს ცისანას ჩვენს უბანში, თუმცა რო-  
გორ შეიძლება ვერაზე ცხოვრობდე და ცისანას არ იცნობდე?

თხუთმეტ წელიწადს ორი თვე მაკლდა. მოგეხსენებათ, ამ ასაკში ბიჭები ყველაზე მეტად რით არიან დაინტერესებული. მეც არ წარმო-  
ვადგენდი გამონაკლისს. აგვისტო იყო, სალამო. მე და ჩემი მეგობარი  
პატარა ბაღში ვიჯექით. გვერდით სკამზე დიდი ბიჭები ისხდნენ და  
ქალებზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. გულის კანკალით ვუსმენდი.

— ვინა, ნათელა? — იძახდა ალიკა, ყველაზე კარგად რომ ჩხუ-  
ბობდა „ვზროსლებში“, ის. — ნათელა გაბოზდა?

— გაბოზებულია. — თქვა იმან, ვისაც ელაპარაკებოდა.

— რომელი კაცო, ჩვენს პარალელურში რომ იყო?

— ჰო, რა!

— ვა!..

— რა გაგიკვირდა, რა, პარალელურკლასელები არ ბოზდებიან?

— არა, ისე, კარგი გოგო იყო!

— ახლა რა, ცუდია?

დიდხანს ლაპარაკობდნენ ბოზებზე. სურვილით ვიხრჩობო-  
დი. სიგარეტს, რაც შეიძლება, ღრმა ნაფაზებს ვურტყავდი. ეტ-  
ყოზა, არც ისინი იყვნენ ნაკლებ დღეში, იმიტომ, რომ ალიკა ბო-  
ლოს წამოდგა, ერთი კარგად გაიზმორა და— წავედი მე, ცისა-  
ნასთანო, — თქვა. ცისანას გაგონებაზე სულ გადავირიე.

— ფული გაქვს, რო? — ჰკითხა ერთმა.

— მაგას „პრაეზნოი“ აქვს, — უპასუხა მეორემ. ალიკა ბიჭებს მოშორდა, ჩვენს წინ ჩაიარა. თემურს მხარი წავკარი.

— წახვედი ალიკ? — ჰკითხა ძალიან სხვათაშორის.

— წავედი, წავედი. — გვიპასუხა ალიკამ ისე, რომ ჩვენსკენ არც გამოუხედავს და ჩაგვიარა. ბალიდან გასული არ იყო, რომ შეჩერდა უცებ, მოტრიალდა და ჩვენსკენ წამოვიდა.

— სიგარეტი გაქვთ? იმათ გაუთავდათ. — ბიჭებზე გვითხრა.

თემურმა სასწრაფოდ ამოიღო პრიმა, მეორე ფაბრიკა და გაუნოდა.

— რამდენიმე ცალს ავიღებ.

— რამდენიც გინდა.

ალიკამ სიგარეტი ამოიღო. ისევ წავკარი თემურს ხელი.

— ცისანასთან მიდიხარ?

— ჰო, რა იყო?

— არაფერი.

— მოგწონს?

— ძალიან! — წამომცდა მე.

— შენც? — ელიმება ალიკას.

— კი, ძალიან! — უპასუხა თემურმა.

— ქალთან ხართ ნამყოფი?

— მე კი, ეს არა. — აშკარად იცრუა თემომ.

— წამოდით, ვკითხავ, იქნებ იკისროს. თქვენხელებს კი არ ღებულობს ხოლმე, მაგრამ რა იცი.

ბელინსკის აღმართი როგორ ავიარე, კარგად არ მახსოვს. გოგებაშვილის ქუჩასთან აქლომინებულმა ალიკამ რომ გვითხრა, ეგრე ჩქარა ნუ მიდიხართო, მაშინ მოვუკელით ცოტათი. ცისანას სახლთან როცა მივედი, უკვე კარგა ბნელოდა.

— თქვენ აქ დაიცადეთ, მე შევალ. — გვითხრა ალიკამ და განათებული შუშაბანდის კარებზე დააბრაზუნა.

ცოტა ხანში ოთახის კარი გაიღო, შუშაბანდში ცისანა გამოვიდა, ვარდისფერი ხალათი ეცვა.

— მე ვარ! — უთხრა ალიკამ.

— რომელი?

— ალიკა.

ალიკა შევიდა. ცისანა ჩვენ ვერ გვხედავდა სიბნელეში. სამაგიეროდ, ჩვენ ვხედავდით ძალიან კარგად. ორივენი ოთახში შევიდნენ.

— მართლა ყოფილხარ ქალთან? — ვკითხე თემურს.

— აბა, ხომ არ მოვიტყუებოდი. — ისე თქვა, თითქოს ცხოვრებაში არ ეთქვას ტყუილი. — გაგრაში. — დააბრალა გაგრას გარყვნილება.

მთელ სხეულში რაღაცამ დამიარა. მეშინოდა, საკუთარი გულისცემა მესმოდა. მე კი არა, ასე მეგონა, თემურსაც ესმოდა.

— შემოდით! დაგვიძახა ალიკამ ღია კარებიდან.

პირველი ნაბიჯი თემურმა გადადგა, მეორე მე. შუშაბანდში გრძელი სავარძელი იდგა და ერთი ოთხკუთხედი მაგიდა. იატაკი ნითლად იყო შეღებილი. ასეთი ნითელი იატაკი მერე არც მინახავს.

ალიკა პერანგს იკრავდა და ისე იღიმებოდა, როგორც ბაღში.

— ძლივს დავიყოლიე. არ შვებოდა. წლოვანება რომ ვუთხარი, პატარები არიანო. ჯერ შენ შეხვალ ალბათ, შენ ხომ ნამყოფი ხარ? — ირონიულად კითხა თემოს ალიკამ. თემური განითლდა და აბა რაო, უპასუხა.

— მე ნავედი! — ალიკა გატრიალდა... — მართლა, ხომ იცი ბიჭო, ხუთი მანეთი უნდა თითოსგან.

მე გამახსენდა, რომ კაპიკი არ მქონდა. ფული რომ იყო გადასახდელი, საერთოდ არ გამხსენებია.

— შედი! — ვუთხარი თემოს.

— ჯერ შენ შედი.

— არა, ჯერ შენ.

— მიდი, ნუ გეშინია.

— არა, ჯერ შენ.

თემური შევიდა.

გული მერეოდა, თავი მტკიოდა, მთელი სხეული მიხურდა. გული უკვე გულთან კი არა, ყელთან მიცემდა, ფეხები მიკანკალებდა. ხელებს მაგრად ვაჭერდი მუხლებს, რომ ადგილზე დამეკავებინა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე. თემური გამოვიდა, თვალები დაელმებულნი ჰქონდა.



— არა უჭირს რა. ის, მაინც სხვა იყო. — თქვა თავისსავე შეთხზულ პირველ ქალზე. — შედი ახლა, მე ბაღში ჩავალ...

მოგვიანებით, როდესაც უკვე სტუდენტი ვიყავი, ყოველ გამოცდაზე შესვლის წინ მაგონდებოდა ცისანას ოთახში პირველი შესვლა. ასევე ველავდი, ასეთივე გრძნობა მეუფლებოდა ხოლმე, ასევე მერეოდა გული, მტკიოდა თავი და მიცახცახებდა ფეხები. შევიდოდი თუ არა გამომცდელთან, გამოვიხურავდი თუ არა კარს, ყოველივე ერთბაშად სადღაც ქრებოდა. ბოლოს და ბოლოს ჩავიჭრები, შევრცხვები, ხომ არ დამხვრეტენ, გავიფიქრებდი მაშინ, როდესაც გამომცდელს შევხვდავდი თვალებში და ძალიან მშვიდი მივდიოდი ბილეთის ასაღებად.

შევედი. ის, მართლა გამომცდელივით, მაგიდასთან იჯდა. მეგონა, დანოლილი დამხვდებოდა. კარი მივიხურე და ვიგრძენი, რომ მუხლები გამიმაგრდა, თავის ტკივილი მომეშვა. თვალებში ვუყურებდი.

— მოდი! — მითხრა და სიგარეტს მოუკიდა. ოთახში საშინლად დაგუბებული ჰაერი იყო. ცისანას ხალათი გახსნილი ჰქონდა მკერდთან.

— რას გაშტერებულხარ, მოდი, დაჯექი!

მივედი და მაგიდის მეორე თავში დავჯექი. ზუსტად ისე, როგორც გამომცდელთან.

— შენ უმცროსი ხარ?

— არა, ტოლები ვართ. — ვიგრძენი, როგორ გავწითლდი.

— რამდენისა ხარ?

— თხუთმეტის.

— უფრო პატარას გავხარ. ალიკას წყალობით მალე საბავშვო ბაღს გავხსნი. მიდი, ფანჯარა გააღე!

სუფთა ჰაერი შემოვიდა ოთახში.

— კარგი, ცოტას დავისვენებ. ენევი?

— დიახ.

— გამომართვი.

ცისანამ ფილტრიათი სიგარეტი მომანოდა. მაშინ ახალი გამოსული იყო. სიგარეტს მოვუკიდე და შევეცადე, რაც შეიძლება გამოცდილად და კაცურად მომენია.

— დიდი ხანია ენევი? — მიმიხვდა.

- არც ისე, — დავიხიე მე.
- თავი გაანებე, ჯობია! — დამარიგა ცისანამ.
- კარგით, დავანებებ. — ვუპასუხე მე. მაშინ ისე მინდოდა ცისანა, რომ ეთქვა, დედას დაანებე თავიო, დავთანხმდებოდი.
- ახლა, იქნებ, პატივცემულო მასწავლებლო მითხრა? ამ დიას და თქვენობით ლაპარაკს მოეშვი!
- კარგით. — მაინც წამომცდა მე.
- ცისანას გაეცინა, მეც ავყევი.
- რა გქვია?
- გია.
- გია?
- ჰო, გია.
- კარგი სახელია.
- ისე, რა.

ცისანა ძალიან კარგი იყო. შავი თვალები უბრწყინავდა, სველი თმები მხრებზე ეყარა. ოთახს გავხედე. პირველად ლოგინი დავინახე. ალბათ იმიტომ, რომ ვიცოდი იმ ლოგინის დანიშნულება. ლოგინის გვერდით კარადა იდგა. ისიც, იატაკის არ იყოს, წითლად იყო შეღებილი. მეტი არაფერი არ იდგა ოთახში. ფარდები ეკიდა ფანჯარაზე, ძალიან თეთრი იყო, მახსოვს.

- ლამაზი თვალები გაქვს, გია.
- მორცხვად დავხარე თავი.
- რას იპრანჭები, მარტო თვალები გაქვს კარგი, მეტი არაფერი. მიდი, სინათლე ჩააქრე!
- ცისანამ სიგარეტი საფერფლეზე დააქრო. მეც იგივე გავიმეორე. სინათლე გამოვრთე.

- ხომ არ გეშინია სიბნელეში? — დამცინა ცისანამ.
- მინდოდა მეთქვა, არ მეშინია-მეთქი, მაგრამ ხმა სადღაც გამპარვოდა.
- მოდი! — თქვა ცისანამ და გავიგონე, როგორ დაწვა ლოგინზე. ხელის ფათურით წავედი იქითკენ. მაინც გამოვედე სკამს, გადავაყირავე.
- სახლს ნუ დაანგრევ, ბიჭო! — მიყვირა ცისანამ. ძლივს მივაღწიე ლოგინამდე.

- ტანსაცმლიანად წვები?
- სულ დამავინყდა.
- სხვა რამეც არ დაგავინყდეს.

ჩავენქი და ისე ხანგრძლივად ვაკოცე ტუჩებში, როგორც ფილმებში მენახა. ბნელოდა, მაგრამ მე კარგად ვხედავდი, ცისანას თეთრი ძუძუები როგორ ირნეოდნენ ჩემს ქვევით. მერე აღარაფერს არ ვხედავდი. სამაგიეროდ, უზარმაზარი საქანელით, საოცარი სისწრაფით დაბლა ვეშვებოდი, საკუთარი სხეულიდან გამოვდიოდი, ვიცლებოდი, ისევ ცაში ვიჭრებოდი ჯადოსნური საქანელით, ისევ ვივსებოდი და ვიკარგებოდი ღამეში. მერე გამომეცალა ყველაფერი, თბილ მდინარეზე ვინექი სულ მარტო და მივუყვებოდი სადღაც.

— ცისანა. — ეს იყო პირველი, რისი თქმაც მოვახერხე.

რამდენი ხნის შემდეგ ავდექი, არ ვიცი. ისე სასიამოვნოდ ვიყავი დაქანცული, ცისანას რომ არ ეთქვა, სულ არ ავდგებოდი. სინათლე ავანთე, ცისანა ხალათს იკრავდა.

— რამხელა ძუძუები გაქვს, ცისანა?! — ვუთხარი მე.

— ძალიან; ბრიჯიდ ბარდოს შეშურდებოდა. — ცისანას გაეღიმა. — ჰა, შაყირობ უკვე?

— არა! — შემრცხვა მე. კაცი გამხადე.

— თმები გადაივარცხნე.

— ვიცი. — მიპასუხა.

სიგარეტს მოვუკიდე, ოლონდ აღარ მიცდია კაცურად მომეწია. ცისანასაც მივანოდე.

— მე ფული არა მაქვს. — ისე ვუთხარი, არ შემიხედავს.

— კაცი გაგხადე. ეგ ძალიან ძვირი ღირს.

— არა, ხვალვე მოვიტან.

— გაჩუმდი და წადი.

გაჩუმდი და წამოვედი. ბალში ჩავედი ისევ.

— რა ქენი? — პირველი კითხვა ეგ იყო.

— არაფერი. — შეევუნახე ნამუსი ცისანას.

— როგორ, არაფერი?!

— ისე, დაღლილი იყო და — არაო!

— ვა!

— ჰო.

— შე არიფო! — მითხრა თემურმა და ბიჭებს მიუბრუნდა. — ჰოდა, იმას გეუბნებოდი, აი, ძუძუ რომ დამადო...

საშინლად გავბრაზდი. თითქოს ცისანას ჩემს მეტი არავინ ენახა. საჩქაროდ გამოვედი ბალიდან. სახლში ავედი. კიდეც კარგი, დედა არ დამხვდა. სასწრაფოდ ჩავენქი ლოგინში, რომ არ მოესწრო. ბებიას და ბიძას ეძინა.

— დამრიგებელს თუმან-თუმანს ვუგროვებთ, საჩუქარი უნდა ვუყიდოთ დაბადების დღეზე. — ვუთხარი ბებიას, დედა რომ სამსახურში წავიდა, მერე.

— რა ამბავია ნენა, თუმანი?

— რა ვიცი, ასე აგროვებენ და...

— თუმანი რომ კაცს ჯიბეში ედო ბებია ჩემს დროს, იმას ცოლის მოყვანა შეეძლო.

— ის, სხვა დრო იყო, ბებია.

— რაა ავი, ბებია? — კისერთან დამადო ხელი.

სარკეში ჩავიხედე. წინა ლამის ცისანას ნაკოცნი მაჩნდა. მერხს მივარტყი-მეთქი, უნიჭოდ მოვიტყუე მე და გავწითლდი. ბებია წელა გაემართა თავისი ოთახისაკენ და ცოტა ხანში თუმნით ხელში დაბრუნდა.

— გამხდარხარ ნენა ნუხელს მერე.

— ნუხელს მერე რა გამახდუნებდა?

— ა, ბებია, წაილე, მაგრამ გადაეცი შენს დამრიგებელს, არაა მაგი კარგი თქვა; იმიზე გასწავლის, ფული რომ გამოგართვას? რა ამბავია თუმანი? ბიძამენსაც ქე მიჰქონდა თავის დროზე საჩუქრის ფული, მაგრამ თუმანი არასოდეს წაუღია.

ეს რომ თქვა ბებიამ, ერთი კი ვიფიქრე, ყველაფრის აზრზე ხომ არ არის და ხომ არ მაშაყირებს-მეთქი. შევხედე, მიღიმოდა. ისე მოკვდა, ვერაფრით ვერ ვკითხე, მაშინ მიხვდი ყველაფერს თუ არათქო.

— კარგი ბებია, გადავცემ აუცილებლად. — დავპირდი.

— ჰო ნენა, აუცილებლად გადაეცი. — მითხრა ბებიამ და თავის ოთახში შებრუნდა.

ერთი სული მქონდა, როდის დაბნელდებოდა. შებინდა თუ

არა, ბელინსკის აღმართს ავუყევი. მარტო იყო ცისანა. ძველი მე-  
გობრების დიალოგი გაიმართა ჩვენს შორის.

— გამარჯობა ცისანა.

— არ დაგავინწყდი?

— რას ამბობ, როგორ დამავინწყდები?!

— ჩამოჯექი ბიჭო, რას დგახარ.

— როგორ ხარ?

— რა მიჭირს. შენ როგორ ხარ?

— კარგად.

— სახლში გაგიჯავრდნენ?

— არა, რას მიხვდებოდნენ.

— კარგად გეძინა?

— მკვდარივით.

— ეგრე იცის.

— ეტყობა.

— არა, თვალები მართლა ლამაზი გაქვს, ბიჭო!

— სიგარეტი მომანევი.

— ჯერ არა.

— რატომ?

— ჯერ უნდა მოგეფერო.

— მე ფული მოვიტანე.

— მაგ ფულით სიგარეტი იყიდე ხოლმე.

— რა ლამაზი ხარ, ცისანა?!

— გეჩვენება, ეგ ეგრეა.

— არა, მართლა ძალიან ლამაზი ხარ. ჩვენს უბანში არც არის  
შენისთანა ლამაზი ქალი.

— ერთ დროს მართლა ვიყავი ლამაზი.

— კატას გიგავს თვალები, ცისანა.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, სინათლე ჩააქრე ბიჭო!

იმ ლამის მერე, კიდევ ერთი თვე ვაქრობდი ცისანასთან სინათ-  
ლეს. სწავლას, რასაკვირველია მოვუკელი. სამაგიეროდ, ცისანას-  
თან სიარულს მოვუხშირე. იმ ერთი თვის განმავლობაში ჭამის მადა  
ისე გამეხსნა, ვერავინ მცნობდა ოჯახში. თუმცა, კიდევ იმიტომ ვერ  
მცნობდნენ, რომ რაც ვიყავი, იმის ნახევარი გავხდი. ჩამოვდნი, თვა-

ლები ჩამიცვივდა. დედაჩემმა ჩემი სისხლის, შარდის და განავლის ანალიზი გააკეთებინა. იქ რომ ვერაფერი იპოვნეს, ნამიყვანეს და ფილტვები გამიმოუქეს.

— კრიალა, რას ერჩით ამ ბავშვს? — თქვა ნანყენი სახით დედაჩემის ნაცნობმა ექიმმა. — ჭამის მადა როგორი აქვს?

— ეს ერთი თვეა, ვერა ვცნობთ. — უთხრა დედამ.

— მაინც მიეცით „პაჭკორია“, ყველაფერს უხდება. — ურჩია დედას ექიმმა.

ჩვენი მაცივრის ბოლო სართული პაჭკორიას ნამლით სავსე ბოთლებმა დაიკავა. ასო „პ“-ს ველარ ვიტანდი. მამაჩემი მოვიდა ერთ მშვენიერ დღეს (ეტყობა დედაჩემმა დაურეკა). ნურაფერზე ნუ ნუხარ შვილო, ხომ იცი, ყველაფერი შენთვის მინდაო, — დამამშვიდა და ისევ დაიკარგა. მეტი რა ექნა, ვალი მოიხადა. ერთ დღესაც, სკოლიდან რომ მოვდიოდი, შევამჩნიე, დედა მითვალთვალებდა. სიგარეტი გადავავადე. კი იცოდა, რომ ვენეოდი, მაგრამ მაინც არ მინდოდა პირში შემებოლებინა. გზა განვაგრძე და ჩვენი ქუჩის კუთხესთან ფრთხილად მოვიხედე უკან. დედა დახრილიყო და ჩემს გადაგდებულ სიგარეტს იღებდა. ვერაფერს მივხვდი. არადა, ვერც ვკითხე დიდხანს. ბოლოს, როგორც იქნა, გავუბედე, რისთვის აიღე იმ დღეს ჩემი სიგარეტის ნამწვავი-მეთქი. დედა დაიხარა, მერე სულ დაიჩოქა, მუხლებზე დამინყო კოცნა.

— რას შვრები, დედა! — ნამოვხტი მე.

— ხომ არ მლუპავ ბიჭო, მორფიან პაპიროსს ხომ არ ენევი?! — დედა ტიროდა.

მოგვიანებით მისგანვე გავიგე, — ერთი კვირის განმავლობაში, ყველა ჩემი გადაგდებული სიგარეტი, ექსპერტიზაზე მიჰქონდა თურმე, შესამონმებლად.

ერთთვისანი რომანის შემდეგ, დალუპულ კაცად ვთვლიდი თავს. რა არის ჩემი სიცოცხლე ცისანას გარეშე? მოვიყვან ცოლად და სულ გადავიხვეწე აქედან. სადმე, რუსეთში გადავალთ. მე მუშად ვიმუშავებ. ღამეებს ვათენებდი ასეთ ფიქრებში; წარმოვიდგენდი ჩემს თავს რუსეთში, რომელიმე უზარმაზარი მშენებლობის ხარაჩოებზე, „სპეცოვკაში“, აგურებს ვანყობ ერთმანეთზე და ხმამალლა ვყვირივარ: ვირა! მაინა! ვირა! მაინა! სახლში კი ცისანა მელო-

დება, საჭმელს მიმზადებს. იცის, რომ ძალიან მშვიერი დავბრუნდები. კიდეც, ათას სისულელეს წარმოვიდგენდი...

ალარ შემიძლია! გადავწყვიტე ერთ დღეს. გათავდა, აივსო ჩემი მოთმინების ფიალა (ეს ის დღე იყო, დედაჩემი მივლინებით რომ წავიდა ბათუმში). ბებიას რალაცაზე ავუტყყდი სამზარეულოში, ვეჩხუბე. ბიძაჩემი, რასაკვირველია, სახლში არ იყო. მოკლედ, ძალიან ხელშემწყობი პირობები შემექმნა ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. სუფთა პერანგი გამოვიღე კარადიდან, ახალი შარვალი ჩავიცვი. მაშინ „ბუტილკა“ იყო მოდაში. პატარა ჩემოდანი ჩამოვიღე კარადის თავიდან, დანარჩენი ტანისამოსი შიგ ჩავალაგე, თან, მამაჩემის ნაქონი ჰალსტუხიც მივაცოლე, — რა იცი, რაში გამომადგება-მეთქი. სკოლის ჩანთაში, რაც წიგნები მქონდა, ჩავჩარე. მერე ჩუმად ჩავიტანე ჩემოდანი და ჩანთა სადარბაზოში და კარებს უკან დავდე ისე, რომ შეუმჩნეველად შემძლებოდა წაღება. ოთახში მივბრუნდი და წერილი დავწერე. ძალიან კი გამიჭირდა სიმართლის თქმა, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა.

„მაპატიეთ ბებია და დედა! უნდა მაპატიოთ, უნდა გამიგოთ. ამას მე ვერასოდეს ვერ გეტყვოდით, ამიტომ გიტოვებთ წერილს. მე შეყვარებული ვარ. არა, სიყვარულიც არ ქვია ამას, კიდეც უფრო მეტია სიყვარულზე. რა ვქნა, არ შემიძლია მე უიმისოდ ცხოვრება. ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილები. მე უნდა წავიდე იმასთან. მჭირდება მე ის და მე იმას. ყველაფერს რომ მოვაგვარებ, გნახავთ აუცილებლად, მოვალ და გნახავთ. გკოცნით უამრავს. მაპატიეთ! თქვენი ვია“. — ბოლო სიტყვებზე ცრემლები ძლივს შევიკავე და ამიტომ, ყელი მეტკინა საშინლად. აშკარად გული მწყდებოდა, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებული იყო. ცისანა მელოდება. ჩემი ბარგი-ბარხანა ქუჩაში გავდგი და კარი ფრთხილად გამოვიხურე.

ჩემოდნით და ჩანთით რომ დამინახა, ცისანა გაოგნებული დაეშვა სკამზე. მე ამაყად ვუღიმოდი.

— რა ქენი, ბიჭო!

— გათავდა ცისანა! მორჩა! წამოვედი სახლიდან. არ შემიძლია უშენოდ, ჩემი ცოლი უნდა გახდე!

ცისანა ერთხანს გაფართოებული თვალებით მიყურებდა. მერე,

სიცილი აუტყდა. დიდხანს იცინოდა. მე სულელივით ვუღიმოდი. რა მექნა, არ ვიცოდი. ბოლოს, როგორც იქნა დანყნარდა.

— როდის გადანყვიტე?

— კაი ხანია, ამაზე ვფიქრობ.

ცისანას, გაცინებულ თვალებში, ენით აუნერელი სევდა ჩაუდგა.

— კარგი ბიჭი ხარ გია, შენ. — მითხრა ბოლოს.

— კარგი კი არა ვარ, მიყვარხარ!

— გგონია ასე. არ შეიძლება გია, წადი და აღარ მოხვიდე არასოდეს!

— რატომ ცისანა?

— ასეა საჭირო! შენისთანა კარგი ბიჭი, აქამდეც არ უნდა გამეჩერებინა ჩემთან.

— მიყვარხარ!

— არ შეიძლება გია, წადი-მეთქი! — გითხარი, წადი და აღარ გამოიხედო აქეთ!

ცისანა წამოდგა, მომიახლოვდა.

— წადი! ეგ გაგივლის. წადი, შენი ჭირიმე.

ლოყაზე მაკოცა დედასავით. ან, მამიდასავით. პატარა ბიჭებს რომ კოცნიან ხოლმე, ისე. მოკლედ, ძალიან ნათესაურად. მივხვდი, რომ აღარ გამაჩერებდა ცისანა. წამოვედი და ქუჩიდან ერთი კიდეე გამოვხედე. მეგონა, ისევ კარებში იდგებოდა. მიხურული იყო კარები. სახლიდან თუ მოვდიოდი და გული მწყებოდა წამოსვლის გამო, ახლა, მიბრუნება აღარ მინდოდა. მაინც მივდიოდი. აბა, სად ჯანდაბაში წავდიოდი? ბებიათამ გამილო კარი. ჩემი წერილი ხელში ეჭირა.

— ჩამოი ნენა? — მკითხა ღიმილით.

ხმა არ გავეცი, ისე შევედი ჩემს ოთახში.

— კაი, ნამეტანი! გასუქდები ანი.

ოჰ, როგორ მინდოდა, იმ წუთას გული გასკდომოდა ბებიას და მომკვდარიყო...



## მურზა პაპას ზღაპარი

— მაშ, უყვარსო?! — სიცილით ამბობდა თავადი.

— ძალიანო.

— მაგ მათხოვარმა, სიყვარულისა რა იცის?

აზნაურმა თავი დახარა.

— სთხოვე, ხვალე დილამდე დაიცადოს, ბარემლა, მზითევსაც გავატან. — თავადმა გულიანად იცინა თავის სიტყვებზე, მერე, მის წინ მდგომს ახედა.

— გესმის, შენა?!

— ბატონი ბრძანდებით.

— რა ვუთხრა, თქვენი ჭირიმე?

— ეგრე უთხარი! — თავადს ისევ წასკდა სიცილი.

— ძალიანა გთხოვა-თქო. ხვალ დილამდე დაიცადეთ-თქო. — ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და სველი თვალები დაიშრო, თუმცა, სიცილს მაინც აგრძელებდა. ბოლოს დანყნარდა; ისევ ახედა მის წინ მდგომს.

— შენა, არ გესმის, კაცო?! — სიმკაცრე შეეპარა ხმაში.

— ძალიან დამცირება გამოვა, თქვენი ჭირიმე!

— ეგეთ ვიგინდარებს, ეგრე უნდა მოექცე, თორემ, თავზე დაგაჯდებიან.

— თავადები არიან მაინცა.

— ეგეთი ჯიბეგავარდნილი თავადები, გზებზე ყრიან. დღემდე აქეთ მაყაშვილების ვალი.

— ისე... — შეყოვნდა. — ისე კი, ძალიან გიჟი გვარია. ქალი არ მოგვტაცონ.

თავადმა ისე შეხედა, მიხვდა, რომ უნდა გაესწრო ოთახიდან.

ორი ჭალარა და ერთი ახალგაზრდა თავადი, ოფლში გახვითქულები, განბილებულები და შეურაცხყოფილები, ცხენებით მიდიოდნენ მზისაგან გადამწვარ გზაზე.

„გასაჭირს დაუდგეს თვალი, თორემ...“ — ფიქრობდა მოხუცი მამა.

„ნასულია ჩვენი საქმე, ნამდვილად“, — ფიქრობდა მოხუცი ბიძა.

„ჩემი იქნება მაინცა!“ — ფიქრობდა მურზაყანი და ზღვისფერი თვალებით გზას გასცქეროდა.

ქალის ხელის თხოვნიდან მესამე დილას, ჩოლოყაშვილების კარმიდამო კვილიმა აიკლო. თავადმა შუბლში სილა რომ იტყვიცა, მერე მდევრები დაადევნა მომტაცებელს. მდევრებს წითელი არმია შემოხვდა გზაზე, თორემ, ისეთი ყოჩალი ბიჭები, მინას გახეთქდნენ და მიაგნებდნენ ტყით გაქცეულ მურზა ჯანდიერს.

— გათენდა, გოგო! — უთხრა მეორე დილით, მზით გასხვიოსნებულ ტყეში, მკლავზე მძინარე ოქროსთმიანს მურზამ და მერე, ორმოცი წელი, ყოველ დილას, მზეც და ქალიც ერთად შემოდდიოდნენ მის ცხოვრებაში.

გაიღვიდა მოხუცმა. გამხდარი ხელი გვერდით მიდგმული ტახტისაკენ გადასწია.

— გათენდა, გოგო! — თქვა და გაახსენდა, რომ წინა სალამოს დაესაფლავებინა ის, ვისაც ეკუთვნოდა ეგ სიტყვები.

ცოტა ხანს ჭერს უყურა. შემდეგ წამოდგა. ჩაიცვა, ეზო გადაიარა. ხისგან გამოთლილ სკამზე ჩამოჯდა, გზის პირას. მერე მოსაწევი ამოიღო ჯიბიდან და ფილტვები გაითბო კვამლით.

— მურზა პაპას გაუმარჯოს! — ჩაურბინა მეზობლის მოკლესმარვლიანმა ბიჭმა ჩანთით ხელში.

— გაგიმარჯოს, შენი ჭირიმე! — დაადევნა მოხუცმა. მანამდე უყურა, სანამ გზიდან არ გადაირბინა ბიჭმა.

— კარგი ბალღია ძალიანა, შენ რას იტყვი? — იკითხა და უკან ახედა ლობეს, სადაც წესით, როგორც ყოველთვის ასეთ დროს, მისი დედაკაცი უნდა მდგარიყო.

თავი გააქნია მოხუცმა და მინას ჩააშტერდა. ისევ გზას დაუნყოფურება.

„ახლა გიორგის ბალები გამოივლიან“, — გაიფიქრა და გზაზე,

მართლა ხუთი, ერთი-ერთმანეთზე გამხდარი და თვალეზანთებუ-  
ლი ბიჭი გამოჩნდა.

- გამარჯობა, პაპა!
- როგორა ხარ, პაპა?!
- პრივეტ, მურზა პაპ!

ხუთივემ სხვადასხვანაირად უთხრა მოხუცს გამარჯობა. ხუ-  
თივეს გაუღიმა მოხუცმა და ისევ ღობეს ახედა ზურგს უკან.

ნამოდგა, თუთუნის ნამწვი მინაზე დააგდო და ფეხით გასრისა.  
გაიარა ცოტა და სკამს დაუბრუნდა ისევ.

გზაზე შლაპიანი და ჩემოდნიანი კაცი გამოჩნდა. შორიდან იც-  
ნო, ფარვიზას, ქალაქში გადასული და დისერტაციადაცული უფ-  
როსი შვილი იყო. იმანაც დაინახა და შლაპა მოიგლიჯა შორიდანვე.

- გამარჯობათ, მურზაყან ბატონო!
- მშვიდობა მოგცეს! — მიუგო მოხუცმა.

— დამნაშავე კი ვარ თქვენთან, მაგრამ ეს კონსულტაციები და  
მილიონი აპრობაციები... დაკავებული ვარ ინტენსიურადა, — თავი  
გამოიდო „პროფესორამ“, როგორც სოფელში ეძახდნენ.

- იყენე თქვენები ყველა, რა უჭირს, შვილო!

— გამაგრდით. მთავარია გამაგრდეთ და მაგრად იყოთ. ყველა-  
ფერს ეშველება. „სულელი ესა“, — გაიფიქრა მურზაყანმა, — „რა-  
ლა უნდა ეშველოს ამ ამბავს“.

— რა იყო, გოგო, ვითომ, რაო?! — დაუძახა მკერდზე პერანგგა-  
დალეღილმა და ოქროსკბილიანმა გამხდარმა ბიჭმა, გზაზე სწრაფად  
და საქმიანი ნაბიჯით მიმავალ წითელკაბიან და გემრიელბარძაყები-  
ან გოგოს.

ხმა არ გასცა გოგომ, ისე ჩაუქროლა.

- სად მიდიხარ, გოგო? — კითხვასთან ერთად აედევნა.

„რამდენი ხანია დასდევს“, — გაიფიქრა მურზაყანმა.

- რად არ მელაპარაკები, ვითომ რა ვქენი მაგისტთან?

— რა გინდა? — სწრაფად შეტრიალდა გოგო მისკენ.

- ვააა! — გააგრძელა ბიჭმა ირონიულად.

მოხუცს გაეღიმა და ისევ ღობეს ახედა.

- გამარჯობა! — შეაკრთო ხმამ.
- გამარჯობა, გიორგი! — უთხრა მეგობარს.

- კარგი დარია. — თქვა კაცმა.
- კარგია. — დაეთანხმა მურზაყანი.
- ზაფხულიც მოვა მალე.
- მოვა.
- მაგრამ შემოდგომა რომ იცის ჩვენთანა, სულ ტყუილია.
- ჰო.

— იცი რას გეტყვი, კაცო?! — უცებ, გაბრაზებული ხმით დაინ-  
ყო გიორგიმ; — მეცა და შენცა, სულ მალე მივალთ იქა. თავს დარ-  
დით ნუ მოიკლავ.

მურზაყანმა ცრემლიანი თვალებით ახედა.

— მენატრება უბრალოდ. — თქვა მერე.

ჩუმად იყვნენ.

— სალამოს ჩამოდი ჩემსა, ისეთ ღვინოს დაგაღვინებ...  
— ჩუ! — მონყვეტით თქვა მურზაყანმა და უკანა ეზოსაკენ გაი-  
ხედა. ის-ის იყო, უნდა ეთქვა, ხომ იცი, ჩემი დედაკაცის ამბავი, ამ ბო-  
ლო დროს წვეთსაც არ მალევილებსო, რომ, გაახსენდა ყველაფერი.

— რა იყო? — თავის მხრივ გაკვირვებულმა, ეზოს გახედა გი-  
ორგიმ.

— არაფერი.

— ნავედი. მაშ, გელოდები!

„ბიჭთან ნავალ, ქალაქში“. — ცოტა ხნის შემდეგ ფიქრობდა  
მურზაყანი და სახლს უახლოვდებოდა.

— რამე მაჭამე, გოგო! — ასძახა აივანს და გაშეშდა შიშისაგან.  
მერე, ნელა აუყვა კიბეს. გამოალო ძველისძველი ჭურჭლის კარა-  
და. თეფში მაგიდაზე დადო. ისევ კარადას დაუბრუნდა; ხორცი, მა-  
რილი და პური გამოიღო. დაჯდა, ცივ ხორცს მარილი მოაყარა, ჩა-  
იდო ლუკმა პირში და ცრემლებმა კინალამ დაახრჩო. ნამოდგა,  
ფარდავი ეზოში ჩაიტანა და კაკლის ძირში დაიძინა.

მზე ჩადიოდა, რომ გაეღვიძა.

— ზურგი მომფხანე ერთი, — თქვა და თვალები გაახილა. ხეს  
გაუსვ-გამოუსვა ზურგი.

მესამე დღეს, კისრამდე შეკრულ ლურჯ კიტელში და შავ ჩექ-  
მებში გამოწყობილი მოხუცი, პატარა სკივრით, შუაგულ ბაქანზე  
იდგა და „შენ იცი, ჩემი კარ-მიდამოო“, — გიორგის ეუბნებოდა.

ცხელოდა. რკინის რელსები ელავდნენ მზეზე.

— იქნება, ჰა?! — კიდევ ერთხელ სცადა მურზაყანის დატოვება მეგობარმა.

— არა! შვილიშვილი სხვაა.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, — „არა, მე ლოჯში დავიძინებო!“ — შვილმა და რძალმა, ერთი ოთახი ცალკე მანაც გამოუყვეს მურზაყანს. ოთახის გარდა, ორი თეფში, ერთი ჭიქა, ერთი ჩანგალი, კოვზი, პირსახოცი და პატარა კარადაც დაუთმეს. კარადა არ მინდა, სკივრი მეყოფაო. — თქვა მოხუცმა და ის კარადა უკან გაატანინა. ღამე თეთრ, გაქათათებულ ლოგინში ჩანვა და ეგეც ეგრე, ჩემო გოგოო! — თქვა.

ორი დღე მურზაყანმა პატარა ბიჭი სად არ ატარა, მაგრამ ორივე ღამეს, მანაც ყველაფერი თავის დედაკაცს უამბო.

მესამე საღამოს, მარტო დატოვეს ბაბუა და შვილიშვილი სახლში. ბიჭმა არ მოისვენა, გინდა თუ არა, ზღაპარი მომიყვიო. რაც კი ზღაპარი იცოდა, ყველაფერი იმ სამ დღეში უამბო. სხვა, ვერ გაიხსენა ვერაფერი.

— მომიყვი, მომიყვი! — უკვე ტიროდა ბიჭი. მოხუცმა ხელში აიყვანა. მერე მუხლზე დაისვა. რა ვქნა ეს ოხერი, არაფერი არ მაგონდება. — თავისთვისა თქვა და ისე დაიწყო, როგორც ყველა ზღაპარი იწყება.

— იყო და არა იყო რა, შენი ჭირიმე, ღვთის უკეთესი, რა იქნებოდა? — ისე თქვა, არც იცოდა, ამის შემდეგ რას იტყოდა, მაგრამ მისდა უნებურად მოაყოლა: — ერთი სოფლელი ბიჭი იყო, შენი ჭირიმე. — სადღაც, ძალიან შორს გაიხედა, ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე, გააგრძელა ისევ: — ერთი ღარიბი თავადის შვილი იყო და ცხოვრობდა პატარა სოფელში, მთის გადაღმა. ერთ მშვენიერ დღეს, ამ სოფელს მეფე ეწვია თავისი ქალიშვილით და ამალით. ბიჭიც გაიქცა მათ სანახავად და ისე მოეწონა ოქროსთმიანი ქალიშვილი, რომ გაცეცხისაგან პირი დაალო. ეს იმ ქალიშვილმაც შეამჩნია და გაუღიმა. ის დღე იყო და ის დღე, ველარ მოისვენა ბიჭმა. ერთ დღეს, დილაუთენია წავიდა სოფლიდან მის საპოვნელად. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ქვის გალავნიან სასახლეს მიადგა. შეიპარა სასახლეში და იპოვა ის, ვისაც ეძებდა. ჩასჭიდა ხელი, მაგრამ ამ

დროს მეფემ მიუსწრო, წაართვა ოქროსთმიანი ქალიშვილი, თვითონ კი ისევ თავის სოფელში მოისროლა. მაინც არ მოისვენა ღარიბმა ბიჭმა. ახლა თეთრ რაშს შემოაჯდა და გასწია სასახლისაკენ. მოხუცი გაჩუმდა. რალაცაზე ფიქრობდა.

— მერე, პაპა? — ჰკითხა პატარამ.

— ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოიტაცა ის გოგო, სხვა ქვეყანაში გადაიყვანა და აცხოვრა ტკბილად.

— მერე?

— მერე? — დაიბნა კითხვაზე. მერე აიშენეს სახლი, გაუჩნდათ შენისთანა ანგელოზი და დაიწყეს ცხოვრება მშვიდად და კარგად. გაიზარდა ის ანგელოზი და წავიდა ქალაქში. დარჩა სოფელში მოხუცი და ოქროსთმიანი დედაბერი. უფრო შეუყვარდათ ერთმანეთი, ერთ წუთს ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ. ერთ დღეს, დაბრუნდა სახლში კაცი და ველარ იპოვა თავისი მეგობარი, ოქროსთმიანი მეგობარი. გაგიჟდა კინაღამ.

— მეტი აღარ მინდა, თუ სატირელია. — უთხრა ბიჭმა.

მეტი აღარ იყო სატირელი. „მურზაყან ჯანდიერს, ცრემლი კარგა ხნის მომდგარი ჰქონდა თვალზე“.

\* \* \*

გათენდა, გოგო! — მოხუცი ისევ ეზოს წინ იჯდა, სკამზე.

— მურზა პაპას გაუმარჯოს! — ისე მირბოდა მეზობლის ბიჭი, გამარჯობის თქმაც ძლივს მოასწრო.

— ჩქარია მამასავით. — გაიფიქრა მურზაყანმა და ღობეს ახედა.

— ვიცოდი, რომ ვერ გაძლებდი! — გაიგონა გიორგის ხმა.

— ვერ გავძელი.

— ვიცოდი.

— აქაც ვერა ვძლებ.

— რათა, კაცო?!

— ველაპარაკები სულ იმასა.

— ეგრე იცის ორმოცამდე; ნუ გეშინია.

— არც არაფრისა მეშინია, ოლონდ, იმანაც მინდა, მითხრას რამე.

— გადმოდი ამ საღამოს ჩემთან. — უთხრა გიორგიმ და წავიდა.

— პრივეტ, მურზა პაპ!

— როგორ ხარ, პაპა?

გზაზე ხუთი ძმა მიდიოდა. მურზაყანი ხუთივეს უღიმოდა და ცრემლები მოსდიოდა მისდა უნებურად.

ორმოცს მართლა დაუცადა. საფლავზეც გავიდნენ ის და გიორგი. ორმოცის მეორე დილას — გათენდაო, ისევე რომ უთხრა, მერე, ბევრი აღარც უფიქრია. წამოდგა, ფანჯარა გააღო და ღრმად შეისუნთქა ჰაერი. სკამი მიიტანა ფანჯარასთან და კედლიდან თოფი ჩამოხსნა. ტყვია გასინჯა და სკამზე ჩამოჯდა. ერთი კიდეც გახედა ფანჯრიდან ქვეყანას; მაპატიე ღმერთო, შენი სახელის ჭირიმი! — ისე თქვა, ხმა არ ამოუღია. ტუჩები აამოძრავა მხოლოდ. თოფის ლულა გაღებულ პირში ჩაიდო, უფრო დაიხარა, რომ ხელით მისწვდომოდა ჩახმასხს. გრძელი იყო რკინა, ვერაფრით ვერ მიწვდა. მაშინ, ორივე ხელით ლულას დაეყრდნო, ფეხის ცერა თითი ჩახმასხს დაადო და მთელი ძალით დააჭირა. უკან გადააგდო ძალამ.

— ვერც გაძელი, შე უბედურო! — თავისთვის იმეორებდა გიორგი იატაკზე დაგდებულ, სისხლში ამოსვრილ მურზაყან ჯანდიერის, ჯერ კიდეც თბილ სხეულთან.

\* \* \*

— სად მიდიხარ, გოგო? — კითხვასთან ერთად აედევნა წინ ოქროსკობილიანი ბიჭი საქმიანი ნაბიჯით მიმავალ გოგოს.

— რად არ მელაპარაკები, გაიგე მაინცა ის ამბავი?

— რა? — გაჩერდა გოგო.

— მურზაყანმა მოიკლა თავი, ჯანდიერმა.

— რას ამბობ, ბიჭო!?

— გეფიცები!

— მურზა პაპა... — თითქოს რაღაც უთხრა გოგომ და ცრემლი გადმოუვარდა.

— მაშ!

გოგო წავიდა. ბიჭი ისევე გაჰყვა.

— იცი, რად მოიკლა?

გოგომ ხმა არ გასცა.

— თურმე სულ თავის დედაბერს ელაპარაკებოდა. ეგრე თქვა გიორგიმ. ძალიან ყვარებია. ის კიდე, აბა, როგორ დაელაპარაკებოდა? ჰოდა, აილო და თავი მოიკლა.

გოგო ისევ უხმოდ აგრძელებდა გზას.

ბიჭი გაჩერდა. აღარ გაჰყვა.

— ვენაცვალე მაგას, კაცი ყოფილა, მაინც გაუტანია თავისი. — მონყენით თქვა. ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მტვრიან გზაზე მიმავალი, უკვე კარგა დიდი მანძილით დაშორებული წითელკაბიანი გოგოსათვის.



## დაბადება

სალამო ხანს მიწევდა ქალაქიდან ჩასვლა. გზიდან დავინახავდი პაპას. ხესთან იჯდა ხოლმე. შორიდან შემამჩნევდა, ადგებოდა და მძიმე ნაბიჯით შემომეგებებოდა.

— ჩამოხველი? — ისე მკითხავდა, თითქოს ვერ მხედავსო.

— ჩამოველი. — ვუპასუხებდი მეც. ეგ იყო და ეგ, ჩვენი შეხვედრა. არც მაკოცებდა, არც ჩამიხუტებდა, მხოლოდ ამ სიტყვას მეტყოდა და გვერდით გამომეყვებოდა. მერე, ეზოს ქიშკართან წინ გამიშვებდა და უკანიდან მხარზე დამადებდა ხელს. მარტო იმ ხელის დადებით ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი ძალიან.

გიორგი პაპა უსაშველოდ დიდი იყო ტანით, ვეებერთელა ხელეები ჰქონდა. ყოველთვის წვერგაპარსულს, სულ სუფთად ჰქონდა გამხდარი, მსხვილნაკვებიანი, დანაოჭებული სახე. ასევე სუფთად და კოხტად ეცვა ხოლმე. სოფელში თუ მოუწევდა რამეზე გასვლა, აუცილებლად შავად გაპრიალებულ ჩექმებს ჩაიცვამდა, თავის საყვარელ ლურჯ კიტელზე, ფართო ტყავის ქამარს შემოირტყამდა და ნელი ნაბიჯით გაუყვებოდა გზას.

— ნეტავი ვის აწონებ თავს, შე ბებერო? — ღიმილით, ვითომ ხუმრობით ჰკითხავდა ბაბო. ისე კი, აშკარად ეტყობოდა, რომ მართლა ეჭვიანობდა.

— ვის უნდა ვაწონებდე, უბრალოდ მტერს ვუკლავ გულსა, — უპასუხებდა დინჯად. მტერს ვუკლავ გულსაო, კი იძახდა პაპა, მაგრამ ჰიტლერის გარდა, მტერი არ ეგულებოდა ამ ქვეყანაზე.

ომი რომ დაიწყო, მამა წავიდა. წერილს რომ დავინახავდით პაპას ხელში, ყველანი მივცვივდებოდით. მანამდის არ გახსნიდა, სანამ შუა ოთახში არ ჩამოჯდებოდა და მისთვის ჩვეული სიღარბის-

ლით არ დაიწყებდა წერილის კითხვას. ოთხი წელი მოდიოდა სამკუთხა ბარათები და ათბობდა ოჯახს.

ომი მთავრდებოდა, ბოლო წერილი რომ მოგვივიდა. „გკოცნით სუყველასა“, — ასე დაიწყო პაპამ კითხვა და ყველას გადაგვხედა. კინალამ, თვითონაც მოგვესალმა.

„ძალიან კი მომენატრეთ სუყველანი, თქვენი ჭირიმე“. მაგას ვინ მოენატრა, მე, კი ვიცი! — დააყოლა პაპამ და დედაჩემს გადახედა. დედამ მორცხვად დახარა თავი.

„როგორა ხართ? თქვენი დარდი მაქვს, თორემ მე, კი შევეჩვიე ტყვიების ზუზუნსა“. — პაპამ მუხლებზე დაიკრა ხელი. — „ახლოს ვართ გამარჯვებასთან, მამი, მალე ბერლინთანაც ვიქნებით და იქ სადღა გაგვექცევინა ჰიტლერი და მისი ამაღა, იმასაც ვნახავ! ჩემზე, მამი, ნუ იდარდებთ. სოფელში რომ დავბრუნდები, ცოცხალი ვიქნები, ერთი ორი კვირა მაინცა, მერე კი, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამა. ეგ ჩვენი მინგრეული სახლი, სასახლე უნდა ვაქციო. ახლა არა მცალიან. აკოცე სუყველას: დედასა, თამროსა და რომანასა. თამროს მიხედე. ეგ კარგი გოგოა. მე დავბრუნდები აუცილებლად. ისე მომენატრეთ სუყველა, რომ ეგ დამაბრუნებს მე.

თქვენი თამაზა“.

წამოვხტი, რომ წერილი გამომერთმია პაპასათვის.

— მოიცა, კაცო, კიდევაა! — თქვა პაპამ.

„მამი! მართლა, კინალამ დამავიწყდა. მე ახლა, ოცეულს ვმეთაურობ“.

— უყურე მაგ მამაძაღლსა, ოცეულს ვმეთაურობო! — ამყად თქვა პაპამ და ერთიც გადმოგვხედა.

ომი დამთავრდა. ბევრი არ დაბრუნებულა ჩვენს სოფელში.

ომის დამთავრებიდან ორი თვე იყო გასული, ერთ საღამოს რომ მაკბეტა მოვიდა ჩვენთან. მამას ტოლი და მეგობარი, საშინლად დაბალი და გამხდარი. მარჯვენა ხელი აღარ ჰქონდა. ცარიელი სახელო, კოხტად გაეყარა ქამარში. მარჯვენა ხელში ჯოხი ეჭირა, კოჭლობდა. ყველა გავეგებეთ.

— მაკბეტა ხარ? — ჰკითხა პაპამ.

— მა, ვინ ვიქნები, ძია გიორგი!

პაპა გადაეხვია მაკბეტას და კინალამ მოახრჩო.

— დაბრუნდი? — ჰკითხა ბაბომ და ისიც გადაეხვია.

— ვერა მხედავ, დეიდა თეკლე?

— რალა დაგინახოს ძია მაკბეტე, ისედაც არ ჩანდი და ახლა სულ!..  
თავში დედაჩემის ხელი და წყევლა მომხვდა.

სახლში შევედით.

— ერთი სასიამოვნო ამბავი მაქვს თქვენთანა. — დაიწყო მაკბეტემ, სანამ დაჯდებოდა. — თუმცა, ალბათ, თვითონაც გეახლებათ.

— რა იყო, ბიჭო? — ჰკითხა დედამ.

— რა არის ეგეთი? — გაიმეორა პაპამ.

— თამაზა ვნახე.

— სადა, ბიჭო?

— ბერლინთანა.

— მერე, აქამდე ვერა თქვი?

— შორიდან ხომ არ დაგიძახებდი, გიორგი ძია?!

— რაო, ბიჭო, რასა ვშვრებო?

— ერთი წუთითა ვნახე. გადავკოცნეთ შუა ცეცხლში ერთმანეთი. ეგ იყო და ეგ. ოცეულს მეთაურობდა.

— ცოცხალია? — ჰკითხა ბაბომ.

— ცოცხალი კი არა, ლომივით იყო, ნამდვილი ლომივით.

ჩუმად ვიყავით ყველა.

— თამრო! — ისევ პაპამ დაარღვია სიჩუმე, — ღვინო გამაიტა, გოგო!

იმ ღამეს ბევრი დალიეს გიორგი პაპამ და მაკბეტემ. ბოლოს, გიორგი პაპამ მაკბეტე ზურგზე გაიდო და სახლში წაიღო.

გადიოდა დრო და მამა არ ჩანდა. ერთი წელი სრულდებოდა ომის დამთავრების შემდეგ, მამას მაგივრად, მიხო ფოსტალიონი რომ მოვიდა ჩვენთან და მიწას მიაშტერდა.

— რა იყო, მიხო? — ჰკითხა პაპამ.

მიხო ხმას არ იღებდა. მიწას თვალს არ აშორებდა და გამონვდილ ხელში ბარათი ეჭირა უხერხულად.

— ხომ მშვიდობაა, მიხო? — კითხვა უფრო ვედრებას ჰგავდა.

მიხომ ბარათი ხელში ჩაუტოვა და წავიდა.

პაპამ სასწრაფოდ გახსნა. მერე უცებ, უზარმაზარი კაცი მოიხარა, დაეშვა, დაპატარავდა.

ბარათი ხელიდან გამოვართვი. „სპრათო ქეზ ვეყიმ“. — ენერა ბარათში.

მე, დედამ და ბაბომ გამოვიტირეთ მამა. პაპა არ ტიროდა მხოლოდ. რამდენიმე დღის შემდეგ ცალხელა მაკბეტა ისევ მოვიდა. პაპა და მაკბეტაც ჩუმად ისხდნენ ოთახში.

— კი მაგრამ, კაცო, ოცეულის მეთაურის დაკარგვა იქნება? — ჰკითხა ბოლოს პაპამ.

— აბა, რა გითხრა, გიორგი ძია?

— ცხვარი ხომ არ არის, კაცო, დაიკარგოს?!

— აბა, რა გითხრა-მეთქი, შენი ჭირიმე?!

— მე კიდევაც, მჯერავს, რომ დაბრუნდება! — თითქოს, ჯიბრი-თა თქვა პაპამ ცოტა ხნის შემდეგ.

— ღმერთმა ქნას, ძია გიორგი...

წლები გადიოდა. პაპამ ჩვენი ვენახის ბოლოში სწორედ ის ატმის ხე აირჩია, სადაც მხვდებოდა ხოლმე ქალაქიდან ჩასულს და საიდანაც ყველაზე კარგად ჩანდა სოფლის გზა. სკამი თავისი ხელით გამოთალა და ხის ძირში ჩადგა. მთელი დღის მუშაობის მერე ამ ატმის ძირში ჩამოჯდებოდა და მანამდე გაჰყურებდა გზას, სანამ მისი გარჩევა შეიძლებოდა სიბნელეში. მთელი დღეები ხმას არ იღებდა. ერთ-ორ სიტყვას თუ ეტყოდა, ისიც, დედაჩემს. მე წამოვიზარდე. გაუთავებელი მისი ლოდინი ნერვებს მიშლიდა.

ერთ საღამოს მივუახლოვდი და გაბრაზებულს, მიხლოდა მეყვირა, აღარ ჩამოვა შენი თამაზა-მეთქი! ქვევიდან ამომხედა, მიმიხვდა ეტყობა სათქმელს და პირველად ჩემს სიცოცხლეში, დავინახე მის თვალზე პატარა ცრემლი.

იჯდა მოხუცი თავის დარგულ ხესთან, სკამზე და ელოდა ბიჭს. აღარავინ აღარ ელოდა იმის გარდა.

არ დაბრუნდა მამა. რამდენი წელი გავიდა, ვინ იცის. იმ წელიწადს ადრე გაზაფხულზე ჩავედი სოფელში. ჩემი პატარა ბიჭიც წავიყვანე. შუადღე არ იქნებოდა ჯერ, გიორგი პაპა რომ წამოდგა და კარისაკენ წავიდა.

— სად მიდიხარ, გიორგი? — ჰკითხა ბაბომ.

— ვენახში ჩავალ, ცოტას მივხედავ. — თქვა პაპამ. კართან დაყუდებული თოხი აიღო და გარეთ გავიდა.

— ეგრეა ყოველდღე. არა ჰგონია, რომ დაბერდა. — მითხრა ბაბომ. — მერე კიდევ, დაჯდება იმ ატმის ხესთან და ისევ გზას გაჰყურებს.

პატარა ბიჭი ბაბოს ეფერებოდა. ბნელდებოდა. ბაბომ გიორგი პაპას გასძახა. პასუხი ვერ გავიგონეთ.

— გიორგი, ბიჭო! ამოდი ახლა, გეყოფა! — დაიძახა ისევ ბაბომ. არაფერი არ ისმოდა.

ვენახი გავიარეთ, ატმის ხესთან მივედით. მოხუცი მინაზე იწვა. ხე მოეგლიჯა ნაქცევისას, ჩახუტებოდა. ფესვები ნახევრად ამოყრილიყო მიწიდან.

ოთახში დავანვინე. მალე მთელმა სოფელმა გაიგო, გიორგი კვდებაო.

მეორე დღეს დილიდან გაივსო ოთახი მეზობლებით.

— გიორგი, მე ვარ კაცო, თებრო! გამომხედე ბიჭო! ძალუაშენის შვილი ვარ, ვაი, შენ უბედურო, შენა! — არ ასვენებდა თებრო მომაკვდავს.

პაპა ღრმად სუნთქავდა.

— რამდენი წლისა იქნება ზუსტად? — მკითხა ვილაცამ ყურთან.

— ას ხუთის. — ვუპასუხე მე.

— ე, შვილოსა, მაქამდე გვაცოცხლა სუყველა და...

ბნელდებოდა, კარი რომ გაიღო და კიდევ ვილაც ქალი შემოვიდა. პირდაპირ პაპასაკენ გაემართა, შუბლზე ხელი დაადო. მერე მოვიდა, ჩემს გვერდით დაჯდა.

— ვაი, სიკვდილს რა ვუთხრა გიორგი, როგორ დაუბეჩავებინარ, შე სანყალო, შენა?! — დაიყვირა ხმამაღლა.

— ქალბატონო, ცოცხალია, ცოდოა, ესმის იქნებ?! — გავბედე ძლივს.

— ამას რაღა ესმის, შვილოსა, რაღა?! შე უბედურო, შენ, რაღა გეშველება უამისოდ?! — მიატირა ახლა ბაბოს ისე, თითქოს ბაბოს, კიდევ ერთი ასი წელი უნდა ეცხოვრა ამ ქვეყანაზე.

— გიორგი, ეგრე მალე, კაცო?! — ჰკითხა ისევ.

არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა ასე იყო, ას ხუთი წლის მომაკვდავს ღიმილის მსგავსი შევამჩნიე სახეზე. მთელი ღამე ვერ მოვისვენე. დილით წერილი დავწერე და გიორგი პაპას სანოლს მივაშურე.

— პაპა! მე რომანა ვარ, შენი თამაზას შვილი! — ვუთხარი ხმა-  
მალლა.

პაპამ მძიმედ გაახილა თვალი.

— პაპა! შენი თამაზა, მამაჩემი ბრუნდება, წერილი მივიღე, აი!..  
— ვთქვი და ნათქვამის შემეშინდა.

პაპამ ქალღმერთს შეხედა, მე რომ ხელში მეჭირა.

— ბრუნდება! — უფრო თამამად ვთქვი. — ნაგიკითხო?

მოხუცმა თვალი დახუჭა და ისევ გაახილა.

— „მამი“! — დავიწყე ჩემი წერილის კითხვა.. ყველა გაჩუმდა  
ოთახში. — არ ვიცი, დამხვდებით ვინმე ჩემიანი თუ არა, მაგრამ მა-  
ინც გწერთ. დიდხანს გალოდინე, შენი ჭირიმე, სხვანაირად არ შე-  
მეძლო. წერილით ვერ გეტყვი. რომ მიიღებ, მეც, ალბათ, ერთ კვი-  
რაში ჩამოვყვები. ბევრსა გკოცნით! — შენი თამაზა“.

პაპა წამოიწია, ხელი ბარათისაკენ წამოიღო. მივანოდე, დახე-  
და. ნელა დაეშვა ისევ ბალიშზე. მოლიმარი თვალი დახუჭა და გა-  
თავდა.

— მოკალი, ბიჭო?! — მკითხა ვილაცამ.

— მოკლა ამ ოხერმა! — გაიმეორა რამდენიმემ. ბაბოს არ უთქ-  
ვამს არაფერი, მხოლოდ.

დავასაფლავეთ გიორგი პაპა. ღიმილი ჰქონდა ბაგეზე. ხშირად  
მინახავს მე ასეთი უმწეო, მშვიდი და ნათელი ღიმილი მიცვალებუ-  
ლის ბაგეზე...

„ოცნებაო, ჩემო ძველო...“

საქართველო თბილისში ასფალტდაგებულ ეზოებს მაგონებს, ოღონდ, ეზოს გუდრონიან ნაწილს კი არა, იმ პატარა გადარჩენილ მიწას, ეზოს კედელსა და ასფალტს შორის რომ არის მოქცეული, მომწყვდეული, ვიღაცას რომ დაურგავს ამ გადარჩენილ მიწაზე ცოტაოდენი მწვანე.

„ალუბლის ხეს რომ მოსტეხე ტოტი, მითხარ, სახსოვრად დიდხანს ატარეე“?! — ბლავიან რადიოში.

— გია! ადექი დედა, არ დაგაგვიანდეს!

არ ვიმჩნევ. ვითომ მძინავს.

— არ დაგაგვიანდეს! — მიმეორებს დედა.

— კარგი რა?! — უკმაყოფილოდ ვპასუხობ.

— საქმელი მაცივარშია, მანეთი მაგიდაზე დევს, გაზი არ დაგრჩეს ჩართული!

— ვისაუზმებ აუცილებლად და პურს წამოვიღებ, სამსახურიდან რომ წამოვალ! — უმთავრებ იმას, რაც თვითონ უნდა ეთქვა.

დედა ნაწყენი მიდის.

უკვე მეოთხე წელია, დედა ყოველ დილით ერთსა და იმავეს მიმეორებს. მეოთხე წელია, ცოტა ხანს კიდევ ვრჩები ლოგინში და ჩემს წინ, კედელზე, ბებიჩემისა და ბიძაჩემის სურათებს შეეყურებ, რომლებიც აღარ არიან და რომლებიც ძალიან მენატრებიან. განსაკუთრებით, ბიძაჩემი. მერე ვფიქრობ, როგორ მიემატება ამ სურათების გალერეას დედაჩემის და ჩემი სურათი ერთ მშვენიერ დღეს. არა! — ორ მშვენიერ დღეს. კიდევ, ბევრ სისულელეზე ვფიქრობ. რადიოში ისევ ტირიან. მართლა, მე გია მქვია. დავამთავრე უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და რატომღაც გაზის მოხმა-

რების ინსტიტუტში ვმუშაობ. იმიტომ, რომ სხვაგან ადგილი არ იყო. მყავს დედა. მამაც, ოღონდ ეს უკანასკნელი სამ თვეში ერთხელ მყავს, როდესაც მოდის და მნახულობს. მაინც მამა და ხომ უნდა მნახოს? სწორედ იმიტომ მნახულობს, რომ უნდა მნახოს და არა იმიტომ, რომ ნახვა უნდა. ზოგადი კითხვების შემდეგ, მამა მხნედ დგება სკამიდან და ყოველი წასვლის წინ, აგერ უკვე ათი წელია, ერთსა და იმავეს მეუბნება: „აბა, შვილო, ყოჩაღად! შენ არაფერზე არ შენუხდე! ყოჩაღად! ხომ იცი, ყველაფერი შენთვის მინდა!“ ამ ბრძნული აზრის შემდეგ მტოვებს მარტო. ან რატომ არ უნდა შევწუხდე, ან რატომ უნდა ვიყო ყოჩაღად, ან, რა ყველაფერი უნდა ჩემთვის, დღემდე საიდუმლოებით არის მოცული. ამ სიტყვების მეტი არაფერი არ მახსოვს მამისაგან. კოცნაც კი არ მახსოვს. დედა მყავს-მეთქი, გითხარით და — ბიძა. ადრეც გითხარით. ბიძაჩემი ჟურნალისტი იყო, მოქეიფე. მოკლედ, ძალიან კარგი იყო. იმიტომაც აღარ არის. ძალიან კარგები ადრე კვდებიან. თქვენ? ააა?? დიდად სასიამოვნოა! ძალიან სასიამოვნოა, თქვენი გაცნობა!

გალერეაზე ფიქრის შემდეგ სწრაფად ვდგები, ლოგინს ვასწორებ, გავრბივარ მეორე ოთახში და სამზარეულოს კარს კარგახნის დამუშავებულ ილეთს ვუტარებ. ვანვები ორივე ხელით და ორივე მუხლით. მე ჩოქბჯენში ვარ. სამაგიეროდ, კარი ღიაა. კარის მრცხვენია და სწრაფად ვდგები. კიდევ იმის მრცხვენია, რომ ვეღარ გავაკეთებინე ეს კარი, ამდენი ხანია. სამზარეულოში მაგრად უბერავს. ფანჯარა გატეხილია და იმიტომ. არა, ფანჯარას ჩავასმევინებდი, მაგრამ დედაჩემს ამის შესახებ საკუთარი აზრი გააჩნია: „მამამენს გაუტყდა ერთხელ და იყოსო“, — მთხოვს. გადამრევენ ეს ქალები.

სააბაზანოდან სველი ქათამივით გამოვრბივარ. „კონცერტი დამთავრებულია“. — მეუბნება დიქტორი, რომელსაც პანაშვიდის სიმღერები, საკონცერტო ჰგონია. ვიმშრალე, ვიცვამ და კალენდრიდან კიდევ ერთ ფურცელს ვხევ.

„როგორ ვისადილოთ, თუ უეცრად სტუმრები მოვიდნენ, სახლში კი არაფერი გვაქვს. მაცივრიდან გამოვილოთ ორი კილო ხორცი, უმჯობესია ცოცხალი. ხუთი კვერცი, მწვანილი, ახალი კარტოფილი ან სოკო...“ და ა.შ.



მაცივარში როგორ უნდა აღმოჩნდეს ყველაფერი ეს, ამის შესახებ არაფერი წერია, ჯერჯერობით. კალენდრის ფურცელს საფერფლები ვაგდებ. „ჩაისუბნის კოლმეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა ორას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ოქრო“. — მახარებს რადიო. ჩაისუბანი, ჩაის მახსენებს. ადუღებულია. ვსაუზმობ, სიგარეტს ვუკიდებ, სარკეში ვიხედები: ვრწმუნდები ჩემს გენიალურ გარეგნობაში, გარეთ გავდივარ. ბელინსკის ქუჩა გაღვიძებული მხედება სამუშაოზე სწრაფად მიმავალი ნაცნობებით, გასტრონომით, სადალაქოთი და ქუჩის კუთხეში შეკრებილი ხელოსნებითა და ლოთებით.

— პრივეტ, გია-ჯან!

— გაუმარჯოს! — ვეუბნები ძია საქოს, რომელიც გასტრონომის წინ რძეს და კვერცხს ჰყიდის, რომელსაც თეთრი ხალათი აცვია ამ შუა ზამთარში და ხელებს ყოველ წამს იორთქლებს.

— თბილადა ხარ, აი! — მანიშნებს ჩემს ძველ ტულუპზე, რომელიც მეცხვარეებისაგან უყიღია ოდესღაც ბიძაჩემს.

— ფეჩივით.

— ეგ რომელი გოდაა?

— შესდესიატი. პატარა რო ვიყავი, ბიძაჩემზე მახსოვს.

— ხო, დაჟე მეც მახსოვს! — მიცინის ძია საქო.

ახლა ქუჩის კუთხესთან მივალ და მიშა ფულს მთხოვს; აი, ცოტაც დაიცადეთ.

— გია, ოცდაათი კაპიკი არა გაქვს?

— ხომ იცი მიშა, რომ მაქვს და ისიც ხომ იცი, რომ მანეთიანი მაქვს?! — უკვე მემილიონეჯერ ვეუბნები მიშას.

— როგორ არ ვიცი. მე თუ შენი ფული არ ვიცი...

მალაზიაში შედის და ხურდას მალე მიბრუნებს. სულ მინდა დედაჩემს ვუთხრა, რომ მანეთიანი ხურდა ფულით მომცეს.

— „შენ ჩემო შვეიცარიის ბანკო,

რომ არასდროს წამოგცდება,

ფული არა მაქო!

როგორ არა გაქო?!.“

ყოველ დილით, ნახევრად მთვრალი მიშა, ხურდის მოცემის შემდეგ, დაახლოებით ეგეთ, საიათნოვას სტილში გადაწყვეტილ რაიმე ლექსს მეუბნება პათეტიკური ხმით.

ვუცინი და გზას განვაგრძობ.

— ნიჩევო, კარგი ლექსი იყო, ხო იცი, იმ „ნაბოთში“! — შორი-დან მეძახის.

— „ნაბოთში“ კი არა, „ნობათში“! — ვუყვირი მე.

— ჰო რა, როგორც არი! წერე, წერე! საღოლ პუშკინ, ლერმონ-ტოვ! რამე... რა იცი, ხალხნი ვართ...

ერთი წლის წინ, ჩემი ერთი ლექსი მართლა იყო „ნობათში“. ნე-ტა არ ყოფილიყო. მიშას, ჩემდა საუბედუროდ, ნაუკითხავს შემთხ-ვევით. იმის მერე, მომკლა მაგისმა შაყირმა.

მთავარ ქუჩაზე ვარ. ახლა ის გოგო გამოივლის, ყოველ დი-ლით რომ არ მესალმება და გემრიელი ფეხები რომ აქვს. სახეს და ტანს თავი რომ დავანებოთ და არაფერი არ ვილაპარაკოთ. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოპა! გამოჩნდა. აუ, რას გაზავს. ხო, არ მომე-სალმო, არ მომესალმო! მანანა მყევხარ, ორბელიანი! რა ფეხები აქვს მაინც?! გამცდება და აღმაცერად გადმომხედავს, აი, ასე. კარგი ხარ!

ახლა კი ბატონ ევგენის ვიხილავ ტროლეიბუსის გაჩერებაზე.

— ოოო, გამარჯობათ, გია!

— როგორ ხართ, გია?

— გმადლობთ. თქვენ როგორ ბრძანდებით?

— არა მიჭირს. არის რაიმე ახალი შენსკენ?

— გუშინს მერე რა იქნებოდა, ბატონო ევგენი?

— რა იცი, ხომ ხედავ, რა ტემპებით მივდივართ.

— ჩაერთო.

— და ამიტომ სრულიად დასაშვებია, რომ თვითონ ადამიანის „მე-შიც“ მოხდეს რაიმე. ერთ დღეში, ერთ საათში, ერთ წამში; შენ-ში თუ არა, შენს გარშემო. ეჰ, მეც რომ შენხელა ვიყავი, ვფიქრობ-დი, რა შეიძლება ამაზე მეტი მოხდეს-მეთქი, მაგრამ ხომ ხედავ, მთვარეზე დავდივართ. რაც ამ ქვეყანაზე ახალია, განა შენთვისაც არ არის ახალი?

— რასაკვირველია, ბატონო ევგენი.

— ასპირანტურაში ხომ არ ჩაგიბარებია?

— გუშინს მერე, ბატონო ევგენი?

— ოჰ, სულ დამავიწყდა. იმეცადინე, გია, იმეცადინე! მე ხომ

მხედავ, ლექციებს ვკითხულობ. ერთი ოცდაათი წლის წინ რომ გენახე, ქალამნებით ჩამოვედი თბილისში.

— „არა, ეტლით ჩამოგიყვანდნენ“.

— არა გჯერა?

— როგორ არ მჯერა, ბატონო ევგენი! — ვპასუხობ და უფრო დამაჯერებელი რომ იყოს ჩემი პასუხი, მის ფეხსაცმელებს ვაკვირდები.

— იმეცადინე, გია, აუცილებლად ჩააბარე ასპირანტურაში! მეცნიერება — ეს არის!..

— ბოდიში, ბატონო ევგენი, ჩემი ტროლიბუსი მოვიდა. — მიხარია ტროლიბუსის დანახვა.

— აბა, შენ იცი, ყოჩაღად!

ბატონი ევგენი ჩემი ძველი, პოლიტეკონომიის ლექტორია, პროფესორი. გიჟდება თავის ბედკრულ წარსულზე და ბრწყინვალე ანმყოზე და საერთოდ, საკუთარ თავზე. აფრენს ჭკუის სწავლებაზე, რადგან ამით საკუთარი პიროვნების გამომჟღავნების უფრო დიდი საშუალება ეძლევა.

მაპატიეთ ბატონო პროფესორებო!

\* \* \*

მირიანოვიჩს ოთარი ჰქვია, მაგრამ რასაკვირველია ყველა მირიანოვიჩს ეძახის. მირიანოვიჩი ორმოცი-ორმოცდახუთი წლის არის. თმა თავზე იმდენი აქვს, სულ მგონია, ყველა თმის ღერს საკუთარი სახელი აქვს. ეს თმის მსგავსი ჩალა მარჯვნიდან მარცხნივ აქვს გადავარცხნილი მელოტ თავზე. გადავარცხნილი კი არა, დასველებულ — გადანყობილი. სახეზე მირიანოვიჩი პუტკუნაა. მრგვალი, პატარა კაკლები სწრაფად დაურბიან სასმელისაგან დასიებულ თვალებში. ბოლომდე შეკრული პერანგიდან ყელამდე მაინც ამოდის დახვენილი და გაჭაღარავებული თმა. მირიანოვიჩს ძალიან დიდი უკანალი აქვს. რომ ვუყურებ, მგონია, რომ ჩასვრილია. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ კაი ათ წლამდე ქვეშ ისვრიდა. შორიანლოს თუ ჩაუვლი მირიანოვიჩს, შეიძლება ოფლის სუნმა დაგაგდოს. ადრე, მირიანოვიჩი, თურმე პურში მუშა-

ობდა, მერე ყველში გადასულა იქიდან. მისდა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ სადოქტორო დისერტაციაც მოსწრებული აქვს და ინსტიტუტშიც იმიტომ მუშაობს, რომ თვითონ როგორც იძახის: „ახლა ასეთი დროა“. მირიანოვიჩი გაუთავებლად ლაპარაკობს, ტუჩები სქელი აქვს და სულ ახალპერამუნაჭამივით გაქონილი. ძალიან უყვარს ასანთის ღერით კბილების ჩიჩქნა. ეს მისი ყველაზე საყვარელი „ხელობაა“. განსაკუთრებით, კარგად თუ ჩაავლო ნადავლს კბილში, მაგაზე ბედნიერი ხომ აღარავინაა, ისეთი სახით აუშღერდება მერე ღერზე წამოგებულ მსხვერპლს.

ცხვარიჭამიაში, მირიანოვიჩის აგარაკის მშენებლობას, ჩვენ წელს, სექტემბერში მოვრჩით. ბოლო დღეს ღვინოც კი დაგვალევიანა, რის შემდეგაც სამი დღის განმავლობაში თავი სად შემეყო, არ ვიცოდი, ისე მტკიოდა. უშანგი გოგიბერიძემ (განყოფილების მდივანმა), ცოლი ისე ცემა, ის უბედური, ახლაც წევს. კოკი მახათაძემ (ბატონმა კოკიმ), მისი უსაყვარლესი ციფრები შეიძულა. გამოთვლით მანქანაზე მუშაობს და გიჟდება, საერთოდ ისე უყვარს ციფრები. მაშინ კი, სამინლად შეიძულა; „ყველაფერი, რაც მომდის, ას თერთმეტის ბრალიაო“, — იძახდა. ლაშა ხობუა იმის შემდეგ გამოსწორდა. „ალკოჰოლიკობამდე“ აღარაფერი აკლდა, ახლა წვეთს აღარ სვამს. მისი ოჯახი სულ მირიანოვიჩის ლოცვაშია.

— არა, ზედმეტი ვიცი, ზედმეტი! — აგრძელებს მირიანოვიჩი. მე ჩემს მაგიდასთან მივდივარ და ვჯდები.

— ჯერ ვსვით ჩვეულებრივი ჭიქებით. მერე, ვისთანაც ვიყავით, იმან ბაბუამისის ნაქონი ყანნი გამოიტანა, ლიტრიანი მაინც იყო. მერე წევდა ვაზები, ჭინჭილები და მთელი ამბავი... რატო დაიგვიანე, ბიჭო შენ?! — მე მომმართავს.

„შენი ბიჭის დედა ვატირე!“ — გუნებაში ვეუბნები.

— ტროლეიბუსი იდგა დიდხანს, მირიანოვიჩ!

— არ თქვა ახლა, ბიგელი ავარდაო, — რაფერც სკოლაში ატყუებენ მასწავლებელს.

— „პროპკაში“ მოვეყვი, მირიანოვიჩ!

— „პროპკა“ არ ვიცი მე, სამსახურში დროზე უნდა მოსვლა!

„შენი დედა ვატირე!“

— გესმის?

— კი, მესმის!

„შე ნაბიჭვარო“!

ოთახში, ჩემსა და მირიანოვიჩის გარდა, კიდევ სამნი სხედან: ბატონი კოკი, უშანგი და ლაშა. ბატონი კოკი ხანში შესულია, უშანგი და ლაშა — მირიანოვიჩის ხნისა იქნებიან. ჩვენი ოთახი კუთხისაა. ამიტომ, ინსტიტუტის სხვა ოთახებთან შედარებით, ცივია. ჭერიდან წყალი ჩამოდის. როდესაც წვიმს, ხშირად მიწვევს წვიმის წყლით სავსე ტაშტის გადაღვრა და თავიდან შედგმა. ნესტისაგან კედლები ჩაყვითლებულ-ჩაშავებულია.

— ჰო, იმას ვამბობდი! — აგრძელებს ეს კრეტიანი. — ძლივს ვიცანი იმისი ცოლი, კაცო, ჩემს კლასში ყოფილა.

— იმან თუ გიცნოთ? — ვეკითხები მე.

— ვინა?

— იმ ქალმა.

— იმას ვამბობ სწორედ. იმან მიცნო. და მე ვერ ვიცანი. შევრცხვი კაცი. სხვათა შორის, ძალიან კარგი და პატიოსანი ქალია.

„ვითომ, ძალიან გვაინტერესებდეს იმ ქალის პატიოსნება“.

— მერე გამახსენდა, ცოტა ქეც მომწონდა. შავგვრემანი იყო. მე საერთოდ, ძალიან მომწონს შავგვრემანი ქალები.

— რა ჯობია შავგვრემან ქალებს! — ნეტარებით ამბობს ბატონი კოკი. — სკოლაში მეც შავგვრემანი გოგო მომწონდა. პირდაპირ, ოცდაერთს გავდა, ისეთი ლამაზი იყო! — საყვარელ ციფრს ამსგავსებს ბატონი კოკი თავის სიყვარულს.

— მეც შავგვრემანი მომწონდა! — მხარს უბამს უშანგი.

— მეც! — ამბობს ლაშა და თვალს მიკრავს.

— მეც! — ვამბობ მე, — ოღონდ ის უფრო ოთხმოცდათექვსმეტს ჰგავდა, ბატონო კოკი!

— აჰ, ოთხმოცდათექვსმეტი არაა ისეთი ლამაზი. სად ოცდაერთი და სად ოთხმოცდათექვსმეტი.

— ხუთას სამზე რა აზრის ხართ, ბატონო კოკი? — ეკითხება ლაშა.

— ხუთას სამი ცოტა მსუქანია. ისე, არა უჭირს, რა. — პასუხობს ბატონი კოკი.

ბატონი კოკი ძალიან ბედნიერია იმიტომ, რომ თავისი ციფრე-

ბის მეტი არაფერი აინტერესებს ამ ქვეყანაზე. ხშირად აკეთებს ასეთ შედარებებს: „თერთმეტივით გამხდრები იყვნენ“, „სამიანივით სევდიანი იყო“, „კმაყოფილი იყო, როგორც ხუთიანი“. საერთოდ, მირიანოვიჩი რასაც ამბობს, იმაზე ყველა ეთანხმება, უღიმის. მათ შორის, მეც. მაშინ, მე მეზიზღება ჩემი თავი.

მერე ლაშა ბატონი კოკის შაყირს იწყებს. უშანგი, მირიანოვიჩის ამბით, ვითომ ძალიან დაინტერესებულია. მე აღარ ვუსმენ. იმიტომ, რომ ზეპირად ვიცი, რის შემდეგ, რას იტყვიან. ფანჯარას ვუყურებ. იქიდან ცა მიყურებს, საშინლად მოწყენილი და მე ვფიქრობ, რომ იმის ნაცვლად, რაზედაც სტუდენტობის დროს ვოცნებობდი, მთელი ცხოვრება ამ კრეტინებში მომიწევს ყოფნა. ამ ნაძირალას სმენაში უნდა გავატარო მთელი დღეები. ბატონი კოკის ციფრების გაუთავებელ შედარებაში, ლაშას გაუთავებელ ბატონი კოკის შაყირში და უშანგის უხმო თანხმობაში. ყველაზე მეტად რაც მაგიჟებს, ის არის, რომ ამ ნაძირალაზე ვარ დამოკიდებული და ალბათ, კიდევ დიდხანს ვიქნები. ალბათ გრძნობს, როგორ ვერ ვიტან. არ შეიძლება რომ არ გრძნობდეს, ისე ვერ ვიტან. არადა, რას არ ვფიქრობდი სტუდენტობის დროს, რა კოშკებს არ ვაგებდი, სად არ ვიყავი, სად არ დავეხეტებოდი, სად არ ვეძებდი მადნეულს: მთაში, ტყეში, უშველებელ მინდვრებში თუ გვალვისაგან დახეთქილ მინაზე, ჩემს ქვეყანაში თუ სადღაც შორს, მონყვეტილი ყველაფრისაგან, ვთქვათ, აფრიკაში. კარვებს გავშლიდით, ჩავყრიდით ჭაბურღილებს და ვიყავით ერთ ამბავში. თავისუფალ დროს, რასაკვირველია, ვხატავდი. ის ბავშვობის ოცნება სტუდენტობაშიც გამყვა. ვხატავდი გამხდარ, ოქროსთმიან ბიჭს, ჯვრით მკერდზე, ხელში დიდი სახრით. ირინეს ვხატავდი, რომელიც, რასაკვირველია, ჩემთან ერთად იქნებოდა ყველგან. არ დაგიძლავთ, ბატონებო და, პატივმოყვარეობაც მანუხებდა. ძალიან ხშირად წარმოვიდგენდი ჩემს თავს, ჩემივე ნახატების გამოფენაზე. ო, როგორ ველავადი ასეთ დროს... ამდენი მეგობრები, ალერსიანი ხალხი. ყველა მე მილოცავდა: — „როგორ დახატეთ“?! „რა კარგია“?! „მოგვილოცავს“! „შესანიშნავია“! „თქვენი ავტოგრაფი“! არა! ამ დროს მე ძალიან ველავადი. მერე მთელი ღამე აღარ მეძინებოდა. ნადირობა თუ დამამშვიდებდა მხოლოდ. ალბათ, ფილმებში ნანახი, სასწაულ ტყეში ნადირობა ბადიანი მანქანებით; არა, ეს რომანტი-

კოსობა დალუპავს ახალგაზრდებს! მილიონ რალაცაზე ვფიქრობდი, როგორც ყველა ახალგაზრდა და ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, იმის მეთედვიც რომ ამსრულებოდა. მესამე კურსამდე ვოცნებობდი, მერე აღარ. როდემდე შეიძლება იოცნებო? მერე მეცინებოდა, რომ მაგონდებოდა ეს ყველაფერი. ისე, ძალიან კარგი თვისება აქვს ტვინს. ზოგჯერ, ძალიან ხშირადაც, მეორე უკიდურესობაში ვვარდებოდი, როდესაც დაპატიმრებულს წარმოვიდგენდი თავს, ხელებზე ბორკილდადებულს; შორეულში მასახლებდნენ. უცნაური ოცნება იყო ეს. ზოგჯერ ძალიან მინდოდა, რომ ასე მომხდარიყო; ამაზე რომ ვფიქრობდი, მეტირებოდა ხოლმე და რომ მეტირებოდა, კარგად ვხდებოდი; ასეთი გაგიგიათ? მე მჭირდა, ბატონებო! თავიდანვე არანორმალური ვიყავი. რომანტიკა დალუპავს ადამიანებს, თუმცა, ახლა ასე ყოფნას, ეგ მიჩვენია.

— ჰოდა, მიხვალ იქანა და ეტყვი, რომე, დღეს მშობელთა კრებაა!

— თქვენი?

— ჩემი კი არა ჩემი ბალანესი, ბიჭო! რა მოგივიდა, შენც პახმელია ხომ არა ხარ?

— მერე?

— უთხარი, ექვსზე სკოლაში იყოს! ვერ ვურეკავ, არ მუშაობს ტელეფონი!

— ესე იგი, ექვს საათზე სკოლაში იყოს?

— კი!

— წავედი.

— აბა, ჰე, დროზე ქენი!

„შენი დედა ვატირე“!

— მითხარი რამე?

— რაა?

— მითხარი-თქვა, რამე?

— არაფერი.

— ერთი კვირის წინ ჩემს ნათლიასთან ვიყავი სახლში! — იწყებს ახალ ამბავს ეს დამპალი.

სასწრაფოდ ვიცვამ ჩემს ტულუპს და გარეთ გამოვდივარ. რამეზე რომ არ გამგზავნოს, არ შეუძლია. ალბათ მოკვდება, რამეზე რომ არ გამიშვას.

\* \* \*

- გია, გია!
- ჩემს წინ მანქანა ჩერდება. ვილაც ხელს მიქნევს.
- გია!
- მანქანას ვუახლოვდები, რომელშიც ახალგაზრდა გოგო ზის.
- დიდი სათვალე უკეთია, სახეს თითქმის უფარავს.
- ვერ მიცანი?
- ვერა.
- სათვალეს იხსნის.
- ნანა?
- ძლივს არ მიცანი?! დაჯექი, არ შეიძლება გაჩერება!
- ვვდები. მანქანა ადგილიდან იძვრება.
- როგორ გამოცვლილხარ, ნანა! — ვეუბნები და ვათვალეირებ.
- კარგისკენ?
- ჰო!
- გაეხდი.
- ჰო, გახდი!
- დედას გაფიცებ, მართლა გაეხდი?
- დედას გაფიცები.
- „გამოიცვალე, ოდნავ გახდი, კიდევ გამაღლდი“.
- დაინყე?
- არა, კაცო!
- მართალი მითხარი, რა?
- რა?
- გაეხდი?
- ძალიან-მეთქი, ხომ გითხარი!
- რამდენი ხანი არ მინახიხარ?
- ერთი ექვსი თვე იქნება.
- რატომ დამივიწყე?
- რა ვიცი.
- შეყვარებული ხომ არა ხარ?
- არა! შენ?
- არც მე.



- მანქანა როდის იყიდე?
- მე რას ვიყიდდი.
- ჰო, როგორც არი!
- სამი თვეა, გამომიყვანა მამაჩემმა.
- მშვიდობაში!
- მადლობთ.
- რა ჩაჯინსული ხარ?
- ძალიან.
- უკვე გული მერევა ამ ჯინსებზე.
- რა, კომპლიმენტია?!
- პალტოც ჯინსი არის?
- ჰო.
- პერანგიც და შარვალიც?
- დიახ, ბატონო!
- რო გაგხადო და ლიფიც ჯინსის გეცვას, არ გამიკვირდება.  
ნანა პერანგს იხსნის. იქიდან, კარგად ნაცნობ და სასუსე ძუძუებზე,  
ჯინსის ლიფი მიღიმის. ორივეს გვეცინება. და მე მინდება ნანა.
- სად მიგიყვანო?
- ლენინის ქუჩაზე, სამედიცინო ბიბლიოთეკა რომ არის. —  
ვპასუხობ გულდანყვეტილი.
- მედიცინაში გადაიჭერი?
- არა, საქმე მაქვს.
- ხედავ? ვერც მიცანი.
- რას გიცნობდი სათვალეში, ჯინსებში და მანქანაში.
- მე კიდევ მეგონა, გავლამაზდი.
- დუბლიონკაც გექნება, შენ!
- კი! რა იყო?
- რატომ არ გაცვია?
- მცხელა მანქანაში.
- კაპიშონიან დუბლიონკას ერთოთახიან, ლოჯიან ბინაში  
ცვლის ჩემი ერთი ნაცნობი.
- გავიცნო?
- როგორც გინდა.
- ჯინსის პალტოს გაცვლაც შეიძლება, ოღონდ, ულოჯოში.

— რად მინდა?! იცი, რა ოთახი მაქვს?

— ცალკე?

— ჰო.

— საიდან?

— იქიდან.

— მით უმეტეს.

— რა?

— წამიყვანე!

— სად?

— იმ შენს ერთოთახიანში.

— გინდა? — მიცინის ნანა.

მინდება.

— მე კი, შენი ოთახი მენატრება.

— წამოდი!

— რატომ?

— ექვსი თვე, არც ისე პატარა დროა.

— როგორც გინდა.

— შენ რა უხეშიც იყავი, ისეთი დარჩენილხარ.

— აბა, რა გამომცვლიდა?!

— შენ? არაფერი!

— აი აქ, მარჯვნივ.

— ვიცი!

მანქანა ჩერდება. მე გადმოვდივარ. ისე კი, ძალიან მინდა ნანა.  
მართლა, ერთხელ რატომ არ დავრეკავ?

— გმადლობთ!

— არაფრის!

— თუ გინდა, დაგელოდები. ბრუნდები სამსახურში?

— ჰო, ვბრუნდები. — მიხარია მე.

— დროზე გამოდი!

მე ბიბლიოთეკაში შევვრბივარ და უცებ იმაზე ვიჭერ თავს, რომ ქალს ვგავარ ძალიან; მანქანით მომიყვანეს, დამელოდებიან და დარწმუნებული ვარ, ერთოთახიან ბინასაც დამათვალეიერებინებენ. რა ადვილად შეიძლება კაცის შეცდენა.

— ქალბატონი ლამარა მინდოდა?!

— აქეთ ვარ, გენაცვალე!

მივდივარ იქით, სადაც „გენაცვალე ზის“. „გენაცვალე“ და კიდევ ორი, ალბათ, ისინიც „გენაცვალე“, პატარა მაგიდასთან სხედან და ყავას სვამენ; ერთ-ერთი ქსოვასაც ახერხებს პარალელურად; მოკლე კაბიდან ფეხები მთლიანად მოუჩანს. ეს, კიდევ რამეს მოახერხებდა პარალელურად.

— ერთი კაბა მოიტანა გუშინ ნანამ გასაყიდად, ჭკუიდან შეიშლებოდი! — ამბობს მოხერხებული.

— იყიდე? — ეკითხება მეორე.

— არა, პატარა მქონდა.

— მომკლა ოთარმა. — ამბობს მირიანოვიჩის ცოლი. — ერთი კვირის წინ, კიდევ კაბა მომიტანა. მე ვუთხარი: ოთარ, რა არის, ყოველ კვირას ახალი კაბა უნდა მომიტანო-თქვა?!

— მერე? — ეკითხება მოხერხებული.

— რა მერე, გოგო? ევიღე, აბა, რას ვიზამდი?! ასე მითხრა, რა გენაღვლება, ეიღე, რა, გთხოვს რამესო?! რა იყო, გიას ვენაცვალე?

— მირიანოვიჩმა, ექვს საათზე მშობელთა კრებააო! მე ვერ მივდივარ და თქვენ ნადითო!

— დედაა! გიას ვენაცვალე, მე რაფრა ნავალ?! სამსახურის მერე კრების თავი მექნება კიდევ?

„ნაღდად მე მიპირებს კრებაზე გაშვებას“.

— იმისთანა დუბლიონკა უყიდა მერე, ქმარმა, შეიშლები! — ამბობს მოხერხებული.

— როდის? — ეკითხება ჩემი „გენაცვალე“.

— გუშინწინ, თუ იმის წინ.

— სად იშოვა, გოგო?

— ებრაელებში.

— რამდენი მიუცია?

— ორი.

— კარგად უშოვნია კიდევ. ბედი უნდა ყველაფერს. მერი დაგლახებული რომ გამახსენდება, სკოლაში, ჩემი გამონაცვალით დადიოდა!

— დაგლახებული ეძახე შენ და...

— მაგ თქვი გოგო, მაგ თქვი! ბედი, ბედი!

- მე რა ვქნა? — ვერევი საუბარში.
- ასე უთხარი, ნუ იზამ მაგას ოთარ, შენ ნადი-თქვა!
- ნახვამდის!
- ნახვამდის, გენაცვალე.
- „შენც გენაცვალე“.
- მოათავე შენი საქმე? — მეკითხება ნანა.
- ჰო! — დიდი საქმიანით ვპასუხობ. — წავედით!
- ნანა მაგნიტოფონს რთავს.
- სადაურია? — ვიცი, რომ ზრდილობის გულისთვის უნდა ვიკითხო.
- ფილიპსია.
- არ ვცდები.
- „ნუ ნევერ გივ მი იორ მანი...“ — მღეროდა მაგნიტოფონში.
- „შენ მე ფულს არასოდეს მაძლევ“. — ყველა ნანა ქართულად
- „ეს მხოლოდ სასაცილო ქალაქები არის“, — აგრძელებს.
- ინგლისური იცოდი, თუ ახლა ისწავლე?
- დაიწყე?
- არა, ნაღდად მემალები! „მე ხომ შენთვის არაფერი მომიცია“?!
- კარგი, რა, გაა?!
- კარქი.
- კარქი კი არა, კარგი!
- კარქი.
- სამსახურში?
- ჰო!
- გუნებაში სიმღერას ვყვები. მერე ხელს მუხლზე ვირტყამ და ნანას ვიხსენებ ლოგინში. ცუდი ნაღდად არ იყო.
- წავიდეთ! — ვეუბნები.
- საად?
- შენთან.
- რა გვინდა ჩემთან?
- აი, იმ ახალ ბინაში.
- რა გვინდა?
- მაინტერესებს, როგორ მოაწყვე. დედას გეფიცები! რა სისულელეა?!

- ნავიდეთ?
- ჰო! ვნახოთ, როგორ ცხოვრობ; თანაც, ასე, მანქანაში, ვერ გელაპარაკები. რომელი სართულია?
- მეოთხე.
- მაგნიტოფონი გაქვს?
- კი.
- ყავა?
- ყავაც.
- დამალევიწე, რა?! მომენატრა შენი გაკეთებული.
- რომელი საათია?
- თორმეტი. ერთი თხუთმეტი წუთით ავიდეთ, ყავა დავლიოთ. მოვუსმინოთ რამეს. თანაც, სამსახურში არ მინდა მისვლა.
- „ხურავენ ქალები ასეთ შემთხვევებში. თავიანთი სასაცილო თავმოყვარეობის თუ ამპარტავნობის შესანარჩუნებლად, მთავარია დარწმუნდნენ, რომ შენ გგონია, რომ ტყუევდება. ისე, ორივე მხარემ ძალიან კარგად იცის ყველაფერი, მაგრამ ქალი მაინც ჩაეჭიდება ამ აზრს: „გონია, მატყუებს“.
- მანქანა რვასართულიან სახლთან ჩერდება.
- მოვედით. — მეუბნება ნანა და ჩანთაში ალბათ გასაღებს ეძებს.
- მაგნიტოფონს ტოვებ?
- ჰო!
- არ გეშინია, რომ მოიპარონ?
- დღისით როგორ მოიპარავენ?
- მაგნიტოფონი კი არა, ჩემი მეზობელია ერთი, ქვარცხავა, რაიკომის მდივანი. ის მოიპარეს თვითონ დღისით, მზისით.
- მანქანას კეტავს.
- გადმოვხედავ ხოლმე. თანაც, ხომ უნდა ჩამოვიდეთ?
- ჰო, აბა რა?!
- მოვისვენე და ახლა ვნანობ. იმიტომ, რომ ძალიან მეზარება მერე ყველაფერი.
- ძალიან გავხდი, არა?
- ჰო. ჩაცმულზე ისე არ გეტყობა, მართლა გამხდარხარ.
- აბა, ყავა დამალევიწეო?..

— მოგატყუე.  
 — შენ სულ მატყუებ. კარგი იყო?  
 — ძალიან!  
 „რა იდიოტური კითხვის დასმა შეუძლიათ, საიდან მოუვათ თავში“?!  
 — მომიკიდე, რა?!  
 სანთებელას იღებს ტახტის გვერდით მდგარი პატარა მაგიდიდან.  
 „უნდა ვკითხო სადაურია, თორემ ეწყინება“.  
 — რა კარგი „ზაფიგალკაა“, სადაურია?  
 — იაპონური, ვაჟამ მაჩუქა.  
 — ვაჟა ვინ არის?  
 — ეჭვიანობ?  
 „ნეტავ, მართლა ვეჭვიანობდე“.  
 — ჰო.  
 — ერთია, არ იცნობ.  
 — ძალიან კარგი „ზაფიგალკაა“.  
 — ჰო, არა უჭირს რა; იაპონიაშია ნაყიდი.  
 — შიგ იაპონიაში?  
 — დაინყე?  
 — არა, ხომ შეიძლება, კურილიის კუნძულებზეც ეყიდათ?  
 — შეიძლება.  
 ორივენი ჩუმად ვართ. რა კარგია ასე, ჩუმად.  
 — არადა, მე მიყვარდი, გია!  
 „დაინყო“.  
 — მეც.  
 — ნუ იტყუები. შენ არასოდეს არ გყვარებოვარ!  
 — რატომ გგონია?  
 — ვიცი.  
 — კიდევ ვინ გიყვარდა?  
 — მაშინაც ხომ გითხარი, არ იცნობ-მეთქი?!  
 — ჰო, ჰო, გამახსენდა!  
 — რატომ არ დამირეკე, ამ ექვსი თვის განმავლობაში?  
 — რემონტი მქონდა სახლში.

— მერე, დარეკვის დრო ვერ გამონახე?  
 — რა ვიცი.  
 — დამირეკავ?  
 — აბა, რა!  
 თითოს ჩემს მხარს აყოლებს.  
 — საშინელებაა ცალმხრივი სიყვარული!  
 — ვითომ, ახლაც გიყვარვარ?  
 — ახლა ისე აღარ. ხომ მიყვარდი?  
 — კი.  
 — ჩემი პატარა ბიჭი!  
 — ზღაპარს არ მომიყვები?  
 — რაა?  
 — ზღაპარს. აი, ასე მითხარი: — მე შენ ლამაზ ზღაპარს მოგიყ-  
 ვები, გია! — და სულ დახურავ.  
 — ვერ გავიგე, რას მეუბნები.  
 — არაფერი, არაფერი! რა კარგი თმა გაქვს?!  
 მართლა კარგი თმა აქვს. არც ისე არ არის ცუდი გოგო, მაგრამ  
 ვერაფრით შევიყვარე.  
 — კარგი ლიფია არა, გია?  
 — ძალიან.  
 — ხომ გაეხდის?  
 — ოჰ, ძალიან, ნანა, ძალიან!  
 „მიდი და შეგიყვარდეს ახლა“!

\* \* \*

— მე არ შემოძლიაო, მირიანოვიჩ, თქვენმა მეუღლემ, თქვენ ნა-  
 დითო!  
 — ასე გითხრა?  
 — კი.  
 — ის წავიდესო?  
 — ის წავიდესო.  
 — ნამდვილად?  
 — ნამდვილად!

— ის წავიდესო?

— ის წავიდესო! — „ხომ არ მაშაყირებს ეს შობელძაღლი? თუმცა, სადა აქვს მაგის თავი“.

— გადამრევს ეს ქალი!

— ნაღდად!

— რაა?

— არაფერი.

— გადამრევს, მე შენ გეუბნები!  
თანხმობის ნიშნად თავს ვხრი.

— ქალები საერთოდ ამას გვანან, ა!.. — ბატონ კოკის, სუფთა ფურცელზე უზარმაზარი X გამოყავს.

„ესენი მე, მართლა გადამრევენ!“ მაგიდის უჯრიდან წიგნს ვიღებ. პოლიტეკონომიის არსი, ღირებულების შესახებ. ერთი კაპიკის ღირებულების საქმეს არ აკეთებს აქ არცერთი, ჩემგან დაწყებული. არა, მირიანოვიჩი აკეთებს. მირიანოვიჩი დიდი ღირებულების საქმეებს აკეთებს.

— ნადი, ბიჭო, წყალი მომიტანე! — ეს, რასაკვირველია, მე მეხება.

„შენი დედა ვატირე! რას ვერჩი საწყალ დედამისს, თავისი არ ეყოფა“?

— გესმის, წყალი მომიტანე-თქვა?!

— მე მოგიტან, — ეხვეწება უშანგი.

— იჯექი შენ მანდ!

მე ვდგები, რომ წყალი მოვიტანო.

დერეფანში, სადაც ონკანია, უფრო ცივა. წყალი ჭიქით მომაქვს და ძალიან მინდა, რომ ჩაუფუფურთხო. რატომ არ ვუფუფურთხებ, აზრზე არა ვარ. პოლიტეკონომიის წიგნი, ერთ გვერდზე გადაშლილი იყინება.

— კრებაა დღეს და აუცილებლად დეესწართო! გეიგეთ?! — ამბობს მირიანოვიჩი და წყლით დასველებულ, ქრონიკულ ქონიანობაში მყოფ ტუჩებს ჩაპუტკუნებული ხელით ინმენდს.

— რა კრებაა, მირიანოვიჩ? — ეკითხება უშანგი და სკამიდან იწევა. როდესაც მირიანოვიჩს მიმართავს, ყოველთვის წამოიწევა ხოლმე სკამიდან, რაც მირიანოვიჩისადმი, როგორც პიროვნებისადმი, მის დიდ სიყვარულსა და ქედმოხრას ადასტურებს.



— რა და, ადგილკომის! ხომ იცი, შემატენეს ეს ადგილკომი!  
— რომელ საათზე, მირიანოვიჩ?  
— ორზე.  
— ხომ არ წაგვესაუზმა მანამდე?  
— არა, კაცო! კი ვიცი, მაგ საუზმეს რა მოყვება. — თავს იფა-  
სებს მირიანოვიჩი.

— არაფერი! ძალიან გთხოვ, მირიანოვიჩ, წვეცისაუზმით მხო-  
ლოდ!

— ხომ იცი, რაც მოყვება?! — დალევა უნდა იმ ნაძირალას!

— მოყვეს მერე! ერთი ბოთლი რას გვიზამს?

— კაი, ჯანდაბას შენი თავი!

ოთახიდან გადიან.

— შენ არ გახვიდე, ბიჭო, ოთახიდან, გეიგე?! — მეუბნება მე.

— გავიგე!

— თუ მიკითხავს ვინმე, სამინისტროშია-თქვა, უთხარი!

— ცეკაშია-მეთქი, ვეტყვი, არა ჯობია?

— არა, ცეკა ნამეტანია!

— კარგი, აბა!

— ფეხი არ გაადგა!

ფანჯრიდან ვხედავ, როგორ მიდის ორი მძორი ქუჩაში. მარჯვე-  
ნა ხელს ზევით ვწევ; საჩვენებელ თითსაც ვშლი, თითქოს იარაღი მი-  
ჭირავს ხელში; ვუმიზნებ ნაძირალას თავს. ცოტაც და ჩახმახს გა-  
მოვკრავ და მოვკლავ. ამ დროს იხედება ფანჯრისკენ ის შობელძალ-  
ლი. რა იყო? გაკვირვებული, ხელით მანიშნებს. სასწრაფოდ დაბლა  
ვწევ მარჯვენას, თითქოს მართლა მკვლელობის მცდელობის ფაქტ-  
ზე წამაასწრესო. არაფერი, ვანიშნებ მარცხენა ხელით, არაფერი.

— ცივა. — მეუბნება ბატონი კოკი. ისიც ფანჯრიდან ქუჩას  
გაჰყურებს. — სამიანებივით არ მიდიან?

— კი.

— ვხედავ შენს სიძულვილს ამ ნაძირალასადმი და არ მიკვირს.  
შენც ნუ გაგიკვირდება, ის რომ ასეთი ქონიანი და ბინძურია, შვიდი  
მილიონივით. მაგან თავის ობოლ დისშვილებს სახლ-კარი წაართვა  
და სკლეროზიანი დედა ფსიქიატრიულში მოათავსა. რა უნდა გა-  
გიკვირდეს მაგისგან?

\* \* \*

— მიკითხა, ბიჭო, ვინმემ?! — ისეთი დაბრუციანებული თვალები ჰქონდა მირიანოვიჩს, უცხო კაცი იფიქრებდა, რა მორცხვია, თვალს თვალში ვერ მისწორებსო.

— არავის არ ვუკითხივარ?

— კოკი ბატონო, როგორ ხარ, როგორ?! — კარგ ხასიათზე იყო.  
— კრეტინი!

— ოცდაჩვიდმეტში რომ ვიყავი, ისე, შენ ხარ ჩემი ბატონი!

— რაფრა მაინც?!.

— ბოდიში და, ფალარათი მაქვს სულ.

— მაგ, არაა კარგი!

— მეც ვიცი რომ, არაა; რალაცამ მანყინა.

— ესე იგი, კრებას ვერ დაესწრები?

— თუ არ შევერცხვი, კი!

— შენ ფეხი არ გაადგა, ბიჭო, გეიგე?!.

— გავიგე.

\* \* \*

— ამხანაგებო! — დაიწყო სააქტო დარბაზში ტრიბუნაზე ასულმა მირიანოვიჩმა. ამხანაგები უაზრო თვალებით ამტერდებიან. მირიანოვიჩი ერთგულად მიყვება ჩემს მიერ დაწერილ ანგარიშს; თუ რა გააკეთა წლის განმავლობაში, რამდენი აითვისა ადგილკომმა არსებული თანხიდან, რამდენი საგზური დაურიგა ნათესავებს და რა კარგი კაცია, საერთოდ.

— შეკითხვები გაქვთ?

— არა! — პასუხობს კრება.

— მაშინ, გადავიდეთ დისციპლინის საკითხზე! — ამბობს მირიანოვიჩი.

— გადავიდეთ! — ეთანხმება კრება.

— ამხანაგებო! — იწყებს მირიანოვიჩი და თვალს თვალში უყრის ინსტიტუტის დირექტორს. — ამ ბოლო დროს ჩვენთან, ინსტიტუტში შეიმჩნევა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად,

გუშინნინ, ლაშა ქკადუა ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადდა სამსახურში. — უტიფრად ამბობს ლაშაზე, თვითონ გახეული მთვრალი.

— ბატონო დირექტორო! — ლაშა პირდაპირ დირექტორს მიმართავს: — მე ნასვამი არ ვყოფილვარ, პახმელია ვიყავი!

— მითუმეტეს, ამხანაგო ლაშა! არ გრცხვენიათ, პახმელიაზე რომ ინსტიტუტში ცხადდებით?! — არცხვენს მირიანოვიჩი. თან, აბოყინებს.

— სწორია მირიანოვიჩი! — იძახის ვილაც. — არ გრცხვენია ლაშა? ჯერ დაგელია ცოტა და მერე მოსულიყავი!

— ეს სახუმარო ამბავი არაა, ამხანაგებო! — აგრძელებს კრეტინი და ისევ დირექტორს უყურებს. უკანასკნელი ყვინთავს.

— არ ვიყავი ნასვამი, პახმელიაზე ვიყავი! — არ ეშვება ლაშა.

— არ უნდა მოვიდეს მეცნიერმუშაკი სამსახურში პახმელიაზე!

— არავინ არ ივლის მაშინ! — პასუხობს ლაშა.

— მოკლედ, ეს არ უნდა განმეორდეს! კიდევ მეტს ვიტყვი! ყველამ იცის ალბათ, ერთი თვის წინ, როგორ გაიპარა ჩვენი ორი თანამშრომელი!

— მოკვდნენ? — ვილაც კითხულობს. ნაღდად კაეფშია.

— არა, ამხანაგებო, გაიპარნენ! ვაჟა თოფურიაშ, ცოლად მოიყვანა რუსიკო მახარაძე, ოღონდ, დირექცია არ გააფრთხილა, ისე გაიპარნენ ბათუმში.

— მაგათ დირექცია კი არა, მშობლები არ გაუფრთხილებიათ, ბატონო! — ეშველება ვილაც გაპარულებს.

— თოფურია ადექი!

თოფურია დგება.

— მეორედ არ გაიმეოროთ ასეთი რამ, გასაგებია?!

— გასაგებია! — იგებს ბათუმიდან ახალდაბრუნებული თოფურია. მირიანოვიჩი კმაყოფილი სახით უყურებს დირექტორს.

— კიდევ მეტს ვიტყვი! — აგრძელებს: — ჩვენთან, ბუფეტში, ჩუმად იყიდება არაყი!

— მაგას ვერ დავიჯერებ! — იძახის ლაშა.

— მე თქვენ გეუბნებით! ჩვენთან, ბუფეტში, ჩუმად როზა ყიდის არაყს! გეკითხებით, შეიძლება არაყი ინსტიტუტში?!

პასუხს არავინ სცემს.

მირიანოვიჩის ეტყობა, არაყზე ლაპარაკი უნდა და კითხვას იმეორებს.

— არა, შეიძლება არაყი ინსტიტუტში?!

— კონიაკი ჯობია, რასაკვირველია! — ამბობს ლაშა.

— მე არ ვხუმრობ! არაყი ინსტიტუტში არ შეიძლება! — ბრძნულად ასკენის მირიანოვიჩი.

— კიდევ! დავამატებ: ტაბელს არ ატრიალებს ნახევარი ინსტიტუტი, ამხანაგებო!

— რა მნიშვნელობა აქვს? სამაგიეროდ, მთელ ტაბელებს მეორე ნახევარი ატრიალებს! — იძახის ვილაც.

— ესეც უნდა აღიკვეთოს! გააღვიძე, ბიჭო, რომ გიზის გვერდით! — მეუბნება მეზობელზე.

— ძინავს მირიანოვიჩი! — ვეუბნები.

— როგორ შეიძლება მერე კრებაზე ძილი, კაცო?!

— მაგას აქ კი არა, მინისტრის მოადგილე რომ იყო, ბიუროზეც ეძინა და იმიტომ გამოაგდეს იქიდან! — ყვირის ერთი.

— იქ, ბიჭო, ყველას ეძინა! რას ერჩოდნენ ამ კაცს? — იცავს მეორე.

— მართალია, ყველას ეძინა, მაგრამ მაგი ხვრინავდა ძილში!

— გააღვიძეთ, რომ გეუბნებიან!

— ცოდოა, მირიანოვიჩი!

ის იღვიძებს.

— და ბოლოს! ყველამ ვიცით, რა სამარცხვინო ფაქტიც მოხდა ჩვენს ინსტიტუტში ამ ბოლო დროს! ისიც ვიცით, რომ დამნაშავე დაპატიმრებულია! — კიდევ დავამატებ!..

— ერთად თქვი, შე კაცო! — იძახის ვილაც.

— ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს ჯანსაღი ატმოსფერო შემოიჭრა, თუმცა, კიდევ არიან ზოგიერთები, რომლებიც ძველებურ ცხოვრების წესს ვერ შეეღივნენ. უტყუარი ცნობებიდან ვიცი, რომ ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, განყოფილების გამგემ, მოაწყო რა ინსტიტუტში ერთი ამხანაგი, მისგან ფასიანი საჩუქარი მიიღო!

მე მირიანოვიჩის თავხედობისაგან პირი მიშრება. არც ისე მთვრალია, თავის თავზე რომ თქვას.

დირექტორი მაგიდაზე არტყამს ხელს.

— დაუშვებელია! — ყვირის.

— დაასახელე! — ყვირის ყველა.

— მოვა დრო და დავასახელებ! — ამშვიდებს ხალხს მირიანოვიჩი.

„დაასახელებ და კარგ დროსაც გაატარებ, შე ნაძირალა!“

— და ბოლოს: ჩვენს ინსტიტუტში საშინელება მოხდა, ეს ყველამ ვიცით! ის — დაპატიმრებულია!

— ვინ? კითხულობს ხალხი.

— ვინ და, თენგიზ ტვილდიანი!

— რატომ? — არ ცხრება კრება.

— თენგიზ ტვილდიანმა გააუპატიურა წარსულში ჩვენი თანამშრომელი და ქალიშვილი, ან გააუპატიურებული ნანა სართანია.

— რა ექნა, აბა, არ დანებდა და!.. — ყვირიან უკნიდან.

— კი ქონია გემოვნება!

— მეც არ დავინუნებდი მაგას.

— რა ეგონა აბა, იმსიმოკლე კაბაში რომ დადიოდა?!

— თენგიზა თუ გაგიჟდა, ჩვენს დირექტორსაც გააუპატიურებს!

— რაო მერე, ნანაიამ?

— ნანაიამ უჩივლა და, აუპატიუროს ახლა იქ ვინმე, თუ ბიჭია!

— დაინუნა, აპა?!

— შევარცხვინე, თენგიზა!

— სად გააუპატიურა მაინც?

— ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

— ბიბლიოთეკაში რა უნდოდა?

— „კაპიტალს“ კითხულობდა თურმე და აღეგზნო.

— სიჩუმე, ამხანაგებო!

მირიანოვიჩმა ჭიქაში წყალი ჩაასხა, ხელში აიღო. — მე მინდა, ამხანაგებო, ამით... — ცოტახანს გაჩუმდა, — დავამთავრო! ვინმეს თუ გაქვთ რამე წინადადება?

— მე მაქვს, მირიანოვიჩ! — წამოდგა ბატონი კოკი.

— თქვით, ამხანაგო კოკი!

— გავალ, თუ შეიძლება?!

— მიბრძანდით!

— ესე იგი, სხვას არა აქვს წინადადება?!  
წინადადება არავის ჰქონდა.

— მაშინ, ეს საკითხიც ამონურულად ჩავთვალოთ!. ახლა, ამხანაგებო, ჩვენს სტუმარს მოვუსმინოთ, ამხანაგ ვენერა სალიას, რომელიც წაგვიკითხავს ლექციას თემაზე: „ვენერიული დაავადება და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები“.

— ინსტიტუტია თუ ბორდელი?! რა არის ეს ბოლოსდაბოლოს?!  
— ვილაც გამოთქვამს უკმაყოფილებას.

— რა დროს ლექციაა ადგილკომის კრებაზე?! — იძახის მეორე.

— დავწყნარდეთ, ამხანაგებო! არ ჯობია, ერთ დღეში რომ გამოვიდეთ?! სიტყვა ეძლევა ამხანაგ ვენერა სალიას! — აცხადებს მირიანოვიჩი და სალია ცვლის მის ადგილს.

— ამხანაგებო! — იწყებს ის. — რა ინვეს ვენერიულ დაავადებას? — გვეკითხება და ეტყობა, საშინლად კმაყოფილია თავისივე შეკითხვით, რასაც მისი ხანგრძლივი პაუზა ადასტურებს.

— წერა!

— წლიური თემა! — იძახიან ყოველი მხრიდან.

— შრომისუნარიანობა!

— მეგობრის ზედმეტი სიყვარული!

— ურთიერთგაგება!

— საერთოდ, გაგება!

— სქესობრივი კავშირი!

— მართალია, ბატონებო! სწორედ რომ ურთიერთობა და სქესობრივი კავშირი ინვეს ვენერიულ დაავადებებს ხშირ შემთხვევაში! — უხარია სალიას.

— კავშირი და ურთიერთობა ერთი ვიცი მე, სქესობრივი! სხვა რა ურთიერთობაა კიდო?! ერთი ვიცი და ესე იგი, ათაშანგი მაქვს?!  
— ცხარობს ჭალარაგარეული კაცი უკანა რიგიდან.

— დაწყნარდით, ამხანაგებო! თქვენთვის არავის უკადრებია, ათაშანგი გაქვთო!

ამხანაგი სალია დიდხანს ხსნიდა ვენერიული სენის მიზეზებს. ჭკუას არიგებდა ხალხს, თუ როგორ უნდა აეცილებინათ ეს ამბავი თავიდან. ბოლოს ისე შეიჭრა როლში, თავისი ამბავიც მოყვა, კინა-

ლამ რომ შეცდა ერთხელ, მაგრამ როგორ დროულად უშველა თავს და დაიოკა გრძნობები...

— ასეა, ჩემო გია, ასე! ხომ ხედავ, ან რა კრება იყო, ან თვითონ როგორ გამოიყურებოდნენ?!

— დიახ! — ვპასუხობ ისე, რომ არც გამიგია ბატონი კოკის ნათქვამი.

ქუჩას მიუყვებოდით ორივე სამსახურის შემდეგ. ბნელდებოდა. ციოდა.

\* \* \*

როგორა ხარო? — ჰკითხეს და — არა მიჭირს, რაო! — უპასუხა. ძალიან უსინდისო კითხვა დაუსვეს, — ისევე უპასუხა. რამდენჯერ დაუსვამთ ასეთი კითხვა მისთვის, იმასაც რამდენჯერ შეუკითხავს სხვისთვის და არც არასდროს უფიქრია მერე ამაზე. ახლა დაფიქრდა მხოლოდ. ახლა, როდესაც მარტო იწვა თავის ოთახში, მწვანე ტახტზე, რომელსაც მალე გაიტანდნენ, ძალიან მალე. ის არ იცოდა, რომ მალე გაიტანდნენ მის ტახტს და მასაც. უფრო სწორედ, ვერ ხვდებოდა. ან, თუ ხვდებოდა, თავს უმაღლავდა.

— თქვენ ვინა ხართ? — ახლა თვითონ იკითხა. — მარიამ, წმინდაო მარიამ! — იცნო და კედელზე რომ ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, იმას გახედა.

— დედაო ღვთისა, მზეო მარიამ!.. ის... ის გალაკტიონია? იმას გაეღიმა.

— ღმერთო, ეს ის კაცია, დღეს რომ მღეროდა? მთვრალი რომ იყო? როცა ჩავიარე, სწორედ მაშინ იმღერა ის, ასე რომ მიყვარს. ის კაცია? — მოეჩვენა რომ იმან კვლავ გაიღიმა.

— ვაიმე, ღვთისმშობელო! არ მინდა ჯერ თქვენთან! აბა, არაფერი არ არსებობსო? ვინ მითხრა და ხალხმა. ვინ არ იცის, ხალხმა? არავინ არაფერი არ იცის? არავინ არაფერი არ იცის! ესე იგი, მაინც არსებობს! თქვენ იმის ხმა გაქვთ, დედაო ღვთისა!.. იმის... დედაჩემის! ისიცა ხართ? ჩემშიც? რა თქვით? თქვენ ყველაფერში ხართ! თქვენ ხართ ყველაფერში და არავინ არაფერი არ იცის?! არავინ არ იცის არაფერი! ვაიმე, რა ლამაზია თქვენთან ეს წითელი

ღრუბლები?! რა ხმაურია? ჩემს კანტორაში რომ ხმაურია, იმას გავს. ის არის? ისინიც აქ არიან? თქვენ იმათშიც ხართ? ვაიმე, უფალო! არ მინდა ჯერ თქვენთან! აკი არაფერი არ არსებობსო? კითხვით ვისაც გინდათ, თუ გინდათ ჩემს კანტორაში! ხალხმა არ იცის? არავინ არაფერი არ იცის? ვაიმე, უფალო, მეშინია! აი, ის ლურჯი ღრუბელი... უფალო, როგორ გთხოვო?! ირინეს ვაჩუქებ; მაპატიე უფალო! შენ ვის რა არ აპატიე? მეშინია, ძალიან მეშინია და არაფერი არ ვიცი! არავინ არაფერი არ იცის, ღვთისმშობელო! სიყვარული არს თავად ღმერთი! — ბავშვობაში დედამ მითხრა, როცა მეძინა. აი, მაშინ ქონდა შენი ხმა დედაჩემს. ეს კი ვიცი. მეტი არაფერი არ ვიცი! და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი! გამახსენდა, მზეო მარიამ! ჩემთან არს ღმერთი! უფალო მიშველე! ჩვენთან არს ღმერთი? მაინც მეშინია ყველაფრის. მე არ მინდა შორეულში პატიმრად ირინასთან ერთად! მაშინ? ახალგაზრდა ვიყავი, სულელი! რაზე არ მიოცნებია. არ მინდა, მაპატიე უფალო! შენ ვის რა არ აპატიე? მარტო მეშინია. ირინე ცოდოა! კანტორაში? უკან? არა, შორეულში მირჩევნია, მარტო! ირინე ცოდოა. მაპატიე უფალო ჩემი ოცნება! შენ ვის რა არ აპატიე? არ მინდა უკან! რა ხდება? რა და, საშინელება! დილით კარებს ვერ ვაღებ. მერე ბატონი ევგენი მხედება. აი ის, ქალამნებით რომ ჩამოვიდა სოფლიდან და ახლა პროფესორი რომ არის. მერე ის კანტორა. ბნელი, ნესტიანი, ცივი. უფროსი — გეცოდინება უფალო! სამინისტროში დავდივარ ყოველდღე და მირიანოვიჩის ქალაქები დამაქვს. ის ქალაქები ფულია, მაგრამ ხომ ვერ ვიტყვი? მერე, სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე! აღარ შემიძლია! არავინ არაფრად გთვლის, არაფერი არა ხარ! გაგაგზავნიან აქეთ-იქით, სადღაც... მართლა არავინ არაფერი არ იცის, ღვთისმშობელო! „შენ, გია ბაქრაძე! გეყო წვალება! დღეის შემდეგ შენ ნახვალ კუნძულ!..“ მაპატიე უფალო! შენ მიშველე მზეო მარიამ! ველარ ვიმეორებ... ეზ-მოსა-ზე? ეზმოსაზე... „შენ, გია ბაქრაძე! იმდენი გითმენია, მოგიპოვებია სული შენი!“ გარშემო ზღვას ვხედავ, დედაო მარიამ! თეთრი გემები... ეს სახლი... ეს კოშკი... ეს ეზმოსაა? „შენ, გია ბაქრაძე! ეძიებდე და ჰპოვებდე საბადოს! არა სამსახური, არა მანეთიანი მაგადაზე, არა სამინისტრო და არა უფროსი, არა ერთი და იგივე!



იყავ თავისუფალი მიწასა და ზღვაზე! ეძიებდე საბადოს ცოდვილ შვილთათვის!“ მეშინია უფალო! მეშინია, ირინე! უფალო, შენი სახელის ჭირიმე! ირინე! ოცნებაო, ჩემო! ოცნებაო ჩემო! უფალო! რით დავიმსახურე?! ხალხმა იცის? არავინ არაფერი იცის! არავინ, არაფერი, არავინ არაფერი არ იცის! ნახე, რა ტყეა! ირინე! მაკოცე კიდევ! აი, იმ წყაროსთან იქნება საბადო, მთელ ქვეყანას რომ უშველის, ან კიდევ იმასთან! თუმცა, ვიყოთ აქ და ვეძებოთ! ეს კოშკი ჩვენია, ხომ იცი, ირინე?! ირინე, ის მწვანე კაბა გაცვია, მე რომ ასე მიყვარდა?! ნახე, რა ცაა, შეხედე!

\* \* \*

— დედა, დედა! გია, დედა, არ დაგაგვიანდეს!

„გაიმე!“ — გაიფიქრა გიამ და...

— გია, მთელი დილაა, ირინეს სახელს იძახი! ადექი დედა! საჭმელი მაცივარშია, მანეთი მაგიდაზე დევს. გაზი არ დაგრჩეს ჩართული! ისაუბმე! პური წამოიღე, რომ წამოხვალ!..

— თბილად ხარ, აი! — უთხრა გამყიდველმა. გიამ ყურადღება რომ არ მიაქცია, გვერდით მდგომს ჰკითხა, რა მოუვიდაო.

ქუჩაში ნაცნობი გოგო გარბოდა და ეწყინა, გიამ რომ არ გააყოლა თვალი.

— გია, ერთი ოცდაათი კაპიკი გექნება? ვაა?! — გაუკვირდა მიშას, გიამ რომ არ შეხედა.

— გამარჯობა გია, გამარჯობა!

— ააა, ბატონო ევგენი! ჩემსკენ ახალი არაფერია, თუმცა ახლა ცხოვრება ისეთი ჩქარი ტემპით მიდის, სულ არ იქნება გასაკვირი, ჩემსკენაც მომხდარიყო რაიმე ახალი. თქვენ, ვიცი, ქალამნებით ჩამოხვედით სოფლიდან და ახლა ტყავის ფეხსაცმელები გაცვიათ; მეტი ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ნახვამდის! — ნერვულად თქვა გიამ.

— წუხანდელი ნამთვრალეგია, ალბათ. — გაიფიქრა ბატონმა ევგენიმ. ისე, ცოტა კი ეწყინა.

— უფოფ მოვკვდი, მოვკვდი გუშინ! ესე იგი, დავინწყეთ ჭიქებით! — უკვე უყვებოდა უფროსი მდივანს წუხანდელ ამბებს.

— ოჰ, ბიჭო! რა კარგია, რომ მოხვედი, სამინისტროში უნდა  
ნახვიდე!

— სამინისტროში არა!..

— რა თქვი?

— არ ნავალ!

— მთვრალი ხარ?

გია ჩუმად იდგა და ფიქრობდა.

— ჰო, ცოტა დავლიე გუშინ და...

— მერე, რა მოხდა, შე კაცო, მასე არა ვარ მთელი ცხოვრება?!

აი, ეს ქალაღი წაიღე!

გიამ ქალაღი გამოართვა და გარეთ გავიდა. ციოდა გარეთ.  
გიამ ცას ახედა და ცრემლი გადმოუგორდა ლოყაზე.

## გარდაცვალება

მე იქიდან გელაპარაკებით. დამცინებთ, ვიცი. თქვენ შეგიძლიათ სიცილი და უნდა იცინოთ კიდევ. ჩვენ აღარა, ვინც აქა ვართ. ეს „აქ,“ —საიქიოა. არც სიცილი შეგიძლია, არც ტირილი, არც ლაპარაკი ერთმანეთში. გისმენთ და გხედავთ. ერთმანეთისაც გვესმის, სხვათა შორის. ოჰ, ეს ჭია! ჯერ ფეხსაცმლის ძირი იმდენი ღრღნა, სანამ არ გახვრიტა. მართალი გითხრათ, მეცინებოდა, გადახარხარება მინდოდა, მაგრამ ღრანჭი ისე მაგრად მაქვს შეკრული, ვერაფერი მოვახერხე. ჰოდა, იმას ვიძახდი: ვერ ვხედავ, ჩემი ფეხის გამომხრელს. ძალიანაც რომ მოვინდომო, ვერ დავინახავ. რა უცნაურია, მთელ ქვეყანას ვხედავთ და საკუთარ ფეხს და საკუთარ ჭიას, ვერა. მერე, დაიწყო ამ გაყინული ხორცის ჭამა. მაშინ კი კინალამ დავიხრჩვი. მეცინებოდა. ვერ ვიცინოდი და კინალამ გავიგუდე. ახლა შედარებით შეჩვეული ვარ. იმიტომ, რომ უფრო ღრმად არის შესული; დაახლოებით, კოჭს მიაღწია. გულს რომ მიაღწევს, მაშინ თურმე, რალაც სასწაული მოხდება.

ეს მინდოდა ახლა?! — რაღა ჩემსკენ მოასვენებენ?რამდენი ხართ, რა ამბავია? ახალგაზრდა კაცია. რა არის, სულ კაცები რომ მოგყავთ? შეგიკრავთ ამისთვისაც სახე. ეს კი ნალდად გაიგუდება, სიცილს რომ დაიწყებს.

არ მინდა რა, ჩემს გვერდით?! არა, ჩემს გვერდით არის! ვერ შევამჩნიე გათხრილი მინა აქამდე. ახლა კიდევ, ახალს შეეჩვიე.

აჰ, აჰ, გადადით! რას შვრებით?! როგორ შემადექით ზედ გულზე, ფეხებით! ამდენი მინა ზემოდან და კიდევ, ფეხებით? თანაც, ზედ გულზე. გადადით, რა?! ცოტა ქვევით ჩადით მაინც, თქვე დალოცვილებო! რა არის, ზედ გულზე რომ მადგებართ?! რა ვქნა? გადადით,

თქვენი ჭირიძე, არ გესმით? რა სულელი ვარ თუმცა, რას ვეხვეწები? რას გადავლენ?! ვინ გადასულა, თქვენ რომ გადახვიდეთ? ჯანდაბას, შევეჩვევი ამასაც, მაგრამ მტკივა ძალიან! ნევხარ წვიმისაგან დამბალ მინაში, ვერ ინძრევი, ვერ ლაპარაკობ; ამ კუბოს, რა ვინროს აკეთებენ მაინც?! და კიდევ, შენს გულზე დადიან ფეხებით. ახლა კი მართლა მინდა, აღარ ვფიქრობდე და აღარ ვგრძნობდე, მაგრამ ჩემი ჭია (კიდევ ჩემი ვთქვი), ისე შორს არის ჯერ გულიდან, როდის მოვა? არავინ იცის, როდის მოვა.

ცოტა მომეშვა. ხომ იცით, მაინც რა ყველაფერს ვეჩვევით. ნელა! ნელა დაუშვით კუბო, რა გეჩქარებათ?! კინალამ გადმოვარდა. როგორ გეჩქარებათ მაინც! რა ამბავია? სად გეჩქარებათ, ნეტავ ვიცოდე. აი ასე, ფრთხილად. ის მოხუცი ქალი აქეთ დასვით. ოჰ, ეს მუსიკა რომ არ ყოფილიყო!... როგორ მანვება ბოლმა ჩემივე ხმისაგან და ბოლმისაგან გახეხილ ყელში. მეტირება. რატომ, თვითონაც არ ვიცი. თანაც, თქვენ წარმოიდგინეთ, სამგლოვიაროზე არა, უფრო ჩვეულებრივზე და ეს ჩვეულებრივი, ხშირია ბოლო დროს სასაფლაოზე. მაგრამ, ჭიაზე უფრო მეტირება.

— რა თქვი? უკაცრავად, ერთი გარდაცვლილი მეუბნება რაღაცას.

— ვერ გავიგე, ცოტა ხმამალლა! რომელი? ჰო!..

რა უცნაური ბიჭია. ისეთ დროს იცის ხოლმე ირონიით ლაპარაკი. ახლა განსვენებულის ცოლზე მეუბნება. ერთი მოუსმინე, რას ფიქრობსო. ის კი, ბევრს არაფერს არ ფიქრობს ისეთს. უბრალოდ, იმ თივისფერთმიანი ბიჭის თვალები მოსწონს, მის პირდაპირ რომ დგას, მიწისფერ პიჯაკში და რა ლამაზიაო, — ფიქრობს. თანაც, რომ გაიფიქრა, შერცხვა თვითონ. რა არ მოსდის ადამიანს თავში, ახლობელი რომ აღარ არის, ან რომ თავდება. ღმერთო ჩემო, რას არ იფიქრებს! ფიქრს ვერც დაუმატებ იმ უცაბედ აზრს, ამ ჩვენს საწყალ თავებში რომ გაიელვებს და იქვე გაქრება. რა საშინელი ფიქრებია და რა ნაღდი, როგორც ყველა უბედურება.

გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ, თქვენი ჭირიძე! ნუ იტყვით უარს, უარესია, ცოდვა იქნება! ნუ შეგრცხვებათ! ადამიანები ხართ, ღმერთი გაპატიებთ! ყველა საშინელებასთან ერთად, სიყვარულიც იცით.

უკაცრავად, კიდევ ის ბიჭი მეუბნება რაღაცას.

— რას ამბობ? რა?

— რა და, ვიცი მე მაგათი სიყვარული, ჰო, ვიცი! ნაცნობი მყავდა ერთი...

— რა იყო?

— ახალგაზრდა იყო, აქეთ რომ წამოვიდა (როგორ ყვირის, ნამდვილი მკვდარივით), გესმის?! კიბოთი მოკვდა.

— მესმის, მესმის!

— იმის ოჯახში ავედი იმ დილით, რომ მოკვდა, იმის სახლში. ახლა გესმის?

— მესმის, მესმის, ნუ ყვირიხარ!

— შევედი, სადაც მიცვალებული ესვენა, ცოლს მივუსამძიმრე და იქვე, სკამზე ჩამოვჯექი. ერთი საათი ტიროდა ახალგაზრდა ქალი. მერე წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა და იქიდან ხელით მანიშნა, მოდიო. უცებ წამოვდექი. იცი რა მითხრა, მეორე ოთახში რომ გავედი? ახალი, შავი ფეხსაცმელები რომ არ მიშოვო სადმე, დავიღუპებო. მე მჯერა, რომ იმ ქალს ქმარი ძალიან უყვარდა, მაგრამ ახალ ფეხსაცმელებსაც არანაკლებ ძლიერი შეყვარება სცოდნიათ.

რას ლაპარაკობს, დღეს მთელი დღე გაბრაზებულია რაღაცაზე.

მინც არ გადადინებოდა გულიდან. მეც როგორ შევეჩვიე. რა უცნაურია?! ჩემი ჭია (ისევ ჩემი ვთქვი), მორჩება, იმედია, როცა საბოლოოდ მიაღწევს გულთან. რაღაც ჯვრები გვაქვს, რკინას ჩაკრული. ჰოდა, რომ მიაღწევს გულში იმ ჯვარს, შემოეკვრება მთელი თავისი სიგრძით, გაიჭიმება, გაინელება. აი, მაშინ ხდება თურმე სასწაული. რა, ჯერ არავინ იცის. ზოგი იძახის, წამება იწყება მაშინო. ამაზე მეტი წარმოუდგენელია. ზოგი პირიქით ამბობს, ყველაფერში შვებას იგრძნობო, საიქიოს გასცდებო, ცაში ახვალო. რა კარგია ალბათ, მაღლა, არა?! მე დაველოდები, აუცილებლად დაველოდები. თუმცა მეტი რა გზა მაქვს, უნდა დაველოდო.

ახლა კი, ზედმეტი მოგივიდათ, ბატონებო! გულზე რომ შევეჩვიე... ახლა სახე... სახე... ხედავთ, ვერცა ვთქვი, სახეზე შემადექითმეთქი. ისე დამაჭირა ერთმა რეგენმა, ისედაც მაგრად შეკრულ პირზე ფეხი... კიდევ კარგი, ახლა თვალეზე გადაინაცვლა. მართალია, ველარ გხედავთ, მაგრამ, ხომ მესმის თქვენი? ეტყობა, მინაში

ჩაგყავთ. ვილაც ლურსმანით აჭედებს კუბოს. მანც, რა გულმოდგინედ აკეთებთ ხოლმე?! გეშინიათ, არ გაცოცხლდეს, თავსახური არ ახადოს და ისევ თქვენ არ დაგიბრუნდეთ. მინის ხმა მესმის. როგორ ყრუდ ეცემა მინა ფიცარს... ეს რა არის?.. ღმერთო ჩემო, საათის ხმა!.. ვინ ატანს მკვდარს დაქოქილ საათს?!.. ეგლა მაკლდა. თანაც ვიცი, არასოდეს არ გაჩერდება. უნდა უსმინო, შეეჩვიო ამ ტიკტიკს... გაუთავებელს... ჩემი ბრალია ყველაფერი, თორემ, რა მინდოდა ამ მკვდრებში? ამათაც არ უნდათ, მკვდრები რომ არიან, ასე მოხდა... მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენი ბრალიც არ არის, რალაცის ბრალია. არაჩვენეკეცნიურის.

ძალა გვაქვს რალაც ადამიანებს, ხან ცუდს გვაკეთებინებს და გვაფიქრებინებს, ხან — პირიკით. საიდანა გვაქვს ეს ძალა, არავინ იცის. რატომ ამოდრავდა უცებ ეს ჭია? ჩემსკენ გადმოინაცვლა თავისი რბილი და სველი ტანით. სხეულზე მომეკრო, გაიწელა, დაიგრიხა. გადმოცოცდა...

\* \* \*

- აქ იკრიბებიან ხოლმე?
- დიახ, აქ იკრიბებიან. უსაშველოდ დიდ მინდორს გახედა. მწვანე არ იყო ბალახი: ნაცრისფერი იყო და არც გაჰკვირვებია.
- აქ სულ ასე ბნელა?
- დიახ, აქ სულ ასე ბნელა.
- არც ისე ბნელოდა. ისე იყო, როგორც მინაზე, გათენებისას.
- და ცივა სულ ასე?
- დიახ, ცივა სულ ასე.
- თუმცა, არც ისეთი სიცივე იყო; გრილოდა, როგორც მინაზე შემოდგომით, გათენებისას.
- რა სიცარიელეა?!
- რას ვიზამთ.
- რას აკეთებთ?
- ეს პატარა ფორმალობაა. არ გამიძალიანდეთ, ძალიან გთხოვთ. დიახ, დიახ, გაიხადეთ! ყველაფერი გაიხადეთ და ეს ჩაიცვით!

— ეს შავია ძალიან.

— ხომ ხედავთ, მეც ეს მაცვია. მართალია შავია, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველაფერს მიფარავს კისრიდან კოჭებამდე. აი, ამ თოქს ნელზე შემოიკრავთ!

— აქ ყველა ასეა ჩაცმული?

— მაგაში თვითონ დარწმუნდებით. ეს პატარა ფორმალობაა.

— აქაც ფორმალობა... — ჩაილაპარაკა თავისთვის და ნახევრად შიშველმა, მოსასხამი კისერთან პატარა ღილით შაიკრა. მერე შარვალის გაიხადა და თოქი ნელზე შემოიჭირა.

ტანსაცმელი ხელში ეჭირა, კანკალებდა.

— ფეხსაცმელებიც გაიხადეთ!

— ეს უკვე, ზედმეტია!

— აქ, იმის მერე, მე ვარ უფროსი და არაფერს ვიმეორებ! მერწმუნეთ, თქვენთვის ასე აჯობებს.

— და ფეხშიშველი ვიყო ამ სიცივეში?! — ხმამაღლა თქვა და თვალებში შეხედა. იმასაც ღია ჰქონდა თვალები; ღია, ოღონდ მკვდარი, უაზრო, ვერაფერს რომ ვერ ხედავს, ის თვალები და თან, თითქოს, უსასრულოდ შორს რომ იყურება ცაში. თვალები უცებ გაცოცხლდნენ:

— რა მოგივიდათ? — იკითხა შიშით.

— თვალები.

— არაფერია. ასე მემართება, რომ ვბრაზდები. დაიხარა და ფეხსაცმელების გახდას შეუდგა:

— „ის მიიცვალა რალაც უმწეო  
და საოცარი გარდაცვალებით  
და გახელილი დარჩა თვალები...“

— „ამას კი სულ სხვანაირი თვალები ჰქონდა“ ... — ფეხშიშველი ნელში გაიმართა. ტანსაცმელი ისევ ეჭირა.

— აი, ეს სულ სხვა საქმეა. გაფრთხილებთ, არაფერში შემენინა-ალმდეგოთ!

ისევ შეხედა.

— დავუშვათ, შეგენინაალმდეგეთ, რა მოხდება? არა, მე უბრა-

ლოდ მაინტერესებს, სანყენად არ მითქვამს. ამაზე უარესი რაღა მოხდება, რაც უკვე მოხდა?

— რა მოხდება? არაფერი, გარდა იმისა, რომ მე სულ თქვენთან ვიქნები ისეთი თვალებით, სადაც არ უნდა იყოთ, უფრო სწორედ, როგორც არ უნდა იყოთ. ის თვალეები მუდამ თქვენთან იქნება, რასაც არ უნდა აკეთებდეთ და თქვენ, დაიტანჯებით!

— მე ხომ უკვე...

— მაინც ხომ გრძნობთ და ხართ?!

— დიახ, დიახ, რასაკვირველია. მე აღარასოდეს შეგეწინააღმდეგებით. ეს საშინელება იქნება, თუმცა, ამაზე საშინელება რაღა უნდა იყოს?!— რაც მე აქა ვარ, და მე დიდი ხანია აქა ვარ, სულ რამდენიმე შემთხვევა მქონდა სულელური ჯიუტობისა და თქვენ ნახავთ, რა დღეში არის ის ხალხი. ერთი ბიჭია, სულ ახალგაზრდა მოვიდა ჩვენთან, დაახლოებით ჩვიდმეტი წლის. ხომ იცით, ამ დროს ბიჭები რა ამაყები არიან? სწორედ იმ სულელურმა თავმოყვარეობამ მოიყვანა აქ და აქაც იმან დაღუპა. თქვენ უკვე ოცდაათს ხართ მიღწეული და, ალბათ, კარგად გესმით, ვის უნდა შეეპასუხოთ და ვის—არა.

— დიახ, მესმის! თუმცა...

— რა თუმცა?!

— არა, არაფერი!

— ეს ტანსაცმელი მე მომეცით. დავწვავ.

— გამომართვით, ოლონდ, ერთი მინდა გთხოვოთ: აი, პიჯაკის ჯიბეში... — გაჩერდა, თმაზე ხელი გადაისვა. ეტყობოდა, რომ ღელავდა. — აი, პიჯაკის ჯიბეში პატარა ბლოკნოტია, სულ პატარა. ფურცლებს შორის ერთი ბენო ბაბთაა. იცით, ბაბთაც არ არის. აი, გოგოები, უკან თმებს იმაგრებენ ხოლმე იმით. დიახ, ეს...

— დაგიტოვოთ, გინდათ?

— თუ შეიძლება.

— შეყვარებულის?

— ასე ცინიკურად რატომ მეკითხებით? ჰო, ადრე მიყვარდა!

— თუ ადრე გიყვარდათ, ახლა რად გეღოთ ჯიბეში?

— თქვენ მევაჭრებით!

— ასეთი რამ მეორედ არა თქვიათ, თორემ, ხომ გახსოვთ თვალები?!



— იცით რაშია საქმე? მე ეს ბაბთა სხვა, ჩემთვის საყვარელ ნივთებთან ერთად ჩემი მაგიდის უჯრაში მედო. ეს ბაფთა დედამაც იცოდა. ხომ იცით, დედებმა მაინც ყველაფერი იციან. მართალია, ეს დიდი ხნის მოპარული ბაფთაა... დიახ, თმიდან მოპარული! იმის მერე დიდი დრო გავიდა. იმიტომ გითხარით, ადრე მიყვარდა-მეთქი. მაგრამ იმ ნივთებთან ხომ იყო? ეს ბაფთა ხომ მიყვარდა. რომ ვინეკი ბოლო დღეს, დედა მომიახლოვდა და ამ ბლოკნოტთან ერთად, ისიც ჩამიდო ჯიბეში.

— ბლოკნოტი ვისია?

— ისიც დამიბრუნეთ, თუ შეიძლება?!

— ის მეორისაა?

— დიახ, მეორის!

— არცერთს არ გიბრუნებთ! არ შეიძლება! საერთოდ, ნუთუ ჭკუა ვერ ისწავლეთ? თუნდაც, იმ ბაფთის პატრონი, იყო იმ ბოლო დღეს თქვენთან?!

— იყო!

— მეც ვიცი, რომ იყო, ოღონდ, ქმართან ერთად. ალბათ, წრე დაარტყეს გარშემო და წავიდნენ. თქვენ აქ წამოხვედით და ის იქ დარჩა ღამით, ქმრის ლოგინში. ალბათ, არც სძინავს. იცით, რომ არ სძინავს, ოღონდ, თქვენზე კი არ ფიქრობს, არაფერზეც არ ფიქრობს! იცით, რასაც აკეთებენ ქმართან ერთად.

— ღმერთმა გაახაროს! თუმცა, ამას ასე ადვილად რატომ ვიძახი, რომ მეც აღარ მიყვარს? ხომ გითხარით, ეს ადრე იყო-მეთქი?!

— მაშ, რად გინდათ ეს ბაბთა?

— ის დრო მიყვარს, ეს ბაბთა რომ მოვიპარე თმიდან.

— აა... ყველაფერი გასაგებია!.. თქვენ პოეტი ხართ, რომანტიკოსი! ესე იგი, ავადმყოფი!

— ნუ დამცინით! ისიც მეყოფა, აქ რომ ვარ!

— ეს ბლოკნოტი რაღად გინდათ მაშინ? რა, ამის პატრონმა თავი მოიკლა, თქვენი ამბავი რომ გაიგო?

— ვინ ვის ჩაყოლია?

— თქვენ გგონიათ, იმას არ სძინავს ამაღამ, დარდით?

— არ სძინავს, ვიცო!

— მე თქვენ ყველაფერს დაგანახებთ მერე, ოღონდ, მოგვიანე-

ბით. მეტი რა საქმე გვექნება? ახლა კი, მოვრჩეთ ამაზე საუბარს! ეს ბაბთაც და ეს ბლოკნოტიც ამასთან ერთად დაინვება! და საერთოდ, ოცდაათი წლის კაცს იმდენი ჭკუა კი უნდა ჰქონდეს, რომ ასეთი სისულელეებით თავი არ შეინუხოს. ოოჰ!..

— რა მოგივიდათ?

— არაფერია, ვიცი ხოლმე. მარცხენა ფეხის ჩონჩხი ძალიან მტკივა.

— ჩონჩხი გაქვთ ფეხის მაგივრად?

— ყველას ასე აქვს, ვინც დიდი ხანია აქ არის. სახე გვრჩება შეუცვლელი მხოლოდ. თქვენც ასე გექნებათ. მთავარია, არ გაიციოთ მერე, თორემ საშინელი ჭვალი იცის.

— რა ხმაურია იქიდან?

— ალბათ, ჯოჯოხეთში ისევ დააკლეს მინა ვინმეს, ან, დროზე კოცონიდან არ ამოიყვანეს. ეჰ, ეს მარცხენა ჩონჩხი!

— პირველად მესმის, რომ მიცვალებულებს ტკივათ.

— აბა, ადრე სად გაიგებდით?

— თქვენ...

— მე ორივე მხარის ზედამხედველი ვარ.

— მე სად მოვხვდები? — შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ეს იმის საქმეა. ალბათ, აქ დაგტოვებთ. არ ჩანხართ დიდად ცოდვილი. ოღონდ, მართლა სამოთხე არ გეგონოთ.

— ვხედავ.

— ჯოჯოხეთი ნამდვილია, სამოთხე არა და მოდით, საერთოდ, შენობით მივმართოთ ერთმანეთს.

— შეეჩვევი ამ სიგრილეს. თავიდან ყველას უჭირს, მერე ეჩვევიან. ვინც არ ეჩვევა და უსიამოვნებას გამოხატავს, პირდაპირ ჯოჯოხეთში ვუშვებთ.

— იქ, ალბათ, საშინელებაა?

— ნუ იტყვი, გაჩვენებ მერე.

— არა, ჯობია არ ვიცოდე!

— არ შეიძლება! უნდა იცოდე, რომ არ მოგიწიოს იქ გაგზავნა. მერე მანაც, სულ რომ არ გინდოდეს, დაინახავ, შორს კი არ არის, ამ მინდორს გაღმა იწყება. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა ერთ გამოკვებულში წამოხვალ, უფრო სწორედ, ყველაზე დიდი საფლავია

და იქ ვაწყობთ შემონმებებს. არა, ნუ დაფრთხი, დიდი არაფერია. კითხვებს დაგისვამს ერთი ქალი და შენ ყველაფერი სიმართლე უნდა უთხრა; ანკეტასავითაა.

— სასაცილოა, რომ აქაც ანკეტებია შესავსები.

— არა, აქ კი არ ავსებენ, უბრალოდ, კითხვებს პასუხობ. მერე შენი პასუხები გადაეცემა უფალს და პასუხს დაველოდებით, საით გაგიშვათ. აქ დაგტოვოთ თუ იქ.

— ესე იგი, ჯოჯოხეთში? შენ ხომ მითხარი, აქ დარჩებიო?

— ეს, ჩემი ვარაუდია მხოლოდ. მერე, ყველაფერს რომ მოვამთავრებთ, საბოლოოდ რომ დაგაბინავებთ და საერთოდ, რომ შეეგუები აქაურობას, მერე კი, უნდა გვიამბო შენი ამბავი. აქ ასეთი წესია, ყველა თავის ამბავს ყვება. აბა, მეტი სხვა რა უნდა აკეთო? ნავედით! ჰო მართლა, შენი სახელი? ოლონდ, არ მითხრა ახლა ჯემალიო, ოთარიო, ვასიაო! — რამე მოიგონე, შენთვის უკეთესი, დაირქვი და მიპასუხე.

— სახელი? ჩემი? არა, რა ვიცი, რა ვიცი?!

— როგორ, ამხელა კაცმა, სახელი ვერ მოიფიქრე რამე? მაშინ, მე დაგარქმევ!.. აი, თუნდაც — როსი.

— როსი?

— ჰო, როსი. დღეიდან შენ გქვია როსი!

## ტროლეიბუსი

ყოველ დილით, ტროლეიბუსში, რასაკვირველია, უამრავი ხალხია. აქედან გამომდინარე — ათასნაირი სუნი. დღეს ყველა არომატს, ხაშისა და არყისა ფარავს. თან, სადღაც სულ ახლოა ჩემთან, აქვე, ორი კაცის შემდეგ. რაღაც ირონიულად და მრავალმნიშვნელოვნად უღიმიან ერთმანეთს, კარგი შეყვარებულებივით.

ავტობუსის მძღოლი: — ვინც უკნიდან ამოვიდნენ, ერთმანეთს მისცენ, ან გაუცვალონ! ჩამსვლელებმა, დამანახონ წინიდან! არადა, არ გავალებ! „ისევ მიდიხარ, ისევ მშორდები, ისე ეშვება ღამე!“ — ღრიალებს ერთ-ერთი მთვრალი. ტროლეიბუსი ადგილიდან იძვრის.

— სად მოასწრეს მაინც!? — ლელავს ჩემს გვერდით შუახნის კაცი.

— ვისაც პატრონი ჰყავს, საყვარელო, უკვე რესტორანშია. — პასუხობს მთვრალი.

— ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე პატრონი არა მყავს? — ობლობა არ უნდა შუახნის კაცს.

— როგორ გეკადრებათ, ფისო, რაღა დროს თქვენი პატრონია, თქვენ თვითონ პატრონო?!

— „მე ვარ შენი თოფის ლულა, შენ ხარ ჩემი პატრონო“, — ამღერდა მერე; — „უბედურო კალისტრატე, რაფრა გიძლებს მატრონო“.

— სახელი საიდან გაიგეს ჩემი? — ჩურჩულით მეკითხება შუახნის კაცი.

ვუღიმი. ხუმრობა მგონია, მაგრამ იმის თვალებს რომ ვაკვირდები, ვზვდები, რომ ამ კაცმა საერთოდ არ იცის, რა არის ხუმრობა.

— ალბათ, თქვენ უთხარით. — ვამშვიდებ მე.

— არა, ყველას გეფიცებით. ჯობს, მე ახლა ჩავალ... — და მღელვარე ჩადის ტროლეიბუსიდან.

ფანჯარასთან ვხვდები. თვითონაც არ ვიცი, როგორ. ძალიან მიყვარს ფანჯარასთან დგომა. მსუბუქი მანქანები გვერდს გვივლიან. ყველა მანქანაში ვიხედები. ისე, როგორც სამსახურიდან სახლში დაბრუნებისას ვიხედები ხოლმე პირველი სართულის განათებულ ფანჯრებში. მანქანებში ხშირად ვხედავ ახალგაზრდა ქალების ლამაზ მუხლებს, ზოგჯერ, მუხლსზემო ტერიტორიასაც.

ტროლეიბუსი ჩერდება, თუმცა, გაჩერება არ არის. არც ბიგელი ავარდნია. ალბათ, წინ „პრობკა“. მიუხედავად მგზავრების დაჟინებული მოთხოვნისა, მძღოლი მაინც არ ალებს კარებს.

— უბილეთოდ ჩახვიდეთ, არა?! — ხვდება მგზავრების განზრახვას.

საშინელი, დაგუბული ჰაერია ტროლეიბუსში.

— რა არის, აღარ დაადგება ამ ტროლეიბუსის ნასვლას საშველი?! — უკმაყოფილებას გამოხატავენ მგზავრები.

— რა უბედურებაა, რას ველოდებით?!

— ვსტრეჩნი ტროლეიბუსს, გენაცვალე! — ამშვიდებს ერთ-ერთი მთვრალი მგზავრებს.

— შენ რა გიჭირს რა, გამოიძინებ კიდევ!

— რომელი საათია?

— ათის თხუთმეტი.

— მორჩა! აწი თუ გინდა, საათს იდგეს, მოხსნილი ვარ მაინც სამსახურიდან!

სწორედ ამ დროს ძრავს მძღოლი ტროლეიბუსს ადგილიდან, თითქოს, იმ საცოდავის სამსახურიდან განთავისუფლებას ელოდებოდა.

— ფეხი, რა? — ვეხვეწები ერთს, ერთობ მოხერხებულად რომ გრძნობს თავს ჩემს ფეხზე.

— როგორ?

— ფეხი!

— რა ფეხი?

— ჩემი ფეხი.

— სად მე და სად თქვენი ფეხი.

— ჩემია ნამდვილად, საკუთარი, თანაც მარცხენა. — ვუყურებ თვალებში. იმას ელიმება. ასე მგონია, ძალად მიკეთებს.

— იცი, რას ვიზამ? ცოტას ავხტებისავით და ამ დროს გამოს-  
ნიე, — ეჭვს მიფანტავს მეზობელი.

— მიდი!

— მაიცა!

— მიდი!

ხტება. ვილაც ილანძლება. სამაგიეროდ, მე ვასწრებ ფეხის გა-  
მონევას.

მალე ისიც (ჯიბის ქურდი) ამოდის. „კლეჩატი“ პალტო აცვია, მხრებში ოდნავ აწეული, გრძელი, ნელში გამოყვანილი, დიდი ჯი-  
ბეებით, ბრიოლინნასმული თმებით, გვერდზე მკაცრი პრაბორით. გულის ამრევია. ამოდის და ამოჰყავს თავისი მსხვერპლი. წინ უშ-  
ვებს, ეფერება.

— ავიდეთ, ავიდეთ! ნუ ჩქარობთ, ყველა მოვასწრებთ! ამობრ-  
ძანდით, ქალბატონო! — ასე, ერთსა და იმავეს იმეორებს, ყოველი სამუშაო დღის დაწყებისას. ჯერ სხვებს ამოუშვებს, მერე თვითონ ამოყვება, — საქმეს შეუდგება.

— ფრთხილად, ქალბატონო! — ვუყვირი ჩემს წინ მდგომ, ახ-  
ლად ამოსულ ქალს, რომლის შავი ტყავის ჩანთის რკინის საკეტზე, ქურდის მარჯვენა ხელი გველივით აცოცებულია.

— ფრთხილად! ფეხს მადგამთ! — უფრო ვუნევ ხმას, ქურდზე გამწარებული. ქალს ჩემსკენ ვეზიდები და ფანჯარასთან ვაყენებ. მთელი ტანით ვეფარები. ქალი ახალგაზრდაა და არშიყობად მით-  
ვლის საქციელს, რაშიც, მის მიერ ჩემს მიმართ, არცთუ ისე მკაც-  
რად ნათქვამი, — „ნახალ“! — მარწმუნებს. ქურდისკენ ვიხედები. თვალეებში მიყურებს. მეც ვუყურებ.

„დედას გიტირებ“! — მეუბნება თვალებით.

„ვერაფერსაც ვერ მიზამ“! — ვპასუხობ მე და ქალივით მეშინია. ის ხედება, რომ მეშინია და ამაზე მეტის გამკეთებელი რომ არა ვარ. ისე მიყურებს, რომ მე აშკარად მესმის მისი სიტყვები: „მე ჯი-  
ბეში მაინც შემოძლია ჩაძვრომა, შენ კი, საცოდავად ამოიფარებ ქალს. სანყალო! იმის თავიც არა გაქვს, რომ რამე მითხრა, უსუსუ-  
რო“! — ეს მე მკლავს და საკუთარი ღირსების დასაცავად ვპასუ-  
ხობ: „ოდესმე, ოდესმე მაინც“!

ელიმება: — „ვერასოდეს, ვერასოდეს“! — თვალს არ მაშორებს, ისე ჩადის პირველივე გაჩერებაზე. ტროლეიბუსში მათხოვარი

ამოდის. ამასაც კარგად ვიცნობ. ესეც ჩემი ტროლეიბუსის ხშირი სტუმარია: ნვერმოშვებული, ჭუჭყიანი; თვალები აქვს ამ კაცს ლურჯი, ძალიან ლურჯი და ისეთი დაღლილი, დაქანცული; თუმცა, აბა როგორი ექნება? ლოთი და მათხოვარია, მაგრამ ცოტა განსხვავდება სხვა მათხოვრებისაგან. სულ ისე უმუშევრადაც არ უნდა მონყალება. თან, საქართველოს ისტორიას მოგიყვებითო, — გვთავაზობს მგზავრებს. ჯერ იმას მიადგა, სამსახურიდან რომ დაითხოვეს დაგვიანებისათვის და ბედს, ასე თუ ისე, შეგუებოდა უკვე. მათხოვარი ხელს უწვდის, ის არ იმჩნევს.

— ოცი კაპიკი მომე, რა?

— დასარიგებელი ოცი კაპიკი რომ მქონდეს, მოხსნილი კი არ ვიქნებოდი!

— მომე, რა?

— თავი დამანებე!

— საქართველოს ისტორიას მოგიყვები.

— დიდი მადლობა პატივისცემისათვის. შენზე კარგად ვიცი! მაგანაა, რომ დამლუპა!

— რატომ?

— ჩამებარებინა, ბატონო, ეკონომიურზე ან ტექნოლოგიურზე! — უხარია, დარდის გამზიარებელი რომ ნახა. — არა, რაიკომის მდივნობა მოვინდომე მაინცდამაინც და ისტორიულზე ჩავაბარე. ჰოდა, მასწავლებელი ვარ ახლა სკოლაში. თუმცა, სადღა ვარ, ჩემი დირექტორის გადამკიდე?! ვაი, ჩვენს დღეს!.. — დანარჩენს ფიქრობს.

— ძალიან სამნუხაროა! — ვითომ, რაიმე გაიგო მათხოვარმა და გაშვერილი ხელით სხვისკენ გადაინაცვლა.

— ერთი ოცი კაპიკი.

— თავი დამანებეთ! — პასუხობს ის სხვა, ცილინდრიანი, პორტფელიანი.

— ოცი კაპიკი რა ყოფილა?! საქართველოს ისტორიას მოგიყვები.

— ახლავე მომცილდით თავიდან! — ეტყობა, ძალიან ზრდილობიანია და საერთოდ, კარგ ოჯახშია გაზრდილი.

— ოცი კაპიკი არა გაქვს, დავიჯერო? — არ ეშვება ლოთი.

— თავს თუ არ დამანებებთ, იძულებული ვიქნები, მილიციას გამოვუძახო. გირჩევნიათ, ნახვიდეთ და იმუშაოთ!

მილიციის გაგონებაზე მათხოვარი სხვასთან გადადის. მე მინდა გავარტყა ცილინდრიანს, მაგრამ, რასაკვირველია, სურვილი სურვილად რჩება.

— ოცი კაპიკი მომეცით, ქალბატონო?! — ქალბატონი ჩანთას ხსნის, ხურდას იღებს და აძლევს.

— დიდად გმადლობთ, ქალბატონო! საქართველოს ისტორიას მოგიყვებით?!

— გმადლობთ, გეთაყვა, არ მინდა!

მათხოვარი შემდეგს უახლოვდება.

— ოცი კაპიკი არა გაქვთ?

— რად გინდა? — ეკითხება ახალგაზრდა ბიჭი.

— ვაა, კოლექციისთვის!

— ვა, რა ოსტრი ხარ?!

— აბა, რა გეგონა?

— წადი, გაიარე!

— საქართველოს ისტორიას მოგიყვები?!

— რამდენ ხანში?

— რა უნდა, ცოტაა.

— არ მინდა!

— ესე იგი, არა გაქვს?

— არა!

— არც გექნება! — წყევლის ლოთი და შემდეგზე გადადის.

— საქართველოს ისტორიას მოგიყვები?!

— აილე აგი ოცი კაპიკი და მომშორდი! — პასუხობს შუახნის კაცი. — ვის რად უნდა შენი საქართველოს ისტორია?

— დიდი მადლობა, ბატონო! — შემდეგთან მიდის.

— საქართველოს ისტორიას მოგიყვებით?!

— რა ღირს, ბიჭო, ეგ შენი საქართველოს ისტორია? — ეკითხება ვიღაც, აშკარად, რაიონიდან ჩამოსული.

— ოცი კაპიკი.

— ნამეტანი იაფი ხომ არაა, ბიჭო?

— მანეთი მომეცი, თუ გინდა.

— უყურე შენ! საქართველოს ისტორიას ყიდის აგი ლოთი, მე ვაძლევ! ესე იგი, მანეთი ერთი!..



— მანეთნახევარი! — ყვირის სამსახურიდან გათავისუფლებული და ისტერიულად იცინის.

— მანეთნახევარი ერთი!... — ყვირის ჩამოსული.

— ორი მანეთი! — ყვირის ახალგაზრდა.

— ორი მანეთი ერთი!... — აცხადებს ჩამოსული.

— ხუთი მანეთი! — ყვირის ვილაცა.

— ხუთი მანეთი თუ გქონდა, ტაქსში ვერ ჩაჯექი?! — ეხმაურებიან წინიდან. ყველა იცინის. მერე ჩუმდება უცებ ყველა. საშინელი სიჩუმეა ტროლეიბუსში.

— უკნიდან ამოსულებმა წამოვინოთ, ეგრე, ნუ გავჩერდებით! გამოიარე, ამხანაგო, შენ გეუბნებიან! — ეამხანაგება მძლოლი ვილაც ახალგაზრდა კაცს, რომელსაც „დუბლიონკა“ აცვია, ხელზე „სეიკო“ უკეთია და რომელიც ხუთმანეთიანს უდებს ლოტს ხელში. ეტყობა, მანქანა ვერ იშოვა, თორემ, მართლა, რა უნდა აქ?

— კიდევ გამოვიაროთ! — არ ეშვება მძლოლი, თითქოს, იმის მეტი არავინ არის. ის წინ მიიწევს.

— კიდევ ცოტაც!

— კაცო, ფეხით სიარული რომ მდომოდა, ტროლეიბუსში კი არ ჩავჯდებოდი! — იძახის „დუბლიონკიანი“. ტროლეიბუსი ისევ მხიარულდება.

ისე მანვება ვილაც, რომ გავიტანე ის ქალი, — „ნახალო“! — რომ შემამკო.

— თუ შეიძლება, ფრთხილად?! — მეუბნება. ეტყობა, არც ისე თავხედად მთვლის.

— ბოდიში. რა ვქნა, მანვებიან.

— ჰოდა, თქვენც მიაწეკით! საერთოდ, თუ არ მიანეკით, არაფერი გამოვა! გაიგეთ?! — მეუბნება და მილიმის.

„აუ, რა გოიმია, ამას ვის გადავეკიდე?! ეს, ალბათ, იმ კატეგორიის ქალებს ეკუთვნის, რომ გაექაჩები და არაფრით არ იკისრებენ, გინდა თუ არა, ჯერ ვიაროთო. ან, მე შენ ლამაზ ზღაპარს მოგიყვები, ბიჭოო! — შუა საქმეში რომ გეტყვიან. თან, ასო „ლ“-ს ძალიან რბილად რომ წარმოთქვამენ.

— ჩემი „დედაენა“! — მესმის ვილაც ქალის აღშფოთებული ხმა. — სად არის ჩემი „დედაენა“?

— რა „დედაენა“, ქალბატონო? — ეკითხება ხანდაზმული ქალი.  
 — აქ მქონდა, ამ ჩანთაში, ძლივს ვიშოვე.  
 — ძირს მოძებნეთ, სადმე ეგდება. — მთელი ტროლეიბუსი „დედაენას“ ეძებს.  
 — მე შენ გეტყვი, იშოვი ამ ახალ გამოცემას! — წუხს ქალი.  
 „ის ჯიბგირი ნაღდად არ წაიღებდა“.  
 — იპოვეთ?  
 — ვერა, ვერ ვიპოვე.  
 — სადმე, ქუჩაში დაგივარდებოდათ, ქალბატონო! — ამშვიდებს ვილაც.  
 — თუმნის ხურდა არავის არა გაქვთ? — კითხულობს „დუბლიონკიანი“.  
 — არა, ბატონო!  
 ტროლეიბუსი ჩერდება. ჩემი გაჩერებაა.  
 — გამატარეთ, თუ შეიძლება!? — ვიხვეწები.  
 — გადი, თუ ბიჭი ხარ!  
 — თუმნის ხურდა არა გაქვთ? — მძლოლს არა აქვს? — არ იშლის დუბლიონკიანი.  
 — გითხრეს შენ! თუმანი და ხუთმანეთიანი თუ გაქვთ, ტროლეიბუსში ნუ ჯდებით! — დაარიგა ჭკუა მოხუცმა კაცმა.  
 — რა ვქნა, ბატონო, ვერ ვიშოვე ეს მანქანა! ბოლოსდაბოლოს, ჩემი საქმე არ არის? თუ მინდა, ცხენით ვიმგზავრებ სულაც!  
 — ცხენს, რა უჭირს? — ელიმება ვილაცას.  
 — გამატარეთ! ცოტა მარჯვნივ ჩაინიეთ!.. — ტულუპი მებსნება.  
 — ჰე, მიდი, მიდი! — ბრბოს ვარღვევ.  
 — თუმნის ხურდა არავის გაქვთ?  
 — არა, ბატონო, დაგვანებეთ თავი!  
 — რა ვქნა ახლა მე?  
 — მე დაგპატიჟებთ, მაინც ათკაპიკიანი უნდა მივცე. — ვეუბნები.  
 — აგაშენა ღმერთმა!  
 — გამატარეთ! — მე უკვე ცალი ფეხით ასფალტზე ვდგავარ. ახლა მთავარია, მეორეც დავითრიო როგორმე. ოპა! ახლა წინა კარებთან მივრბივარ და ვილაცის ხელით მძლოლს ფულს ვუგზავნი. მორჩა! თავისუფალი ვარ. გაუმარჯოს თავისუფლებას!

## „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“

### 1

სახლში გვიან დაბრუნდა. მთვრალი იყო. გამხდარი სახე თეთრი ჰქონდა. დედის სანოლთან დაიხარა და აკოცა.

— ხომ იცი, ხვალ როგორ იქნები? — უთხრა ქალმა.

თავის ოთახში შევიდა. გაიხადა და დანვა. დასცხა საბნის ქვეშ. გადაიძრო. ქუჩიდან შემოსულმა სინათლემ შეაწუხა. ზურგი შეაქცია. მალე ჩაეძინა. ღრმად სუნთქავდა. დედა ადგა და თეთრ სახეს დახედა. პულსი გაუსინჯა. ოდნავ შეაღო ფანჯარა. საბანი გადააფარა ზურგზე.

დილით ვიღვიძებ. თავი მტკივა. პირი მიშრება. რამდენიმე წუთში გული აჩქარდება. ამასაც შევეჩვევი, მაგრამ მერე დაიწყება ის, რის სახელსაც დაახლოებით ვხვდები...

ფანჯარა ალბათ დედამ გააღო. მცვივა, მაგრამ ღია ფანჯარასთან ვერ მივალ, მეშინია. მარინას ამაზე ეცინება. ვერაფერს ვერ ვხედავ სასაცილოს.

სათამაშო ლომს ვუყუარებ. წელიწადია, ერთ კუთხეში დევს. თავი ოდნავ მოღრეცილი აქვს. დაბლა აქვს დახრილი. მოწყენილია.

„ბიჭი ერთი წელია აქ აღარ ცხოვრობს“.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია“.

ჩემი სანოლი ფართოა და ის მხარეც, სადაც მარინა უნდა იწვეს, მარტოა. ახლა მთლიანად ლოგინი და მისი ის ნაწილიც, რომელიც ჩემი სხეულითაა დაკავებული, შუაზე გაჭრილი ადამიანი მგონია. თავიდან ფეხებამდე შუაზე გაჭრილი.

ყველაფერი მამაჩემით დაიწყო. მამაჩემით კი არა, იმ კაცით, მეფისტოფელს რომ მიუგავდა სახე და ბაბუაჩემს რომ ეძახდნენ. რატოა ამ ხალხში ისეთი აზრი, თითქოს ბაბუები და ბებიები გადასარევეები იყვნენ.

„თემურ!“ — მეძახის ვილაც. ვიცი, არავინაა. ყოველი დალევის შემდეგ მეძახიან. რადგან ვიცი, მეჩვენება, ესე იგი, გიჟი არა ვარ. დედას ვეუბნები, რომ ფანჯარა დაკეტოს. ვდგები და ვიხედები ქუჩაში. უზრდელობაა, როცა გეძახიან და არ იხედები. თუნდაც ცარიელი ხმა იყოს ის.

დედა ამბობს, — კოტიკას ლალიმ დამირეკა გუშინ, — ძალიან ცუდად არის კოტიკაო. მე მხოლოდ გუშინ არ ვყოფილვარ მასთან. ეტყობა, ძალიან უნდა ლალის, ვნახო, როგორ მოკვდება კოტიკა.

— თავი დამანებე! — ვყვირი მე.

— არა, ნამდვილად გიჟი ხარ.

— თქვენ გამაგიჟეთ! — უფრო ვყვირივარ.

დედა ოთახიდან გადის. მთელი სხეულით ვკანკალებ. სანოლზე ვჯდები. ფეხებს ვერ ვაჩერებ, ისე დახტიან იატაკზე. ორივე ხელს მაგრად ვაჭერ მუხლისთავებს. ცოტა ხანში ჩერდებიან. ვიცვამ და სამზარეულოში გულის წვეთებს ვსვამ. უკან ისე ვბრუნდები, დედას არ ვუყურებ.

„თემურ!“ — მეძახის ვილაც. ვიხედები. არავინაა...

ახლა შენ უნდა გახვიდე სახლიდან, აქ უარესად გახდები... საშინელებაა აქ. დედა სედუქსენს მაძლევს და თან მეუბნება, რომ ორი დღით მივლინებაში მიდის.

— ძალიან გიყვირე?

— შენ ნუ მოიკლავ თავს, თორემ მე არაფერი მიჭირს.

— რამდენი დარჩა კოტიკას?

— ღმერთმა იცის.

— ალბათ ერთი კვირა.

ფანჯარას ვუყურებ და ვფიქრობ, ქუჩაში არ დავეცე. დედას ჩემი ნაფიქრალი ესმის:

— ნუ გეშინია, არ დაეცემი.

— არა?

— არა. ახლა კარგად ხარ.

ორჯერ დავეცი. მივდიოდი ქუჩაში და ჩემს თავს ვეუბნებოდი: — ახლა დაეცემი! ახლა დაეცემი! უცებ ყველაფერი გათეთრდა და დავეცი. დედა ფარდებს ბოლომდე სწევს.

— შენ გააღე არა, ფანჯარა?

— ჰო, ჰაერისათვის.

სულ მგონია, გადაეხტები. თავის მოკვლა არ მინდა და ღია ფანჯარას ვერ ვეკარები. რალაც ძალა გადამაგდებს. შეიძლება სულაც იმ ბებერმა გადამაგდოს, მეფისტოფელის სახე რომ ჰქონდა. მკვდარია, მაგრამ მაინც... მკვდრები სულ თან მდევენ...

\* \* \*

მოხუცმა ხუთი წლის ბიჭი ხელში აიყვანა. ახალგაზრდა ქალი კედელს აეკრა. მოხუცმა შეხედა ქალს. ქალი, შვილს უყურებდა. ბავშვი ხვდებოდა, რომ დედას რალაცის ძალიან ეშინოდა. ბიჭი ტიროდა. მოხუცი გველივით იყო მიშტერებული ქალს. ქალი უფრო ეკვროდა კედელს, თითქოს ზურგით კედლის განგრევა უნდოდა. დაინგრეოდა კედელი, ჩაიქოლებოდა ქალი და ველარაფერს ვერ დაინახავდა. სიკვდილი უნდოდა ქალს იმ წუთში და ზურგით უფრო ეკვროდა კედელს.

— დატოვებ ჩემს შვილს და ამასაც ველარ ნახავ! — მოხუცი ბავშვზე ეუბნებოდა. ბავშვი ტიროდა, განითლებული იყო ტირილისაგან. ძალიან ქერა ჰქონდა თმები.

მოხუცი ბავშვიანად მივიდა ფანჯარასთან. გამოაღო. ფანჯრიდან გადაჰყო ბიჭი. ბიჭი კიოდა. მოხუცმა ქალს გახედა.

— გადავაგდებ, იცოდე!

ქალი იატაკზე დაეცა.

ბავშვი ძალიან ხშირად კიოდა ღამით. დედას არ ეძინა, ანდა, რა დააძინებდა. უნდა ამდგარიყო დილით და ბავშვიანად გაქცეულიყო იქიდან, სადღაც გადაკარგულიყო. იმ სახლში გაჩერება აღარ შეიძლებოდა. დიდი ცოდვა იყო იმ სახლში გაჩერება, მაგრამ ამდენი არ ესმოდა ქალს; იმიტომ რომ დედა იყო და ეშინოდა, მომიკლავსო. მეტზე არაფერზე არ ფიქრობდა, ვერც იფიქრებდა.

\* \* \*

დედაჩემი ზენარს იღებს.

— რამდენჯერ გითხარი, ჩემს ლოგინს მე მოვუვლი! — ზენარს ხელიდან ვართმევ და ვიკრავ. ზენრიანად ვხედავ ჩემს თავს სარკეში...

\* \* \*

მამა ზღვიდან ბრუნდებოდა სამი წლის თემურისთან ერთად. მამას მაგრად ეჭირა ბავშვის პატარა, თეთრი ხელი. საშუალო სიმაღლის კაცი იყო. თვალები ლურჯი ჰქონდა, ძალიან ლურჯი, ზღვისფერი. თემური ძალიან ჰგავდა მამას. გამვლელებს უცინოდა. მამასაც თემური ერქვა.

— დედა სახლში იქნება? — ჰკითხა ბავშვმა.

— სახლშია, თემურიკო! — უპასუხა მამამ.

— მშია.

— მეც მშია. დედა გვაჭმევს. — კაცს გაეცინა ბიჭზე. მერე, ხელში აიყვანა და უფრო სწრაფად წავიდა.

სამივენი მაგიდასთან ისხდნენ.

\* \* \*

თემურ, ვილაც ორი კაცი იყო შენთან! — გაახსენდა ქალს.

— ვინ?

— არ ვიცი, პირველად ვნახე. მაგის თანამშრომლები ვართო.

— მშენებლობიდანო?

— არ ვიცი, ასე თქვეს.

— რა გვინდაო?

— კიდევ მოვალთო.

— ვინ უნდა ყოფილიყვნენ ნეტა? — თქვა კაცმა. დაფიქრდა.

— ჭამე, გაცივდება.

კაცმა ცხელი სუფის ჭამა განაგრძო.

— ვინ უნდა ყოფილიყვნენ?

სალამოს მოვიდნენ. ერთ-ერთმა მოწმობა აჩვენა.

— რა გნებავთ? — იკითხა კაცმა.

— უნდა წამოხვიდეთ.

— რაშია საქმე?

— მშენებლობაზე კაცი მიიღეთ, რომელიც ძიებაშია.

— მე არავინ არ მიმიღია.

— უხერხულია აქ ამაზე ლაპარაკი.

— რა მოხდა? — ჰკითხა ქალმა.

— მშენებლობაზე უნდა წავიდე, — მოატყუა ქმარმა.

— ისინი არიან?

— ჰო, ჰო, მე შეიძლება... არ შეგეშინდეთ.

დედა-შვილი კარში იდგა და უყურებდა, როგორ გადიოდა მამა ეზოდან.

სამი დღის შემდეგ დაბრუნდა. არავისთვის არ შეუხედავს, თითქოს არავინ იყო ოთახში. ბიჭისთვისაც კი არ შეუხედავს.

მშენებლობაზე, მის მოადგილეს ვიღაც „ველასოველი“ მიეღო. თემური დაკითხეს. მერე გამოუშვეს, ოღონდ, გაათავისუფლეს სამუშაოდან.

— უნდა მცოდნოდა. — თქვა კაცმა.

— რა? — ჰკითხა ბიჭმა და მამის მუხლზე აძვრა.

— ყველაფერი.

დანვა კაცი. კედლისკენ გადატრიალდა და ერთი კვირა ხმა არ ამოუღია. ზოგჯერ შპალერს წინწკნიდა. ერთი კვირის შემდეგ წამოდგა. ცოტა ჭამა. ხმას მაინც არ იღებდა.

დრო გადიოდა. კაცი კი ხმას არ იღებდა.

ექიმი მოიყვანეს სახლში. ექიმიც კაცი იყო, ჭალარა. ძალიან სუფთა ჰქონდა ხელები. ლურჯი ვენები გამოკვეთილიყვნენ ხელებზე. ისინი მარტო დატოვეს ოთახში. დიდხანს ელაპარაკებოდა ექიმი. მერე წამლები გამოწერა და წავიდა.

— მარტო ნუ დატოვებთ, — უთხრა ქალს წასვლის წინ.

— ეშველება რამე? — ჰკითხა ქალმა.

— ეშველება. — თქვა ექიმმა ათასჯერ ნათქვამი მხოლოდ იმიტომ, ქალი რომ დაემშვიდებინა. ოღონდ, თვითონ ველარ ამჩნევდა

იმას, რომ თავის „ეშველებას“ ისე ამბობდა ბოლო დროს, როგორც იძახიან: „გამარჯობა“, „იმიტომ“, „ისე“, „მშვიდობით“.

— ვითომ? — ჰკითხა მოხუცმა კაცმა.

— ბავშვი? — ახლა ექიმმა იკითხა, ოჯახში შემობაჯბაჯებული პატარა ბიჭი რომ დაინახა.

— ბავშვი თქვენია?

— დიახ, ბატონო. — თქვა ქალმა.

ცოტა ხანს უყურა ბავშვს...

— კარგი ბიჭია, — ამასაც ნუ დატოვებთ მარტო. მშვიდობით.

ერთი წელი სიჩუმე იყო სახლში. პატარა ბიჭი თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს და იმასაც ხელს აფარებდნენ პირზე. სტუმრებით სავსე, განათებულ სახლში ახლა მხოლოდ ექიმი დადიოდა. ისიც გვიან, რომ დაბნელებოდა. მერე, მოვიდოდა მარტო და წელა დაეშვებოდა სკამზე ისე, როგორც პანაშვიდზე დაგვიანებული, მაგრამ მაინც მოსული ოჯახის ახლობელი ადამიანი.

ერთი წლის შემდეგ კაცი უკეთ გახდა. ლაპარაკი დაიწყო. ქალს იმედი მიეცა.

კაცი კარგად იყო. ბიჭი ხმამაღლა იცინოდა. მხოლოდ მოხუცი იყო მოღუშული და ბრაზდებოდა მის სიცილზე. ასე გაგრძელდა რვა თვე.

ღამე იყო. ყველას ეძინა. ქალს ესიზმრებოდა, რომ ზღვაში იხრჩობოდა. ქალმა იცოდა ცურვა, მაგრამ დაღლილი იყო და ნაპირს ვერ ხედავდა. ნაპირზე შვილი და ქმარი ელოდნენ და არ იცოდნენ, რომ დედა ეხრჩობოდათ. ქალი ყვიროდა. ყვირილი არავის ესმოდა. ქალს მლაშე წყალი ჩასდიოდა პირში, ხახამი. ის იძირებოდა ზღვაში. ძალას იკრებდა, ხტებოდა წყლიდან და ყველაფერი მეორდებოდა.

თვალი გაახილა. სიბნელები ქმრის შეშლილი სახე დაინახა, თავზე წამოსდგომოდა. ისევ სიზმარში ეგონა თავი, სულ ერთ წამს ეგონა, იმიტომ, რომ ქმრის ხელები მაგრად უჭერდნენ ყელზე. იკივლა, ძლივს მოიშორა.

ბავშვმა ტირილი დაიწყო. ბებერი წამოდგა. კაცი ხმამაღლა იცინოდა.

დედა ატირებულ ბავშვს იკრავდა და ევედრებოდა ქმარს: „თემურ! ჩვენ ვართ შენი ჭირიმი, მე და შენი ბიჭი!“ — ბებერი სასწრა-



ფოში რეკავდა. კაცი ახლა ჩუმად იცინოდა. მერე ზენარი შიშველ ტანზე შემოიხვია, ლოგინზე დადგა და თვალების აქეთ-იქით ცეცე-ბით სწრაფად და ნერვულად დაიწყო:

„დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია. ერთ დროს სიცოცხ-  
ლე იყო დიოსკურიაზე და ზღვა სულ არ იყო იქ. მერე ზღვა მივიდა  
და დიოსკურია კუნძულად გადაიქცა. ზღვა რომ აღელდებოდა, მი-  
სი ტალღები თეთრი ქვით ნაშენ სახლებს ანგრევდა, მერე წყნარ-  
დებოდა და ისევ უკან იხევდა. ხალხი თავიდან აშენებდა დანგრე-  
ულ სახლებს და ოჯახებს. შემდეგ ისევ მოვარდებოდა ზღვა და თავი-  
დან იწყებოდა ყველაფერი. ერთხელაც, სულ მოშორდა ზღვა დი-  
ოსკურიას. ზღვა არაფერს ერჩოდა, მაგრამ ახლა ადამიანები დაე-  
რივნენ ერთმანეთს: ხოცავდნენ, ჟლეტდნენ, აუპატიურებდნენ,  
სპობდნენ! ადამიანები თავიანთ საკუთარ ოჯახებსაც ანგრევდნენ  
და სპობდნენ ფიზიკურად და მორალურად. შეგნებულად და შეუგ-  
ნებლად, ნებით და უნებლიეთ“. — გესმის შენ?! — უყვირა ცოლს.  
ქალი მაგრად იხუტებდა ბავშვს და კანკალებდა. ზენარმოსხმულ  
კაცს დუჟი გადმოსდიოდა პირიდან.

— გესმის?! ოჯახებს კლავდნენ განზრახ, ნებით და უნებლიეთ.  
საშინელება ტრიალებდა დიოსკურიაში. გაბრაზდა დიდი ზღვა,  
ისევ მოვარდა ქალაქში და მთლიანად ჩაძირა ის.

კაცმა პირი მკლავით მოიწმინდა.

— ახლა, მისმინე! — განაგრძო მერე. — არავინ იცის, პირვე-  
ლად რატომ მივიდა ქალაქთან ზღვა, რატომ ანგრევდა, რატომ მო-  
შორდა და ბოლოს, რატომ ჩაძირა სულ. მე ვიცი მხოლოდ და შენ  
ერთადერთი ხარ, ვისაც ვუმხელ. ზღვამ გააჩინა დიოსკურია და  
მისცა ადამიანებს სიცოცხლე და სიკეთე. მერე მივიდა და გამოს-  
ცადა მათი სიკეთე. დიდხანს ცდიდა ზღვა. იმიტომ რომ იცოდა, სი-  
კეთეს ყველაზე მეტ ხანს სჭირდებოდა გამოცდა. ნავიდა მერე და  
რომ გაიგო ხალხის ცოდვები, უკან დაბრუნდა და ჩაძირა მთლი-  
ანად თეთრი ქალაქი. ზღვა ყოვლისშემძლეა!..

კაცი ცოტა ხანს გაშეშებული იდგა. მერე, უფრო შეშინებულმა  
თქვა: „ახლა ყველამ ჩაიცვით ანაფორები და გრძელი პალტოები.  
ძალიან გეხვეწებით... ძალიან, ძალიან!“

დრო გადიოდა. კაცი ხან ცუდად იყო, ხან კარგად.

„თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან, თქვენ არავინ არ გაგამტყუნებთ, ბავშვი ცოდოა“. — ეუბნებოდა ჭაღარა, სუფთახელებიანი ექიმი ქალს. უნდა გაცლოდა იქაურობას. ჯერ ქმარი ეცოდებოდა. იმ ფანჯრის მერე კი დაფრთხა, დაბეჩავდა. „მომიკლავს ბავშვს!“ — ფიქრობდა მამამთილზე, — „გადამიგდებს, მომიკლავს!“..

\* \* \*

წამალს ჯერ არ უმოქმედია. ზენარს ლოგინზე ვაგდებ. პირს ვიმპრალებ. უნდა ჩქარა გავიდე სახლიდან.

თეთრი ხის კარადაზე, რომელიც ჩემს ოთახშია, რამდენიმე გვირგვინია ამოკვეთილი. ეს, ხეზე ამოჭრილი ყვავილების გვირგვინები ძალიან ლამაზია და ძალიან ჰგვანან იმათ, პანაშვიდებზე რომ მიჰქონდათ ადრე. ლენტები აკლია, შავი და თეთრი ლენტები წარწერით: „დავტირით უდროოდ დალუპულ თემურს“.

დედას ვეუბნები, რომ ცუდი ამინდებია და უკან მატარებლით დაბრუნდეს. მე რომ გავალ, ის ფანჯრიდან გადმომხედავს.

— დაკეტე! — ვეძახი მე. ის კეტავს ფანჯარას და მილიმის.

„დავტირით უდროოდ დალუპულ...“

ქვევითკენ მივყვები ჩვენს ვინრო ქუჩას. ჩემს პირდაპირ, ზედ ცხვირწინ, თოკი ეშვება. მე გვერდით ვხტები. მემანვნი ქალს ვეჯახები.

— რა იყო, ბიჭო? — მეკითხება შავებში ჩაცმული ქალი.

— არაფერი, არაფერი.

ნაცრისფერ ჩანთაში ორ ქილა მანონს დებს და თოკს აბამს ჩანთაზე. თოკი მაღლა ადის, ჩანთა ააქვს... „დავტირით უდროოდ...“

ათი წლის ვიყავი. თოვდა სოხუმში. იშვიათად თუ მოთოვს სოხუმში. იმ დღეს თოვდა. დახვეული რკინის კიბეები ავირბინე. მამა კარგად იყო მაშინ.

მამას ღამე მეთევზეებთან უნდა წავეყვანე. იქ უნდა გაგვეთია ღამე და გათენებისას, გათენებისას კი არა, უფრო ადრეც, კატარლით ზღვაში გავიდოდით. იმ დღეს მე ძალიან ბედნიერი ვიყავი. იმ დღეს, როდესაც თოვდა სოხუმში და ჩვენი სახლის დახვეულ რკინის კიბეებზე რომ ავრბოდი. კაცი, რომელსაც ბაბუაჩემი ერქვა, სახლში

არ იყო. რომ ყოფილიყო, აუცილებლად წინა ოთახში იჯდებოდა, გაზეთით, ან წიგნით ხელში. წიგნიდან ამომხედავდა გაბრაზებული, ხმას არ გამცემდა...

— დედა! — დავიძახე და შუა ოთახში შევედი. არც ის იყო. და-თოვლილი პალტო სწრაფად გავიხადე და საძინებელი ოთახისაკენ წავედი. ძალიან მინდოდა, უკვე დამენყო ღამისათვის სამზადისი. კარი შევადე. მაღალჭერიანი ოთახის შუაგულში თოკზე მამა ეკიდა. მის ფეხებს ქვევით ნაქცეული სკამი ეგდო. რაღაც ვიყვირე, გავიქეცი და მამას ავახტი. თოკი მაგრად დაირხა. მამას თავს ზევით ორივე ხელი მაგრად ჩავავლე თოკს და ქვევით ჩამოვქაჩე, რომ გამომეგლიჯა. თოკი რკინის კაუჭზე იყო შეკრული; რკინა მაგრად ჩაჭედებულიყო ჭერში. კიდევ ვცაადე ჩამოგლეჯა. თოკი ძლიერად ირხეოდა აქეთ-იქით ოთახში. მხოლოდ მაშინ დავხედე მამის სახეს. მისი მკვდარი, ღია თვალები უბეებიდან გადმობერილიყვნენ. ისე, როგორც ბავშვობაში ჩვენი სულით გაბერილი და კოჭიდან გადმოსული, ჯერ გადმოსული და არა, გაფრენილი საპნის ბუშტები. დაგვიანებული იყო ყველაფერი. მე თოკს ხელები გავუშვი და მაგრად ჩავეხუტე მამას, ისე, როგორც თვითონ მიხუტებდა ხოლმე. მამას თეთრი პერანგი ეცვა, მახსოვს. თოკი ირხეოდა მამასთან და ჩემთან ერთად. მთელი სხეულით ვეკვროდი მის გახევებულ ტანს. თოკი ირხეოდა, არ ჩერდებოდა. ის გვაქანავებდა მაღალჭერიანი საძინებელში. უხაროდა. თოკი ცხოვრება იყო თითქოს და დაგვცინოდა თავისი სიძლიერით. ვის გიფრენიათ მამასთან ერთად ასეთ ლამაზ საქანელაზე?!

\* \* \*

„მოვისვენე“. — ეს სიტყვა იყო, რაც პირველად გავიგონე იმ კაცისაგან, რომელსაც ბაბუაჩემი ერქვა. „მოვისვენე“. — თქვა მაშინ, როდესაც შემოვიდა ოთახში და ზენარგადაფარებული მამაჩემი დაინახა. სანამ ოთახში შემოვიდოდა, მანამდე იცოდა, რომ მისმა შვილმა თავი მოიკლა. რას ფიქრობდა გზაში, ან რას ამბობდა, როდესაც სახლში მოყვებოდნენ ვილაცეები, არ ვიცი, მაგრამ მისგან პირველად რაც გავიგონე, ეს იყო — „მოვისვენე“.

პანაშვიდებზე მოჰქონდათ გვირგვინები, ლურსმნებს აჭედებდნენ კედლებზე და გვირგვინებს მათზე მამაჩემივით კიდებდნენ. უმეტესობაზე ეწერა: „დავტირით უდროოდ დაღუპულ თემურს“.

\* \* \*

ახლა მე ჩავივლი ამ ქუჩას და აღარაფერზე არ ვიფიქრებ. უნდა ჩავიარო და აღარ ვიფიქრო. სამსახურში ბიჭებს ვნახავ და აღარ ვიფიქრებ.

ქვევიდან ნელა ამოდის შუახნის ქალი, რომელსაც გახუნებული პალტო აცვია. ბაზრის ჩანთა უჭირავს ხელში. სახეზე ეტყობა, რომ ჩანთა მძიმეა. უკვე მოუსწრია ბაზრიდან დაბრუნება, ანდა შეიძლება ნათესავთან ეძინა ღამე, რომელსაც სტუმრები ჰყავდა და დარჩენილი საქმელი გამოატანა. იქ იქნებოდა იმიტომ, რომ ასეთი გაცვეთილპალტოიანი ქალი, ამდენს ვერაფერს იყიდდა ბაზარში და სწორედ ფეხით ამოვიდოდა ამ დაკიდებულ ქუჩაზე. თანაც, ასეთ ქალს, ნაღდად მდიდარი და სტუმრიანი ნათესავები ეყოლება, რომლებიც სუფრის აღაგებასა და ჭურჭლის დარეცხვაში ჩანთას გაუვსებდნენ ნარჩენი საქმელებით.

აღბათ ქმარიც არა ჰყავს ამ ქალს; ჰყავდა და მოუკვდა, ან გაშორდა, ან არც არასოდეს არ ჰყოლია. ძალიან საცოდავები არიან ასეთი შუახნის, უქმროდ დარჩენილი, გახუნებულპალტოიანი, განვალებული და დაღლილი ქალები. დედაჩემივით მეცოდებიან ისინი.

— „თემურ“! — კიდევ მეძახის ვიღაც. ვიხედები...

„მარინა ერთი წელია წასულია...“

„ბიჭის ლოგინი ცარიელია...“

„სათამაშო ლომი მონყენილია...“ „კოტიკა მალე მოკვდება...“

ქალი მიახლოვდება. ჩვენ ვუახლოვდებით ერთმანეთს. მე რომ წაქცევის არ მეშინოდეს, მოუყიდებდი ამ ჩანთაზე ხელს და ავუტანდი აღმართზე. არ შემიძლია, არა, არ შემიძლია!..

— ქალბატონო, მომეცით ეგ ჩანთა.

ქალი უნდობლად მიყურებს და ჩანთას უკან სწევს.

— აგატანინებთ, ქალბატონო.

— რას?

— ჩანთას.

— ამატანინებთ?

— დიახ.

— გმადლობთ შვილო, თვითონ ავიტან. — რწმუნდება იმაში, რომ წართმევა არ მინდა.

— მომეცით.

ღრმად სუნთქავს ქალი, დგას და ისვენებს. მე ხელიდან ვართმევ ჩანთას და ვუყურებ. — წავიდეთ, — მეუბნება ცოცხალ ხანში. ორივენი ნელა მივდივართ აღმართზე. ისე მძიმეა ჩანთა, მიკვირს, როგორ მოჰქონდა, თუმცა მე ვარ სუსტად და ალბათ იმიტომ მეჩვენება. არაფერიც არ მეჩვენება. ნათესავები ეყოლება კეთილი. ო, რა კეთილები ხართ ეს ნათესავები!..

ვიღლები და მეც ქალი მგონია თავი, ასევე შუახნის, დაღლილი და განვალებული...

ვალწევთ აღმართის დასასრულს.

— წადი შვილო ახლა. დიდი მადლობა.

— მშვიდობით.

— შენი თავი დიდხანს უცოცხლოს დედაშენს.

მე მივდივარ. „შენი თავი დიდხანს უცოცხლოს... დიდ ხანს უცოცხლოს“, — მომყვებიან მისი სიტყვები. გმადლობთ, ქალბატონო.

აეროფლოტის სალაროსთან უამრავი ხალხია.

— დაიშალეთ! — ყვირიან მილიციელები.

— რა მოხდა? — კითხულობენ ახალი მისულები. მეც მათ ვუერთდები.

— აი აქ, აი აქ, ამ ადგილას დაენია! ავტობუსის კარს აღებდა, შესწრება უნდოდა, შოფერმა არ გაუღო! — ტირის ახალგაზრდა, ლამაზი ქალი.

— დაიშალეთ, დაიშალეთ!

— კაი დროს იცით თქვენ მოსვლა, — ეუბნება კაცი ჩვენი უსაფრთხოების დამცველებს.

— დაგვესიზმრებოდა? — ყვირიან ისინი.

— ალბათ, ერთი ათი წუთი დასდევდა. — ამბობს ბიჭი.

— მერე, ვერ დაიჭირეთ?

— ჩვენხელა დანას გვიქნევდა, რომ გამოვეკიდებოდით.

— რომ მოკლა, მერეც დავდევდით.  
 — რა მოხდა, რა? — კითხულობს ფერდაკარგული ქალი.  
 — ბიჭმა ბიჭი მოკლა დანით.  
 — სულ აჩეხა.  
 — ავტობუსის კარი რომ ვერ გააღო, მაშინ დაენია.  
 — ზურგში ურტყა.  
 — რომ დაენია, ზევიდან დაახტა ზურგზე და კიდევ ურტყა.  
 — ქართველი იყო? — კითხულობს ვიღაც.  
 — ვინ?  
 — ვინც მოკვდა.  
 — ქართველი იყო.  
 — მკვლელი?  
 — ეროვნება არ მიკითხავს. — მაინც ხუმრობს ვიღაც.  
 — დაიშაღეთ, რომ გეუბნებიან! სამსახურები არა გაქვთ?  
 — ისიც ქართველი იყო, — ამბობს მეორე და გაბრაზებული  
 უყურებს „ხუმარას“.  
 — რატომ დედა, რატომ მერე?..  
 — რას აკეთებ აქ?  
 მე ვფხიზლდები. ისევ აეროფლოტის სალაროებთან ვდგავარ.  
 ჩემს წინ დაბალი მილიციელია.  
 — მე?  
 — არა, მე!  
 — არაფერს.  
 — აბა რა გინდა, აქ რომ დგახარ?  
 — მე?  
 — შაყირის გუნებაზე თუ ხარ, ჩაგიყვან განყოფილებაში და იქ  
 ვიშაყიროთ.  
 — არა, სულ არა ვარ.  
 — გაიარე, სანამ დროა!  
 მივედივართ. ალბათ სამსახურში მიდიოდა, ან ინსტიტუტში; გო-  
 გოსთან... დედასთან... პური მიჰქონდა სახლში; რა მნიშვნელობა  
 აქვს? ზურგში ურტყია. როგორ ტკიოდა ალბათ, როგორ არ უნდო-  
 და. ავტობუსის შოფერმა კარი არ გაუღო. რომ გაეღო... ზურგზე  
 აჯდა და ურტყამდა დანას...

— ცუდად ხარ, შვილო? — მეკითხება ვიღაც ქალი.  
მერე ბაგეებს ამოძრავებს. მე აღარ მესმის. ქუჩა მიჰქრის ჩემს  
თვალნი. ქუჩამ ჩაიქროლა ხალხიანად, მატარებელივით, მატარებლის  
ფანჯრებზე გადმოფენილი მგზავრებით...

\* \* \*

ახლა კოტიკას სადარბაზოსთან ვდგავარ.  
თვალი რომ გავახილე, პირველად სასწრაფო დახმარების სახურავი  
დავინახე, მერე სამი თეთრხალათიანი. ერთს შპრიცი ეჭირა ხელში.

— უკეთ ხართ? — მკითხა სულ ახალგაზრდა გოგომ, რომელსაც  
„კალპაკიდან“ ქერა თმები მოუჩანდა.

— უკეთ ვარ.

წამოვფეკი საკაცებზე. ექიმი ჩემხელა იქნებოდა.

— დანექით, დანექით! — მითხრა ექიმმა.

— არა, გმადლობთ, ახლა კარგად ვარ. გააჩერეთ მანქანა!

— როგორ გეკადრებათ?!

— ანალგინი ან დიმედროლი თუ გაქვთ, გამიკეთეთ და გამიშვივით.

— გაშვების უფლება არა მაქვს, ანალგინს კი გაგიკეთებთ, —  
ძალიან „მედიცინურად“ მითხრა.

როგორ ვერ ვიტან! „უფლება არა მაქვს, ამას კი...“ იმადლებიან  
რალაცას. ექთანმა ანალგინის ამპულა გატეხა და შპრიცით ამოიღო  
წამალი.

— გადაბრუნდით.

— არა, ვენაში! — ვუთხარი მე.

ერთი სული მქონდა, გადავმხტარიყავი მანქანიდან. ისინი უფრო  
ცუდად მხდიდნენ.

— ვენაში არ შეიძლება, გენაცვალე.

— შეიძლება. მე თვითონ გამიკეთებია.

ერთმანეთს ისე გადახედეს, მივხვდი, ჩემს მორფინისტობაში  
ეჭვი აღარ ეპარებოდათ. მე გამეხარდა. ექიმებს ეშინიათ მორფინისტების.  
ვიცოდი, გამიშვებდნენ.

გაოცებულ ექთანს შპრიცი გამოვართვი და გავიკეთე. ექიმი გაკვირვებული მიყურებდა.

მანქანა გაჩერდა. ყველანი სასწრაფო დახმარების შენობასთან გადმოვედით. ჩემს წინ „ფიატმა“ დაამუხრუჭა. ჩემი სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი იყო. სწრაფად ჩავეჯექი მანქანაში.

— წადი! — ვუთხარი თამაზს. მანქანა წავიდა.

— „გმადლობთ!“ — მოვასწარი მე.

ძალიან მალიზიანებენ თეთრხალათიანები, რაც არ უნდა ქე-რათმიანები და ახალგაზრდები იყვნენ ისინი. მათ შეუძლიათ გონ-ზე მოგიყვანონ, მაგრამ სამაგიეროდ, მერე გადაგრიონ თავიანთი დამრიგებლურ-მასწავლებლური ტონით.

— რა იყო, ბიჭო? — მკითხა თამაზმა.

— არაფერი, ნაცნობები იყვნენ... საბურთალოზე გამიყვანე.

— როგორა ხარ?

— კარგად... ახლა ბიჭი მოკლეს ზემელზე.

— მერე?

— რა მერე?

— რა, რო მოკლეს?!

— არაფერი.

— გუშინ ქეთისთან ვიყავი, ვარიანტი იყო პატარა. აი, ფილო-ლოგიურზე რომ სწავლობდა, დიდი მკერდი რომ ჰქონდა. კაროჩე, მე რომ ვუყვარდი. მაგარი ნაშები იყვნენ, მაგრად ვიგრიალეთ.

მე თამაზს ვუყურებდი. ის წინ იხედებოდა, ოღონდ, თვალწინ ამკარად წუხანდელი „გრიალი“ ედგა.

არიან ადამიანები, რომელთაც სხვებზე მეტად აქვთ შეგნებუ-ლი, რომ ერთხელ მოსულან ამ ქვეყანაზე. ისინი არავითარ სიამოვ-ნებას არ იკლებენ. შოულობენ ბევრ ფულს, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს აკეთებენ ამისათვის და რაც მთავარია, არ ეზარებათ. ცხოვრობენ ლამაზ გოგოებთან, ქეიფობენ და მოგზაურობენ. იც-ვამენ იმას, რაც ყველაზე ძვირი ღირს. ისინი ცდილობენ, არაფერ-ზე არ იდარდონ და აღწევენ კიდევ ამას. სხვა ძალიან ბევრი რამ აკ-ლიათ, მაგრამ მანაც, ალბათ დიდი ბედნიერებაა იმის მიღწევა, რომ აღარაფერზე არ იდარდო.

— აბა, მაგრად იგრიალეთ?



- „ჩერესჩურ“.
- კარგია.
- გამოიარე ერთი, შე თუქსუსო! ნევიდეთ, ნამევიდეთ, არ გინდა?
- გამოვივლი.
- ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასე უნდა დავკარგოთ ერთმანეთი?
- არა, კაცო!
- ჰოდა, გამეიარე.
- აქ გააჩერე. — ვუთხარი მე.
- კარგად იყავი!
- კარგად იყავი და გამეიარე.
- აუცილებლად გამოვივლი.
- აუცილებლად!

\* \* \*

„თემურ!“ — მეძახიან და სადარბაზოდან ვიხედები. „გამინწყალა ამან კიდევ საქმე!“ ანაღვინი მოქმედებს. ნაქცევის მაინც აღარ მეშინია. კოტიკას ოთახში შევდივარ. სანოლის გვერდით ლალი ზის. ლალის ჩემს დანახვაზე თვალები უნათდება, ამას თუ განათება ჰქვია. ეს ორი ობოლი რაღას გადაეყარა ერთმანეთს?

- როგორ ხარ? — იმ ქვეყნიდან მეკითხება კოტიკა.
- ცუდად, კოტიკ!

კარგადაც რომ ვიყო, მაინც შემრცხვებოდა კოტიკასთან ამის თქმა. მე ყოველთვის მერიდება მძიმე ავადმყოფთან, ვთქვა — „კარგადა ვარ“. მე ნაცნობებთან პანაშვილებზე სიარულიც მერიდება. მით უმეტეს, თუ ზედიზედ მიჰყვა მათ ოჯახში გარდაცვალება. შედიხარ, დედა უწევს მკვდარი. შენ წრეს ურტყამ ოთახს, ხელს ართმევ, კოცნი და მიდიხარ. ისევ ბრუნდები მასთან. ახლა მამა უწევს წინ. შენ იგივეს იმეორებ. შენ დედა მაინც გყავს, ან მამა, იმას, აღარავინ.

თითქოს ამაში შენც მიგიძღვის რაღაც ბრალი.

- კარგია, რომ მოხვედი. — მეუბნება ლალი.

მე ვჯდები. კოტიკას თავი გაზრდილი აქვს, თვალები — ჩავარ-

დნილი და ჩაბნელებული. საბანი თითქოს თავის გაგრძელებაა მხოლოდ. სხეული არ იგრძნობა მის შიგნით.

— პალტო უნდა იშოვო ახალი. ეგ, ძალიან გაიცრიცა. — მეუბნება კოტიკა.

— ჰო.

— ჰო კი არა, უნდა იშოვო.

— ვიშოვი, კოტიკ, აბა რას ვიზამ?

— არ მიყვარს, როცა მანყნარებენ. ეგ, შენ მაინც იცი.

— ჰო.

— ფერი არა გაქვს სახეზე.

მე სახეზე მექანიკურად ვისვამ ხელს.

— გუშინ დაგირეკე. — ამბობს ლალი.

— ვიცი, — დედამ მითხრა.

— იცი, დღეს უკეთაა კოტიკა.

— არ გინდა. — ამბობს კოტიკა.

— სხვა? — ძალად ვუღიმი ლალის.

— რა ვიცი.

— გუშინ ძალიან მტკიოდა. — მეუბნება კოტიკა.

— დღეს?

— დღეს ისე არა, სალამოს დამინყებს.

— არ დაგინყებს.

— დამინყებს. ეს ტკივილები რომ არ მქონდეს, ძალიან კარგად ვიგრძნობდი თავს, სიარულსაც შევძლებდი. მთავარია ტკივილები მომეხსნას და კარგად ვიქნები.

— მალე მოგეხსნება.

— ძალიან კარგად არის ადამიანის ტვინი მოწყობილი. ბოლომდე არასოდეს არ სჯერა, რომ კვდება.

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ.

— რამე რომ მოხდეს, ის, შენი ნაჩუქარი კოსტუმი ჩამაცვი. — ისე მეუბნება კოტიკა, თითქოს სადმე გამგზავრებას აპირებდეს. არ სჯერა და იმიტომ მეუბნება ასე.

— ნუ გაანყალე საქმე!

ლალის ცრემლით ევსება თვალი. ეს გოგო მაშინ უფრო მიყვარს, როცა თვალები ცრემლიანი აქვს.

— ცოცხლებს არ ტირიან. — ამბობს კოტიკა.

— სულაც არ ვტირივარ. — პასუხობს ლალი და მხრებს ზევით ისე სწევს, ვითომ უკვირს მისი ნათქვამი.

ცოცხლებს ტირიან სწორედ, მკვდარი რალა სატირალია.

„თემურ!“ — მეძახიან. მე ვდგები და ფანჯრისაკენ მივდივარ.

— დალიე გუშინ? — მეკითხება კოტიკა.

სწრაფად ვტრიალდები მისკენ. ერთმანეთს ვუყურებთ. მერე ვულიმი. კოტიკამ და მარინამ იციან, მე რომ მეშინია. ოღონდ, ეს არის, რომ კოტიკას ამაზე არასოდეს გაუცინია.

— დავლიე.

— იმიტომაც არ მოხვედი, ალბათ. — მეუბნება ლალი.

— ჰო, იმიტომ.

— მეც არ გამიკვირდა?! — ლალი რალაცას მანიშნებს თვალით. მე ვერ ვხვდები.

— ძალიან მოუხშირე! — მეუბნება კოტიკა.

— არც ისე.

— ძალიან და მარინა შეირიგე! ეგეთი გოგოები ქუჩაში არ ყრიან.

მე ჩუმად ვარ. ლალის ვუყურებ. იქნებ მივხვდე, რა უნდა? ლალი იატაკს ჩამტერებია. წავალ და დავრეკავ.

— აუცილებლად ერთად უნდა იყოთ თქვენ! ნახავ, შენ კარგად იქნები!

— წავალ და სალამოს მოვალ, სამსახურში არ ვყოფილვარ.

— წადი, წადი, ოღონდ, სალამოს გამოიარე.

— ჰო, გამოვივლი. — კარისკენ მივდივარ.

— ნეტა, ისევ სკოლაში ვსწავლობდეთ?! — იძახის კოტიკა.

აბღავლების მეშინია და არ ვტრიალდები მისკენ.

— აბა, ბიჭო?! — ვითომ სკოლა მენანება, ისე ვამბობ და სწრაფად გავდივარ ოთახიდან.

ცივა გარეთ. თოვლი მაინც მოვიდეს. ლალიმ რა მანიშნა, არ ვიცი. ახლა რომ დავრეკო, კოტიკა მიხვდება. სამსახურში წავალ და იქიდან დავრეკავ. ფეხით წავალ, დრო რომ გავიდეს.

„თემურ!“ — მეძახიან.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია“.

„მარინა წასულია“.

„კოტიკა მოკვდება“.

ჩემს წინ მანქანები მიჰქრიან. პირველზე თოჯინაა მიმაგრებული. ვერ ვიტან ქორწილებს. როგორ შეიძლება გიყვარდეს ქორწილები ან პანაშვიდები?

ალბათ, ორი-სამი თვე იქნებოდა გასული მამაჩემის სიკვდილის შემდეგ. სალამო იყო. მე და დედა სასაფლაოდან ვბრუნდებოდით. ქარი ამოვარდა უცებ. ზღვაზე ხშირად იცის ასე. სანაპიროთი მოვდიოდით. ზღვა ჯერ ძალიან არ ღელავდა, შავი იყო ოღონდ და ძალიან შორს ასეთივე შავ ღრუბელს უერთდებოდა. ყველა სადღაც გარბოდა. ჩვენც, როგორც შეგვეძლო. ხეები თმაგანწინლ მომტირალ ქალებს ჰგავდნენ. სახლამდე რომ მივალნიეთ, წვიმაც დაიწყო. ყველაზე მეტად მამა მაშინ მეცოდებოდა, როდესაც წვიმდა. შესასვლელში რამდენიმე ლაბადა ეკიდა. მე და დედას გაგვიკვირდა. დედამ ზალის კარი შეაღო. გაეჩირაღდნებიათ ოთახი. თეთრ სუფრა-გადაფარებული გრძელი მაგიდის თავში მოხუცი იჯდა, მეფისტოფელს რომ მიუგავდა ცხვირ-პირი და თავზე ედგა წითელი ქალღმერთისაგან გაკეთებული გვირგვინი. გვერდით ქალი ეჯდა. თეთრი საქორწინო კაბით მიხვდებოდით, რომ ქალი იყო. ჭალარაგარეული თმები აწეწოდა, საშინლად გამხდარი იყო და შავი, დამჭკნარი ლოყები პომადით ჰქონდა შენითლებული.

მეფისტოფელი უფრო მოკაკვულიყო წელში. შავი პიჯაკი ეცვა. საჩვენებელ თითზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი უბრწყინავდა. კიდევ, რამდენიმე კაცი და ქალი უსხდნენ მაგიდას. ისინიც ბებრები და მახინჯები. ერთს შავი ბაფთა ეკეთა პერანგზე.

— მოდით, მამა, მოდით! — ძალიან კეთილგანწყობით გვითხრა მეფისტოფელმა. ბებრები სახეს გვარიდებდნენ. თავები საჭმელში ჰქონდათ ჩარგული და მადიანად ჭამდნენ. მეფისტოფელმა ქალღმერთისაგან გაკეთებული წითელი გვირგვინი მოიძრო თავიდან. თითქოს ამას, რამე მნიშვნელობა ჰქონდა. შავი და პომადიანი, ტუჩებს გრეხდა.

— რა არის? — იკითხა დედამ.

— სიურპრიზი, მამა, სიურპრიზი! — გაცინება სცადა ბებერმა.

— მოდით, შემოდით!

მე და დედა შევედით.

ბებერი წამოდგა, ჭიქა შეავსო და დაიწყო:

— რა ვქნა, შვილო, ან, ვბერდები და მომვლელი დამჭირდება მე. თემურიმ წაიღო ჩემი ცხოვრება, მარა, სული მწარე ყოფილა, ვერ გადავყვე. შენ შენი ცხოვრება გექნება ან, მე კიდევ, პატრონი მჭირდება. მშვენიერი ქალია ჩემი მარო; გავატარებთ ერთად იმ დღეებს, რაც დაგვრჩენია. ცოლი გახდა ის ჩემი.

— ნამდვილად...

— ნამდვილად... თავი წამოყვეს გათამამებულმა ბებრებმა.

— აგერ, გვირგვინიც ქე დავადგით! ხი, ხი, ხი! — ვითომ, მოკვდა სიცილით ბაფთიანი და ისევ ჩარგო საჭმელში თავი.

დედამ ხელი მაგრად მომიჭირა მხარზე. გავედით. ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. არც სინათლე აგვინთია ჩვენს ოთახში, ისე ვიჯექით სანოლზე ორივენი. დედა ტიროდა. გარეთ გაუთავებლად და გულისშემანუხებლად წვიმდა. შუშები ზრიალებდნენ ქარისა და წვიმისაგან. დედა კი ისევ ტიროდა და ინგრეოდა ქვეყანა, ისინი კი რალაცაზე გულიანად იცინოდნენ, ხარხარებდნენ. მერე ცოტა ხანს გაჩუმდებოდნენ, ვილაცა რალაცას იტყოდა, ისევ ატეხდნენ სიცილს. მთელი სხეულით ვცახცახებდი. რალაც უნდა მექნა, ამ უბედურ ღრეობას რომ დასდგომოდა საშველი და დედას აღარ ეტირა. ოთახიდან გავედი. რომ გავდიოდი, უკვე ვიცოდი, რაც უნდა მექნა. ბებერს მუხლზე დაესვა საქორწინო კაბაში გამოწყობილი ურჩხული. ნითელი გვირგვინი ისევ დაედო გველის თავზე; ამაზე, უფრო გამხიარებულებდნენ პატივცემული სტუმრები. ქალები კისკისებდნენ, ცხვირსახოცებით იწმენდნენ სიცილის ცრემლს და „რავა სულ ამფერი ციგანი იყავიო“, — გაჰკიოდნენ ხმაშალა.

საკუჭნაოში შევედი და მამის ძველ თოფს ხელის ფათურით დავუნყე ძებნა სიბნელეში. ცოტა ხანში ვიპოვე კიდევ და თითით მოვსინჯე სატყვიარი. ტყვია შიგნით იყო. თოფიანად შევბრუნდი.

მეფისტოფელი იცინოდა. რომ დამინახა, სიცილი შეწყვიტა და პირი ღია დარჩა; დორბლი ჩამოუვიდა ტუჩიდან. სტუმრებმა ნეფის გაოგნებული სახე რომ დაინახეს, მის მზერას გამოჰყვინენ და მათაც დააფჩინეს პირები.

მომარჯვებული თოფით ფანჯრებთან მივედი. ორივე სწრაფად

გავალე. თვითონ, ფანჯრებს შორის, კედელთან დავდექი და თოფი სუფრას მივუშვირე.

ახლა, პირდაპირ სუფრაზე წვიმდა. ქარი ოთახშიც კიოდა და რამდენიმე წამის წინ გაშეშებულ ბებრებს ცხვირ-პირში სცემდა, თმებს უწენავდა. „რას შვები, ბაბუო!“ — ყვიროდა მეფისტოფელი. „რას შვები?!“ — კიოდნენ ქალები და სულს ველარ იბრუნებდნენ. იმან, ბაბუაჩემი რომ ერქვა, წამოდგომა სცადა. ვესროლე. ტყვიამ თეფში გატეხა და ასხლტა. ქალებმა კივილს უმატეს.

— ამოგხოცავთ ყველას! — ავტირდი მე.

ისინი ისევ გაქეპავდნენ.

რამდენ ხანს ვიდექი ასე, თოფით მიშვერილი სუფრისკენ, არ მახსოვს.

ვილაცის ხმამ მომიყვანა გონს.

— მოვკვდები, წიე! — მოთქვამდა ქალი. — გავიყინე. მოვკვდები! ნეფის წითელი გვირგვინი, სველი და დაფლეთილი, ჩემს ფეხებთან ეგდო.

— გაეთრიეთ! — ვიყვირე და ყველა კარს ეცა ნეფიან-პატარძლიანად.

— პთყყიპეოჭიტ ეგრ ნთლრ!

— ხულიგანი მაგ!

— სავერშენოლეტნი იყოს, ქე ვიცით, რას ვუზამდით! — ყვიროდნენ ბებრები ქუჩაში.

ვიცინოდი და ვტიროდი. ოლონდ, დედა აღარ ტიროდა. სველ სახეს მიკოცნიდა ის და „არაო!“ — მთხოვდა ჩემი, მარტოდ დარჩენილი და საცოდავი დედა.

\* \* \*

„თემურ, თემურ!“ — ორჯერ იშვიათად მეძახიან.

არც ისე ბევრი დარჩა სამსახურამდე, მივალ და დავრეკავ. ალბათ კოტიკას რალაც სჭირდება. ალბათ კი არა, სჭირდება.

„თემურ!“ — მეძახიან ისევ.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია“.

„მარინა წასულია“.

„კოტიკა მოკვდება“.

სანინა აღმდეგო მიმართულებით ახალგაზრდა კაცი მიდის, რომელსაც სახე თეთრი ბინტით აქვს ახვეული. ხელი ყბაზე აქვს მიდებული. ეტყობა, კბილი სტკივა. ძალიან ჰგავს ეს ხალხი მიცვალებულებს თავიანთი ახალი ფეხსაცმელებით, ახალი კოსტუმებით, ქათქათა, თეთრი პერანგებით და შავი ჰალსტუხებით, პიჯაკის გულის ჯიბეში — სათვალეებით. სახეზე ბინტახვეულები რამდენიმე წუთის გარდაცვლილები მგონია. ალბათ იმ ბიჭსაც აუხვეის, დღეს რომ მოკლეს. კოტიკასაც აუხვევენ. მერე დამწუხრებული ნათესავები თეთრ პერანგს ჩააცმევენ, ახალ ფეხსაცმელებს უყიდიან და ცოცხალს დაამსგავსებენ. მანამდე კი არავინ გამოჩნდება, სანამ არ მოკვდება... სანამ არ მოკვდება.

იმასაც აუხვეის, რომ კარგად შეკვროდა კრიჭა. რომ კარგად... კარგად. ისეთივე ქერათმიანმა ქალმა აუხვია, როგორმაც მე წამიყვანა სასწრაფოში. ცოცხლები მკვდრებს ისე მაგრად უხვევენ პირს, თითქოს ეშინიათ, სიკვდილის შემდეგ ის არა თქვან, რაც სიცოცხლეში დაუმაღავთ, არავისთვის გაუმხელიათ, გულში დაუმარხავთ, რითაც დღეღუპულან. და რაც იმ ქვეყნად გაჰყოლიათ დარდად, სიკვდილის შემდეგ არა თქვანო, — ეშინიათ. შევრცხვებით, თავი მოგვეჭრებაო...

\* \* \*

მატარებელი თბილისის სადგურში ნელა შევიდა და გაჩერდა. ბაქანზე ქალი და ბიჭი გადმოვიდნენ, ჩემოდნებით ხელში. ორივენი თვალებით ვილაცას ეძებდნენ. ქალმა იცოდა, ვისაც ეძებდა. ბიჭს არასოდეს არ ენახა მამის ძმა. სურათებიდან იცნობდა მხოლოდ, საოჯახო, სქელი და გაფხეკილყდიანი ალბომის ფოტოებიდან.

— აი ბიძაშენი, — უთხრა ქალმა.

მოდიოდა საშუალოზე მაღალი, მხრებგაშლილი, გამხდარი ახალგაზრდა კაცი, ლამაზი და მკაცრი, აღმოსავლურ ნაკვთებიანი სახით. თეთრი პიჯაკი და შავი შარვალი ეცვა. პიჯაკი გახსნილი ჰქონდა და პერანგის ფართო, ლურჯი საყელო პიჯაკზე ჰქონდა გადმოფენილი. უახლოვდებოდა ბიჭსა და ქალს. უცინოდა. ბიჭი უყურებდა და

თვალს არ აშორებდა მამამისივით ლურჯ თვალებს, ჩალისფერ თმას და ფიქრობდა, რომ ქრისტეს ჰგავდა ის, ვინც მოდიოდა. მისი სისხლი და ხორცი უახლოვდებოდა, ერთადერთი დარჩენილი იმედი მისი, ერთადერთი საყრდენი მისი ბიჭობისა. მოდიოდა, უღიმოდა. ბიჭი ხედავდა ბიძამისის ზევით მზეს და ეგონა, რომ მზეც მოჰყვებოდა ბიძამისს. შეიძლება, ქრისტესაც იმიტომ ამსგავსებდა, რომ ახლა ქრისტე იყო ის მისთვის. დაიხარა და აკოცა. ბიძას მამამისის სუნი ჰქონდა.

— მე ვერ ვნახავდი; იმიტომ არ ჩამოვედი! — თქვა ბიძამისმა ძმაზე.

— ვიცი. — თქვა ქალმა.

— ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ! — თქვა კაცმა და ჩემოდნებს მოჰკიდა ხელი.

— ნავიდეთ! — უთხრა მერე ძმისშვილს.

— მართლა მოიყვანა ცოლი? — ჰკითხა მამაზე ქალს.

— ჰო. — უპასუხა ქალმა.

— სიბერეში სულ შეიშალა. — თქვა კაცმა და ბიჭს დამნაშავედ გაუღიმა.

ბიჭს, როგორ არ ეხატებოდა ბიძასთან შეხვედრა, ის კი, მხოლოდ დაიხარა და აკოცა.

— მძიმეა? — ჰკითხა კაცმა ჩანთაზე, რომელიც თემურს მიჰქონდა.

— არა! მაკოცე! — თქვა თემურმა და შერცხვა თავისივე ნათქვამის.

წამით, გაოცება ჩაუდგა თვალებში ბიძას, მერე ის გაოცება სევდამ გაუფსო. ბარგი ასფალტზე დაუშვა, ათი წლის ბიჭი ხელში აიყვანა და მაგრად ჩაიკრა. ბიძას მამამისის სუნი ჰქონდა.

ერთად ცხოვრობდნენ. ბიძამისი ოცდაათი წლის იყო და გურამი ერქვა. გურამს ცოლი ჰყავდა და თემური ფიქრობდა, რომ იმაზე ლამაზი და კარგი გოგო, არ იყო თბილისში.

ლექციების შემდეგ, როდესაც მედიკოს სახლში მოსვლის დრო დგებოდა, გურამი ფანჯრიდან ქუჩას გაჰყურებდა. კერესელიძის ქუჩაზე ამოხვეულს რომ დაინახავდა, სადარბაზოსთან დადგებოდა, ხელში აიყვანდა და ისე ამოვიდოდა სახლში. მერე ისინი თავიანთ საძინებელში შედიოდნენ.



— თემური? სირცხვილია! — ჩუმად ეუბნებოდა ცოლი ქმარს.

თემურმა იცოდა მაშინ, რა უნდა ექნა. ეს ყველა ბიჭმა იცის. ანითლებული და რალაც სულელურად ბედნიერი, სახლიდან გადიოდა. ბიძამისს და მის ცოლს რომ მიჰყვებოდა ქუჩაში, მაშინაც ძალიან ბედნიერი იყო. გამვლელები ხშირად ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ. თემურს მაშინ დაძახება უნდოდა, რომ ის, ვისაც ასე უყურებდნენ, ბიძა იყო მისი.

მერე გურამი მას მხარზე გადაადებდა თავის გამხდარ და ძლიერ ხელს. მაშინ ბიჭი გრძნობდა, რომ ის მამაზე მეტი ხდებოდა მისთვის, რადგან ხელის მხარზე მშვიდად დადებით, ბიძამისი მის ძმობასაც იღებდა თავზე და მამობასაც.

კვირა დღე იყო, გურამმა იპოდრომზე რომ წაიყვანა და თეთრ ცხენზე შესვა. ლაგამი თვითონ ეჭირა ხელში და ისე დაჰყავდა მინდორზე. მერე, გადმოხტა ბიჭი ცხენიდან და ახლა გურამი იჯდა მის ადგილას. წელში გამართულმა, ჯერ წელა ატარა ცხენი, მერე, მიუშვა. დიდხანს აჭენა...

ხშირად დაჰყავდა მერე იქ და მალე თემურმაც მიიჩვია ცხენი. „მაჯობებ, მალე მაჯობებო!“ — ეტყოდა ხოლმე ბიძამისი და თემურიც ხმამაღლა იცინოდა ამ, თითქოს ძალიან ჩვეულებრივი სიტყვების გამო. დრო გადიოდა. ყველანი ერთად ცხოვრობდნენ და თემურს ეშინოდა, ისეთი ბედნიერი იყო. ტყუილად არც შეშინებია. ტყუილად, არც არაფრის ეშინიათ, მით უმეტეს, ბედნიერების.

ბედნიერება შემოდგომის მზიანი დღეებივითაა. გეშინია, ცა არ მოიღრუბლოს, არ განაცრისფერდეს ყველაფერი გარშემო, არ ჩამობნელდეს მინაზე; იმიტომ, რომ იცი, შემოდგომაზე მალე უნდა მოკვდეს მზე.

თემურისთვისაც კიდევ ერთხელ მოკვდა მზე. თბილისში გადმოსვლის შემდეგ, სულ ორი წელი ათბო მისი პატარა სხეული და იმ დღეს მოკვდა. იმ დღეს ჩამობნელდა თემურისთვის, როდესაც დილით, სკოლიდან სახლში რალაცისთვის ადრე მიბრუნებულმა, ბიძამისის მაგივრად, მედიკოს სანოლში, ვილაც უცხო კაცი ნახა. რაც პირველად მოხვდა თვალში, მედიკოს შიშველი, თეთრი ფეხი იყო და იმ ვილაც უცხო, — ბალნიანი ტორი.

„გურამ!“ — იყვირა ბიჭმა და გაიქცა სახლიდან. „გურამ!“ —

განწირული ხმით ყვიროდა ბიჭი და თავკუდმოგლეჯილი გარბოდა. გურამ!“ — კიოდა ბიჭი და გაკვირვებულ გამვლელებს ეჯახებოდა, ფეხებში უვარდებოდა, ეცემოდა, დგებოდა და ისევ გარბოდა. გარბოდა ბიჭი, თან, ხალხის გაოცებული მზერა მისდევდა. „მხეცო! იდიოტო!“ — უყვიროდა ვიღაც ახალგაზრდა ქალი, რომელიც კედელს მიენარცხა, თემური რომ დაეჯახა, მაშინ.

„ვაი, შენს პატრონს!“ — დაანია ხმა მოხუცმა კაცმა, რომლის ჯოხსაც წამოედო თემური და წაიქცა.

„შენ მოუკვდი დედაშენს!“ — უკივლა ქალმა, რომლის ბაზრის ჩანთა ძირს ეგდო და იქიდან კარტოფილები ნელა მოგორავდნენ ქუჩაზე.

ყველა ეხმიანებოდა, ვისაც კი შეეხებოდა თემური, ყველა „კეთილ სურვილებს“ აწევდა გაქცეული ბიჭის ზურგს. არავინ ფიქრობდა, რატომ გარბოდა პატარა ბიჭი ასე გამეტებით, რატომ ყვიროდა ამ სახელს, ან ვის გაურბოდა; რა უჭირდა, რისგან იყო გამოქცეული, ან, საით მიქროდა ასე გამწარებული.

ორი თვე გაგრძელდა წამება. ორი თვის განმავლობაში, დღეში ერთ-ორ სიტყვას თუ იტყოდა. დედა სკოლაში მიდიოდა და მასწავლებლებს ეკითხებოდა, რა მოუვიდა ჩემს ბიჭსო. ბიძამისი თავის რძალს და ცოლს ეკითხებოდა, თემურს რა სჭირს, ველარ ვცნობო.

ცოლი თავს გააქანებდა. ანდა, რა ჰქონდა სათქმელი. დედა ხშირად ტიროდა. ბიძამისმა ჰკითხა ერთხელ, სადილობის დროს და პასუხი რომ ვერ მიიღო, ჩანგალი დააგდო მაგიდაზე, ადგა და გავიდა ოთახიდან. მერე, მოგვიანებით, ბოდიში მოუხადა: — ჩემი, შვილიცა ხარ და ძმაცო. იმიტომ მწყინსო, — უთხრა. შეყვარებული ვარო, — უპასუხა ბიჭმა და გაიხარა ბიძამისმა: ადრე გეთქვა, შე კაი კაცოო. შეყვარებული, ვინ არა ვყოფილვართო?! — რძალსაც უთხრა მერე ჩუმად და ცოლსაც.

ერთ საღამოს მთვრალი დაბრუნდა გურამი სახლში. არავინ იყო თემურის გარდა. შუა ოთახში დადგა და თემურს შეხედა თვალებში. ბიჭი ნელა წამოდგა სკამიდან და იმ ამბის შემდეგ, პირველად შეხედა თვალებში.

გურამს ცრემლი მოსდიოდა და უღიმოდა.

„რა“? — თვალებით ჰკითხა თემურმა.

„გავიგე ყველაფერი!“ — თვალებითვე უპასუხა ბიძამისმა.

„ყველაფერი?“ — გაიფიქრა თემურიმ.

„სუყველაფერი, სუყველაფერი!“ — პასუხობდა ბიძა.

თემური წელა მიუახლოვდა. მერე, ჩაიჩოქა მის წინ; ისე, როგორც სალოცავის წინ იჩოქებენ.

მედიკო წავიდა. შვიდი წელი გავიდა. თემური, მეოთხე კურსის სტუდენტი, პრაქტიკაზე იყო მოსკოვში. ივლისი მთავრდებოდა. წამოსვლის წინ გამოიყვანა გურამი საავადმყოფოდან, ღვიძლი სტკიოდა. მერე, კუჭის წყლულიც აღმოაჩნდა.

„წვეთი არ უნდა დალიოთ, თორემ დაიღუპებით!“ — უთხრა ექიმმა.

„დაღუპულია“. — გაიფიქრა თემურიმ. იმ დღეს დაიღუპა, ის რომ გაიგო. უფრო ადრეც. მედიკო წავიდა. შვიდი წელი გავიდა და თემურს გურამი ფხიზელი აღარ უნახავს. იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ დაისვენებდა გადაბმული სმისაგან.

ივლისი იყო. ცხელოდა მოსკოვში. თბილისი ინვოდა სიცხისაგან და სარიბეგას სარდაფში მაინც გრილოდა. ხალხიც ცოტა იყო. ერთ მაგიდას, რომელიც კუთხეში იდგა, სახედანითლებული მთვრალეები უსხდნენ. მათ შორის ერთი გამოირჩეოდა თავისი ფერმკრთალი სახით, ლურჯი, ოდნავ უკვე გახუნებული თვალებით, მოშვებული თმებით და წვერით, სუფთა, ძალიან სუფთა თეთრი პერანგით.

— დალიე რა, შე ბემურაზო! — ჭიქა შეუვსო გვერდით მჯდომმა ერთ-ერთმა აწითლებულმა.

— შე, ბემურაზო? — ჰკითხა გურამმა.

— ჰო რა, დალიე!

— უარი მითქვამს როდისმე?

გურამმა კიდეც ერთი ჭიქა დალია.

— დავთვერი, აღარ მინდა. — თქვა მერე.

— ჩვენ რა, გვინდა? — ჰკითხა წითურმა და კიდეც შეავსო ჭიქები.

— ჩვენი მშობლების ხსოვნა იყოს, კიდეც ერთხელ! — თქვა ვილაცამ.

— ავდგეთ! — წინადადება შემოიტანა წითურმა.

ბარბაცით წამოდგნენ. გურამი არ ამდგარა.

— შენ რად არ დგები? — ჰკითხა წითურმა.  
 — სულერთი არ არის?  
 — ადე, ბიჭო! — დაუყვირა, ხელი ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა.  
 დალიეს. დასხდნენ.  
 გურამიც დაჯდა. ელიმებოდა.  
 — შენ რაღაც, კარგ გუნებაზე ხარ! — არ ეშვებოდა წითური.  
 — არც ისე.  
 — მაშ, რათ ილიმები, მე დამცინი?  
 — არა.  
 — თავი დაანებე! — თქვა ვილაცამ.  
 ისევ სვამდნენ.  
 — მაგ გაზეთში რა გაქვს გახვეული? — ჰკითხა ისევ წითურმა.  
 — ეიფელის კოშკი.  
 — შაყირობ?  
 — არც ისე.  
 — თავი გაანებე, რას გადაეკიდე?!  
 — მაშ, არ მეტყვი, რა გაქვს?  
 — ნახატია.  
 — ვისი?  
 — ჩემი.  
 — ყიდი?  
 — ჰო.  
 — შენც ფიროსმანი ხარ, აი!  
 — ჩვენს ძმაკაცობას გაუმარჯოს! — ჩაიბურღლუნა ერთმა.  
 დალიეს.  
 — მაჩვენე.  
 გურამმა მისცა.  
 იმან გაზეთი შემოაცალა ნახატს.  
 — „ვა, ტოჟე მნე, პეტროვ ვოდკინ, რა“! ეგ თევზი, პური, არყის  
 ბოთლი. თევზი შეჭმული რათაა?  
 — მშოოდა.  
 წითურმა ნახატი ორი ხელით დაიჭირა და თავის მუხლს ჩამო-  
 არტყა.  
 — რას შვრები?! — დაუძახეს აქეთ-იქიდან.

— შარზე ხარ დღეს, ლოვიკ! — უთხრა გვერდით მჯდომმა.  
გურამი წამოდგა. სავსე ღვინის ბოთლს მოჰკიდა ხელი და სარდაფის კიბეებს წელა აუყვა.  
— ეწყინა. — უთხრეს წითურს.  
— ისე, „პაზდრავლიაიუ, გურამჩიკ“! — სულ გამწარდა ლოვიკა, ხმა რომ არ გასცა.  
— შენი ცოლი გათხოვდა! ქელანს გაჰყოლია. ახლა ფული სულ გექნება.  
გურამი გაჩერდა. მერე შეტრიალდა მისკენ.  
— მართლა? — ჰკითხა წითურს.  
— ვა, ვითომ არ იცოდი, არა?!  
გურამი ცოტა ხანს ასე იდგა, რალაცაზე ფიქრობდა და არავის უყურებდა.  
— არ ვიცოდი. თქვა რალაც ნერვულად. ისე, კარგია. კიდევ კარგი. — გასვლა დააპირა.  
— კიდევ კარგი რათა, აღარ იგულავებს, არა?!  
გურამი მიუახლოვდა ლოვიკას. სახეში შესცინა. მერე ღვინით სავსე ბოთლი ჩაარტყა თავში. წითური თითქოს ამას ელოდაო, ბოთლის ჩარტყმა და მისი ჯიბიდან გახსნილი დანის ამოღება ერთი იყო. ამოიღო და დაარტყა კიდევ. ქვევიდან დაარტყა მუცელში.  
— მოკლა, ამ შობელძალმა! — იყვირეს სარდაფში.

\* \* \*

„ბიჭის ლოგინი ცარიელია“.  
„მარინა წასულია“.  
„კოტიკა მოკვდება მალე და გურამივით აუკრავენ სახეს“.  
„თემურ“! — აღარ მინდა, აღარ გამოგხედავ! დავიღალე, თავი დამანებე!

\* \* \*

თვითმფრინავი ღამის სამ საათზე მიიღო თბილისმა. როდესაც დაშვება დაიწყო, ქალაქს გადავხედე. ენთო თბილისი და რალაც იმედი მომეცა. სახლთან მიმატოვა ამ იმედმა. ჩაბნელებულ სახლს

რომ შეეხედე, მიმატოვა. კარი გასაღებით გავაღე და სანამ ოთახს გავანათებდი, რაღაცას დავეჯახე. ოთახის შუაში, რატომღაც კარადა იდგა. გამიკვირდა. დედა საავადმყოფოში იქნება-მეთქი, ვიფიქრე და აღარ გავანათე, ისე დავეშვი დივანზე. კარი ნელა გაიღო. გული კინალამ წამივიდა შიშისაგან. მაშინ მივხვდი, რისიც მეშინოდა. გარდაცვლილის მეშინოდა. უკვე მკვდრად ვთვლიდი ალბათ გურამს და იმის მეშინოდა.

— ვინა ხარ? — ვკითხე მე.

— კარინე ვარ.

მეზობლის ქურთის ქალი იყო, ზოგჯერ ეხმარებოდა დედას.

— რა გინდა აქ, კარინე, ამ შუალამისას? — სული მოვითქვი მე.

— გურამი კვდება.

— რა მოხდა, კარინე?

— ვიღაცაზე, საზიზღარზე, მუცელში დანა დაურტყამს. მერე აპერაცია გაუკეთეს. მაინც კდება. ექიმს უთქვამს, დანა რომ არ დაერტყათ, მაინც ერთი-ორ წელიწადში მოკვდებოდაო. — ქურთის ქალმა ოთახი გაანათა.

— ოთახი რატოა ასე არეული, კარინე? — ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

— ვალაგებდი. მერე მეძინებოდა.

— რატომ ალაგებდი?

— გურამი ხო მოკდება, ხალხი ხო მოვა, ზუბთა უნდა იყოს.

— იქნებ გადარჩეს? რა გეჩქარებოდათ, ქალო, რა სამზადისი აგიტყდათ?!

— ზუბთა უნდა იყოს.

— საშინელებაა!

— ბატონო?

— არაფერი.

„საშინელებაა“. ეს სიტყვა ხვდებოდა თავის ქალას გულის ცემასთან ერთად.

„საშინელებაა“ ... თენდებოდა.

— ვინ, ვინ?! — ეკითხებოდნენ დედა და ექიმი, გურამმა რომ ვერ გაიხსენა სახელი.

— ძმა ჩემი. — თქვა გურამმა.

— ბოდავს. — თქვა ექიმმა.  
 — არა, რალაც მომდის...  
 — თემური? — ჰკითხა დედამ.  
 — ჰო, თემური.  
 მე კართან ვიდექი და შევედი.  
 — გამარჯობა. — მითხრა მომაკვდავმა.  
 — გამარჯობა, გურამ! — ვუთხარი. დავიხარე და ვაკოცე. ცივი  
 ჰქონდა გამხდარი სახე.  
 — რატომ ჩამოხვედი?  
 — პრაქტიკის ხელმძღვანელი ავად გახდა. — საცოდავად მო-  
 ვიტყუე.  
 — ქუნთრუშით? — დამცინა გურამმა.  
 — მართლა.  
 — როგორა ხარ?  
 — ისე, რა.  
 — შენ? — სულელურად ვკითხე.  
 — მეც. გადით! — უთხრა დედაჩემს და ექთანს.  
 ისინი გავიდნენ.  
 — მაკოცე! — მითხრა ისე, როგორც მე ვთხოვე სადგურზე ათი  
 წლის წინ.  
 მე ვაკოცე.  
 — შენ მყავდი მარტო. — მითხრა გურამმა.  
 — მეც.  
 — შენ არ დამტოვებ.  
 — არა, არა!  
 — ისე, ბევრი კი განვალე.  
 — რა მანვალე, გურამ?  
 — რაც შენ სარდაფებში დამდევედი, გაგალოთე მგონი?  
 — უშენოდაც კარგა მიყვარდა.  
 — საავადმყოფოებში გარბენინე.  
 — გაჩუმდი.  
 — რაც შენ გითრევივარ ზურგით.  
 — არასოდეს.  
 — გგონია, არ მახსოვს?

— შენ მამაზე მეტი ხარ ჩემთვის და ძმა ხარ!  
ჩუმად იყო. მერე ღრმად დაინყო სუნთქვა.

— გახსოვს? — მკითხა და თვალეში ჩამაცქერდა.

მე თვალეში დავხუჭე და გავახილე. მივხვდი, რაზეც მეუბნებო-  
და და არ მინდოდა, ახლა ამაზე ეფიქრა.

— ვერ მოვიკალი თავი.

ხმა ვერ ამოვიღე.

— მაგ დროს კაცმა თავი უნდა მოიკლას. მე ვერ მოვიკალი.  
თუმცა თვითმკვლელობა ორნაირად შეიძლება: უცებ და ისე, რო-  
გორც მე ვქენი, ნელ-ნელა. როგორც მე გავაკეთე, ასე უფრო სუს-  
ტები იქცევიან.

— რატომ მოგივიდა ჩხუბი? — ჩემი ჭკუით, ვცადე სხვაზე გა-  
დამეტანა ლაპარაკი.

— ის არაფერ შუაშია, დააჩქარა უბრალოდ.

— ცხენი გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს.

— ცხენი მინდა. — თქვა გურამმა და ნამოინია ლოგინზე.

— რომ გამოგწერენ, ისევ წავიდეთ იქ. ანდა, სულაც სოფელში  
წავიდეთ, სადმე.

— ჰაერი მინდა.

ნამოვხტი და ფანჯარა გავაღე. არ შემშინებია, ისე გავაღე.  
პალატაში ექიმი, დედა და ექთანი შემოვიდნენ.

— ჰაერი მინდა. — შეევედრა ექიმს.

— ჰაერი უნდა! — ვიყვირე მე.

— გააღეთ ფანჯრები! — თქვა გურამმა.

— გააღეთ! — გავიმეორე მე.

— ღიაა. — უკვირდა ექთანს.

— გადი! — მითხრა დედამ.

— არ გახვიდე, თემურ! — მთხოვა გურამმა.

— არა, ნუ გეშინია! — მკერდზე მომეყრდნო ზურგით. გაყინული  
ხელებით მაგრად ჩამებლაუჭა მარჯვენაზე. ხელში გაუკეთეს ნემსი.

— ახლა დამშვიდდებით.

— ახლა გაგივლის. — ვუთხარი მე.

— გადი! — თქვა დედამ.



— შენ თვითონ გადი! — ვუყვირე მე.

— გადით. — მთხოვა ექიმმა და თვალი ჩამიკრა; — ავადმყოფს მოსვენება სჭირდება.

გურამმა უფრო მომიჭირა ხელი.

— გაეთრიე! — ვუყვირე ექიმს.

— რა მომდის? — იკითხა გურამმა.

— იცის ხოლმე ასე.

— რა?

— უბრალოდ, უკმარისობა გაქვს.

— უბრალოდ... — გაიმეორა თავის დასაჯერებლად.

— გაგივლის ახლა.

— გამივლის?

— ჰო, გაგივლის.

— ეს ლურჯი კლდე რაღაა გარეთ?

— არ შეგიმჩნევია ადრე?

— არასოდეს.

გარეთ, რასაკვირველია, არაფერი არ იყო.

— ძალიან ლამაზია. — ვთქვი მე.

— ძალიან, ოღონდ ლურჯია.

— ჰო...

— ჩაქრა კლდე, კვ-ამლი არ შე-მოვიდეს, ის-ედაც არ მყოფნის ჰაერი...

— არ შემოვა, გურამ.

— ეს რაღაა?

გურამი ნამოინია. მეც წამოვდექი მასთან ერთად.

— შენ? — ჩუმად, ძალიან ჩუმად ჰკითხა არაფერს, გაოცებული და შეშინებული თვალებით. მერე მისი სხეული მოეშვა და მკერდზე გადმომანვა. შიში გაქრა და დაუტოვა თვალებს მარტო ის, რასაც სახტად დარჩენა ჰქვია. გურამი გარდაიცვალა.

დედა ტიროდა.

— ბინტი! — დაიძახა ქერათმიანმა ექიმმა ისე მშვიდად, თითქოს ჩვეულებრივ გადახვევას აპირებდა. ექთანმა მიანოდა. ექიმმა ჯერ თვალები დაუხუჭა, მერე სახეზე მაგრად შემოახვია ბინტი, კარგად რომ შეკრულიყო კრიჭა.

\* \* \*

სამსახურიდან დარეკა კოტიკასთან და ლალიმ უთხრა, რომ კოტიკას არ ეძინა.

— მარინასთან წავიდესო, — მთხოვს, — უთხრა ლალიმ.

— წავალ. — თქვა თემურმა.

დერეფანში მიდიოდა და — რა უნდა სჭირდებოდესო? — ფიქრობდა. თანამშრომლებს მექანიკურად ესალმებოდა. „წავალ, აუცილებლად წავალ!“ — ფიქრობდა თემური.

ის ახლა ქუჩაში იყო და მარინასთან მიდიოდა. თუ მასთან დაბრუნებაზე უარს ეტყოდა, დაუწოქებდა და ფეხებს დაუკოცნიდა თავის ცოლს, ერთადერთ ახლობელ ადამიანს, ვინც ცოცხალი რჩებოდა ამ ქვეყანაზე. კოტიკაც მოკვდებოდა და გათავდებოდა ყველაფერი. თემურს დედა და შვილი რჩებოდა ამ ქვეყანაზე, მაგრამ როდის ყოფილა, დედას გაეგო და ემეგობრა შვილთან, — ან კიდევ, შვილს — მამასთან?

მარინა რჩებოდა, რომელიც შვილზე მეტად უყვარდა, დედაზე და კოტიკაზე მეტად, თავის თავზე მეტადაც, რადგან თვითონ მონდომებინა განშორება მასთან. იმის მერე განიზრახა, როდესაც მიხვდა, თავისი ნერვების, თავისივე გუნებისა და განწყობის ტყვე რომ გამხდარიყო.

იცოდა, რისი შედეგიც იყო მისი ასეთი მდგომარეობა. ყველაფერი ახსოვდა. უბედურებაც ის იყო, ყველაფერი რომ კარგად ახსოვდა, რაც ენახა. ბედნიერი დღეები უფრო ადვილად ავინყდება კაცს. უბედურება სულ ახსოვს, ტვინსა და გულს უღრღნის, სულ თანა სდევს, იმიტომ რომ უფრო ნაღია, ყველაფერზე ნაღია, რაც კი რამ გაჩენილა ამ ქვეყანაზე.

მარინას კი, არავითარი ბრალი არ მიუძღოდა მის უბედურებაში. ტყუილად იტანჯებოდა, მისი უგუნებობისა და არეული ნერვების შემყურე. კარგადაც ყოფილა. მარინასთან ერთად ყოფილა კარგად, მაგრამ ისე მიუჩვეველი იყო მისი არსება ასეთ მდგომარეობას, რომ უკვირდა. ის უკვირდა, როგორ შეიძლებოდა, კარგად ყოფილიყო. „აღბათ, ისე არ არის რალაცო“; „აღბათ, ვტყუვდები, ან თავს ვიტყუებო“.

სამი წელი იცხოვრეს ერთად და ერთხელ, როდესაც მისმა ბიჭ-მა მამის ყვირილს კვილით უპასუხა, დაფრთხა თემური. ამათ რა-ღას ვერჩი, ღმერთოო; ამათ ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩემთვისო. დაფრთხა და გაიტრუნა. იმას ფიქრობდა მხოლოდ, — „უნდა ნა-ვიდნენ ჩემგან, თორემ ყველაფერი განმეორდება. მარინაც დაიღუ-პება და შვილიც დამედუპება“.

მეორე დილით გაუშვა ორივე. თავისი ხელით ჩააცვა ბიჭს ტან-ზე. თავისივე ხელით ჩაალაგა მარინას ტანსაცმელი ჩანთაში და გა-უშვა მშობლებთან. ასე ჯობიაო, — მარინას უთხრა; — თქვენთვი-საც და ჩემთვისაც ასე ჯობიაო. — რაღაც, სხვა ხმით ეუბნებოდა.

ერთი წელი აღარ იყვნენ მასთან. ღამე, უფრო ხშირად მთვრალი მიდიოდა სახლში, მალე რომ ჩასძინებოდა და არავინ და აღარაფე-რი გახსენებოდა.

ახლა კი ქუჩაში იყო. მიდიოდა მარინასთან და მათ უკან დაბრუ-ნებაზე ფიქრობდა. საიდანღაც იმის იმედიც გასჩენოდა, რომ თავს მოერეოდა და კარგად იქნებოდა. შეიძლება, კოტიკას საყვედურიც და გამხნევებაც დახმარებოდა ამაში. ისე გახარებული იყო ამ გა-დაწყვეტილებით, რომ კოტიკას ავადმყოფობაც დავინწყებოდა ცო-ტა ხნით. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, მხნედ. არ ეშინოდა ნაქცევისა და აღარავინ არ ეძახდა თავისივე სახელს.

კარი მარინას ბებიამ გაუღო.

— გამარჯობათ! — თქვა თემურმა.

— რა გნებავთ, ვაჟბატონო, მაგალითად? — მეგრული კილოთი მოუქცია მარინას ბებიამ.

— მარინა.

— კიდო, რა გინდათ, კიდო?!

თემურს გაელიმა.

— შემისვით, თუ შეიძლება?

— არ შეიძლება! — უფრო გაკაპასდა ქალი.

— გამისვით!

— ჩვენ ბროდიაგები, გიჟები, ნენორმალურიები და ლოთები კი-დო, არ გვჭირდება!

— დამლაგებლები ან შემფუთავები, კიდო?!

— უზრდელი ეს!

— მაშინ, ჩამოკიდეთ კედელზე, რომ ბროდიაგები, ნენორმალურიები, — თემურმაც საგანგებოდ მოუქცია ქალივით, — და ლოთები კიდო, არ გჭირდებათ, ოღონდ, „ნენორმალურიები“ არ დაგავინწყდეთ, კიდო!

— დასტოვეთ სადარბაზო, მე თქვენ გელაპარაკებით! — იყვირა ქალმა.

თემურმა ქალს ხელები წელზე მოხვია, აიყვანა, „გადაადგილა“ და სახლში შევიდა. მარინას და ბავშვს დაუწყო ოთახებში ძებნა.

— წავიდა შენი მარინა! გაფუჭებული ეს! — უკან მისდევდა დედაბერი.

— წავიდა. — უთხრა მარინას დედამაც. სკამიდან ადგა.

— როგორ, წავიდა?!

— ერთი კვირაა.

— სად წავიდა, ბავშვი სად არის?!

— ბავშვი სასეირნოდ წაიყვანეს. მარინა ერთი კვირაა, სოხუმში წავიდა.

— რა უნდა სოხუმში ამ ზამთარში?

— ისე. — უხერხულობა დაეცყო ქალს და ფანჯარასთან მივიდა.

თემური უფრო მიუახლოვდა ქალს.

— რატომ? — ჰკითხა მერე.

— მარინა... — გაჩუმდა ქალი. — გათხოვდა. — თქვა ბოლოს.

თემურს გაეცინა.

— ნამდვილად! — დაამატა მოხუცმა ქალმა.

— არ შეიძლება! — თქვა თემურმა.

— ერთი კვირაა.

— არა, არ შეიძლება!

— ასეა, თემურ!

— რატოა ასე? — თემურმა თავისთვის ჩაილაპარაკა.

„არ შეიძლება, ასე რომ იყოს!“ — გაიფიქრა და ქალს შეხედა.

— ასეა. — თქვა ქალმა.

„გათავდა ყველაფერი!“ — გაიფიქრა თემურმა და ფანჯარას შეხედა. თოვდა გარეთ.

— თოვს. — თქვა თემურმა.

\* \* \*

მანქანა გადაკეტილ შლაგბაუმთან იდგა, სულ ახლოს. თემური ნინ იჯდა. მატარებელი გამოვლას აგვიანებდა. მძლოლი მანქანიდან გადასულიყო, სიგარეტს ეწეოდა და ქალს ეარშიყებოდა, რომელიც კიბის თავში, ჯიხურთან იდგა და ყვითელი დროშა აენია. გარშემო სულ თოვლი იყო. თემურის გვერდით კიდეც ერთი მანქანა იდგა. მანქანაში ახალგაზრდა გოგო იჯდა, რომელიც თემურს უყურებდა. თემური ექიმისათვის იყო წამოსული თბილისიდან.

კოტიკასთან მაშინ მივიდა, იმას რომ ეძინა. მაშინ უთხრა ლალიმ, რომ წყალტუბოდან ვილაც ბულგარელი ექიმი უნდა წამოეყვანა თემურს, რომელზედაც რაღაც სასწაულებს ყვებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაღდი იყო, სენს ვერ განკურნავდა, მაგრამ ტკივილებს მთლიანად მოუხსნიდა კაცს, ამშვიდებდა...

აუცილებლად უნდა ჩამოეყვანა ექიმი, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა. ფული უნდა ეშოვნა, ოღონდ. მთელი საღამო ირბინა ფულზე და არავინ რომ არ მისცა, თავისივე უფროსს მიადგა ღამით სახლში. რცხვენოდა, მაგრამ სირცხვილის დრო არ იყო. კოტიკა ისე უნდა მომკვდარიყო, რომ არ უნდა ტკენოდა.

თემურს ღამე თავზე დაათენდა. დილით, ვილაც მძლოლი ძლივს დაიყოლია და ახლა გადაკეტილ შლაგბაუმთან იდგა, სულ ახლოს. მძლოლი რუსის ქალს რაღაცას ელაპარაკებოდა. თემურის გვერდით მანქანა იდგა. მანქანაში გოგო იჯდა და თემურს უყურებდა. თემური თოვლს გასცქეროდა...

„მარინა აღარ დაბრუნდება“.

„ბიჭის ლოგინი ცარიელი იქნება სულ“.

„კოტიკა მოკვდება, ოღონდ, არ ეტკინოს კოტიკას“.

თემურმა უცებ, მის გვერდით მდგომი მანქანისაკენ გაიხედა. მას გოგო უყურებდა.

„როგორ სამინლად მიყურებს“?! — გაიფიქრა თემურმა.

მატარებელი გამოჩნდა.

თემურმა მანქანის დაჯახების ხმა გაიგო. უკან მიიხედა. მთვრალეობით გატენილ მანქანას ბოძისთვის დაერთყა. ისევ აამუშავა, რა-

ტომლაც, ძალიან გახარებულმა მძლოლმა და საშინელი სისწრაფით დაიძრა ადგილიდან. მატარებელი ახლოვდებოდა.

თემურმა გოგოს შეხედა. გოგო შეშინებული თვალებით უყურებდა. თემურმა ახლა გამოქანებულ მანქანას შეხედა და მერე, — მატრებელს. უკნიდან დაარტყა. მანქანა ძლიერი დარტყმისაგან წინ გავარდა, ხის შლაგბაუმი გაგლიჯა და ინერციით ლიანდაგებზე გადავიდა. თემურმა სულ ახლოს უზარმაზარი ფარანი დაინახა. კარი გააღო და გადახტა. მატარებელმა შორს გადააგდო მანქანა. თემური ახლა ჰაერში იყო და მატარებლის ქარს მიჰყავდა მის გვერდით. ერთი წამით, ალბათ, უფრო ნაკლებითაც, თავის თავს მოჰკრა თვალი მატარებლის ფანჯარაში. ხელით სცადა ჩაბლაუჭება და იღრიალა სიმწრისაგან. მატარებელი ნელ-ნელა ჩერდებოდა. გოგო კიოდა. გაოგნებულმა მემანქანემ საყვირი ჩამოსწია რატომღაც. ახლა, გაჩერებული მატარებელიც კიოდა, თითქოს, მთელი ქვეყნისათვის უნდოდა გაეგებინებინა ეს ამბავი.

— მცივა! — ვილაცას უთხრა თემურმა. ის ვილაც, ვერ მიეკარა. თემური თოვლზე ეგდო და სისხლი იყო თოვლზე.

— მიშველე! — თქვა და ხელი გაიშვირა მისკენ. მან იყვირა და უკან გაიქცა. მერე სხვები მოვიდნენ თემურთან და მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს.

ის გზაზე მოკვდა, ვილაც უცნობის მხარზე თავმიდებული.

— როგორ მცივა?! — თქვა სიკვდილის წინ.

ნახევარი საათის შემდეგ გზა გახსნეს. მთვრალეები დააპატიმრეს. მანქანები წავიდ-წამოვიდნენ. ხალხი გაიფანტა. აღარავინ და აღარაფერი არ იყო გარშემო, თოვლის გარდა.

დედამიწას თეთრი და სისხლიანი პერანგი ეცვა.